


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა



საულ ა. კრიპკე

სახელდება და აუსილებლობა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2014

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა

ISSN 1512-2042

სერიის რედაქტორი: **თამარ ცოფურაშვილი**

სერიის მე-3 წიგნი

NAMING AND NECESSITY

SAUL A. KRIPKE

სახელდება და აუცილებლობა

საშულ ა. კრიპკე

ინგლისურიდან თარგმნა
და კომენტარები დაურთო

თამარ ცხადაძემ

სამეცნიერო რედაქტორი

ლელა ალექსიძე

ყდის დიზაინი

თამარ ბასილია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

ქეთევან გოგავა

გარეკანზე გამოყენებული ფოტო: ჟან (ჰანს) არპი, კოლაჟი შემთხვე-
ვითობის კანონების მიხედვით მოწესრიგებული კვადრატებით.

© 1972, 1980 by Saul A. Kripke

All rights reserved

ქართულ ენაზე თარგმანის გამოცემისა და გაყიდვის
ექსკლუზიური უფლება ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით.

ISBN 978-9941-18-217-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....	vii
ს. ა. კრიპკე	
სახელდება და აუცილებლობა.....	1
წინათქმა	5
ლექცია I: 1970 წლის 20 იანვარი.....	34
ლექცია II: 1970 წლის 22 იანვარი.....	97
ლექცია III: 1970 წლის 29 იანვარი	143
დამატებები.....	209
კომენტარები	221
საძიებელი	230

მთარგმნელის წინასიტყვაობა

საულ კრიპკეს „სახელდება და აუცილებლობა“ ანალიზურ ტრადიციაში მომუშავე ფილოსოფოსების მიერ ერთსულოვნადაა აღიარებული მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექსტად. მის გამოქვეყნებას უკავშირებენ თავისებურ გარდატეხას, რომელსაც ფილოსოფიაში „მეტაფიზიკურ შემობრუნებას“ უწოდებენ. წიგნი ემყარება კრიპკეს მიერ 1970 წელს პრინსტონის უნივერსიტეტში ჩატარებული სამი ლექციის ჩანაწერს. ლექციების ჩანაწერი პირველად 1972 წელს გამოქვეყნდა დონალდ დევიდსონისა და გილბერტ ჰარმანის მიერ გამოცემულ კრებულში „ბუნებრივი ენის სემანტიკა“ (Semantics of Natural Language, edited by Donald Davidson and Gilbert Harman, Reidel, Dordrecht, 1972), ხოლო 1980 წელს დამოუკიდებელ წიგნადაც გამოიცა. კრიპკეს ტექსტმა გამოქვეყნებისთანავე უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. როგორც 1980 წლის გამოცემის რეცენზიაში რიჩარდ რორტი წერდა, მას ზოგი აღშფოთებით, ზოგი აღტაცებით, ზოგიც გაოცებით შეხვდა, თუმცა, არავინ დარჩენილა მის მიმართ ინდიფერენტული. მართლაც, ამ წიგნმა ფუნდამენტურად გარდაქმნა ფილოსოფიური დისკუსიები ყველა იმ თემაზე, რომელთაც ის ეხება.

წიგნის ცენტრალური თემაა საკუთარი სახელების მნიშვნელობა, რომელიც ენის ფილოსოფიის ერთ-ერთი საინტერესო პრობლემაა. თუმცა, თვალსაზრისს, რომელსაც კრიპკე პრობლემის საკუთარი გადაწყვეტის ჩარჩოდ ავითარებს, მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხისთვის ენის ფილოსოფიის გარეთაც – ესენია მეტაფიზიკის, ეპისტემოლოგიის, მეცნიერების ფილოსოფიის, ცნობიერების ფილოსოფიის საკითხები. ის სიახლე, რის გამოც კრიპკეს წიგნი ესოდენ გავლენიანი **აღორჩნდა**, არის ალეთიკური მოდალობის (აუცილებლობა, შესაძლებლობა) მასში განვითარებული კონცეფცია. კრიპკეს შრომამდე ანალიზურ ფილოსოფიაში უფრო გავლენიანი პარადიგმა იყო

ექსტენსიონალიზმი, რომლის მიხედვითაც მოდალური, ზოგადად, ინტენსიონალური კონტექსტები ექსტენსიონალურ კონტექსტებზეა დაყვანადი; ხოლო რაც ასე დაყვანადი არ არის, ის ბუნებრივ ენაში არსებული უზუსტობების და ბუნდოვანების შედეგია და არც ფილოსოფიურადაა საინტერესო. ექსტენსიონალისტური პარადიგმის განვითარება ფრეგეს, რასელის, კარნაპის, გუდმენის, ქუაინის სახელებს უკავშირდება. ქუაინი, რომელიც მეოცე საუკუნის შუა წლებიდან უდავოდ ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო ანალიზურ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით ცნობილია მოდალობის მიმართ თავისი სკეპტიციზმით. ამ ფონზე, კრიპკემ ჩამოაყალიბა მოდალობისა და შესაძლო სამყაროების სადა და ინტუიციურად ცხადი კონცეფცია, რომლითაც ანალიზურ ფილოსოფიას, შეიძლება ითქვას, აუცილებლობისა და შესაძლებლობის ცნებები დაუბრუნა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოდალობისა და საკუთარი სახელების მნიშვნელობის შესახებ ანალოგიური იდეები კრიპკეზე დაახლოებით 20 წლით ადრე განავითარა რუთ ბარქან მარკუსმა; შესაძლო სამყაროების საკუთარ კონცეფციას კრიპკეს პარალელურად ავითარებდა დევიდ ლუისიც. თუმცა, ფაქტია, რომ კრიპკესეული ფორმულირება ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა ანალიზურ ფილოსოფიაში მოდალობის „დემარგინალიზაციის“ თვალსაზრისით.

კრიპკე თავის წიგნში აკრიტიკებს საკუთარი სახელების მნიშვნელობის „დესკრიპტივისტულ“ თეორიას, რომლის ვერსიებადაც მიიჩნევს ფრეგეს, რასელის, ვიტგენშტაინის, სერლის თვალსაზრისებს. ამ თეორიის მიხედვით, საკუთარ სახელთან დაკავშირებულია გარკვეული დესკრიფცია (ან დესკრიფციების კლასტერი), როგორც მისი საზრისი; და ეს დესკრიფცია განსაზღვრავს, თუ რას ასახელებს სახელი – რა არის მისი რეფერენტი: სახელის რეფერენტია ის უნიკალური ობიექტი, რომელიც მასთან დაკავშირებულ დესკრიფციას აკმაყოფილებს. ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ, კრიპკე ამტკიცებს, რომ სახელი თავის რეფერენტს

ასახელებს მაშინაც, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ეს საგანი არ აკმაყოფილებს დესკრიფციას, რომელიც სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ყველაფერი იქიდან, რაც ჩვენ არისტოტელეს შესახებ ვიცით, მცდარიც რომ აღმოჩნდეს, სახელის „არისტოტელე“ რეფერენტი მაინც იქნება ის კონკრეტული ადამიანი, რომელიც ჩვენ გვყავს მხედველობაში, როცა არისტოტელეზე ვლაპარაკობთ. ამით კრიპკეს შემოაქვს ხისტი აღმნიშვნელის ცნება – ეს არის აღმნიშვნელი, რომელიც მოცემულ ობიექტს ასახელებს ყველა შესაძლო სიტუაციაში (შესაძლო სამყაროში), რომელშიც ეს ობიექტი არსებობს. საკუთარი სახელები, კრიპკეს თანახმად, ხისტი აღმნიშვნელებია. მათგან განსხვავებით, არახისტი აღმნიშვნელის რეფერენტი სხვადასხვა შესაძლო სამყაროში შეიძლება სხვადასხვა იყოს. სწორედ ასეთი, არახისტი აღმნიშვნელებია დესკრიფციები. მაგალითად, დესკრიფცია „ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი“ აქტუალურ სამყაროში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, აღნიშნავს არისტოტელეს. მაგრამ შესაძლოა ფილიპეს თავისი ვაჟის განათლება სხვისთვის მიენდო და მაშინ (ამ შესაძლო სიტუაციაში ანუ ამ შესაძლო სამყაროში) ამ დესკრიფციის რეფერენტი ეს სხვა ადამიანი იქნებოდა.

მაშინ რა აკავშირებს სახელს თავის რეფერენტთან? ამ კითხვაზე საპასუხოდ კრიპკე ავითარებს კაუზალურ თეორიას: სახელი საგანზე რეფერირებს იმ მიზეზშედეგობრივი კავშირების ძალით, რომელიც მოსაუბრეთა საზოგადოების გავლით დამყარდა სახელსა და საგანს შორის. ამ კავშირის დამყარებაში შეიძლება დესკრიფციები გარკვეულ როლს ასრულებდეს, მაგრამ ეს როლი არ არის რეფერენციის აუცილებელი ან საკმარისი პირობების, სახელის საზრისს მოცემა; არამედ, ეს არის რეფერენციის დაფიქსირება. მაგალითად, დესკრიფცია „ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი“ შეიძლება მონაწილეობდეს ჩვენ მიერ სახელის „არისტოტელე“ სწავლაში – მისი რეფერენტის დადგენაში, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ არისტოტელე არ ყოფილა ალექსანდრეს მასწავ-

ლებელი, ამით სახელის „არისტოტელე“ მნიშვნელობა კი არ შეიცვალა ჩვენთვის, არამედ რალაც ახალი გავიგეთ არისტოტელეს შესახებ – გავიგეთ, რომ ის, თურმე, არ ასწავლიდა ალექსანდრეს.

ხისტი აღმნიშვნელების კრიპკესული კონცეფციის არსებითი ასპექტია ის, რომ კრიპკე მას განავრცობს ზოგად სახელებზეც, როგორებიცაა, მაგალითად, ნივთიერებათა სახელები (ოქრო) ან ბიოლოგიური სახეობების სახელები (ვეფხვი) – ე. წ. ბუნებრივი გვარების სახელებისთვის. ზუსტად ისევე, როგორც ცალკეული ინდივიდის საკუთარი სახელის შემთხვევაში დესკრიფცია მხოლოდ აფიქსირებს რეფერენტს და შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, ამ ზოგადი სახელების შემთხვევაშიც, დესკრიფციული შინაარსი (რომელიც ფილოსოფიურ ტრადიციაში შესაბამისი ცნების, ანუ სახელის საზრისის განმსაზღვრელად მოიაზრებოდა), შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს მოცემული სახელით აღნიშნული ბუნებრივი გვარისთვის. მაგალითად, ის ცოდნა, რაც ოქროს ცნებაში საუკუნეების წინ მოიაზრებოდა, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, მაგრამ სიტყვა „ოქრო“ მაინც აღნიშნავდეს (ხისტად) სწორედ იმ ბუნებრივ გვარს, რომელსაც ის ძველადაც აღნიშნავდა და რომლის შესახებ ძველების ცოდნაც აღმოჩნდა მცდარი.

ხისტი აღმნიშვნელების იდეას მიყვავართ სხვა მნიშვნელოვან ფილოსოფიურ კონცეფციასთან – საგნის არსებითი და შემთხვევითი თვისებების განსხვავებასთან. განა შეიძლება, რომ ნებისმიერი დესკრიფცია, რომელიც ჩვენ სახელის სწავლისა და გამოყენების პროცესში მასთან დაკავშირეთ, მცდარი აღმოჩნდეს? მაინც შეიძლება ვთქვათ, რომ მოცემული ობიექტი არისტოტელეა, თუკი ყველაფერი, რაც ჩვენ არისტოტელეს შესახებ ვიცით, მისთვის მცდარი აღმოჩნდება? კრიპკეს პასუხი ამ კითხვაზე ორმაგია: არისტოტელეს ზოგიერთი თვისება ისეთია, რომ მათ გარეშე არც ერთი საგანი არ იქნებოდა არისტოტელე. ეს მისი არსებითი თვისებებია. ასეთია, მაგალითად, ის, რომ არისტოტელე ადამიანია, რომ ის კონკრეტული გამეტებისაგან წარმოიშვა და სხვა. მეორე

მხრივ, ჩვენი ცოდნის დონე შეიძლება ისეთი იყოს, რომ ჩვენს დესკრიფციებში მოცემული არ იყოს საგნის არც ერთი არსებითი თვისება – ამ აზრით შესაძლებელია, რომ ყველა ჩვენი დესკრიფცია მცდარი აღმოჩნდეს საგნისათვის, რომელზეც ვრეფერირებთ.

რა განსაზღვრავს იმას, თუ რომელია არსებითი (აუცილებელი) და რომელი – შემთხვევითი საგნის თვისებებიდან? ამ კითვაზე კრიპკეს პასუხია, რომ ეს საგნების შესახებ მეცნიერული ცოდნის საკითხია. ასე მივდივართ კრიპკეს თვალსაზრისის კიდევ ერთ საინტერესო ასპექტთან: აუცილებლობა კრიპკესთვის მეტაფიზიკური ცნებაა და არ არის დამოკიდებული ეპისტემოლოგიურ ან ლინგვისტურ ვითარებებზე. აუცილებელი ჭეშმარიტებები მისთვის სამყაროს შესახებ ჭეშმარიტებებია და ემპირიულად შეიმეცნება. ამით კრიპკე ემიჯნება ანალიზური ფილოსოფიის ძველ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც აუცილებლობის, აპრიორულობისა და ანალიზურობის ცნებები ექსტენსიით ერთმანეთს ემთხვევა. მისი კონცეფციის მიხედვით, ზოგიერთი შემთხვევითი ჭეშმარიტება შეიძლება აპრიორულად ვიცოდეთ, ხოლო ბევრი აუცილებელი ჭეშმარიტება მხოლოდ აპოსტერიორულადაა შემეცნებადი.

კრიპკეს თვალსაზრისის ეს შეჯამება, რასაკვირველია, ძალიან ზედაპირულია. მკითხველი ბევრ სხვა საინტერესო იდეას და ფაქიზ ნიუანსს აღმოაჩენს წიგნის გვერდებზე. იმედი მაქვს, კრიპკესათვის დამახასიათებელი თხრობის ნათელი და უშუალო სტილი მის აზრებს მისაწვდომს გახდის ყველასთვის, ვისაც აინტერესებს ფილოსოფიის მარადიული პრობლემები, რომლებიც ამ წიგნშია განხილული.

წიგნის ქართული თარგმანი შესრულდა სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში. სასარგებლო რჩევებისათვის დიდ მადლობას ვუხდით თარგმანის სამეცნიერო რედაქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ლელა ალექსიძეს. გარდა სამეცნიერო რედაქტირებისა, მან მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა თარგმანის ქართულ ენაზე გამართვაში. ასევე დიდ მადლობას ვუხდით თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, დავით გაბელიას, რომელმაც საგულისხმო რჩევები მომცა რამდენიმე ლოგიკური და მათემატიკური ტერმინის ქართული შესატყვისის მოძებნისთვის.

თამარ ცხადაძე
თბილისი, 2014

საულ ა. კრიპკე

სახელდება და აუცილებლობა

S. A. Kripke

NAMING AND NECESSITY

ექვნიება მარგაჰეცს

წინათქმა

თავიდან ვაპირებდი, „სახელდება და აუცილებლობა“ მნიშვნელოვნად შემესწორებინა და შემევესო. დიდი დრო გავიდა და მივხვდი, რომ ნებისმიერი სერიოზული შესწორება ან გავრცობა განუსაზღვრელი ხნით გადაავადებდა „სახელდება და აუცილებლობის“ დამოუკიდებელი, ნაკლებ ძვირადღირებული გამოცემის გამოსვლას. მეტიც, როცა გადასინჯვას ეხება საქმე, ნაშრომის თავდაპირველი ფორმით – ყველა მისი ღირსებით თუ ნაკლით – შენარჩუნების გასამართლებლადაც შეიძლება ითქვას რალაც. ამდენად, ახლანდელი გამოცემისთვის შესწორების ძალიან კონსერვატიული სტრატეგია ავარჩიე. შევასწორე აშკარა ტიპოგრაფიული შეცდომები და შევიტანე მცირე შესწორებები, რათა სხვადასხვა წინადადება და ფორმულირება უფრო ნათელი გამეხადა.¹ ჩემი კონსერვატიული სტრატეგიის კარგი მაჩვენებელია 56-ე შენიშვნა. ამ შენიშვნაში შევასწორე ასოების გამოყენებით ობიექტების ნომენკლატურა, რომელიც პირველ გამოცემაში გაუგებარი მიზეზების გამო დამახინჯებულია; მაგრამ არაფერი ვთქვი იმაზე, რომ ამ შენიშვნაში წარმოდგენილი არგუმენტი ახლა ისეთი პრობლემების მქონედ მეჩვენება, რომლებსაც ვერ ვამჩნევდი მისი წერისას და რომლებიც, სულ მცირე, დამატებით განხილვას მოითხოვს.²

1 მაღლობას ვუხზი მარგარეტ გილბერტს რედაქტირებაში გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისთვის.

2 მართალია, დრო არ მქონდა იმისთვის, რომ ამ შენიშვნის ნათან სელმონისეულ კრიტიკას (*Journal of Philosophy* (1979), გვ. 703-725) საფუძვლიანად გავცნობოდი, ასე მგონია, რომ ეს კრიტიკა მიმართულია არგუმენტზე, რომელიც, თუმცა კი უკავშირდება ჩემსას, მაგრამ არ არის იგივე; მასში არგუმენტის ისეთი რეკონსტრუქციაა მოცემული, რომელიც ჩემს ზუსტ განზრახვას არ შეესაბამება და ჩემს არგუმენტს ზედმეტად სუსტად წარმოაჩენს. გარდა ამისა, ვფიქრობ, მე არ მქონია იმის ამბიცია, რომ ამ მოკლე შენიშვნაში, მხოლოდ „რეფერენციის თეორიის საფუძველზე“, მკაცრად დამესაბუთებინა ესენციალიზმი. ეს შენიშვნა იმდენად შეკუმშულია, რომ იოლად შეიძლება, მკითხველები დეტალების სხვადასხვაგვარ რეკონსტრუქციამდე მისულიყვნენ.

იმავე მოსაზრებებმა მიბიძგა იმისკენ, რომ უარი მეტეკვა ჩემი ძველი არგუმენტის გაძლერებისთვის, ხარვეზების შევსებისთვის, ან სერიოზულ კრიტიკასთან და სიძნელებთან გამკლავებისთვის ამ წინათქმის გამოყენების ყოველგვარ სერიოზულ ცდაზე. რა თქმა უნდა, მონოგრაფიაში არის სხვა ადგილებიც, 56-ე შენიშვნის გარდა, რომლებიც შეიძლებოდა შემეცვალა, წინათქმაში ასეთი დამატებების ჩართვის გარეშეც. მე ისევ ვიზიარებ ჩემი შრომის ძირითად თეზისებს და სერიოზული რევიზიის მწვავე მოთხოვნილებას არ განვიცდი. შესაბამისად, ამ წინათქმას იმისთვის გამოვიყენებ, რომ მოკლედ აღვწერო ამ მონოგრაფიის წამყვანი იდეების წინაპირობები და გენეზისი და განვიხილო რამდენიმე გავრცელებული ვერგაგება. ვშიშობ, იმედი უნდა გაუფცრუო იმ მკითხველებს, რომელთაც დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ამ საკითხების მონოგრაფიაში მოცემული განხილვა. შედარებით ნაკლები სიახლე დაემატება იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მე მონოგრაფიისთვის უფრო არსებითად მესახება. საკითხები, რომელთა ახსნასაც გავალრმავებ – ესენია ძირითადად მოდალობასა და ხისტი აღნიშვნასთან დაკავშირებული საკითხები – შეიძლება უკვე ისედაც ნათელი იყო მკითხველთა უმრავლესობისთვის. მეორე მხრივ, იმ მკითხველებმა, რომლებიც აქ აღნიშნულ ზოგიერთ შემოდავებებს თანაუგრძობენ, შეიძლება სამართლიანად ისურვონ, უფრო საფუძვლიანი განხილვა ენახათ. ვშიშობ, შემთხვევათა უმრავლესობაში, სადავო საკითხებზე წინათქმის ფარგლებში დასაშვები მოცულობის მსჯელობა, უბრალოდ, მეტისმეტად მოკლეა იმისათვის, რომ ბევრი დაარწმუნოს იმ მკითხველთაგან, ვინც შემოდავებების გაზიარებისკენ იხრებოდა. გარკვეულწილად, შემოდავებების მოკლედ განხილვამ შეიძლება მეტი ვნება მოიტანოს, ვიდრე სარგებელი, ვინაიდან მკითხველმა, რომელიც გაურკვევლობაში იყო, შეიძლება იფიქროს, რომ თუ *სულ ესაა*, რის თქმაც შემიძლია პასუხად, კრიტიკოსების შემოდავება დამაჯერებელი ყოფილა. ამის მიუხედავად, ვიფიქრე, რომ მოკლედ უნდა დავა-

ფიქსირო, თუ რატომ მიმარჩნია ზოგიერთი რეაქცია არასწორად. იმედი მაქვს, სხვა შემთხვევებში შევძლებ, უფრო ვრცლად ვიმსჯელო. აქ კი უნდა გთხოვოთ, გამიგოთ, რომ ამ წინათქმის ფარგლებში საკითხების ზედმიწევნით განხილვა შეუძლებელია.³

მკითხველებისთვის, რომლებიც წიგნს პირველად კითხულობენ, ეს წინათქმა სასარგებლო იქნება ზოგიერთი იდეის მეტი ნათელყოფისა და მათი გენეზისის მოკლე ისტორიისათვის. ასეთ მკითხველებს ვურჩევდი, წინათქმის კითხვით კი არ დაიწყონ, არამედ ძირითადი ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდნენ მას ნათელყოფისათვის (თუ ეს აუცილებელი აღმოჩნდება). ეს წინათქმა არ არის ისე დაწერილი, რომ მთლიანად თვითკმარი იყოს.

„სახელდების და აუცილებლობის“ იდეები 60-იანი წლების დასაწყისში განვითარდა – მათი უმრავლესობა 1963-1964 წლებში ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, ეს შრომა ამოიზარდა მანამდელი ფორმალური კვლევებიდან მოდალური ლოგიკის მოდელების თეორიაში. უკვე იმ დროს, როცა მოდალურ ლოგიკაზე ვმუშაობდი, მიმარჩნდა, რომ, როგორც უიგინსმა თქვა, იგივეობრივთა განუსხვავებლობის ლაიბნიცისეული პრინციპი⁴ ისევე თვითცხადია, როგორც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ის, რომ ზოგიერთ ფილოსოფოსს შეიძლება მასში ეჭვი შეჰპარვოდა, მე ყოველთვის უცნაურად მეჩვენებოდა. მოდალური ლოგიკის მოდელების თეორიის („შესაძლო სამყაროების“ სემანტიკის) კვლევა მხოლოდ ადასტურებდა ამ რწმენას – ვითომდა კონტრმაგალითები, მოდა-

3 შესაბამისად, ზოგიერთი გამოქვეყნებული კრიტიკა აქ განხილული არ არის იმიტომ, რომ მეტისმეტად არასერიოზულია და, იმედი მაქვს, დიდი ნდობით არ სარგებლობს; სხვები – იმიტომ, რომ მეტისმეტად არსებითია; და კიდევ სხვები – იმიტომ, რომ უბრალოდ ადგილი არ მეყო. მკითხველისთვის მიმინდია იმის გადაწყვეტა, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის კონკრეტული მაგალითი.

4 ეს არის პრინციპი, რომლის თანახმადაც იგივეობრივ საგნებს ყველა თვისება საერთო აქვთ; სქემატურად: $(x)(y)((x=y \wedge Fx) \supset Fy)$. ის არ უნდა ავუროთ განუსხვავებელთა იგივეობაში.

ლურ თვისებებს რომ შეიცავდა, ყოველთვის რაღაც გაუგებრობაზე აღმოჩნდებოდა დამოკიდებული: ან მოცემული კონტექსტები არ გამოხატავდა ნამდვილ თვისებებს, ან მოქმედების არე იყო შეცდომით გაგებული, ან ინდივიდუალურ ცნებებს შორის დამთხვევა ინდივიდებს შორის იგივეობაში იყო აღრეული. მოდელის თეორია ამას სრულიად აშკარას ხდიდა, თუმცა, ეს ყველაფერი ინტუიციურ დონეზეც საკმაოდ აშკარა უნდა ყოფილიყო. თუ უგულვებლყოფდით უსაგნო მოსაზრებებს, რომლებიც წარმოდგებოდა იმ ფაქტიდან, რომ x -ის არსებობა აუცილებელი არ არის, $(x) \square (x=x)$ და ლაიბნიცის კანონი აშკარად აჩვენებდა, რომ იგივეობა „შინაგანი“ მიმართებაა: $(x)(y)(x=y \supset \square x=y)^*$ (მართლაც, რომელი (x, y) წყვილი შეიძლება ყოფილიყო ამის კონტრმაგალითი? კონტრმაგალითი ვერ იქნებოდა წყვილი, რომელიც განსხვავებული ობიექტებისგან შედგება, რადგან მისთვის მცდარია ანტიცედენტი; ასეთი ვერ იქნებოდა ვერც წყვილი, რომელიც ობიექტისა და მისივე თავისგან შედგება, რადგან მისთვის ქეშმარიტია კონსეკვენტი). თუ „ა“ და „ბ“ ხისტი აღმნიშვნელება, მაშინ გამოდის, რომ თუკი „ $a=b$ “ ქეშმარიტია, ის აუცილებელი ქეშმარიტებაა. ხოლო თუ „ა“ და „ბ“ ხისტი აღმნიშვნელები არ არის, მაშინ „ $a=b$ “ დებულების შესახებ იგივე დასკვნა არ გამომდინარეობს (თუმცა, ობიექტები, რომლებიც „ა“ და „ბ“ სახელებითაა აღნიშნული, აუცილებლობით იგივეობრივი იქნება).

ხისტ აღმნიშვნელებზე ლაპარაკისას ჩვენ ვლაპარაკობთ შესაძლებლობაზე, რომელიც უდავოდ არსებობს ფორმალურ მოდელურ ენაში. ლოგიკურად, ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ვალდებულება, ვადიაროთ ესა თუ ის თეზისი იმის სტატუსის შესახებ, რასაც, ჩვეულებრივ, ბუნებრივ ენაში ვუწოდებთ „სახელებს“. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამი სხვადასხვა თეზისი: (i) იგივეობრივი ობიექტები აუცილებლად იგივეობრივია; (ii) ხისტ აღმნიშვნელთა იგივეობის გამომხატველი ქეშმარიტი დებულებები აუცილებელია; (iii) „სახელების“, როგორც ისინი რეალურ

ენაში გვესმის, იგივეობის გამომხატველი ქვეშეშეხიტი დებულე-ბები აუცილებელია. (i) და (ii) ფილოსოფიური ლოგიკის (თვით-ცხადი) თეზისებია, ბუნებრივი ენისაგან დამოუკიდებლად. ისინი ერთმანეთთან კავშირშია, მიუხედავად იმისა, რომ (i) ობიექტებს ეხება, ხოლო (ii) მეტაენის თეზისია ((ii) უხეშად „გამოყვანადა“ (i)-იდან, თუ გამოვიყენებთ უნივერსალური კვანტორების ხისტი აღმნიშვნელებით შენაცვლებას – მე ვამბობ „უხეშად“; რადგან აქ რელევანტურია სინისტესთან დაკავშირებული ფაქიზი დეტალე-ბი, იხილეთ შენიშვნა 21, გვ. 21; ანალოგიური დედუქცია არახისტი აღმნიშვნელებისათვის არ არის მართებული). (ii)-იდან ბუნებრივი ენის ე. წ. „სახელების“ შესახებ მკაცრად მხოლოდ ის გამომდინა-რეობს, რომ ან ისინი ხისტი აღმნიშვნელები არ არის, ან კიდევ მათ შორის ქვეშეშეხიტი იგივეობები აუცილებელია. სახელდების ჩვენი ინტუიციური იდეა გვკარნახობს, რომ სახელები ხისტია; თუმცა, ვფიქრობ, ოდესღაც, გაბატონებული წინასწარდაშვებე-ბის გავლენით, მეც ბუნდოვნად ვგულისხმობდი, რომ, ვინაიდან აშკარად არსებობს ჩვეულებრივ ე. წ. სახელებს შორის შემთხვე-ვითი იგივეობები, ასეთი ჩვეულებრივი სახელები ხისტი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ უკვე (i)-იდან, ბუნებრივი ენის ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, აშკარა იყო, რომ მატერიალიზმის შესახებ მაშინდელი ფილოსოფიური დისკუსიებისათვის საერთო დაშვება, რომლის თანახმადაც შეიძლება ობიექტები „შემთხვევითად იგი-ვეობრივი“ იყოს, მცდარია. იგივეობა მაინც შინაგანი მიმართება იქნებოდა, თუნდაც ბუნებრივი ენა არც ერთ ხისტ აღმნიშვნელს არ შეიცავდეს. ობიექტებზე, როგორც „შემთხვევითად იგივეობ-რივზე“ არათანმიმდევრული ლაპარაკი უკანონოდ ასრულებდა ფილოსოფიური ყავარჯნის როლს: ის ფილოსოფოსებს საშუალე-ბას აძლევდა, გარკვეულ აღმნიშვნელებზე ერთდროულად ეფიქ-რათ ისე, თითქოს ისინი არახისტია (და, ამდენად, შედის „შემთხ-ვევით იგივეობებში“) და თითქოს ისინი ხისტია; ამ კონფლიქტში კიდევ უფრო მეტი არეულობა შეჰქონდა შესაბამის ობიექტებზე,

როგორც „შემთხვევითად იგივეობრივზე“ ფიქრს. უკვე მანამდეც, სანამ მკაფიოდ გავაცნობიერებდი საკუთარი სახელების სიტუაციის ნამდვილ არსს, ნაკლებად მესიმპათიურებოდა „შემთხვევითი იგივეობის“ მიმართების ეს ბნელი მოძღვრება. უნიკალურად მაილენტიფიცირებელი თვისებები შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს შემთხვევითად, მაგრამ ობიექტები შეუძლებელია „შემთხვევითად იგივეობრივი“ იყოს.

საბოლოოდ მივედი იმის გაცნობიერებამდე – და ამ მიხვედრით დაიწყო 1963-64 წლების ზემოთ ხსენებული მუშაობა, რომ მიღებული წინასწარდაშვებები, რომლებიც უარყოფს ჩვეულებრივ სახელებს შორის იგივეობების აუცილებლობას, არასწორია, და რომ ბუნებრივი ინტუიცია, რომლის თანახმადაც ჩვეულებრივი ენის სახელები ხისტი აღმნიშვნელებია, ფაქტობრივად, შეიძლება დავიცვათ.⁵ ამის ნათელყოფაზე მიმართული ძალისხმევის ნაწილი იყო განსხვავების გატარება დესკრიფციის ორ გამოყენებას – ერთი მხრივ, მნიშვნელობის მოსაცემად მის გამოყენებასა და, მეორე მხრივ, რეფერენციის დასაფიქსირებლად მის გამოყენებას – შორის. ამრიგად, ამ საფეხურზე მე უკუვაგდე დესკრიფციის კონვენციური თეორია, როგორც მნიშვნელობის თეორია, თუმცა, მისი, როგორც რეფერენციის დაფიქსირების თეორიის, მართებულობა ხელუხლებელი რჩებოდა. ალბათ, გარკვეული ხნის მანძილზე კმაყოფილი ვიყავი ამ თვალსაზრისით, მაგრამ ბუნებრივი მომდევნო ნაბიჯი იყო იმის ეჭვქვეშ დაყენებაც, რომ დესკრიფციის თეორია სწორად ხსნის თუნდაც სახელების რეფერენციის დაფიქსირებას. ამ სვლის შედეგი წარმოდგენილია მეორე ლექციაში. მოკლე ნაბიჯილა რჩებოდა იმის გაცნობიერებამდე, რომ მსგავსი შენიშვნები ბუნებრივი გვარების აღმნიშვნელი სიტყვებისთვისაც

5 ნათელი გახდა ისიც, რომ ნებისმიერი აქტუალური ან ჰიპოთეზური ენის სიმბოლო, რომელიც არ არის ხისტი აღმნიშვნელი, იმდენად არ ჰგავს ჩვეულებრივი ენის სახელებს, რომ მას საერთოდ არ უნდა ვუწოდოთ „სახელი“. ეს, სახელდობრ, ეხება არახისტი განსაზღვრული დესკრიფციების ჰიპოთეზურ აბრევიატურებს.

ძალაშია. სხვა წამყვანი იდეები ბუნებრივად გამოიკვეთა, როცა ყველაფერი „თავის ადგილას დალაგდა“.

დაუშვებელია, სათანადოდ არ ვალიარო ფრეგესა და რასელისაგან მომავალი იდეების იმ დროს გაბატონებული კომპლექსის დიდი ძალა, რომელსაც მაშინ გავუწიე წინააღმდეგობა. ის ბუნებრივობა და ერთგვაროვნება, რომლითაც ეს იდეები თითქოსდა ჭრის ფილოსოფიური პრობლემების დიდ სიმრავლეს – მათი გასაოცარი შინაგანი თანმიმდევრულობა – ადეკვატურად გვიხსნის მათ მიმზიდველობას დიდი ხნის განმავლობაში. მე თვითონ მაკვირვებდა ფილოსოფიურ საზოგადოებაში ზოგიერთი ისეთი იდეის უპირობო აღიარება, რომლებიც ჩემთვის ნაკლებად ან სულ არ იყო მიმზიდველი, მაგრამ ამ კატეგორიაში არასოდეს მომიტავსებია დესკრიფციის თეორია საკუთარი სახელებისთვის. მართალია, მე, სხვებთან ერთად, ყოველთვის ვგრძნობდი გარკვეულ ძალდატანებას ამ კონსტრუქციაში, მაგრამ გარკვეული დრო დამჭირდა, რომ მისი მაცდუნებელი ძალისაგან გავთავისუფლებულიყავი.

მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ცნობილია, მაინც შემოგთავაზებთ ხისტი აღნიშვნის იდეის მოკლე ფორმულირებას, სახელების შესახებ იმ ინტუიციასთან ერთად, რომელიც მას უდევს საფუძვლად. განვიხილოთ დებულება:

(1) არისტოტელეს უყვარდა ძალები.

ამ დებულების სწორად გაგება გულისხმობს როგორც იმ (ექსტენსიონალურად სწორი) პირობების გაგებას, რომლებშიც ის ფაქტობრივად ჭეშმარიტია, ასევე, იმ პირობების გაგებას, რომლებშიც მისი მეშვეობით (ნაწილობრივ) სწორად შეიძლება აღწერილიყო ისტორიის კონტრაფაქტობრივი მსვლელობა, რომელიც ზოგიერთი ასპექტით ჰგავს ისტორიის აქტუალურ მსვლელობას, ხოლო ზოგიერთი ასპექტით განსხვავდება მისგან. სავარაუდოდ, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ არსებობს გარკვეული ადამიანი – ფილოსოფოსი, რომელსაც „არისტოტელეს“ ვუწოდებთ – ისეთი,

რომ, ფაქტობრივად, (1) ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მას უყვარდა ძაღლები.⁶ ხისტი აღნიშვნის თეზისი – ფაქიზი დეტალები რომ გვერდზე გადავდოთ⁷ – არის, უბრალოდ, თეზისი, რომ იგივე პარადიგმა ძალაშია (1)-ის ჭეშმარიტების პირობებისთვის მაშინაც, როცა ის კონტრაფაქტობრივი სიტუაციების აღწერისთვის გამოიყენება. სხვა სიტყვებით, (1) ჭეშმარიტად აღწერს კონტრაფაქტობრივ სიტუაციას მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ იმავე, ზემოხსენებულ ადამიანს ეყვარებოდა ძაღლები, ეს სიტუაცია რომ განხორციელებულიყო (დაივიწყეთ კონტრაფაქტობრივი სიტუაცია, რომელშიც ის არ იარსებებდა). ამისგან განსხვავებით, რასელი ფიქრობს, რომ (1) დაახლოებით ასე: უნდა გავაანალიზოთ⁸

6 ანუ ყველა, რასელიც კი, დამეთანხმებოდა, რომ ეს არის ჭეშმარიტი მატერიალური ეკვივალენცია, თუკი მოცემულია, რომ არისტოტელე ნამდვილად არსებობდა.

7 სახელდობრ, ჩვენ უგულებელვყოფთ კითხვას იმის შესახებ, თუ რა უნდა ვთქვათ კონტრაფაქტობრივ სიტუაციებზე, რომლებშიც არისტოტელე არ იარსებებდა. იხილეთ 21-ე შენიშვნა, გვ. 21.

8 დავუშვათ, რომ „ანტიკური ხანის უკანასკნელი დიდი ფილოსოფოსი“ არის დესკრიფცია, რომელსაც რასელი აკავშირებდა სახელთან „არისტოტელე“. ეპიკურიეზმის, სტოიციზმისა და სხვა სკოლების თაყვანისმცემლებმა არ უნდა იგრძნონ თავი შეურაცხყოფილად; თუ რომელიმე მკითხველი ფიქრობს, რომ მოცემული დესკრიფციის ჭეშმარიტი რეფერენცია ვიღაც ისეთი, ვინც არისტოტელეს შემდეგ ცხოვრობდა, შეუძლია, ამ დესკრიფციის ადგილზე სხვა დესკრიფცია ჩასვას.

მე ვუშვებ, რომ რასელი მართალია იმაში, რომ განსაზღვრული დესკრიფციები, ზოგჯერ მაინც, შეიძლება არახისტად გავიგოთ. როგორც 59-ე გვერდზე 22-ე შენიშვნაში ვამბობ, ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ, გარდა ამისა, არსებობს განსაზღვრული დესკრიფციების ხისტი აზრი. როგორც იმ შენიშვნაში ვამბობ, ამაში მე დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ, თუნდაც ეს ფილოსოფოსები მართლები იყვნენ, ეს ჩემს ძირითად თეზისს არასაგზით არ ეხება. ჩემი თეზისი სახელებს უპირისპირებს არახისტ დესკრიფციებს, როგორც მათ რასელი იცავდა. ხისტი განსაზღვრული დესკრიფციების იდეის დონელანის „რეფერენციულ“ დესკრიფციებთან მიმართების მოკლე მიმოხილვა იხილეთ ჩემი წერილის „მოსაუბრის რეფერენცია და სემანტიკური რეფერენცია“ მე-2 პარაგრაფში, გვ. 258-262 (“Speaker’s Reference

(2) ანტიკური ხანის უკანასკნელ დიდ ფილოზოფოსს უყვარდა ძაღლები.

ხოლო ეს, თავის მხრივ, უნდა გავანალიზოთ, როგორც:

(3) ანტიკური ხანის დიდ ფილოზოფოსებს შორის ზუსტად ერთი ადამიანი იყო უკანასკნელი და ნებისმიერ ასეთი ადამიანს უყვარდა ძაღლები.

(3)-ის აქტუალური ჭეშმარიტების პირობები ექსტენსიურად ემთხვევა (1)-ის ჭეშმარიტების პირობებს, რომლებიც ზემოთაა ჩამოყალიბებული, თუ დავუშვებთ, რომ არისტოტელე ანტიკური ხანის უკანასკნელი დიდი ფილოზოფოსი იყო. მაგრამ კონტრაქტობრივად რასელის პირობები შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს სიხისტის თეზისით მოცემული პირობებისგან. კონტრაქტობრივ სიტუაციაში, რომელშიც არისტოტელესგან განსხვავებული ადამიანი იქნებოდა ანტიკური ხანის უკანასკნელი დიდი ფილოზოფოსი, რასელის კრიტერიუმის მიხედვით, ამ სხვა ადამიანის ძაღლების მიმართ სიყვარული რელევანტური გამოვიდოდა (1)-ის ჭეშმარიტებისათვის!

ჯერ-ჯერობით ისეთი არაფერი მითქვამს, რაზეც ვიფიქრებდი, რომ ადრე მკაფიოდ არ ჩამომიყალიბებია. მაგრამ ამ ახსნიდან აშკარა უნდა იყოს, რომ ზოგიერთი კრიტიკული არგუმენტი ვერგაგებას ემყარება. ზოგიერთის აზრით, ის მარტივი ფაქტი, რომ ორ ადამიანს შეიძლება ერთი და იგივე სახელი ჰქონდეს, სიხისტის თეზისს უარყოფს. მართალია, ამ მონოგრაფიაში სიმარტივისათვის ისე ვლაპარაკობდი, თითქოს ყოველ სახელს უნიკალური მატარებელი ჰყავდეს, მაგრამ, ფაქტობრივად, მე არ ვფიქრობ,

and Semantic Reference”, *Midwest Studies in Philosophy*, II (1977), გვ. 255-76; გადაბეჭდილია: *Contemporary Perspectives in the Philosophy of Language*, edited by Peter A. French, Theodore E. Uehling, Jr., and Howard K. Wettstein, University of Minnesota Press, Minneapolis (1979), გვ. 6-27). ამ წერილში ასევე განვიხილავ ორივე მათგანის მიმართებას მოქმედების არის ცნებასთან.

რომ ეს სერიოზული ზედმეტად გამარტივებაა, რამდენადაც სინისტის თეზისს ეხება საქმე. მგონია, რომ სახელების სემანტიკასთან დაკავშირებული ბევრი (ალბათ, არა ყველა) მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი, ძირითადად, ხელუხლებელი დარჩებოდა, თუნდაც ჩვენი კონვენციები მოითხოვდნენ, რომ ორ საგანს არასოდეს მიეცეს ერთი და იგივე სახელი. სახელდობრ, და ამას ავსნინი, სინისტის საკითხი ხელუხლებელი დარჩებოდა.

ენისათვის, როგორც ის ჩვენ გვაქვს, შეგვიძლია სახელებზე ვილაპარაკოთ, როგორც უნიკალური რეფერენტის მქონეზე, თუ მივიღებთ ტერმინოლოგიას, რომელიც ომონიმებისათვის სხვადასხვა „სიტყვის“ წოდების პრაქტიკის ანალოგიურია; ამ პრაქტიკის მიხედვით, ფონეტიკურად ერთი და იმავე ბგერების მიმდევრობის სხვადასხვა საგნის სახელად გამოყენება სხვადასხვა სახელად მიიჩნევა.⁹ ეს ტერმინოლოგია, რასაკვირველია, არ შეესაბამება

9 რეალურად, ეს კრიტერიუმი უფრო ფაქიზი უნდა იყოს და ის დამოკიდებულია ადამიანის თეორიულ შეხედულებებზე. მაგალითად, ამ მონოგრაფიაში წარმოდგენილი სურათის მიხედვით, ორი სრულებით სხვადასხვა „ისტორიული ჯაჭვი“, რომლებიც წმინდა დამთხვევის შედეგად ფონეტიკურად ერთსა და იმავე სახელს მიუჩენს ერთსა და იმავე ადამიანს, ალბათ, რეფერენტების იგივეობის მიუხედავად, სხვადასხვა სახელის შემქმნელად უნდა ჩაითვალოს. ეს იგივეობა შეიძლება მოსაუბრისთვის ცნობილი იყოს ან მისთვის ახალ აღმოჩენას წარმოადგენდეს (ანალოგიურად, დესკრიფციის თეორიის დამცველი, რომელიც სახელებს აქ შემოთავაზებული წესით ითვლის, ალბათ, ფონეტიკურად იდენტურ ორ სახელს, რომლებთანაც სხვადასხვა დესკრიფციაა ასოცირებული, ორ სხვადასხვა სახელად მიიჩნევა, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ეს ორი დესკრიფცია უნიკალურად ჭეშმარიტია ერთი და იმავე ობიექტისათვის). თუმცა, რეფერენტების სხვადასხვაობა *საკმარისი* პირობა იქნება სახელების სხვადასხვაობისთვის.

ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ მე არც მოვითხოვ და არც ვიცავ ამ გამოყენებას; მას ვახსენებ, მხოლოდ როგორც შესაძლებლობას, რომლის მიმართაც სიმპათიით ვარ განწყობილი. მტკიცება, რომ სინისტეს არასგზით არ ეხება ის პრობლემა, რომ ორ ადამიანს ფონეტიკურად ერთი და იგივე სახელი ჰქვია, სწორია იმის მიუხედავად, მივიღებთ თუ არა ამ კონვენციას.

ჩვეულებრივი მეტყველების დიდ ნაწილს,¹⁰ მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მას ბევრი სასარგებლო მხარე აქვს თეორიული მიზნებით გამოყენებისთვის.

მთავარი ის არის, რომ, როგორც არ უნდა იგებდეს ფილოსოფიური თეორია ასეთ „ომონიმურ“¹¹ სახელებს, ეს საკითხი არარელევანტურია სიხისტის საკითხისთვის. როგორც ჩემს იდიოლექტზე მოსაუბრე, მე მხოლოდ ერთ ობიექტს ვუწოდებ „არისტოტელეს“, თუმცა ვიცი, რომ სხვა ადამიანებსაც, იმ კაცის ჩათვლით, ვისაც მე „ონასის“ ან, შეიძლება, „არისტოტელე ონასის“ ვუწოდებ, ერქვათ იგივე სახელი. სხვა მკითხველები შეიძლება „არისტოტელეს“ ერთზე მეტი ობიექტის (ადამიანის ან შინაური ცხოველის) სახელად იყენებდნენ და მათთვის (1)-ს არ ექნება ჭეშმარიტების არაორაზროვანი პირობები. როცა მე (1)-ის „ჭეშმარიტების პირობებზე“ ვლაპარაკობდი, (1)-ის ერთი კონკრეტული წაკითხვა უნდა მეგულისხმა, სხვა გზა არ მქონდა. (ასევე იქცევა, რა თქმა უნდა, დესკრიფციის კალსიკური თეორიის დამცველიც; ეს არ არის სადავო საკითხი ჩვენ შორის. დესკრიფციის კლასიკური თეორიის დამცველებიც, სიმარტივისთვის, ისე ლაპარაკობენ, თითქოს სახელებს უნიკალური რეფერენციები ჰქონდეთ.) პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ვუშვებთ, რომ კონტექსტიდან გამომდინარევა გასაგები, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ წინადადების კონკრეტული გამოყენებით. ამ მაგალითში კონტექსტიდან აშკარა იყო, რომ საქმე ეხებოდა სახელის „არისტოტელე“ კონვენციურ გამოყენებას დიდი ფილოსოფოსის აღსანიშნავად. მაშასადამე, თუ *მოცემულია* (1)-ის ეს ფიქსირებული გაგება, სიხისტის საკითხი შემდეგ-

10 მაგრამ, ალბათ, გამონაკლისია წინადადების „რამდენი სახელია ამ სატელეფონო ცნობარში?“ ერთი გამოყენება (ენ იაკობსონი).

11 ჩემ მიერ ამ ტერმინის გამოყენება არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს ჩემს ანალიზს რომელიმე კონკრეტულ თვალსაზრისზე დამოკიდებულს ვხდოდე (იხილეთ მომდევნო შენიშვნაც); თუმცა, მართლაც *გთავაზობთ* ჩემს საკუთარ თვალსაზრისს. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შეიძლება, ორ ადამიანს ფონეტიკურად ერთი და იგივე სახელი ჰქონდეს.

გია: დგინდება თუ არა (1)-ის, ასე გაგებულის, სისწორე ყოველი კონტრაქტობრივი სიტუაციისთვის იმის მიხედვით, ეყვარებოდა თუ არა ძაღლები ერთ გარკვეულ ადამიანს (თუ ეს სიტუაცია განხორციელდებოდა)? ამ კითხვაზე ჩემი პასუხი დადებითია. ხოლო რასელი, თითქოს, ვალდებულია, საწინააღმდეგო თვალსაზრისი გაიზიაროს მაშინაც კი, როცა კონტექსტითაა დაფიქსირებული, თუ რას გამოხატავს (1). რასელი (1)-ს წაკითხავდა, როგორც (3)-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (1)-ის ეს ფიქსირებული გაგება ექნებოდა მოცემული – და არა იმ შემთხვევაში, თუ „არისტოტელეს“ მნიშვნელობა აქ ონასისი იქნებოდა! – მაგრამ სიხისტის მოთხოვნა დარღვეულია. ამ საკითხისთვის საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა ენაში (1)-ის სხვა ინტერპრეტაციების არსებობას ან არარსებობას. თითოეული ასეთი კონკრეტული წაკითხვისთვის, ცალკე, შეგვიძლია ვიკითხოთ, იქნებოდა თუ არა ის, რაც მტკიცდება, ჭეშმარიტი კონტრაქტობრივი სიტუაციისთვის მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე ფიქსირებულ ინდივიდს აქვს შესაბამისი თვისება. ესაა სიხისტის საკითხი.

ნება მომეცით, ეს აზრი ისე შევაჯამო, რომ უგულვებელვყო „დებულებებთან“ დაკავშირებული დელიკატური პრობლემები, რომელთაც ამ წინათქმის ბოლოს შევხებით. ისეთი წინადადების ჭეშმარიტების პირობებზე რომ ვილაპარაკოთ, როგორიცაა (1), ის უნდა გავიგოთ, როგორც კონკრეტული დებულების გამომხატველი – წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჭეშმარიტების პირობები განუსაზღვრელია თუნდაც აქტუალური სამყაროს მიმართ. ამდენად, ორაზროვანი სიტყვები ან ომონიმები (შეიძლება, „ძაღლი“ (1)-ში) განსაზღვრული სახით უნდა წავიკითხოთ (ცხოველი!), მითითებით სიტყვებს განსაზღვრული რეფერენციები უნდა მივაწეროთ, სინტაქსური ორაზროვნებები უნდა გავარკვიოთ და უნდა დავაფიქსიროთ, ფილოსოფოსის სახელია „არისტოტელე“, თუ – ტრანსპორტის მაგნატისა. რასელს მხოლოდ მაშინ შეუძლია (3)-ის მსგავსი ანალიზი შემოგვთავაზოს, თუ ასეთი წაკითხვა მო-

ცემულია – და ის ამის გამო არავის არასოდეს დაუდანაშაულებია, და მართებულადაც. ხოლო რასელის წინააღმდეგ ჩემი შედაგება ისაა, რომ, მისი თვალსაზრისი სწორი რომ ყოფილიყო, არც ერთი ის დებულება, რომელიც გამოთქმულია (1)-ის სხვადასხვა წაკითხვით (თუ დავუშვებთ, რომ „არისტოტელე“ საკუთარი სახელია ყველა წაკითხვაში), არ იქნებოდა სიხისტის წესთან თანხმობაში. სხვა სიტყვებით, არც ერთი ასეთი დებულება არ იქნებოდა თანხმობაში წესთან, რომლის მიხედვითაც არსებობს ერთი ისეთი ინდივიდი და ერთი ისეთი თვისება, რომ ყველა კონტრაქტობრივ სიტუაციასთან მიმართებაში, ამ დებულების ქვეშეშეცდების პირობაა, რომ ამ სიტუაციაში ამ ინდივიდს ეს თვისება ჰქონდეს (აქ ვემყარები იმ ფაქტს, რომ პრაქტიკულად რასელი ჩვეულებრივ სახელებს ყოველთვის არახისტად იგებს). ის, რომ (1)-ით ერთზე მეტი დებულება შეიძლება გამოითქვას, არარელევანტურია: კითხვა ის არის, ფასდება თუ არა თითოეული ასეთი დებულება ისე, როგორც მე აღვწერე. ეს თვალსაზრისი ენება თითოეულ ასეთ დებულებას, ცალკე აღებულს. იმისათვის, რომ ეს ნათელი იყოს, აუცილებელი არ არის, პასუხი გავცეთ დეტალურ შეკითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოერგოს ეს თეორია იმ ფაქტს, რომ ჩვენი ენობრივი პრაქტიკებით დაშვებულია, ორ საგანს ფონეტიკურად ერთი და იგივე სახელი ჰქონდეს.¹²

12 მაგალითად, ზოგიერთი ფილოსოფოსი საკუთარ სახელებს ჩვენებით ნაცვალსახელებზე დაიყვანდა. მათი რეფერენცია ისევე იცვლება ერთი წარმოთქმიდან მეორემდე, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები-სა. ეს არაფერს ცვლის აქ განხილულ საკითხში, რადგან ჩვენებითი ნაცვალსახელის რეფერენცია მოცემული უნდა იყოს, რათა განსაზღვრული დებულება იყოს გამოთქმული. მართალია, ამ საკითხს არ განვიხილავ ამ მონოგრაფიაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი თვალსაზრისის ნაწილი იყო (გვ. 49, შენიშვნა 16), რომ „ეს“ „მე“, „შენ“, და ა. შ., ყველა ხისტია (იმის მიუხედავად, რომ მათი რეფერენციები აშკარად იცვლება წარმოთქმის კონტექსტთან ერთად). ჩვენებითი ნაცვალსახელების სიხისტე დევიდ კაპლანმა გამოკვეთა.

კიდევ სხვა ვერგაგება ეხება სიხისტის მიმართებას მოქმედების არესთან, რომელსაც, როგორც ჩანს, მეტისმეტად ცოტა დრო დავუთმე. როგორც ჩანს, ხშირად ფიქრობენ, რომ ყველა ენობრივი ინტუიცია, რომელიც სიხისტის სასარგებლოდ მომყავს, შეიძლება ისევე კარგად აიხსნას, თუ სხვადასხვა წინადადებაში სახელებს წავიკითხავთ, როგორც არახისტ აღმნიშვნელებს მოქმედების ფართო არით, მოქმედების ფართო არის მქონე დესკრიფციების ანალოგიურად. მართლაც, შესაძლებელი იქნებოდა ამ ინტუიციებიდან ზოგიერთის ინტერპრეტირება, როგორც არა სიხისტის, არამედ მოქმედების არის ორაზროვნებების შედეგის – მე ამას მონოგრაფიაში ვაღიარებ. ამ ზომით ეს შემოდავება გამართლებულია, მაგრამ მე მეჩვენება, რომ არასწორია დაშვება, რომლის თანახმადაც ყველა ჩვენი ინტუიცია ასე შეიძლება აიხსნას. ამ საკითხზე მე ძალიან მოკლედ ვილაპარაკე, 62-ე გვერდზე და იქვე დართულ 25-ე შენიშვნაში. მაგრამ, როგორც ჩანს, მრავალ მკითხველს მხედველობიდან გამოეპარა ჩემი ეს მსჯელობა. აღნიშნულ შენიშვნაში მე ვახსენებ ზოგიერთ ლინგვისტურ ფენომენს, რომლებიც, ჩემი აზრით, მოქმედების არის მეშვეობით ყოველგვარი ახსნის საპირისპიროდ, სიხისტის ინტუიციას ამყარებს. მეტიც, ამ მკითხველთაგან ბევრს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოეპარა სიხისტის ინტუიციური ტესტიც, რომელიც 48-49-ე გვერდებზეა გამოკვეთილი. ამ წინათქმაში მე არ გავიმეორებ და არც განვავრცობ ამ მოსაზრებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, როგორც ჩანს, მეტისმეტად შეკუმშულად იყო წარმოდგენილი. წინათქმის ფორმატის შეზღუდვების გამო, შეიძლება მომდევნო შენიშვნებიც მეტისმეტად მოკლე გამოვიდეს, მაგრამ მოქმედების არის საკითხს განვიხილავ სიხისტის აქ წარმოდგენილი ახსნის შუქზე.

იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ თვითონ ჩემი თვალსაზრისი დაიყვანება მოქმედების არის შესახებ თვალსაზრისზე; რომ სიხისტის მოძღვრება უბრალოდ არის მოძღვრება, რომლის თანახმადაც ბუნებრივ ენაში არსებობს შეთანხმება, ნებისმიერი წინა-

დადების კონტექსტში სახელი წავიკითხოთ მოქმედების ფართო არით, რომელიც ყველა მოდალურ ოპერატორს მოიცავს.¹³ ეს ბოლო იდეა განსაკუთრებით არის მიზანს აცდენილი; მოდალური ლოგიკის თვალსაზრისით, ის ტექნიკურ შეცდომას შეიცავს. ნება მომეცით, ჯერ ის განვიხილო. (1) და (2) „მარტივი“ წინადადებებია. არც ერთი მათგანი არ შეიცავს მოდალურ ან რომელიმე სხვა ოპერატორს, ასე რომ, მოქმედების არეში რამე სახის განსხვავებისთვის აქ ადგილი არ არის.¹⁴ უფრო რთული წინადადებების შესახებ მოქმედების არის ვერავითარი კონვენცია გავლენას ვერ მოახდენს ამ წინადადებების ინტერპრეტაციაზე. თუმცა, სიხისტის საკითხი ორივე მათგანისთვის აზრიანია. ჩემი თვალსაზრისის მიხედვით, „არისტოტელე“ (1)-ში ხისტია, ხოლო „ანტიკური ხანის უკანასკნელი დიდი ფილოსოფოსი“ (2)-ში – არა. ამ თვალსაზრისს

13 იხილეთ მაიკლ დამიტის „ფრეგე“ (Michael Dummett, *Frege* (Duckworth, 1973)), გვ. 128. სამწუხაროდ, მოქმედების არესთან სიხისტის მიმართებაზე დამიტის ბევრი სხვა იდეა ან შენიშვნაც ტექნიკურ შეცდომებს შეიცავს; მაგალითად, იმავე გვერდზე ის ამბობს, რომ თურმე მე ვამტკიცებ, რომ დესკრიფციები არასოდეს (?) არის ხისტი; და ის ამ თვალსაზრისს აიგივებს მტკიცებასთან, რომ „მოდალურ კონტექსტში განსაზღვრული დესკრიფციის მოქმედების არე ყოველთვის ისე უნდა გავიგოთ, რომ მოდალურ ოპერატორს გამორიცხავდეს“ მცდარი მეჩვენება, აგრეთვე, მისი ზოგიერთი კომენტარი ენობრივ ინტუიციებზე. აქ ამ საკითხებს ვერ განვიხილავ.

14 რეალურად, ამ წინადადებების ფორმულირება კონკრეტულ გრამატიკულ დროს შეიცავს და, შესაბამისად, შესაძლებელია ფორმალურ ენაზე მათი ამ ოპერატორებით ინტერპრეტირება. თუ გრამატიკულ დროს ასე გავიგებთ (მისი სხვაგვარად გაგებაც შეიძლება), მაშინ, დროის ოპერატორების გამოისობით, შეიძლება მოქმედების არის სხვა საკითხებიც წამოიჭრას. თუმცა, აქ სადავო საკითხი ეხება მოქმედების არის მიმართებას *მოდალურ* ოპერატორებთან, რომელიც ამ წინადადებებში არ წამოიჭრება, თუნდაც მათ ანალიზში დროის ოპერატორები გამოვიყენოთ. მტკიცება, რომ ეს წინადადებები მოქმედების არის შესახებ არავითარ კითხვებს არ წამოჭრის, შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით ჭეშმარიტად ვაქციოთ ან იმით, რომ მათ დროის ოპერატორების გამოყენების გარეშე გავიგებთ, ან (უკეთესია) იმით, რომ (1)-ში და (2)-ში კოპულას გავიგებთ, როგორც უდროს.

არ გამოხატავს არავითარი ჰიპოთეზა მოდალური კონტექსტების-
თვის მოქმედების არის განმსაზღვრელი კონვენციების შესახებ;¹⁵
ეს არის მოძღვრება წინადადებებით, მარტივი წინადადებების
ჩათვლით, (გამოხატული დებულებების) ჭეშმარიტების პირობე-
ბის შესახებ კონტრაფაქტობრივ სიტუაციებთან მიმართებაში.

ეს აჩვენებს, რომ თვალსაზრისი, რომელსაც სინისტე მოქმე-
დების არეზე აღწერილი სახით დაჰყავს, უბრალოდ, შეცდომაა.
ეს, ასევე, მიგვითითებს ერთ სისუსტეზე (ბევრად უფრო გასაგები)
რეაქციისა, რომელიც სინისტის შესაცვლელად მოქმედების არის
გამოყენებას ცდილობს. სინისტის მოძღვრება გულისხმობს, რომ
ნახატს ან სურათს, რომელსაც პრეტენზია აქვს, წარმოადგინოს
სიტუაცია, რომელიც სწორადაა აღწერილი (1)-ით, *ipso facto* უნდა
ჰქონდეს პრეტენზია, რომ ძაღლების მოყვარულად გამოსახავს
თვითონ არისტოტელეს. არც ერთი სურათი, რომელსაც პრეტენ-
ზია აქვს, რომ წარმოადგენს სხვა ვინმეს და ძაღლების მიმართ მის
სიყვარულს, თუნდაც ამ სხვა ინდივიდს გამოსახავდეს, როგორც
ყველა იმ თვისების მქონეს, რომელთაც ჩვენ არისტოტელეს იდენ-
ტიფიკაციისთვის ვიყენებთ, არ წარმოადგენს კონტრაფაქტობრივ
სიტუაციას, რომელიც სწორადაა აღწერილი (1)-ით. განა ეს, თა-
ვისთავად, აშკარად არ გამოხატავს ჩვენს ინტუიციებს (1)-ის შესა-
ხებ? ეს ინტუიცია ეხება მარტივი წინადადების (მისი მეშვეობით
გამოხატული დებულების) ჭეშმარიტების პირობებს კონტრაფაქ-
ტობრივ სიტუაციებში. მის ადგილს ვერ დაიკავებს გარკვეული

15 თუმცა, თვისი, რომლის თანახმადაც სახელები ხისტია მარტივ
წინადადებებში, ეკვივალენტურია (თუ უგულებელვყოფთ გართულე-
ბებს, რომელთაც ობიექტის შესაძლო არარსებობა წამოჭრის) თვისისა,
რომ თუ მოდალური ოპერატორი მართავს სახელის შემცველ მარტივ წი-
ნადადებას, მაშინ ინტერპრეტაციები მოქმედების ფართო არით და მოქ-
მედების ვიწრო არით ერთმანეთის ეკვივალენტურია. ეს არ არის იგივე,
რაც მოძღვრება, რომლის თანახმად ბუნებრივ ენაში არსებობს კონვენ-
ცია, რომელიც მხოლოდ ფართო არით წაკითხვას უშვებს. ფაქტობრივად,
ეს ეკვივალენტია აზრიანია მხოლოდ ენისთვის, რომელშიც ორივე წაკით-
ხვა დასაშვებია.

მოდალური კონტექსტების ფართო არით ინტერპრეტაცია. თუ თეორია ინარჩუნებს ამ ინტუიციას, მით უკეთესი მისთვის.

შეიძლება, საქმის არსს ნათელი მოჰფინოს სხვა შენიშვნამ, რომელიც ასე პირდაპირ არ ემყარება კონტრფაქტობრივ სიტუაციებს. მონოგრაფიაში მე ვამტკიცებდი, რომ წინადადების „შეიძლება არისტოტელეს ძაღლები ჰყვარებოდა“ ჭეშმარიტების პირობები თანხმობაშია სინისტის თეორიასთან: არავითარი საბუთი იმისა, რომ ვინმეს, არისტოტელესაგან განსხვავებულს, ძაღლები უყვარდა და, ამავე დროს, ის ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი იყო, რელევანტური არ არის ბრჭყალებში მოცემული წინადადების ჭეშმარიტებისთვის. სიტუაცია არ შეიცვლება, თუ ფრაზას „ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი“ შევცვლით ნებისმიერი სხვა (არახისტი) განსაზღვრული დესკრიფციით, რომელიც არისტოტელეს მაიდენტიფიცირებლად მიიჩნევა. ანალოგიურად, მე ვამტკიცებდი, რომ წინადადება „შეიძლება არისტოტელე არ ყოფილიყო ფილოსოფოსი“ გამონატავს ჭეშმარიტებას, თუმცა, წინადადება „შეიძლება ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი არ ყოფილიყო ფილოსოფოსი“ – არა, რასელის თეორიის საპირისპიროდ (ანალოგიური მაგალითის მოყვანა შეძლება ნებისმიერი სხვა არახისტი მაიდენტიფიცირებელი დესკრიფციისთვის). ეს ბოლო ბრჭყალებში ჩასმული წინადადება ჭეშმარიტების გამომნატველი იქნებოდა, მასში გამოყენებული დესკრიფცია, ჩემი განზრახვის საწინააღმდეგოდ, მოქმედების ფართო არით რომ წაგვეკითხა. ამგვარად, ალბათ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრობლემა წამოიჭრება მხოლოდ იმ (აუხსნელი!) ტენდენციის გამო, რომ „არისტოტელე“ ფართო არით წაკითხონ, მაშინ, როცა დესკრიფციებს ვიწრო არით კითხულობენ; მაგრამ წინადადებები, რომლებიც სახელებსაც შეიცავს და დესკრიფციებსაც, ორივე წაკითხვისთვის პრინციპულად ღიაა. ხოლო ჩემი არგუმენტი იყო, რომ კონტრასტი იარსებებდა, ყველა წინადადება, რომელსაც საქმე ეხება, ექსპლიციტურად რომ გაგვეგო მოქმედების ვიწრო არით (შეიძლება, „რომ“-ის მერე მძიმის ჩას-

მით). გარდა ამისა, მე მოვიყვანე მაგალითები (რომლებზეც ზემოთ ითქვა) იმის საჩვენებლად, რომ სახელების შემთხვევაში სიტუაცია, ფაქტობრივად, არ არის მოქმედების ფართო არის მქონე დესკრიფციების სიტუაციის პარალელური. საპირისპირო თვალსაზრისის დამცველებს, როგორც ჩანს, ეს მაგალითები ხშირად მხედველობიდან ეპარებათ, მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობ. საპირისპირო თვალსაზრისი უნდა ამტკიცებდეს, რომ ჩვენი ენა და აზროვნება, როგორც, უძლიერია, ეს განსხვავება გაატაროს, და რომ სწორედ ესაა ის, რაც ამ სიძნელეს წამოჭრის. ძნელი დასანახია, როგორ შეიძლება ეს სწორი იყოს: როგორ გავატარეთ განსხვავება, თუკი მისი გატარება არ შეგვიძლია? თუ „რომ“-ით შემოტანილი პირობის ფორმულირება მართლა ისე ჩახლართულია, რომ ჩვენ მისი ერთი წაკითხვის მეორისაგან განსხვავება არ შეგვიძლია, რა უნდა ითქვას (4) წინადადებაზე?

(4) შეიძლება სიმართლე ყოფილიყო ის, რასაც (1) გამოხატავს.

გამოხატავს თუ არა ეს სასურველ მტკიცებას, მოქმედების არის ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე? თუ არა, მაშინ რა გამოხატავდა მას? (ეს ფორმულირება შეიძლება ცოტა უფრო ბუნებრივი ყოფილიყო დიალოგში: „არისტოტელეს ძაღლები უყვარდა.“ „ეს არ არის სიმართლე, თუმცა, შეიძლება ყოფილიყო.“) მე ვამტკიცებ, რომ (4)-ის ჩვენი გაგება ეთანხმება სინისტის თეორიას. რელევანტური ვერ იქნება ვერავითარი შესაძლო სიტუაცია, რომელშიც ვინმე სხვას, და არა თვითონ არისტოტელეს, ეყვარებოდა ძაღლები.

მაშასადამე, ჩემი მთავარი შენიშვნაა, რომ ჩვენ გვაქვს სახელების სინისტის პირდაპირი ინტუიცია, რომელიც კონკრეტული წინადადებების ჭეშმარიტების პირობების ჩვენს გაგებაში ვლინდება. გარდა ამისა, სინისტის სასარგებლო არაპირდაპირ საბუთს გვაძლევს სხვადასხვა მეორადი ფენომენი, როგორც-საც მონოგრაფიაში ვახსენებ, იმის შესახებ, თუ „რას ვიტყობით

ჩვენ: როგორ შემოგვთავაზმა რასელმა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თეორია, რომელიც პირდაპირ შეუთავსებელია სიხისტის შესახებ ჩვენს პირდაპირ ინტუიციებთან? ამის ერთი მიზეზია ის, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ის არ განიხილავდა მოდალურ საკითხებს; და მის შემდეგ იშვიათად განიხილავდნენ ბუნებრივ ენაში სახელების სიხისტის საკითხს ექსპლიციტურად. მეორეც, რასელს ერგებოდა, რომ სხვადასხვა ფილოსოფიური არგუმენტი აუცილებლობით მოითხოვდა სახელებისთვის დესკრიფციის თეორიას და დესკრიფციებისთვის ელიმინაციონისტურ თეორიას. რასელი აღიარებდა, რომ მისი თვალსაზრისები შეუთავსებელი იყო ჩვენს გულუბრყვილო რეაქციებთან (თუმცა, სიხისტის საკითხი მას არ უხსენებია), მაგრამ ერგებოდა, რომ ძლიერი ფილოსოფიური არგუმენტები გვაიძულებს მისი თეორიის მიღებას. სიხისტის საკითხს რაც შეეხება, ჩემმა საკუთარმა პასუხმა აზრობრივი ექსპერიმენტის ფორმა მიიღო, „იგივეობის“ და „შმიგივეობის“ შესახებ მონოგრაფიის 145-ე გვერდზე მოკლედ მოხაზული მსჯელობის პარალელურად. ამ შემთხვევაში მე წარმოვიდგინე ჰიპოთეზური ფორმალური ენა, რომელშიც ხისტი აღმნიშვნელი „a“ შემოტანილია ცერემონიით: „უნიკალური ობიექტი, რომელსაც რეალურად აქვს F თვისება, (ხისტად) აღინიშნება „a“ სიმბოლოთი, როცა ვლაპარაკობთ ნებისმიერ სიტუაციაზე, აქტუალურზე თუ კონტრაქტობრივზე.“ მე აშკარად მეჩვენებოდა, რომ თუ მოსაუბრემ აღმნიშვნელი ასე შემოიტანა ენაში, მაშინ, სწორედ ამ ლინგვისტური აქტის ძალით, ის შეძლებს თქვას „მე ვიცი Fa“, მაგრამ, მაინც, „Fa“ შემთხვევითი ჭეშმარიტების გამომხატველი იქნება (იმ პირობით, რომ F არ არის იმ უნიკალური ობიექტის არსებითი თვისება, რომელსაც ის აქვს). ჯერ ერთი, ეს აჩვენებდა, რომ ეპისტემური საკითხები აუცილებლობისა და შემთხვევითობის საკითხებისგან უნდა გაიმიჯნოს, და რომ რეფერენციის დაფიქსირება არ არის სინონიმის მოცემა. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტუაცია აჩვენებდა, რომ საბუ-

თები, რომლებიც ჩვეულებრივ მოჰყავთ იმის სასარგებლოდ, რომ სახელები დესკრიფციების სინონიმურია, სანაცვლოდ, შეიძლება გავიგოთ ამ ჰიპოთეზური მოდელის მეშვეობით. დამატებით, ეს მოდელი აკმაყოფილებდა სინისტის ჩვენს ინტუიციებს. თუ ამ ყველაფერს მივიღებთ, მაშინ დასაბუთების ტვირთი, როგორც ჩანს, მძიმედ აწევა ფილოსოფოსს, რომელსაც სურს, სინისტის ჩვენი ბუნებრივი ინტუიცია უარყოს. როგორც ზემოთ ვთქვი, დამატებითი შენიშვნა, რომ ჩვეულებრივი მოსაუბრეები არც კი აფიქსირებენ თავიანთ რეფერენციას ჩვეული ტიპის მაიდენტიფიცირებელი დესკრიფციებით, უფრო გვიან შემოვიდა.

რალაცას მოკლედ ვიტყვი „შესაძლო სამყაროების“ შესახებ (იმედი მაქვს, უფრო ვრცლად ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებ).¹⁶ ამ მონოგრაფიაში მე გამოვედი ამ ცნების იმ უმართებულო გამოყენებების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც შესაძლო სამყაროები დაინახება რალაც შორეული პლანეტების მსგავსად, როგორც ჩვენი საკუთარი გარემოცვის მსგავსი, მგრამ როგორღაც სხვა განზომილებაში არსებული; ან რომელთაც მივყავართ „სამყაროებს შორის იგივეობის“ მოჩვენებით პრობლემებთან. ამის გარდა, თუ ვინმეს უნდა, თავი აარიდოს *Weltangst*-ს და ფილოსო-

16 სინისტის ზოგიერთი, ყველაზე ცუდი ვერგაგება ბევრად უფრო ნაკლებად იქნებოდა გავრცელებული, შესაბამისი ფილოსოფიური დისკუსიები „შესაძლო სამყაროების სემანტიკის“ მკაცრი ფორმულირების ფონზე რომ წარმართულიყო. ამ მონოგრაფიაში მე ეს ორი მიზეზის გამო არ გავაკეთე: არ მინდოდა, ჩემი არგუმენტაცია ფორმალურ მოდელზე ყოფილიყო დამოკიდებული; ამასთან, მინდოდა, ჩემი მსჯელობა ყოფილიყო არა ტექნიკური, არამედ ფილოსოფიური. იმ მკითხველთათვის, ვინც კარგად იცნობს ინტენსიონალურ სემანტიკას, გასაგები უნდა იყოს ჩემი თვალსაზრისის ამ ტერმინებით წარმოდგენის უხეში მონახაზიც, მისი ექსპლიციტურად ჩამოყალიბების გარეშე. ამის მიუხედავად, სინისტის ცნების ზოგიერთი ვერგაგება – ამ წინათქმამაში აღნიშნული რამდენიმე ასპექტის ჩათვლით – მიბიძგებს აზრისაკენ, რომ შეიძლება ტექნიკურ გადმოცემას ზოგიერთი მათგანი გამოერიცხა. საბოლოო ჯამში, დროისა და მოცულობის შეზღუდვებმა გადამაწყვეტინა, ეს მასალა აქ არ ჩამერთო, თუმცა, შეიძლება ასეთი ფორმალური გადმოცემა სხვა დროს წარმოგიდგინოთ.

ფიურ გაუგებრობებს, რომელთაც ბევრი ფილოსოფოსი „სამყაროების“ ტერმინოლოგიასთან აკავშირებდა, ჩემი რჩევა იქნებოდა, გამოგვეყენებინა უკეთესი ფრაზები „სამყაროს შესაძლო მდგომარეობა (ან ისტორია)“, ან „კონტრაქტობრივი სიტუაცია.“ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „სამყაროების“ ტერმინოლოგია ხშირად შეიძლება შეიცვალოს მოდალური ფრაზებით – „შესაძლებელია, რომ ...“ მაგრამ არ მინდა, დავტოვო გაზვიადებული შთაბეჭდილება, თითქოს საერთოდ უარყოფდე შესაძლო სამყაროებს, ან, თუნდაც, თითქოს ისინი მხოლოდ ფორმალურ აპარატად მიმანდეს. მე თვითონ მათ საკმაოდ ვრცლად ვიყენებდი იმისათვის, რომ ნებისმიერი ასეთი ვერგაგება წინასწარ გამორიცხულიყო. ფაქტობრივად, არსებობს „შესაძლო სამყაროების“ ისეთი ცნებებიც, რომელთაც მე უარყოფ, და არსებობს ზოგიერთი ისეთიც, რომელთაც არ უარყოფ. სასკოლო ანალოგია – ფაქტობრივად, ის მხოლოდ ანალოგია არ არის – დამეხმარება ჩემი თვალსაზრისის ნათელყოფაში. ორი ჩვეულებრივი კამათელი (გუწოდოთ მათ A კამათელი და B კამათელი) ავაგდეთ და ვნახულობთ ზემოთ მოქცეულ ორ ნომერს. თითოეული კამათლისათვის არსებობს ექვსი შესაძლო შედეგი. ამრიგად, კამათლების წყვილისთვის არსებობს ოცდათექვსმეტი შესაძლო მდგომარეობა იმის თვალსაზრისით, თუ რა რიცხვები მოექცევა ზემოთ, თუმცა, ამ მდგომარეობებიდან მხოლოდ ერთი შეესაბამება იმას, თუ როგორ დაჯდება კამათელი სინამდვილეში. ყველამ ვისწავლეთ სკოლაში, როგორ გამოვთვალოთ სხვადასხვა ხდომილების ალბათობა (თუ ამ მდგომარეობების ტოლალბათურობას დავუშვებთ). მაგალითად, ვინაიდან არსებობს ზუსტად ორი ისეთი მდგომარეობა: [A კამათელი: 5; B კამათელი: 6] და [A კამათელი: 6; B კამათელი: 5], რომელიც ჯამში 11-ს მოგვცემს, 11-ის დაჯდომის ალბათობაა $2/36=1/18$.

ალბათობაში ამ სასკოლო სავარჯიშოების შესრულებისას ჩვენ, ფაქტობრივად, ადრეულ ასაკშივე გავცანით (მინიატურული) „შესაძლო სამყაროების“ სიმრავლეს. კამათლების ოცდათექ-

ვსმეტი შესაძლო მდგომარეობა პირდაპირი მნიშვნელობით არის ოცდათექვსმეტი „შესაძლო სამყარო“, იმდენად, რამდენადაც ჩვენ (ფიქციურად) სამყაროში ყველაფერს უგულვებლევყოფთ, ამ ორი კამათლისა და მათ ზემოთ მოქცეული გვერდების ნომრების გარდა (და უგულვებლევყოფთ ფაქტს, რომ შეიძლება არ არსებულებოდა ამ კამათლებიდან ერთ-ერთი ან ორივე). ამ მინისამყაროებიდან მხოლოდ ერთი – ის, რომელიც შეესაბამება იმას, თუ როგორ დაჯდა კამათლები ფაქტობრივად – არის „აქტუალური სამყარო“, ხოლო სხვები საინტერესოა, როცა ვსვამთ კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად სააღბათო ან არასააღბათო იყო (ან იქნება) აქტუალური შედეგი. ამ ელემენტარულ შემთხვევაში შეიძლება თავი ავარიდოთ ზოგიერთ გაუგებრობას. ჩვენ ვუშვებდით, რომ კამათლები აქტუალურად დავარდა – რომ ოცდათექვსმეტი მდგომარეობიდან რომელიღაც აქტუალურია. მაშასადამე, „აქტუალური სამყარო“ ამ შემთხვევაში არის კამათლების ის *მდგომარეობა*, რომელიც აქტუალურად განხორციელდა. *სხვა* არსება, უფრო „კონკრეტული“, ვიდრე ეს მდგომარეობაა, არის ლისნევესკი-გუდმენისეული ფიზიკური არსება, რომელიც არის ორი კამათლის „ჯამი“. ეს რთული ფიზიკური არსება („კამათლები“, მოაზრებულნი, როგორც ერთი ობიექტი) მაგიდაზეა ჩემ წინ, აგდების შემდეგ, და მისი აქტუალური მდებარეობა განსაზღვრავს (ორი) კამათლის აქტუალურ მდგომარეობას. მაგრამ როცა სკოლაში ოცდათექვსმეტი შესაძლებლობის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ არასგზით არ გვჭირდება იმის პოსტულირება, რომ არსებობს ჩემ წინ არსებული ფიზიკური ობიექტის შესაბამისი კიდევ ოცდათხუთმეტი რაღაც *სხვა* არსება, რომელიც რომელიღაც არარსებულ ქვეყანაში არსებობს. არ გვჭირდება, ვიკითხოთ, ხომ არ შედეგება ეს ფანტომური არსებები აქტუალური ინდივიდუალური კამათლების (ფანტომური) „კონტრნაწილებისგან“, თუ როგორღაც შედეგება თვითონ იმავე ინდივიდუალური კამათლებისგან, მაგრამ „სხვა განზომილებაში“. ოცდათექვსმეტი შესაძლებლობა, აქტუალიზებულის ჩათვლით, კამათ-

ლების (აბსტრაქტული) მდგომარეობებია, და არა კომპლექსური ფიზიკური არსებები. და არც ერთ სკოლის მოსწავლეს არ უნდა დაუწერონ მაღალი ნიშნები ასეთი კითხვის დასამისთვის: „საიდან ვიცით, შესაძლო მდგომარეობაში, რომელშიც A კამათელი ექვსზე დაჯდა, ხოლო B კამათელი – ექვსზე, A კამათელია თუ B კამათელია ის, რომელიც ექვსზე დაჯდა? ხომ არ გვჭირდება „სამყაროთა შორის იგივეობის კრიტერიუმი“; რათა ჩვენს A კამათელთან გავაიგივოთ ექვსზე დამჯდარი კამათელი, და არა ხუთზე დამჯდარი კამათელი?“ ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ მდგომარეობა [A კამათელი: 5; B კამათელი: 6] მოცემულია, როგორც ასეთი (და განსხვავებულია მდგომარეობისგან [B კამათელი: 6; A კამათელი: 5]). რაღაც დამატებითი „მდგომარეობათა შორის იგივეობის კრიტერიუმის“ მოთხოვნა იმდენად გაუგებარია, რომ არც ერთი კომპეტენტური სკოლის მოსწავლე არ იქნებოდა იმდენად გარყვნილად მოფილოსოფოსე, რომ ეს კითხვა დაესვა. „შესაძლებლობები“ უბრალოდ არ არის მოცემული წმინდად თვისებრივად (როგორც, მაგალითად, აღწერაში: ერთი კამათელი: 6; მეორე კამათელი: 5). ისინი რომ ასე ყოფილიყო მოცემული, მაშინ იარსებებდა ზუსტად ოცდაერთი სხვადასხვა შესაძლებლობა, და არა ოცდაექვსმეტი. ამასთან, ეს მდგომარეობები არ არის ფანტომური კამათლების წყვილები, რომელთაც შორიდან ვუყურებთ და რომელთა შესახებაც შეგვიძლია ეპისტემურად აზრიანად დავსვათ, მაგალითად, ასეთი შეკითხვა: „რომელი კამათელია ეს?“ არც მაშინ, როცა სხვადასხვად მივიჩნევთ ისეთ თვისებრივად იგივეობრივ მდგომარეობებს, როგორებიცაა [A: 6; B: 5] და [A: 5; B: 6], არ გვჭირდება იმის დაშვება, რომ A და B თვისებრივად განსხვავებადია ერთმანეთისაგან რაღაც სხვა თვალსაზრისით, ვთქვათ, ფერით. პირიქით, ალბათობის პრობლემის მიზნებისათვის, ის ვითარება, რომ კონკრეტული ნომრის მქონე გვერდი ზემოთ მოექცა, განიხილება ისე, თითქოს ის თითოეული კამათლის ერთადერთი თვისება იყოს. და ბოლოს, როცა კამათლების აგდების შესახებ

ამ უწყინარ პატარა სავარჯიშოს აღვწერთ შესაძლებლობებით, რომლებიც წმინდად თვისებრივად მოცემული არ არის, ჩვენ არავითარ ბუნდოვან მეტაფიზიკურ ვალდებულებას არ ვიღებთ, ვალიაროთ კამათლები, როგორც „შიშველი ინდივიდები“, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს.¹⁷

„შესაძლო სამყაროები“ სხვა არაფერია, თუ არა სკოლის დონის ალბათობის თეორიის მინისამყარობი, ისინი ძალიან რომ გაგებროთ. მართალია, ამ ზოგად ცნებას აქვს პრობლემები, რომლებიც არ აქვს მინიატურულ ვერსიას. მინიატურული სამყაროები ზედმიწევნით კონტროლდება როგორც მათში შემავალი ობიექტების (ორი კამათელი), ისე რელევანტური თვისებების (ზემოთ მოქცეული გვერდის ნომერი) თვალსაზრისით, და (ამდენად) შესაძლებლობის რელევანტური იდეის თვალსაზრისითაც. „შესაძლო სამყაროები“ არის ტოტალური „მდგომარეობა, რომელშიც სამყარო შეიძლება იყოს“, ან მთელი სამყაროს მდგომარეობები თუ ისტორიები. ყველა მათგანის ერთობლიობაზე ფიქრი სერიოზულ იდეალიზაციას გულისხმობს და წამოჭრის უფრო გამაოგნებელ კითხვებს, ვიდრე მისი ნაკლებად ამბიციური ანალოგი დაწყებითი სკოლიდან. უდავოა, „შესაძლო სამყაროების“ ფილოსოფოსმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისმა ტექნიკურმა აპარატმა ისეთი კითხვების დასმისაკენ არ უბიძგოს მას, რომელთა აზრიანობის სასარგებლოდაც არ მეტყველებს ის თავდაპირველი ინტუიციები

17 მე არ ვგულისხმობ, რომ მთელი სამყაროს შესაძლო მდგომარეობებთან მიმართებაში, ზუსტად ისევე, როგორც კამათლების შემთხვევაში, არსებობს თვისებრივად იგივეობრივი, მაგრამ განსხვავებული (კონტრაქტობრივი) მდგომარეობები. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ თუ არსებობს ფილოსოფიური არგუმენტი, რომელიც გამორიცხავს თვისებრივად იგივეობრივ, მაგრამ განსხვავებულ სამყაროებს, ის ვერ დაემყარება უბრალოდ იმის დაშვებას, რომ სამყაროები მხოლოდ თვისებრივად უნდა იყოს სტიპულაციურად მიღებული. მე ვიცავ იმას, რომ დასაშვებია შესაძლო სამყაროების მოცემა როგორც გარკვეული ინდივიდების მეშვეობით, ისე თვისებრივად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ფაქტობრივად თვისებრივად იგივეობრივი, მაგრამ განსხვავებული სამყაროები.

შესაძლებლობის შესახებ, რომელთაც აზრი შესძინეს ამ აპარატს. მეტიც, პრაქტიკაში ჩვენ ვერ აღვწერთ ხდომილებათა სრულ კონტრაქტობრივ მსვლელობას და არც გვჭირდება ამის გაკეთება. პრაქტიკულად საკმარისია იმის აღწერა, თუ რა რელევანტური ასპექტები განასხვავებს „კონტრაქტობრივ სიტუაციას“ აქტუალური ფაქტებისაგან; „კონტრაქტობრივი სიტუაცია“ შეიძლება მოვიაზროთ, როგორც მინისამყარო ან მინიმდგომარეობა, რომელიც შეზღუდულია სამყაროს იმ თვისებებით, რომლებიც რელევანტურია ჩვენთვის საინტერესო პრობლემისათვის. პრაქტიკაში ეს ნაკლებ იდეალიზაციას გულისხმობს როგორც მსოფლიოს მთლიანი ისტორიების, ისე ყველა შესაძლებლობის განხილვის თვალსაზრისით. თუმცა, ახლანდელი მიზნებისათვის ჩვენი ელემენტარული ანალოგია მშვენიერ მოდელს გვაძლევს „შესაძლო სამყაროების“ მიმართ შესაფერისი დამოკიდებულებისათვის. არაფერია პრინციპულად არასწორი, ფილოსოფიური ან ტექნიკური მიზნებით, (აბსტრაქტულ) არსებებად მათ მიღებაში – გრამატიკის სასკოლო ანალოგიის უწყინარობამ ამ თვალსაზრისით ყველა შფოთვა უნდა დააამოს¹⁸ (მართლაც, „ხდომილებათა სივრცის“ ზოგადი ცნება,

18 მე არ ვფიქრობ, რომ „შესაძლო სამყაროები“ გვაძლევს რედუქციულ ანალიზს რომელიმე ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი აზრით, ანუ, რომ ის ნათელს ჰყენს მოდალური ოპერატორების, დებულებების და ა. შ. საბოლოო ბუნებას, ეპისტემოლოგიური ან მეტაფიზიკური თვალსაზრისით, ან მათ „ექსპლიკაციას“ გვთავაზობს. ჩვენი აზროვნების რეალურ განვითარებაში მსჯელობები, რომლებიც პირდაპირ გამობატულ მოდალურ ფრაზებს („შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ“) შეიცავს, უთუოდ უფრო ადრე შემოდის. „შესაძლო სამყაროს“ ცნება, თუმცა ის სათავეს იღებს სხვადასხვა ჩვეულებრივი იდეიდან იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო სამყარო, შემოდის აბსტრაქციის ბევრად უფრო მაღალ, მომდევნო დონეზე. პრაქტიკულად, ვერავინ, ვისაც არ შეუძლია გაიგოს შესაძლებლობის იდეა, ალბათ, ვერ გაიგებს ვერც „შესაძლო სამყაროს“ იდეას. ფილოსოფიურად, ჩვენ არასაგზით არ გვჭირდება დავუშვათ, რომ ერთი ტიპის დისკურსი „უფრო პირველადია“ მეორესთან შედარებით, ჩვენი კონკრეტული მიზნებისგან დამოუკიდებლად. „შესაძლო სამყაროების ანალიზის“ მთავარი და თავდაპირ-

რომელიც ალბათობის თანამედროვე თეორიის საფუძველს შეადგენს, ზუსტად იგივეა, რაც შესაძლო სამყაროების ასეთი სივრცის ცნება). მაგრამ თავი უნდა ავარიდოთ მახეებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ბევრად უფრო მაცდუნებელია ფილოსოფოსებისათვის მათი დიდი სამყაროებით, ვიდრე სკოლის მოსწავლეებისათვის მათი მოკრძალებული ვერსიებით. არ არსებობს განსაკუთრებული საფუძველები იმის დასაშვებად, რომ შესაძლო სამყაროები თვისებრივად უნდა იყოს მოცემული, ან რომ უნდა არსებობდეს „სამყაროთა შორის გაიგივების“ ნამდვილი პრობლემა – ის ფაქტი, რომ უფრო დიდ და უფრო რთულ მდგომარეობებთან გვაქვს საქმე, ვიდრე კამათლების შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით არავითარ განსხვავებას არ ქმნის. „აქტუალური სამყარო“ – უკეთესია, ვთქვათ სამყაროს აქტუალური მდგომარეობა, ან ისტორია – არ უნდა ავურიოთ უზარმაზარ უწესრიგო ობიექტში, რომელიც გარს გვარტყია. ამ უკანასკნელისთვისაც, ასევე, შეიძლება გვეწოდებინა „(აქტუალური) სამყარო“; მაგრამ ის არ არის რელევანტური ობიექტი ჩვენთვის. ამრიგად, შესაძლო, მაგრამ არააქტუალური სამყაროები არ არის ფანტომური დუბლიკატები „სამყაროსი“ ამ სხვა აზრით. ალბათ, ასეთი გაუგებრობის წარმოშობა ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა, რომ არა ის ტერმინოლოგიური შემთ-

ველი მოტივაცია – და ის გზა, რომლითაც ის ნათელს ჰყენდა მოდალური ლოგიკას – ის იყო, რომ ის ქმნიდა შესაძლებლობას, მოდალური ლოგიკა მოდელების თეორიის იმავე თეორიული ტექნიკის გამოყენებით განგეხილა, რომელიც ესოდენ წარმატებული აღმოჩნდა ექსტენსიონალური ლოგიკისათვის. ის ასევე სასარგებლოა ზოგიერთი ცნების ნათელყოფისათვის.

გავიმეორებ კიდევ ერთი მნიშვნელოვან მომენტს: ცნება მთელი სამყაროს ყველა მდგომარეობისა, რომელიც შესაძლებელია უფართოესი (მეტაფიზიკური) აზრით, გულისხმობს გარკვეულ იდეალიზაციას, ისევე, როგორც ფილოსოფიურ საკითხებს, რომლებიც მე არ განმიხილავს. თუ სამყაროს შევზღუდავთ მინისამყაროების უფრო ვიწრო კლასით, არსებითად ყველა პრობლემა, ვთქვათ, ხისტ აღმნიშვნელებთან დაკავშირებით, იგივე დარჩება. იგივე დარჩება მოდალური სემანტიკის საკითხებიც.

ხვევითობა, რომ გამოიყენებოდა ფრაზა „შესაძლო სამყაროები“, და არა სამყაროს „შესაძლო მდგომარეობები“ ან „ისტორიები“, ან „კონტრაფაქტობრივი სიტუაციები“. რა თქმა უნდა, ფილოსოფოსები ამ გაუგებრობებს თავიდან აირიდებდნენ, სკოლის მოსწავლეების და ალბათობის თეორიის სპეციალისტების ჩვეულებრივი პრაქტიკის ერთგულები რომ დარჩენილიყვნენ.¹⁹

ბოლო საკითხი: ჩემი მოძღვრებების ზოგიერთი კრიტიკოსი და ზოგიერთი გულშემატკივარი, როგორც ჩანს, მათ ისე კითხულობს, თითქოს მე ვამტკიცებდე, ან, სულ მცირე, ვგულისხმობდე საკუთარი სახელების უნივერსალური შენაცვლებადობის მოძღვრებას. ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც მტკიცება, რომ წინადადება, რომელიც შეიცავს სიტყვას „ციცერონი“, გამოხატავს იმავე „დებულებას“, რომელსაც შესაბამისი წინადადება, რომელიც შეიცავს სიტყვას „ტულიუსი“, რომ პირველით გამოხატული დებულების რწმენა არის მეორით გამოხატული დებულების რწმენა, ან რომ ისინი ეკვივალენტურია ყველა სემანტიკური თვალსაზრისით. რასელი თითქოს მართლაც იზიარებდა ასეთ თვალსაზრისს „ლოგიკურად საკუთარ სახელებთან“ მიმართებაში და ის სულისკვეთებით თითქოს ენათესავება სახელდების წმინდად „მილისეულ“ სურათს, რომელშიც მხოლოდ სახელის რეფერენტს შეაქვს წვლილი იმაში, თუ რა არის გამოთქმული. მაგრამ მე (და, რამდენადაც ვიცი, თვითონ მილსაც²⁰) არასოდეს მიფიქრია ასე

19 შეადარეთ, მაგალითად, შესაძლო სამყაროებთან მიმართებაში რობერტ სტალნაკერისეული „ზომიერი რეალიზმი“ (Robert Stalnaker, „Possible Worlds“, *Noûs*, vol. 10 (1976), გვ. 65-75).

20 მაიქლ ლოქვუდი (Michael Lockwood, „On Predicating Proper Names“, *The Philosophical Review*, vol. 84, no. 4, October, 1975, გვ. 471-498) გამოკვეთს, რომ (გვ. 491) მილი არ ფიქრობდა, რომ წინადადება „ციცერონი არის ტულიუსი“ იმავეს ნიშნავს, რასაც „ციცერონი არის ციცერონი“; რომ ის, სანაცვლოდ, იზიარებდა თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ეს წინადადება ნიშნავს, რომ „ციცერონი“ და „ტულიუსი“ თანააღმნიშვნელებია. ის, აგრეთვე, მიუთითებს (გვ. 490), რომ მილი ასეთ მეტაენისეულ კომპო-

შორს წასვლა. ჩემი თვალსაზრისი, რომ ჩვენი ენის წინადადება „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ შეიძლება ზოგჯერ გამოიყენებოდეს ემპირიული საკითხის დასასმელად, ხოლო წინადადება „ჰესპეროსი არის ჰესპეროსი“ – არა, აჩვენებს, რომ მე არ განვიხილავ ამ წინადადებებს, როგორც ბოლომდე ურთიერთშენაცვლებადს. მეტიც, ეს თვალსაზრისი აჩვენებს, რომ რეფერენციის დაფიქსირების წესი რელევანტურია გამოთქმული წინადადებების მიმართ ჩვენი ეპისტემური დამოკიდებულებისათვის. როგორ უკავშირდება ეს საკითხებს იმის შესახებ, თუ რომელი „დებულებები“ გამოხატული ამ წინადადებებით, არის თუ არა ეს „დებულებები“ ცოდნის და რწმენის ობიექტები, და, საზოგადოდ, როგორ უნდა განვიხილოთ სახელები ეპისტემურ კონტექსტებში, უსიამოვნო შეკითხვებია. მე არავითარი „ოფიციალური მოძღვრება“ არ მაქვს მათ შესახებ და, ფაქტობრივად, არც კი ვარ დარწმუნებული იმაში, რომ „დებულებების“ აპარატი მარცხს არ განიცდის ამ სფეროში.²¹ შესაბამისად, მე გვერდი ავუარე ასეთ

ნენტს ხედავს ყველა მტკიცებაში, რომელიც სახელებს შეიცავს. მე უფრო ღრმად არ გამოიკვლევია მილის ინტერპრეტაცია, ასე რომ, არ გამაჩნია რაიმე შეხედულება მისი ზუსტი მოძღვრების თაობაზე.

21 მიზეზი, რატომაც ეს კითხვები ასე უსიამოვნო მგონია, შეგიძლიათ ამოიკითხოთ ჩემს წერილში „თავსატეხი რწმენის შესახებ“ (*“A Puzzle About Belief”*, *Meaning and Use* (ed. A. Margalit), Reidel, 1979, გვ. 239-283). რასაკვირველია, იმ მოთხროვნების მიხედვით, რომლებსაც „დებულებების“ ცნებას ვუყენებთ, შეიძლება „დებულების“ ერთზე მეტი ცნება არსებობდეს. სიხისტის თეზისი, რა თქმა უნდა, გულისხმობს თანააღმნიშვნელი სახელების ურთიერთშენაცვლებადობას *მოდალურ* კონტექსტებში, რაზეც მიმართულია ცნობილი გაფრთხილებები შესაძლო არარსებობის თაობაზე.

რაც შეეხება სიხისტეს: ბევრ ადგილას, როგორც წინათქმაში, ისე მონოგრაფიის ტექსტში, მე წინასწარგანზრახულად უგულბებლვყოფ ფაქიზ საკითხებს, რომელთაც ობიექტის შესაძლო არარსებობა წამოჭრის. ასევე უგულბებლვყოფ განსხვავებას „*de jure*“ სიხისტეს, რომლის შემთხვევაშიც *სტიპულაციითაა* მიღებული, რომ აღმნიშვნელის რეფერენცია ერთი ობიექტია, იმის მიუხედავად, აქტუალურ სამყაროზე ვლაპარაკობთ, თუ

შეკითხვებს; ამ საკითხების შესახებ არავითარი მყარი მოძღვრება არ უნდა ამოიკითხოთ ჩემი სიტყვებიდან.

კონტრაქტობრივ სიტუაციაზე, და მხოლოდ „*de facto*“ სიხისტეს შორის, რომლის შემთხვევაშიც დესკრიფციაში „ისეთი *x*, რომ *Fx*“ გამოიყენება პრედიკატი „*F*“, რომელიც ყველა შესაძლო სამყაროში ერთი და იმავე უნიკალური ობიექტისთვისაა ჭეშმარიტი (მაგალითად, „უმცირესი მარტივი რიცხვი“ ხისტად აღნიშნავს რიცხვ ორს). აშკარაა, რომ სახელების შესახებ ჩემი თეზისია, რომ ისინი ხისტია *de jure*, მაგრამ მონოგრაფიაში მე ვჯერდები სიხისტის უფრო სუსტ ფორმულირებას. ვინაიდან სახელები ხისტია *de jure* (იხილეთ გვ. 78 ქვემოთ), მე ვამბობ, რომ საკუთარი სახელი ხისტად აღნიშნავს მის რეფერენტს მაშინაც, როცა ვლაპარაკობთ კონტრაქტობრივ სიტუაციებზე, რომლებშიც ეს რეფერირებული ობიექტი არ იარსებებდა. ამრიგად, აქ ვეხებით არარსებობის პრობლემებს. სხვადასხვა ხალხის არგუმენტებმა დამარწმუნა იმაში, რომ ეს საკითხები უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე მონოგრაფიაში მათ დავუთმე, მაგრამ ისინი ასე უნდა დავტოვო.

ლექცია I: 1970 წლის 20 იანვარი¹

იმედი მაქვს, ზოგიერთი თქვენგანი ხედავს რაღაც კავშირს სათაურში მინიშნებულ ორ საკითხს შორის. თუ ასე არ არის, არა უშავს, ასეთ კავშირებს ლექციების მსვლელობაში დავამყარებ. დღევანდელ ანალიზურ ფილოსოფიაში რეფერენციისა და

1 1970 წლის იანვარში სამი საჯარო ლექცია ჩავატარე პრინსტონის უნივერსიტეტში. აქ მათი ტრანსკრიფციებია მოცემული. ტრანსკრიფციების სტილიც მოწმობს, რომ ლექციები წინასწარ დაწერილი ტექსტისა და, ფაქტობრივად, შენიშვნების გარეშე ჩავატარე. წარმოდგენილი ტექსტი ზუსტი ტრანსკრიფციების ოდნავ რედაქტირებული ვერსიაა; შიგადაშიგ ჩავამატე ნაწყვეტები აზრის გასავრცობად, აქა-იქ ხელახლა დავწერე წინადადებები, მაგრამ სულ არ მიცდია ორიგინალის არაფორმალური სტილის შეცვლა. შენიშვნების უმრავლესობა ორიგინალს შემდგომში დავმატა, ხოლო რამდენიმე მათგანი თვითონ ლექციების განმავლობაში გამოთქმულ გადახვევებს ასახავს.

იმედი მაქვს, მკითხველი ტექსტის კითხვის დროს ამ ფაქტებს გაითვალისწინებს. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტის გაგება გაგიოლდეთ, თუკი წარმოიდგენთ მის გადმოცემას ზეპირად, სათანადო პაუზებითა და მახვილებით. შეზღუდულმა დრომ და არაფორმალურმა სტილმა განაპირობა არგუმენტების გარკვეულად შეკუმშვის აუცილებლობა, ზოგიერთი კონტრარგუმენტის განხილვის შეუძლებლობა და ა. შ. განსაკუთრებით დასკვნით მონაკვეთებში, რომლებიც მეცნიერულ იგივეობებსა და ცნობიერებისა და სხეულის მიმართების პრობლემას შეეხება, მომიწია, უარი მეთქვა დეტალების განხილვაზე. იძულებული ვავხდი, საერთოდ გამომეტოვებინა აქ წამოყენებული თვალსაზრისის სრულყოფილად წარმოდგენისათვის არსებითი ზოგიერთი საკითხი – განსაკუთრებით, არსებობის დებულებებისა და ცარიელი სახელების შესახებ. გარდა ამისა, პრეზენტაციის არაფორმალურობაში შეიძლება იმის საფრთხეც შექმნა, რომ ზოგიერთ ადგილას მსხვერპლად უნდა გამელო სინათლე. ყველა ამ ხარვეზს დავყაბულდი იმისთვის, რომ ტექსტის გამოქვეყნება არ დაგვიანებულყო. იმედი მაქვს, რომ მომავალში, ალბათ, მექნება მასზე უფრო გულდასმით მუშაობის შესაძლებლობა. ვიმეორებ, იმედი მაქვს, მკითხველს გაახსენდება, რომ ძირითადად არაფორმალური ლექციების ჩანაწერს კითხულობს, არა მხოლოდ მაშინ, როცა გამეორებებს ან შეცდომებს აღმოაჩენს, არამედ მაშინაც, როცა უპატივცემულობას ან უხეშობას წააწყდება.

აუცილებლობის შემცველი ინსტრუმენტების გამოყენების გამო, ამ საკითხების შესახებ ჩვენს თვალსაზრისს მართლაც შორს მიმავალი შედეგები აქვს ფილოსოფიის სხვა პრობლემებისთვისაც, რომლებიც, ტრადიციულად, შეიძლება მათგან დაშორებულადაც მიიჩნეოდნენ, მაგალითად, ცნობიერებისა და სხეულის ურთიერთმიმართების შესახებ არგუმენტებისთვის, ანუ ეგრეთწოდებული „იგივეობის თეზისისთვის.“² მატერიალიზმის ეს ფორმა ხშირად ძალიან ჩახლართული გზებით ეჭიდება შეკითხვებს იმის შესახებ, თუ რა არის აუცილებელი ან შემთხვევითი თვისებათა იგივეობაში, აგრეთვე, სხვა მსგავს საკითხებს. ამდენად, ბევრია ისეთი სფერო, რომელში მუშაობის მსურველ ფილოსოფოსთათვისაც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ცნებების მკაფიოდ გაგება. ამ ლექციების მსვლელობაში შეიძლება ცნობიერებისა და სხეულის ურთიერთმიმართების პრობლემის შესახებაც ვთქვა რაღაც. ასევე, მინდა, რომ გარკვეულ ეტაპზე (არ ვიცი, მას მივალწევ თუ არა) სუბსტანციებსა და ბუნებრივ გვარებზეც* ვისაუბრო.

ამ საკითხებისადმი ჩემი მიდგომა, გარკვეული აზრით, საკმაოდ განსხვავებული იქნება იმისგან, რასაც დღეს ფიქრობენ ადამიანები (თუმცა, მას აქვს შეხების წერტილები იმასთან, რასაც ზოგიერთი ფიქრობს და წერს დღეს; და თუ ამგვარ არაფორმალურ ლექციებში სახელებს არ ვახსენებ, იმედი მაქვს, მომიტყევებთ).²

2 რადგან შენიშვნის დამატების შესაძლებლობა მომეცა, უნდა აღვნიშნო, რომ როჯერს ალბრიტონმა, ჩარლზ ჩესტენმა, ქეით დონელანმა და მაიქლ სლოუტმა (გარდა ტექსტში ნახსენები ფილოსოფოსებისა, განსაკუთრებით კი ჰილარი პატნემს ვგულისხმობ) დამოუკიდებლად გამოთქვეს შეხედულებები, რომელთაც შეხების წერტილები აქვთ აქ გამოთქმული ჩემი მოსაზრებების სხვადასხვა ასპექტთან. ბუნებრივ გვარებთან მიმართებაში აუცილებლობისა და აპრიორულობის პრობლემებისთვის ყურადღება მიმაქცევინა ალბრიტონის შეკითხვამ იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა აღმოვაჩინოთ, რომ ლიმონი არ ყოფილა ხილი (არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ჩემს ყველა დასკვნას მიიღებდა). ასევე მახსენდება ადრინდელი საუბრები ალბრიტონთან და პიტერ გიჩთან წარმოშობის არსებითობის შესახებ. ტექსტში გამოთქმული მობოდიშება

ჩემი ზოგიერთი თვალსაზრისი ისეთია, რომ, ერთი შეხედვით, ზოგს შეიძლება აშკარად მცდარად მოეჩვენოს. ჩემი საყვარელი მაგალითი (რომელსაც მე, ალბათ, არ დავიცავ ამ ლექციებში – თუნდაც იმიტომ, რომ ის ვერასოდეს არწმუნებს ვინმეს) შემდეგია: თანამედროვე ფილოსოფიაში ჩვეულებრივია მტკიცება, რომ არსებობს გარკვეული, ფაქტობრივად ცარიელი, ანუ ნულოვანი ექსტენსიის მქონე პრედიკატები, რომლებსაც ასეთი ექსტენსია აქვთ როგორც შემთხვევითი ფაქტი და არა რაიმე სახის აუცილებლობის გამო. კეთილი, ამას მე ეჭვქვეშ არ ვაყენებ, მაგრამ მაგალითი, რომელსაც ჩვეულებრივ გვაძლევენ, არის უნიკორნი.* ამბობენ, რომ, მართალია, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ უნიკორნები არ არსებობენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ შესაძლოა ეარსებათ. გარკვეულ გარემოებებში უნიკორნები იარსებებდნენ. და ეს არის მაგალითი, რომელიც მე არასწორად მიმაჩნია. ალბათ, ჩემი თვალსაზრისის თანახმად, სწორი იქნება არა იმის მტკიცება, რომ აუცილებელია, უნიკორნებს არ ეარსებათ, არამედ უბრალოდ იმის თქმა, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ვთქვათ, რა სახის გარემოებებში იარსებებდნენ უნიკორნები. მეტიც, მე ვფიქრობ, რომ თუნდაც არქეოლოგებს ან გეოლოგებს ხვალ აღმოეჩინათ ნამარხები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა წარსულში ისეთი ცხოველების არსებობას, რომლებიც შეესაბამება ყველაფერს, რაც კი უნიკორნების შესახებ მითიდან ვიცით, ეს არ აჩვენებდა, რომ ისინი არსებობდნენ. ჯერ არ ვიცი, მექნება თუ არა ამ კონკრეტული შეხედულების დაცვის შესაძლებლობა, მაგრამ ის გასაოცარი შეხედულების მაგალითია (სხვათა შორის, ამ დაწესებულებაში ადრე ჩავატარე სემინარი, რომლის მსვლელობაშიც ამ შეხედულებაზე

ისევ ძალაშია; ვაცნობიერებ, რომ ამ შენიშვნაში მოყვანილი სია შორს არის სისრულისაგან. არც კი შევეცდები, ჩამოვთვალო ის მეგობრები და სტუდენტები, რომლებთან საუბრებმაც ამა თუ იმ დროს სტიმულის მოცემით გამიწია დახმარება. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით თომას ნაგელსა და გილბერტ ჰარმანს ამ ტრანსკრიფციის რედაქტირებაში გაწეული დახმარებისთვის.

ლაპარაკს რამდენიმე სესია დავუთმე). ამრიგად, ზოგიერთი ჩემი შეხედულება რამდენადმე გასაოცარია, მაგრამ დავიწყებ რაღაც ისეთით, რაც, ალბათ, არც ისეთი გასაოცარია, და წარმოგიდგენთ ამ ლექციების მეთოდოლოგიას და პრობლემებს.

საკითხების წყვილში პირველია სახელდება. „სახელში“ აქ ვგულისხმობ საკუთარ სახელს, ანუ პიროვნების, ქალაქის, ქვეყნის და ა. შ. სახელს. კარგადაა ცნობილი, რომ თანამედროვე ლოგიკოსებს ასევე ძალიან აინტერესებთ განსაზღვრული დესკრიფციები: „ის x, რომელიც φx “ ფორმის ფრაზები, როგორცაა „კაცი, რომელმაც გარყვნა ჰედლიბურგი“ თუ ერთმა და მხოლოდ ერთმა კაცმა გარყვნა ჰედლიბურგი, მაშინ ამ დესკრიფციის რეფერენტი ლოგიკური აზრით ეს კაცია. ტერმინ „სახელს“ გამოვიყენებთ ისე, რომ ის არ მოიცავს ამგვარ განსაზღვრულ დესკრიფციებს; ის მოიცავს მხოლოდ იმ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ენაში ვუწოდებდით „საკუთარ სახელებს“. თუ გვჭირდება საერთო ტერმინი, რომელიც მოიცავს სახელებსაც და დესკრიფციებსაც, შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი „აღმნიშვნელი“ [designator].

დონელანმა შენიშნა,³ რომ გარკვეულ გარემოებებში კონკრეტული მოსაუბრე შეიძლება განსაზღვრულ დესკრიფციას იყე-

3 Keith Donnellan, “Reference and Definite Descriptions”, *Philosophical Review* 75 (1966), გვ. 281-304. იხილეთ, ასევე, Leonard Linsky, “Reference and Referents”, in *Philosophy and Ordinary Language* (ed. Caton), University of Illinois Press, Urbana, 1963. დონელანის განსხვავება თითქოს ძალაშია როგორც სახელების, ისე დესკრიფციებისთვის. ორნი შორიდან მოჰკრავენ თვალს ვიღაცას და ფიქრობენ, რომ მას სცნობენ, როგორც ჯოუნსს. „რას აკეთებს ჯოუნსი?“ „ფოთლებს ხვეტს“ თუ შორს მყოფი ფოთლების მხვეტავი სინამდვილეში სმიტია, მაშინ ისინი გარკვეული აზრით რეფერირებენ სმიტზე, მიუხედავად იმისა, რომ „ჯოუნსს“ ორივე მათგანი ჯოუნსის სახელად იყენებს. ტექსტში სახელის „რეფერენტზე“ ლაპარაკისას ვგულისხმობ იმ საგანს, რომელიც სახელდება ამ სახელით – ამ მაგალითში, ჯოუნსს, და არა სმიტს – მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეიძლება მოსაუბრეზე სწორად ითქვას, რომ ის ამ სახელს იყენებს ვიღაც სხვაზე რეფერირებისთვის. ალბათ, ნაკლებად შეცდომაში შემყვანი იქნებოდა ტექნიკური ტერმინის, მაგალითად, „დენოტაციის“ გამოყენება „რეფერენტის“ ნაცვ-

ნებდეს არა ამ დესკრიფციის ნამდვილ რეფერენტზე – იმ აზრით, რომლითაც მე ახლა განვსაზღვრე ის – რეფერენტისთვის, არამედ რაღაც სხვაზე რეფერენტისთვის, რისი მითითებაც მას უნდა და რაც მას ამ დესკრიფციის ნამდვილი რეფერენტი ჰგონია, რომელიც ის სინამდვილეში არ არის. ასე, თქვენ შეიძლება თქვათ: „აი ის კაცი, შამპანურით სავსე ჭიქით, ბედნიერია“, თუმცა მას ჭიქაში მხოლოდ წყალი ჰქონდეს. მართალია, მის ჭიქაში შამპანური არ არის და შეიძლება ოთახში იყოს სხვა კაცი, ვისაც შამპანურით აქვს ჭიქა სავსე, მაგრამ მოსაუბრეს უნდოდა რეფერირება, ან შეიძლება, „რეფერირების“ გარკვეული აზრით, მართლაც რეფერირებდა იმ კაცზე, რომელსაც ჭიქაში შამპანური აქვს მისი აზრით. ამის მიუხედავად, ტერმინით „დესკრიფციის რეფერენტი“ მე ვიგულისხმებ ობიექტს, რომელიც უნიკალურად აკმაყოფილებს განსაზღვრული დესკრიფციის პირობებს. ამრიგად, თუ გაქვთ „ის

ლად. „რეფერენტის“ ჩემი გამოყენება ისეთია, რომ აკმაყოფილებს სქემას: „ X “-ის რეფერენტი არის X », სადაც „ X “ შენაცვლებადა ნებისმიერი სახელით ან დესკრიფციით. სასინჯი სახით, დონელანის საპირისპიროდ, ვიხრები იმ აზრისაკენ, რომ რეფერენტის შესახებ მისი შენიშვნები ნაკლებად მნიშვნელოვანია სემანტიკისთვის ან ჭეშმარიტების პირობებისთვის, თუმცა, შეიძლება, ისინი რელევანტური იყოს მეტყველების აქტების თეორიისათვის. ტექსტის შეზღუდული მოცულობა არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ავხსნა, თუ რას ვგულისხმობ ამით, და კიდევ უფრო ნაკლებად მაძლევს ამ თვალსაზრისის დაცვის საშუალებას; მხოლოდ მოკლე შენიშვნას უნდა დავჯერდე: სახელის ან დესკრიფციის რეფერენტს, ამ სიტყვის ჩემელი აზრით, ვუწოდოთ „სემანტიკური რეფერენტი“; სახელისათვის ეს არის დასახელებული საგანი, დესკრიფციისთვის – საგანი, რომელიც უნიკალურად აკმაყოფილებს ამ დესკრიფციას.

ამრიგად, მოსაუბრე შეიძლება რეფერირებდეს სემანტიკური რეფერენტისაგან განსხვავებულ რამეზე, თუკი მას შესაფერისი მცდარი რწმენები აქვს. ჩემი აზრით, სწორედ ეს ხდება სახელდების (სმიტი-ჯოუნსის) შემთხვევებშიც და, აგრეთვე, დონელანის „შამპანურის“ შემთხვევაშიც; პირველი არ მოითხოვს რაიმე თეორიას იმის შესახებ, რომ სახელები ორაზროვანია, ხოლო მეორე არ მოითხოვს დესკრიფციების რასელისეული თეორიის რაიმე მოდიფიკაციას.

x , რომელიც px “ ფორმის დესკრიფცია და არსებობს ზუსტად ერთი ისეთი x , რომელიც px , ის არის ამ დესკრიფციის რეფერენტი.

როგორია კავშირი სახელებსა და დესკრიფციებს შორის? ცნობილია ჯონ სტიუარტ მილის მოძღვრება, ჩამოყალიბებული მის „ლოგიკის სისტემაში“; რომლის თანახმად სახელებს აქვთ დენოტაცია, მაგრამ არ აქვთ კონოტაცია. მისი ერთ-ერთი მაგალითი რომ გამოვიყენოთ, როცა ჩვენ ვიყენებთ სახელს „დარტმუთი“ ინგლისში გარკვეული ადგილის აღსაწერად, მას ეს სახელი შეიძლება იმიტომ ერქვას, რომ ის დარტის შესართავთან მდებარეობს. მაგრამ, ამბობს ის, თუნდაც დარტმა (მდინარემ) კალაპოტი ისე შეიცვალოს, რომ დარტმუთი აღარ მდებარეობდეს დარტის შესართავთან, ჩვენ შეგვიძლია ისევ სწორად დავუძახოთ ამ ადგილს „დარტმუთი“, მიუხედავად იმისა, რომ სახელი შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ის დარტის შესართავთან მდებარეობს. მილის ტერმინოლოგიას თუ შევცვლით, ალბათ, უნდა ვთქვათ, რომ ისეთ სახელებს, როგორცაა „დარტმუთი“, აქვს „კონოტაცია“ ზოგიერთი ადამიანისთვის, სახელდობრ, ის კონოტირებს (არა ჩემთვის – მე არასოდეს მიფიქრია ამაზე), რომ ნებისმიერი ადგილი, რომელსაც ჰქვია „დარტმუთი“, მდებარეობს დარტის შესართავთან. მაგრამ ასევე მართალია, რომ, გარკვეული აზრით, მას არ აქვს „საზრისი“ სულ მცირე, სახელის „დარტმუთი“ მნიშვნელობის ნაწილი არ არის ის, რომ ამ სახელის მქონე ქალაქი დარტის შესართავთან მდებარეობს. თუ ვინმე იტყვის, რომ დარტმუთი არ მდებარეობს დარტის შესართავთან, ის არ ეწინააღმდეგება თავის თავს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ის x , რომელიც Fx “ ფორმის ყველა ფრაზა ყოველთვის გამოიყენება როგორც დესკრიფცია და არა როგორც სახელი. ვფიქრობ, ყველას სმენია საღვთო რომის იმპერიის შესახებ, რომელიც არ იყო არც საღვთო, არც რომისა, და არც იმპერია. დღეს ჩვენ გვაქვს გაერთიანებული ერები. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ვინაიდან ამ საგნებს ასე შეიძლება ეწოდებოდეს, იმის მიუხედავად, რომ ისინი არ არიან საღვთო, რომის,

გაერთიანებული ან ერები, ეს ფრაზები უნდა ჩაითვალოს არა განსაზღვრულ დესკრიფციებად, არამედ სახელებად. ზოგიერთი ტერმინის შემთხვევაში ადამიანებს შეიძლება ექვი ჰქონდეთ იმასთან დაკავშირებით, ისინი სახელებია თუ დესკრიფციები; მაგალითად, „ღმერთი“: აღწერს ის ღმერთს, როგორც უნიკალურ ღვთაებრივ არსებას, თუ არის ის ღმერთის სახელი? თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ასეთ შემთხვევებზე დრო დაგვარგოთ.

აქ მე ვლაპარაკობ განსხვავებაზე, რომელიც უდავოდ არსებობს ენაში. მაგრამ თანამედროვე ლოგიკის კლასიკური ტრადიცია მილის თვალსაზრისის სრულიად საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ფრეგეც და რასელიც, ორივე ფიქრობდა, რომ მილი ცდებოდა ძალიან მკაცრი აზრით (და, როგორც ჩანს, ამ დასკვნამდე ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ): სინამდვილეში საკუთარი სახელი, სწორად გამოყენებული, უბრალოდ შემოკლებული და შენიღბული განსაზღვრული დესკრიფციაა. სახელდობრ, ფრეგე ამბობდა, რომ ასეთი დესკრიფციით მოგვეცემა სახელის მნიშვნელობა.⁴

4 თუ დავაზუსტებთ, რა თქმა უნდა, რასელი ამბობს, რომ სახელები არ არის დესკრიფციების შემოკლებული ჩანაწერები და მათ არ აქვთ საზრისი; მაგრამ ის იმასაც ამბობს, რომ სწორედ იმიტომ, რომ რასაც ჩვენ „სახელებს“ ვუწოდებთ, დესკრიფციების შემოკლებული ჩანაწერებია, ისინი სინამდვილეში არ არიან სახელები. ამრიგად, რადგან „უოლტერ სკოტი“, რასელის თანახმად, არის დესკრიფციის შემოკლებული ჩანაწერი, „უოლტერ სკოტი“ არ არის სახელი; ხოლო ბუნებრივ ენაში ნამდვილად არსებული სახელების ერთადერთი სახე, ალბათ, არის ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორებიცაა „ეს“ ან „ის“; რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევებში მოსაუბრისათვის „ნაცნობ“ (ამ სიტყვის რასელისეული აზრით) საგნებზე რეფერირებისთვის. მართალია, ჩვენ არ გამოვთქვამთ ამას ისე, როგორც რასელი, მაგრამ შეგვეძლო რასელისათვის მიგვეწერა მტკიცება, რომ სახელებს, როგორც ისინი ჩვეულებრივ გვემის, აქვთ საზრისი. მათ აქვთ საზრისი მკაცრი აზრით, სახელდობრ, შეგვიძლია ისეთი განსაზღვრული დესკრიფციის მოცემა, რომ სახელის რეფერენტი, განსაზღვრების ძალით, იქნება ობიექტი, რომელიც ამ დესკრიფციას აკმაყოფილებს. თვითონ რასელი, ვინაიდან ის წერილში „აღ-

საბუთები მილის თვალსაზრისის წინააღმდეგ და ფრეგესა და რასელის სასარგებლოდ, მართლაც, ძალიან ძლიერია; და, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეჭვი აღგვეძრას ამ უკანასკნელის მიმართ, ვინაიდან სახელები არ ჰგვანან შენიღბულ დესკრიფციებს, ძალიან ძნელი დასანახია, როგორ შეიძლება, რომ ფრეგერასელის თვალსაზრისი, ან მისი რომელიმე შესაფერისი ვერსია, მართალი არ იყოს.

ნება მომეცით, მოვიყვანო იმის მაგალითი, რაც გადამწყვეტ არგუმენტად მიიჩნევა ფრეგესა და რასელის სასარგებლოდ. მილისეულის მსგავსი ნებისმიერი თვალსაზრისის ძირითადი პრობლემა ის, თუ როგორ შეგვიძლია დავადგინოთ, რა არის მოცემული მოსაუბრის მიერ გამოყენებული სახელის რეფერენტი. დესკრიფციის თვალსაზრისის თანახმად, პასუხი ნათელია. თუ „ჯო დოუკსი“ უბრალოდ არის შემოკლება ფრაზისა „კაცი, რომელმაც გარყვნა ჰედლიზურგი“, მაშინ ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გარყვნა ჰედლიზურგი, არის სახელის „ჯო დოუკსი“ რეფერენტი. მაგრამ თუკი ამ სახელს არ აქვს ასეთი დესკრიფციული შინაარსი, მაშინ საერთოდ როგორ იყენებენ ადამიანები სახელებს საგნების მისათითებლად? მათ შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობა, თითო გაიშვირონ ზოგიერთი საგნისკენ და ასე ოსტენსიურად* განსაზღვრონ გარკვეული სახელების რეფერენცია. ეს იყო ნაცნობობის რასელისეული მოძღვრება, რომელსაც, მისი აზრით, ე. წ. ნამდვილი ან საკუთარი სახელები აკმაყოფილებენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი სახელები რეფერირებს ყველა ჯურის ადამიანზე, მაგალითად, უოლტერ სკოტზე, რომლისკენაც თითო ვერ გავიშვერთ. და აქ ჩვენი რეფერენცია თითქოს განსაზღვრულია

ნიშვნის შესახებ“ თავისი პრიმიტიული ნოტაციიდან გამორიცხავს დესკრიფციებს, უნდა იზიარებდეს შეხედულებას, რომ „საზრისის“ ცნება ილუზორულია. ამრიგად, რასელის შეხედულებების გადმოცემისას მას ორი თვალსაზრისით ვშორდებით. ერთი, ჩვენ დავთქვამთ, რომ „სახელები“ არის სახელები ჩვეულებრივი გაგებით და არა რასელის „ლოგიკურად საკუთარი სახელები“; მეორეც, დესკრიფციებსა და მათ შემოკლებულ ჩანაწერებს საზრისის მქონედ მივიჩნევთ.

ამ ადამიანთა შესახებ ჩვენი ცოდნით. ის, რაც ჩვენ ვიცით მათ შესახებ, განსაზღვრავს სახელის რეფერენტს, როგორც იმ უნიკალურ ნივთს, რომელიც ამ თვისებებს აკმაყოფილებს. მაგალითად, თუ მე ვიყენებ სახელს „ნაპოლეონი“ და ვინმე მეკითხება: „ვისზე რეფერირებ?“; დაახლოებით ასე ვუპასუხებ: „ნაპოლეონი ფრანგების იმპერატორი იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში; ის საბოლოოდ დაამარცხეს ვატერლოოსთან ბრძოლაში.“ ასე მოგცემთ უნიკალურად მაიდენტიფიცირებელ აღწერას სახელის რეფერენტის დასადგენად. მაშასადამე, ფრეგე და რასელი თითქოს ბუნებრივ ახსნას გვაძლევენ იმისა, თუ როგორ დგინდება რეფერენცია; მილი კი თითქოს არავითარ ახსნას არ გვაძლევს.

არსებობს დამატებითი არგუმენტებიც, რომლებიც, თუმცა ისინი უფრო სპეციფიკურ პრობლემებს ემყარება, ასევე ქმნის ამ თვალსაზრისის მიღებისთვის მოტივაციას. ერთია ის, რომ ზოგჯერ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ორ სახელს ერთი და იგივე რეფერენტი აქვს და ეს იგივეობის დებულებით გამოვხატოთ. ასე, მაგალითად (ვხვდები, რომ ეს გაცვეთილი მაგალითია), სალამოობით ხედავთ ვარსკვლავს, რომელსაც ჰქვია „ჰესპეროსი“ (ასე ვუწოდებთ მას სალამოობით, ხომ მართალია? – იმედი მაქვს, პირიქით არ არის). დილით ვხედავთ რომელიღაც ვარსკვლავს და მას ვუწოდებთ „ფოსფოროსს“. ხოლო შემდეგ აღმოვაჩინოთ, რომ ეს არა ვარსკვლავი, არამედ პლანეტა ვენერაა და ჰესპეროსი და ფოსფოროსი სინამდვილეში ერთი და იგივეა. ამას გამოვხატავთ წინადადებით „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“. უეჭველია, რომ ამით უბრალოდ არ ვამბობთ რაღაც ობიექტზე, რომ ის თავისი თავის იგივეობრივია. რაღაც ისეთს ვამბობთ, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ. ძალიან ბუნებრივია ითქვას, რომ მისი ნამდვილი შინაარსია ის, რომ ვარსკვლავი, რომელიც სალამოს დავინახეთ, არის ვარსკვლავი, რომელიც დილით დავინახეთ (ან, უფრო ზუსტად, რომ საგანი, რომელიც სალამოს დავინახეთ, არის საგანი, რომელიც დილით დავინახეთ). მაშასადამე, ასე მოგვეცემა ჩვენთვის საინ-

ტერესო იგივეობის დებულების ნამდვილი მნიშვნელობა; და მას დესკრიფციების ტერმინებით ანალიზი გვაძლევს.

შეგვიძლია, აგრეთვე, დავსვათ შეკითხვა იმის შესახებ, საერთოდ აქვს თუ არა რეფერენცია სახელს, როდესაც ვკითხულობთ, მართლა არსებობდა თუ არა ოდესმე არისტოტელე. აქ თითქოს ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ კითხვა ეხება არა იმას, არსებობდა თუ არა ეს საგანი (აღამიანი). თუკი გვაქვს საგანი, ვიცით კიდეც, რომ ის არსებობდა. ის, რაზეც მართლა ისმის კითხვა, არის ის, აკმაყოფილებს თუ არა რაიმე იმ თვისებებს, რომელთაც ჩვენ ამ სახელთან ვაკავშირებთ – არისტოტელეს შემთხვევაში, დაწერა თუ არა გარკვეული შრომები რომელიმე ერთმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ან ფილოსოფოსთა სათანადო რაოდენობამ.

კარგი იქნებოდა, ყველა ამ არგუმენტისთვის გაგვეცა პასუხი. მე ბოლომდე ვერ ვხედავ ამ სახის ყველა შესაძლო პრობლემასთან გამკლავების გზას. მეტიც, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ ლექციებზე ყველა საკითხის განხილვის დრო არ მექნება. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, თითქმის უეჭველია, რომ ფრეგესა და რასელის თვალსაზრისი მცდარია.⁵

ბევრს უთქვამს, რომ ფრეგეს და რასელის თეორია მცდარია. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ხალხმა ამ თეორიის კონკრეტულ ფორ-

5 როცა ფრეგე-რასელის თვალსაზრისზე და მის ნაირსახეობებზე ვლაპარაკობ, მხოლოდ იმ ვერსიებს ვგულისხმობ, რომლებიც სახელების რეფერენციის ხელმოსაჭიდ თეორიას გვაძლევს. სახელდობრ, ქუაინის წინადადება, რომ „კანონიკურ ნოტაციაში ისეთი სახელი, როგორცაა „სოკრატე“ უნდა შეიცვალოს დესკრიფციით „ის, ვინც სოკრატეობს“ (სადაც „სოკრატეობს“ გამოგონილი პრედიკატია), ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს დესკრიფციის ელიმინაცია რასელის მეთოდით, ჩაფიქრებული იყო არა როგორც სახელების რეფერენციის თეორია, არამედ როგორც წინადადება ენის რეფორმის შესახებ, რომელიც გარკვეულ უპირატესობებს მოითვალდა. აქ განხილული ყველა პრობლემა, *mutatis mutandis*, შეეხება რეფორმირებულ ენას; სახელდობრ, კითხვა «როგორ დგინდება „სოკრატეს“ რეფერენცია?» გარდაიქმნება კითხვად: «როგორ დგინდება პრედიკატის „სოკრატეობს“ მოცულობა?» რასაკვირველია, მე არ ვგულისხმობ, რომ ქუაინი ოდესმე საპირისპიროს ამტკიცებდა.

მულირებაზე თქვა უარი, ხოლო მისი სულისკვეთება შეინარჩუნა. სახელდობრ, მათ მიმართეს კლასტერული ცნების იდეას. რა არის ეს? ფრეგესა და რასელის წინაშე არსებული ამკარა პრობლემა, რომელიც იმთავითვე შესამჩნევია, უკვე თვითონ ფრეგეს აქვს აღნიშნული. ის ამბობდა:

შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს ნამდვილი საკუთარი სახელის, როგორცაა „არისტოტელე“, საზრისის შესახებ. მაგალითად, ვინმე მის საზრისად შეიძლება მიიჩნევდეს შემდეგს: პლატონის მოსწავლე და ალექსანდრე დიდის მასწავლებელი. ვისაც ეს სახელი ასე ესმის, ის წინადადებასთან „არისტოტელე სტაგირაში დაიბადა“ არ დააკავშირებს იმავე საზრისს, რასაც ის, ვინც ამ სახელის საზრისად იღებს: ალექსანდრე მაკედონელის სტაგირელი მასწავლებელი. იმდენად, რამდენადაც ნომინატი იგივე რჩება, საზრისში ეს გადახრები დასაშვებია; თუმცა, მათ უნდა ვერიდოთ დემონსტრაციული მეცნიერების სისტემებში, სრულყოფილ ენაში კი ისინი არ უნდა დაეშვათ.⁶

ამრიგად, ფრეგეს თანახმად, ჩვენს ენას თავისებური თავისუფლება თუ სისუსტე ახასიათებს. ზოგიერთი ჩვენგანი სახელს „არისტოტელე“ შეიძლება ერთ საზრისს ანიჭებდეს, სხვები კი – სხვას. მაგრამ, რასაკვირველია, საქმე მხოლოდ ეს არ არის; ერთი და იგივე მოსაუბრეც კი, როცა მას ჰკითხავენ, „რა დესკრიფციის ჩასმა გინდა ამ სახელის ადგილას?“, შეიძლება საკმაოდ დაიბნეს. რეალურად მან შეიძლება ბევრი რამ იცოდეს არისტოტელეს შესახებ, მაგრამ ფიქრობდეს, რომ მისთვის ცნობილი ყოველი კონკრეტული ვითარება ობიექტის ამკარად შემთხვევით თვისებას გამოხატავს. „არისტოტელე“ რომ ნიშნავდეს *ადამიანს, რომელიც ასწავლიდა ალექსანდრე დიდს*, მაშინ წინადადება „არისტოტელე ალექსანდრე დიდის მასწავლებელი იყო“ უბრალოდ ტავტოლოგია იქნებოდა. მაგრამ უდავოა, რომ ასე არ არის; ეს წინადადება გა-

6 გოთლოზ ფრეგე, „საზრისსა და ნომინატზე“ თ. ცხადაძის თარგმანი, *აუცილებლობის ასპექტები: აპრიორულობა, იგივეობა, წინააღმდეგობა*, რედ. ლ. მჭედლიშვილი და თ. ცხადაძე, თბილისი, ფილოსოფიის ინსტიტუტი, 2009, 185-213, გვ. 187.

მონატავს იმ ფაქტს, რომ არისტოტელე ასწავლიდა ალექსანდრე დიდს – რალაცას, რაც შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ამრიგად, *ალექსანდრე დიდის მასწავლებლობა* ვერ იქნება ამ სახელის [საზრისის] ნაწილი.

ამ სიძნელიდან ყველაზე გავრცელებული გამოსავალია ვთქვათ, რომ „სინამდვილეში ბუნებრივი ენის სისუსტე არ არის ის, რომ არ შეგვიძლია სახელის შეცვლა რომელიმე კონკრეტული დესკრიფციით; ამით არაფერი შავდება. ის, რასაც სახელთან სინამდვილეში ვაკავშირებთ, არის დესკრიფციების *ოჯახი*.“ ამის კარგ მაგალითს (თუ ვიპოვი მას) ვნახავთ „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“, სადაც ოჯახური მსგავსებების იდეაა შემოტანილი, თან ძალიან დამარწმუნებლად.

დაფიქრდი ამ მაგალითზე: როდესაც ამბობენ: „მოსე არ არსებობდა“; ეს შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. ეს შეიძლება ნიშნავდეს: ებრაელებს არ ჰყოლიათ *ერთი* ბელადი, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა – ან: მათ ბელადს არ ერქვა მოსე – ან: არ არსებობდა ადამიანი, რომელმაც გააკეთა ყოველივე ის, რასაც ბიბლია გვეუბნება მოსეს შესახებ – ან: ა. შ. და ა. შ. ... მაგრამ როდესაც რალაცას ვამბობ მოსეს შესახებ, – ვარ კი ყოველთვის მზად, ამ დესკრიფციებიდან რომელიმე *ერთით* შევანაცვლო „მოსე“? ალბათ ვიტყვი: „მოსე“ მესმის, როგორც კაცი, რომელმაც გააკეთა ის, რაც მოთხრობილია ბიბლიაში მოსეს შესახებ, ან აქედან ბევრი რამ. მაგრამ რამდენი? მაქვს კი გადაწყვეტილი, რამდენი უნდა აღმოჩნდეს მცდარი იმისათვის, რომ უარი ვთქვა ჩემს წინადადებაზე, როგორც მცდარზე? აქვს კი ჩემთვის სახელს „მოსე“ მყარი და ერთმნიშვნელოვანი გამოყენება ყველა შესაძლო შემთხვევაში?⁷

ამ თვალსაზრისის თანახმად – ხოლო მისი *locus classicus* არის სერლის სტატია საკუთარ სახელებზე⁸ – სახელის რეფერენტი განისაზღვრება არა ერთი დესკრიფციით, არამედ გარკვეული კლასტერით თუ ოჯახით. რაც კი აკმაყოფილებს ოჯახის წევრების (რა-

7 ლუდვიგ ვიტგენშტაინი, ფილოსოფიური გამოკვლევები, გ. ზედა-ნიას თარგმანი, თბილისი, ლოგოს პრესი, 2003, §79, გვ. 76.

8 John R. Searle, “Proper Names”, *Mind* 67 (1958), 166-173.

დაც აზრით) საკმარის რაოდენობას ან უმრავლესობას, არის სახელის რეფერენტი. ამ თვალსაზრისს მოგვიანებით დავუბრუნდები. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის ინარჩუნებს ამ თეორიის ყველა ღირსებას და თავიდან იცილებს მის ყველა ნაკლს.

ნება მომეცით, შევნიშნო (და ეს წარმოგვიდგენს სხვა ახალ თემას, სანამ რეალურად განვიხილავდე სახელდების ამ თეორიას), რომ არსებობს ორი გზა, რომლითაც შეიძლება გავიგოთ კლასტერული ცნებების თეორია, ან თუნდაც თეორია, რომელიც ერთ დესკრიფციას მოითხოვს. მისი ერთი გაგების მიხედვით, კლასტერი ან ცალკეული დესკრიფცია მართლა გვაძლევს სახელის მნიშვნელობას; და როდესაც ვინმე ამბობს „უოლტერ სკოტი“, ის გულისხმობს *ადამიანს, რომელიც ესა და ეს და ესა და ეს*.

ხოლო მეორე გაგება შეიძლება ასეთი იყოს: მართალია, დესკრიფცია რაღაც აზრით არ გვაძლევს სახელის მნიშვნელობას და, მართალია, ფრაზა „უოლტერ სკოტი“ არ არის *სინონიმური* ფრაზისა „ადამიანი, რომელიც ესა და ეს და ესა და ეს“, ან, თუნდაც, შესაბამისი ოჯახისა (თუკი რაიმე შეიძლება იყოს ოჯახის სინონიმური), მაგრამ ოჯახი ან ცალკეული დესკრიფციაა ის, რაც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ ვისზე რეფერირებს ადამიანი, როცა ის ამბობს „უოლტერ სკოტი“. რასაკვირველია, თუკი მას შემდეგ, რაც უოლტერ სკოტის შესახებ მის რწმენებს შევიტყობთ, ვიფიქრებთ, რომ ისინი სინამდვილეში ბევრად უფრო ახლოსაა ქვეყნარტებთან საღვადორ დალის შესახებ, მაშინ ამ თეორიის მიხედვით ამ სახელის რეფერენტი უნდა იყოს ბატონი დალი და არა – სკოტი. ვფიქრობ, არსებობენ ავტორები, რომლებიც ექსპლიციტურად და ჩემზე უფრო დაჟინებითაც კი უარყოფენ იმას, რომ სახელებს საერთოდ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მაინც გამოიყენებდნენ სახელის რეფერენტის დადგენის ამ სურათს. ამის კარგი მაგალითია პოლ ზიფი, რომელიც ამბობს, ძალიან ხაზგასმით, რომ სახელებს საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, [რომ] ისინი რაღაც აზრით ენას არც კი ეკუთვნიან. მაგრამ მაინც, როცა ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ვადგენთ, რა არის სახელის რეფერენტი, ის ამ სურათს

გვაძლევს. სამწუხაროდ, თან არ მაქვს შესაბამისი ნაწყვეტი, მაგრამ ის სწორედ ამას ამბობს.⁹

განსხვავება ამ თეორიის მნიშვნელობის თეორიად გამოყენებასა და მის რეფერენციის თეორიად გამოყენებას შორის ცოტა უფრო ნათლად მოგვიანებით გამოიკვეთება. მაგრამ ამ თეორიის მომხიბვლელობის ნაწილი იკარგება, თუ არ იგულისხმება, რომ ის სახელის მნიშვნელობას გვაძლევს; რადგან ჩემ მიერ ახლა აღნიშნული პრობლემების ზოგიერთი გადაწყვეტა სწორი არ იქნება, ან არ იქნება აშკარად სწორი მაინც, თუკი დესკრიფცია სახელის მნიშვნელობას არ გვაძლევს. მაგალითად, თუ ვინმე ამბობს, რომ „არისტოტელე არ არსებობს“ *ნიშნავს* „არ არსებობს ადამიანი, რომელმაც ესა და ეს გააკეთა“; ან, ვიტგენშტაინის მაგალითში, „მოსე არ არსებობს“ *ნიშნავს* „არც ერთ ადამიანს არ გაუკეთებია ესა და ეს“; ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს (და, ჩემი აზრით, არის კიდევ დამოკიდებული) ამ თეორიის მიღებაზე

9 სახელების რეფერენციის, როგორც დესკრიფციების კლასტერის, ზიფისეული თეორიის ყველაზე დეტალური ფორმულირება მოცემულია მის წერილში „დმერთის შესახებ“ (Paul Ziff, “About God”, გადაბეჭდილია: *Philosophical Turnings*, Cornell University Press, Ithaca, and Oxford University Press, London, 1966, გვ. 94-96); მოკლე ფორმულირება კი – მის წიგნში „სემანტიკური ანალიზი“ (Paul Ziff, *Semantic Analysis*, Cornell University Press, Ithaca, 1960, გვ. 102-105, განსაკუთრებით, გვ. 103-104). ეს უკანასკნელი მონაკვეთი გვკარნახობს, რომ ჩვენთვის ნაცნობი საგნების სახელები რამდენადმე განსხვავებულად უნდა გავიგოთ (ოსტენსიისა და ნათლობის გამოყენებით), ვიდრე ისტორიული ფიგურების სახელები, რომელთა რეფერენციაც განსაზღვრულია მათთან ასოცირებული დესკრიფციებით (ან მათი კლასტერით). „სემანტიკური ანალიზის“ 93-ე გვერდზე ზიფი ამბობს, რომ „მარტივი ძლიერი განზოგადებები საკუთარი სახელების შესახებ“ შეუძლებელია; „მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, თუ როგორაა საქმე მათი უდიდესი ნაწილისთვის...“ ამის მიუხედავად, ზიფი აშკარად ამბობს, რომ დესკრიფციების კლასტერის თეორია, ისტორიული ფიგურებისთვის მაინც, გონივრულია, როგორც ამგვარი უხეში განზოგადება. ზიფის თვალსაზრისი, რომ საკუთარი სახელები, როგორც წესი, არ არის ენის სიტყვები და მათ, როგორც წესი, არ აქვთ მნიშვნელობა, იხილეთ მის წიგნში „სემანტიკური ანალიზი“, გვ. 85-89 და გვ. 93-94.

სახელის „მოსე“ მნიშვნელობის თეორიად, და არა მხოლოდ მისი რეფერენციის თეორიად. კეთილი, არ ვიცი. შეიძლება ახლა აშკარა მხოლოდ ისაა, რომ პირიქით: თუ „მოსე“ ნიშნავს იმავს, რასაც „ადამიანი, რომელმაც გააკეთა ესა და ეს“, მაშინ იმის თქმა, რომ მოსე არ არსებობდა, არის იმის თქმა, რომ ადამიანი, რომელმაც ესა და ეს გააკეთა, არ არსებობდა, ანუ, არც ერთ პიროვნებას არ გაუკეთებია ესა და ეს. თუკი, მეორე მხრივ, „მოსე“ არ არის რომელიმე დესკრიფციის სინონიმური, მაშინ, თუნდაც მისი რეფერენტი რაღაც აზრით განსაზღვრული იყოს რაიმე დესკრიფციით, ამ სახელის შემცველ დებულებებს, საზოგადოდ, ვერ გავაანალიზებთ სახელის დესკრიფციით შენაცვლების გზით, თუმცა ისინი შეიძლება დესკრიფციის შემცველი დებულებების მატერიალურად ეკვივალენტურნი იყვნენ. ამრიგად, სინგულარული არსებობის დებულებების ზემოთ აღნიშნულ ანალიზზე უარი უნდა ითქვას, თუკი ის არ არის დაფუძნებული რაიმე სპეციალური, სახელების მნიშვნელობის ზოგადი თეორიისგან დამოუკიდებელი არგუმენტით; იგივე ეხება იგივეობის დებულებებსაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობ, არასწორია, რომ „მოსე არსებობს“ საერთოდ ამას ნიშნავს. ამდენად, არ მოგვიწევს იმის შემოწმება, შესაძლებელია თუ არა ასეთი სპეციალური არგუმენტის აგება.¹⁰

სანამ ამ პრობლემას უფრო ჩავუღრმავდები, მინდა ვილაპარაკო კიდევ ერთ განსხვავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ამ ლექციების მეთოდოლოგიისათვის. ფილოსოფოსები ლაპარაკობდნენ (და, რა თქმა უნდა, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი უთანხმოებაც არსებობდა ამ ცნებების აზრიანობაზე) ჭეშმარიტების სხვადასხვა კატეგორიაზე, რომლებსაც უწოდებენ „აპრიორულს“, „ანალიზურს“, „აუცილებელს“ – და ზოგჯერ ამ

¹⁰ ის დეტერმინისტიები, რომლებიც უარყოფენ ისტორიაში ინდივიდის მნიშვნელობას, შეიძლება ამტკიცებდნენ, რომ, თუ მოსე არ იარსებებდა, ვილაც სხვა იარსებებდა, ვინც გააკეთებდა ყველაფერს, რაც მოსემ გააკეთა. მათ მტკიცებას ვერ უარყოფთ წინადადების „მოსე არსებობდა“ მნიშვნელობის სწორი ფილოსოფიური თეორიის მოხმობით.

ჯგუფში „უტყუარსაც“ კი ახსენებენ ხოლმე. ამ ტერმინებს ხშირად ისე იყენებენ, თითქოს საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა შესაბამისი ცნებების შესატყვისი საგნები, საინტერესო საკითხი იყოს, თუმცა ჩვენ შეგვეძლო, ისინი ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონედაც მიგვეჩნია. ყველას ახსოვს (ცოტათი მაინც), რომ კანტი ერთმანეთისგან განასხვავებდა „აპრიორულს“ და „ანალიზურს“. ასე რომ, შეიძლება ამ განსხვავებას ისევე ავლებენ. თანამედროვე დისკუსიებში ძალიან ცოტაა, თუ საერთოდ არის ვინმე, ვინც ერთმანეთისგან განასხვავებს დებულების აპრიორულობისა და დებულების აუცილებლობის ცნებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, აქ მე ტერმინებს „აპრიორული“ და „აუცილებელი“ არ გამოვიყენებ ურთიერთშენაცვლებად.

ვნახოთ, როგორია ისეთი ტერმინების ტრადიციული დახასიათება, როგორებიცაა „აპრიორული“ და „აუცილებელი“. დასაწყისისთვის, აპრიორულობა ეპისტემოლოგიის ცნებაა. როგორც ვხვდები, კანტის ტრადიციული დახასიათება დაახლოებით ასეთია: აპრიორული ჭეშმარიტებები ისაა, რომლებიც ყოველგვარი გამოცდილებისგან დამოუკიდებლად შეიძლება ვიცოდეთ. ეს კი უკვე პირველი ნაბიჯის გადადგამედც წამოჭრის სხვა პრობლემას, რადგან „აპრიორულის“ დახასიათებაში შედის სხვა მოდალობა, სახელდობრ, იგულისხმება, რომ ის არის რალაც, რის ცოდნაც შეიძლება ყოველგვარი გამოცდილებისგან დამოუკიდებლად. ეს ნიშნავს, რომ რალაც აზრით შესაძლებელია მისი ცოდნა ყოველგვარი გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად (იმის მიუხედავად, ფაქტობრივად ვიცით თუ არა ის ყოველგვარი გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად). მაგრამ შესაძლებელი ვისთვის? ღმერთისთვის? უცხოპლანეტელებისთვის? თუ უბრალოდ ჩვენი მსგავსი გონების მქონე ხალხისთვის? ამ ყველაფრის ნათელყოფა შეიძლება [შეიცავდეს] საკუთარი პრობლემების მთელ გროვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის შესაძლებლობაზეა აქ საუბარი. ამიტომ შეიძლება სჯობდეს, ფრაზის „აპრიორული ჭეშმარიტება“

გამოყენების ნაცვლად, თუკი საერთოდ ვიყენებთ მას, ვილაპარაკოთ იმაზე, კონკრეტულმა პიროვნებამ ან მცოდნემ იცის თუ არა რაიმე აპრიორულად, ან სჯერა თუ არა მისი ჭეშმარიტება აპრიორული საბუთების საფუძველზე.

აქ მეტიმეტად აღარ ჩავუღრმავდები პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას აპრიორულობის ცნებასთან დაკავშირებით. ვიტყვი, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი ამ დახასიათებაში მოდალობას შეუძლია როგორღაც ცვლის მოდალობით უნდა. ისინი ფიქრობენ, რომ თუ რაიმე მიეკუთვნება აპრიორული ცოდნის სფეროს, შეუძლებელია მისი ცოდნა ემპირიულად. ეს უბრალოდ შეცდომაა. რაიმე შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი დებულებების სფეროს, რომელთა ცოდნაც შესაძლებელია აპრიორულად, თუმცა ცალკეულმა ადამიანებმა ის მაინც გამოცდილების საფუძველზე იცოდნენ. მართლაც სალი აზრის მაგალითი რომ შემოგთავაზოთ: ყველამ, ვისაც გამომთვლელ მანქანასთან უმუშავია, იცის, რომ გამომთვლელ მანქანას შეუძლია გვიპასუხოს კითხვაზე, არის თუ არა მოცემული რიცხვი მარტივი. არავის გამოუთვლია ან დაუსაბუთებია, რომ ეს რიცხვი მარტივია, მაგრამ მანქანამ მოგვცა პასუხი: ეს რიცხვი მარტივია. მაშინ, თუკი გვჯერა, რომ რიცხვი მართლა მარტივია, ეს რწმენა გვაქვს ფიზიკის კანონების, მანქანის კონსტრუქციისა და ა. შ. ცოდნის საფუძველზე. ამდენად, ეს რწმენა არ გვაქვს წმინდად აპრიორული საბუთების საფუძველზე. ჩვენი ეს რწმენა (თუკი საერთოდ რაიმე არის აპოსტერიორული) აპოსტერიორულ საბუთებს ემყარება. ამის მიუხედავად, შესაძლოა, შესაძლებელი იყოს, რომ ეს აპრიორულად სცოდნოდა ვინმეს, ვინც აუცილებელ გამოთვლებს შეასრულებდა. ამდენად, „აპრიორულად შეიძლება იყოს ცნობილი“ არ ნიშნავს „აპრიორულად უნდა იყოს ცნობილი“.

მეორე ცნება, რომელიც გვანტერესებს, არის აუცილებლობა. ზოგჯერ ის გამოიყენება ეპისტემოლოგიური აზრით და მაშინ შეიძლება უბრალოდ აპრიორულს ნიშნავდეს. რა თქმა უნდა, ზოგ-

ჯერ ის გამოიყენება ფიზიკური აზრითაც, როდესაც ერთმანეთი-საგან განასხვავებენ ფიზიკურ და ლოგიკურ აუცილებლობას. მე კი აქ მაინტერესებს ცნება, რომელიც ეკუთვნის არა ეპისტემოლოგიას, არამედ მეტაფიზიკას გარკვეული (ვიმედოვნებ) არადამცინავი აზრით. ჩვენ ვსვამთ კითხვას, შეიძლება თუ არა ჭეშმარიტი, ან მცდარი ყოფილიყო რაიმე. თუკი რაიმე მცდარია, ის აშკარად არ არის აუცილებლად ჭეშმარიტი. მაგრამ თუ ის ჭეშმარიტია, შეიძლება ეს სხვანაირად ყოფილიყო? არის შესაძლებელი, რომ, ამ თვალსაზრისით, სამყარო განსხვავდებოდეს იმისგან, რაც ის არის? თუ პასუხია „არა“, მაშინ ეს ფაქტი სამყაროს შესახებ აუცილებელი ფაქტია. თუ პასუხია „დიახ“, მაშინ ეს ფაქტი სამყაროს შესახებ შემთხვევითი ფაქტია. ეს თავისთავად არავითარ კავშირში არ არის ვინმეს მიერ რამის ცოდნასთან. მტკიცება, რომ ყველაფერი აპრიორული აუცილებელია, ან მტკიცება, რომ ყველაფერი აუცილებელი აპრიორულია, უდავოდ ფილოსოფიური თეზისია და არა – აშკარა დეფინიციური ეკვივალენციის შედეგი. ორივე ცნება შეიძლება ბუნდოვანი იყოს. შეიძლება, ეს სხვა პრობლემაა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ორ სხვადასხვა სფეროს, ორ სხვადასხვა არეს ეხება – ეპისტემოლოგიურსა და მეტაფიზიკურს. განვიხილოთ, მაგალითად, ფერმას ბოლო თეორემა, ან გოლდბახის ჰიპოთეზა. გოლდბახის ჰიპოთეზის თანახმად, ნებისმიერი 2-ზე დიდი ლუწი რიცხვი ორი მარტივი რიცხვის ჯამი უნდა იყოს. თუ ეს ჭეშმარიტია, სავარაუდოდ, აუცილებელია, და თუ მცდარია, სავარაუდოდ, აუცილებლად მცდარია. აქ ჩვენ მათემატიკის კლასიკურ გაგებას ვიღებთ და ვგულისხმობთ, რომ მათემატიკურ სინამდვილეში ის ან ჭეშმარიტია ან მცდარი.

თუკი გოლდბახის ჰიპოთეზა მცდარია, მაშინ არსებობს 2-ზე დიდი ისეთი ლუწი რიცხვი n , რომ n -ზე ნაკლები p_1 და p_2 მარტივი რიცხვების არც ერთი წყვილისთვის არ სრულდება ტოლობა $n=p_1+p_2$. n -ის შესახებ ეს ფაქტი, თუ ის ჭეშმარიტია, არის შემოწმებადი პირდაპირი გამოთვლით და, ამდენად, არის აუცილებელი,

თუკი აუცილებელია არითმეტიკული გამოთვლების შედეგები. მეორე მხრივ, თუ ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტია, მაშინ 2-ზე დიდი ყველა ლუწი რიცხვი არის ორი მარტივი რიცხვის ჯამი. შეიძლება კი მაშინ ისე მოხდეს, რომ, თუმცა ფაქტობრივად ყველა ასეთი ლუწი რიცხვი ორი მარტივი რიცხვის ჯამის ტოლია, შესაძლებელია არსებობდეს 2-ზე დიდი ლუწი რიცხვი, რომელიც არ არის ორი მარტივი რიცხვის ჯამი? რას უნდა ნიშნავდეს ეს? ასეთი რიცხვი უნდა იყოს ერთ-ერთი შემდეგი რიცხვებიდან: 4, 6, 8, 10, ...; ხოლო ჰიპოთეზის თანახმად, რადგან ვუშვებთ, რომ გოლდბახის ჰიპოთეზა ჭეშმარიტია, თითოეული მათგანისთვის შეიძლება ვაჩვენოთ, ისევე პირდაპირი გამოთვლის გზით, რომ ის ორი მარტივი რიცხვის ჯამის ტოლია. მაშასადამე, გოლდბახის ჰიპოთეზა ვერ იქნება შემთხვევითად ჭეშმარიტი ან მცდარი; ჭეშმარიტების რომელი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს მას, ის მას აუცილებლობით აქვს.

მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ახლა მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ორივე პასუხი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შეიძლება აღმოჩნდეს სწორი. ამდენად, ვიდრე არ გვაქვს მათემატიკური დასაბუთება, რომელიც ამ საკითხს გადაწყვეტს, არც ერთ ჩვენგანს არ აქვს არავითარი აპრიორული ცოდნა ამ საკითხზე რომელიმე პასუხის სისწორის შესახებ. ჩვენ არ ვიცით, გოლდბახის ჰიპოთეზა ჭეშმარიტია თუ მცდარი. ამდენად, ჩვენ ნამდვილად არ ვიცით ამის შესახებ რამე აპრიორულად.

ალბათ იტყვიან, რომ პრინციპულად შეგვიძლია აპრიორულად ვიცოდეთ, არის თუ არა ის ჭეშმარიტი. კეთილი, შეიძლება მართლა შეგვიძლია. რა თქმა უნდა, უსასრულო გონება, რომელსაც შეუძლია ყველა რიცხვის შემოწმება, შეძლებს ან შეძლებდა ამას. შეიძლება უბრალოდ არ არსებობს არავითარი მათემატიკური დასაბუთება, რომელიც გადაწყვეტს ამ ჰიპოთეზის ბედს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ასეა ან არ არის ასე. შეიძლება არსებობს მათემატიკური დასაბუთება, რომელიც წყვეტს ამ საკითხს; შეიძლება ყველა მათემატიკური საკით-

ხია გადაწყვეტადი ინტუიციური დასაბუთებით ან უკუგდებით. ჰილბერტი ფიქრობდა, რომ ასეა; სხვები ფიქრობდნენ, რომ – არა; კიდევ სხვები ფიქრობდნენ, რომ ეს კითხვა უაზროა, თუკი ინტუიციური დასაბუთების ცნება არ შეიცვლება ცალკეულ სისტემაში ფორმალური დასაბუთების ცნებით. უეჭველია, რომ არც ერთი ფორმალური სისტემა არ წყვეტს ყველა მათემატიკურ საკითხს, როგორც ჩვენ გოდელისგან ვიცით. ნებისმიერ შემთხვევაში, და ესაა მნიშვნელოვანი, ეს კითხვა არ არის ტრივიალური; თუნდაც ვამბობდეთ, რომ აუცილებელია, თუკი საერთოდ ჭეშმარიტია, რომ ყოველი ლუწი რიცხვი ორი მარტივი რიცხვის ჯამია, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამის შესახებ ვინმემ რამე იცის აპრიორულად. მე მეჩვენება, რომ აქედან, დამატებითი ფილოსოფიური არგუმენტების გარეშე, ისიც კი არ გამომდინარეობს, რომ ვინმეს შეიძლებოდა რამე აპრიორულად სცოდნოდა ამის შესახებ (ეს საინტერესო ფილოსოფიური საკითხია). „შეიძლებოდა“, როგორც ვთქვი, რაღაც სხვა მოდლობას შეიცავს. ჩვენ ვგულსხმობთ, რომ თუნდაც ახლა და, შეიძლება, არც მომავალში არავინ იცოდეს აპრიორულად, არის თუ არა სწორი გოდელის თეორემა, პრინციპულად არსებობს გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ეს საკითხი აპრიორულად გადაგვეწყვიტა. ეს მტკიცება არ არის ტრივიალური.

მაშასადამე, სიტყვები „აუცილებელი“ და „აპრიორული“ როცა ისინი დებულებების დასახასიათებლად გამოიყენება, არ არის აშკარა სინონიმები. შეიძლება არსებობდეს ფილოსოფიური არგუმენტი, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს; მაგრამ საჭიროა ასეთი არგუმენტი, და არა – უბრალოდ შენიშვნა, რომ ეს ორი სიტყვა აშკარად ურთიერთშენაცვლებადია (მე ქვემოთ ვამტკიცებ, რომ ისინი კოექსტენსიურიც კი არ არის – რომ არსებობს როგორც აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტებები, ისევე, ალბათ, შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტებები).

ჩემი აზრით, ადამიანები შემდეგი მიზეზების გამო ფიქრობდნენ, რომ ეს ორი რამე ერთსა და იმავეს უნდა ნიშნავდეს:

პირველი: თუ რაღაც არა უბრალოდ ჭეშმარიტი აღმოჩნდება აქტუალურ სამყაროში, არამედ ჭეშმარიტია ყველა შესაძლო სამყაროშიც, მაშინ, რასაკვირველია, ყველა შესაძლო სამყაროს უბრალოდ ჩვენი გონების თვალით დათვალიერებით, თუკი საკმარისად გავირჯებით, უნდა შეგვეძლოს იმის დანახვა, რომ ესა თუ ის დებულება აუცილებელია (თუკი ის აუცილებელია) და, ამდენად, უნდა შეგვეძლოს მისი აპრიორულად ცოდნაც. მაგრამ სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე აშკარად უდავო.

მეორე: ვვარაუდობ, ფიქრობენ, რომ, შებრუნებითაც, თუკი რაიმე ვიცით აპრიორულად, ის აუცილებელი უნდა იყოს, რადგან მისი ცოდნა ისე შევიძინეთ, რომ სამყაროსთვის არ შეგვიხედავს. სამყაროს რომელიმე შემთხვევით თვისებაზე რომ ყოფილიყო ის დამოკიდებული, როგორ შეძლებდით მის ცოდნას ნახვის გარეშე? შეიძლება აქტუალური სამყარო იყოს შესაძლო სამყაროებიდან ერთ-ერთი ისეთი, რომელშიც ის მცდარია. ეს დამოკიდებულია თეზისზე, რომლის თანახმადაც შეუძლებელია აქტუალური სამყაროს შესახებ რაიმეს ცოდნა ნახვის გარეშე, თუკი ამავე დროს ეს არ იქნება იმავე ვითარების ცოდნა ყველა შესაძლო სამყაროს შესახებ. ეს თეზისი ეხება ეპისტემოლოგიისა და ცოდნის ბუნების პრობლემებს; და, რასაკვირველია, ასე ჩამოყალიბებული, ის ძალიან ბუნდოვანია. მაგრამ არც ის არის ნამდვილად ტრივიალური. აუცილებელი და არააპრიორული ან აპრიორული და არააუცილებელი ვითარებების ნებისმიერი კონკრეტული მაგალითის ჩვენებაზე უფრო მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ ეს ცნებები სხვადასხვაა, რომ ტრივიალური არ არის იმის მტკიცება, რომ რაღაც არ არის აუცილებელი ჭეშმარიტება, იმის საფუძველზე, რომ მისი ცოდნა მხოლოდ აპოსტერიორულადაა შესაძლებელი. არ არის ტრივიალური, რომ უბრალოდ იმიტომ, რომ რაღაც ცნობილია რაღაც აზრით აპრიორულად, ის აუცილებელი ჭეშმარიტებაა.

კიდევ ერთი სიტყვა, რომელსაც ფილოსოფიაში ვიყენებთ, არის „ანალიზური“. ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა არ ექნება მის ნათელყოფას ამ ლექციის მსვლელობაში. ანალიზური დებულებების დღეს გავრცელებული მაგალითები წინადადების – „ბაკალავრები უცოლოები არიან“ – მსგავსია. კანტი (ვილჰელმ ახლახან მიმამქცევინა ამისთვის ყურადღება) მაგალითად გვაძლევს წინადადებას „ოქრო ყვითელი ლითონია“, რომელიც მე უცნაურ მაგალითად მეჩვენება, რადგან ეს ისეთი რამ არის, რაც შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სტიპულაციურად მივიღოთ, რომ ანალიზური დებულება, გარკვეული აზრით, ჭეშმარიტია მისი მნიშვნელობის ძალით და ყველა შესაძლო სამყაროში ჭეშმარიტია მისი მნიშვნელობის ძალით. მაშინ ის, რაც ანალიზურად ჭეშმარიტია, იქნება აუცილებელიც და აპრიორულიც (ეს თავისებური სტიპულაციაა).

კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც ვახსენე, არის უტყუარობა. რაც არ უნდა იყოს უტყუარობა, აშკარად არ არის თავისთავად ცხადი ის, რომ ყველაფერი, რაც აუცილებელია, უტყუარია. უტყუარობა კიდევ ერთი ეპისტემოლოგიური ცნებაა. რაღაც შეიძლება აპრიორულად ვიცოდეთ, ან, სულ მცირე, რაციონალურად გვჯეროდეს ისე, რომ არ იყოს მთლად უტყუარი. თქვენ წაიკითხეთ დამტკიცება მათემატიკის წიგნში; და, თუმცა თქვენ ის სწორად მიგაჩნიათ, შეიძლება შეგშლოდათ. თქვენ ხომ ხშირად უშვებთ ამ სახის შეცდომებს. შეიძლება შეცდომა დაგეშვათ გამოთვლებში.

კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო შესავლის სახით. ზოგიერთი ფილოსოფოსი ერთმანეთისგან განასხვავებდა ესენციალიზმს, ანუ *de re* მოძალობის რწმენას, და უბრალოდ აუცილებლობის დაშვებას, ანუ *de dicto** აუცილებლობის რწმენას. ზოგიერთი ამბობს: კეთილი, დაგვიტომა თქვენთვის აუცილებლობის ცნება.¹¹

11 სხვათა შორის, ფილოსოფიაში ფართოდ გავრცელებულ დამოკიდებულებას გამოხატავს მოსაზრება, რომ არ უნდა შემოვიტანოთ ცნება, სანამ მას მკაცრად არ განვსაზღვრავთ (სიმკაცრის რაღაც პოპულარული

ბევრად უფრო უარესი, ის, რაც ბევრ ზედმეტ პრობლემას ქმნის, არის კითხვა იმის შესახებ, შეგვიძლია თუ არა რომელიმე კონკრეტულ საგანზე ვთქვათ, რომ მას აუცილებელი ან შემთხვევითი თვისებები აქვს, ან თუნდაც განვასხვავოთ ერთმანეთისგან აუცილებელი და შემთხვევითი თვისებები. მხოლოდ დებულება ან საგნობრივი ვითარება შეიძლება იყოს აუცილებელი ან შემთხვევითი! ხოლო ცალკეულ საგანს გარკვეული თვისება აუცილებლად აქვს თუ შემთხვევითად, დამოკიდებულია მისი აღწერის წესზე. ეს ალბათ მჭიდრო კავშირშია თვალსაზრისთან, რომ ცალკეულ საგნებზე ვრეფერირებთ დესკრიფციების მეშვეობით. როგორია ქუაინის ცნობილი მაგალითი? თუ განვიხილავთ რიცხვს 9, აქვს მას აუცილებელი კენტობის თვისება? უნდა იყოს ეს რიცხვი ყველა შესაძლო სამყაროში კენტი? უდავოდ ყველა შესაძლო სამყაროში ჭეშმარიტია, რომ, ცხრა კენტია, ასე ვთქვათ, სხვანაირად ვერ იქნებოდა. რა თქმა უნდა, 9 შეგვეძლო ასევე გამოგვეყო, როგორც პლანეტების რაოდენობა. არ არის აუცილებელი, არ არის ყველა შესაძლო სამყაროში ჭეშმარიტი, რომ პლანეტების რაოდენობა კენტია. მაგალითად, რვა პლანეტა რომ ყოფილიყო, პლანეტების რაოდენობა არ იქნებოდა კენტი. მსგავსადვე ფიქრობენ: აუცილებელი იყო თუ შემთხვევითი, რომ ნიქსონმა არჩევნებში გაიმარჯვა? (შეიძლება ეს შემთხვევითად მოგვეჩვენოს, თუკი არ ვიზი-

გაგებით). აქ მე მხოლოდ ინტუიციურ გაგებას ვეხები და ინტუიციური გაგების დონეზე დავრჩები. ანუ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაღაც ვითარებები, თუმცა ისინი ფაქტობრივად სრულდება, შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. შეიძლებოდა ეს ლექცია დღეს არ ჩამეტარებინა. თუ ეს სწორია, მაშინ შესაძლებელია, რომ მე ეს ლექცია დღეს არ ჩამეტარებინა. სულ სხვა შეკითხვაა ეპისტემოლოგიური შეკითხვა იმის შესახებ, თუ საიდან იცის რომელიმე ადამიანმა, რომ მე დღეს ეს ლექცია ჩავატარე. მე ვგულისხმობ, რომ ამ შემთხვევაში მან ეს აპოსტერიორულად იცის. მაგრამ თუკი ვინმე დაიბადებოდა თანშობილი რწმენით, რომ მე დღეს ამ ლექციას ჩავატარებდი? ვინ იცის? ჯერ-ჯერობით მაინც დავუშვათ, რომ ეს ადამიანებმა აპოსტერიორულად იციან. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ორი შეკითხვა სხვადასხვაა.

არებთ გარდაუვალი პროცესების შესახებ რაღაც თვალსაზრისს.) მაგრამ ეს ნიქსონის შემთხვევითი თვისებაა მხოლოდ მასზე, როგორც ნიქსონზე, რეფერირებასთან მიმართებაში (თუკი ვუშვებთ, რომ „ნიქსონი“ არ ნიშნავს „ის, ვინც არჩევნებში გაიმარჯვა ამა და ამ დროს“). ხოლო თუ ნიქსონზე რეფერირებისთვის ვიყენებთ ფრაზას „ის, ვინც არჩევნებში გაიმარჯვა 1968 წელს“, მაშინ, რა თქმა უნდა, აუცილებელი ჭეშმარიტება იქნება, რომ მან, ვინც არჩევნებში გაიმარჯვა 1968 წელს, არჩევნებში გაიმარჯვა 1968 წელს. ამის მსგავსად, აქვს თუ არა მოცემულ ობიექტს მოცემული თვისება ყველა შესაძლო სამყაროში, დამოკიდებულია არა მხოლოდ თვითონ ამ ობიექტზე, არამედ იმაზე, თუ როგორ არის ის აღწერილი. სწორედ ასე მსჯელობენ.

ლიტერატურაში იმ აზრსაც კი შევხვდებით, რომ, თუმცა აუცილებლობის ცნებას შეიძლება ზურგს უმაგრებდეს გარკვეული ინტუიცია (ჩვენ მართლაც ვფიქრობთ, რომ რაღაც საგნები სხვანაირი შეიძლება ყოფილიყო; სხვა საგნებზე კი არ ვფიქრობთ, რომ სხვანაირი შეიძლება ყოფილიყო), ეს იდეა [აუცილებელი და შემთხვევითი თვისებების განსხვავების შესახებ] უბრალოდ რომელიღაც ცუდი ფილოსოფოსის მიერ გამოგონილი მოძღვრებაა, რომელიც (როგორც ჩანს) ვერ ხვდებოდა, რომ ერთსა და იმავე საგანზე რეფერირების რამდენიმე ხერხი არსებობს. მე არ ვიცი, ზოგიერთი ფილოსოფოსი თუ მართლა ვერ ხვდებოდა ამას; მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სიმართლისგან ძალიან შორს არის აზრი, რომ ეს იდეა [რომ რომელიმე თვისება შეიძლება აზრიანად მიიჩნეოდეს საგნისათვის არსებითად ან შემთხვევითად მისი აღწერისაგან დამოუკიდებლად] დაცლილია ინტუიციური შინაარსისგან, რომ ის არაფერს ნიშნავს ჩვეულებრივი ადამიანისათვის. დავუშვათ, ვინმე ნიქსონზე მიგვითითებს და თან ამბობს: «ეს არის კაცი, რომელიც შეიძლება დამარცხებულიყო». ვიღაც სხვა პასუხობს: «ო, არა, თუ შენ მას აღწერ, როგორც „ნიქსონს“, მაშინ ის შეიძლება დამარცხებულიყო; მაგრამ, რასაკვირველია, თუ მას

აღწერ, როგორც გამარჯვებულს, მაშინ არ არის მართალი, რომ ის შეიძლება დამარცხებულიყო». ამათგან რომელია ფილოსოფოსი, არანტიუციური ადამიანი? მე აშკარად მეჩვენება, რომ ფილოსოფოსი მეორეა. მეორეს აქვს ფილოსოფიური თეორია. პირველი იტყოდა, და დიდი დარწმუნებითაც: „კეთილი, რასაკვირველია, არჩევნებში გამარჯვებული შეიძლება ვინმე სხვა ყოფილიყო. რეალური გამარჯვებული, კამპანია რომ სხვაგვარად წარმართულიყო, შეიძლება ყოფილიყო დამარცხებული, ხოლო ვიღაც სხვა – გამარჯვებული; ან შეიძლება არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულიყო. ასე რომ, ისეთი სიტყვები, როგორიცაა „გამარჯვებული“ ან „დამარცხებული“, არ აღნიშნავს ერთსა და იმავე ობიექტს ყველა შესაძლო სამყაროში. მეორე მხრივ, „ნიქსონი“ უბრალოდ ამ კაცის სახელია. როცა სვამთ შეკითხვას, აუცილებელი იყო თუ შემთხვევითი ის, რომ ნიქსონმა გაიმარჯვა არჩევნებში, თქვენ სვამთ ინტიუციურ შეკითხვას იმის შესახებ, რომელიმე კონტრაქტობრივ სიტუაციაში ეს კაცი რეალურად თუ დამარცხდებოდა არჩევნებში. თუ ვინმე ფიქრობს, რომ აუცილებელი ან შემთხვევითი თვისების იდეა (დაივიწყეთ შეკითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა არატრივიალური აუცილებელი თვისებები [და დაფიქრდით] მხოლოდ ამ იდეის აზრიანობაზე¹²) არის

12 მაგალითი, რომელიც მე შემოგთავაზებთ, ამტკიცებს, რომ გარკვეული თვისება – არჩევნებში გამარჯვება – ნიქსონისთვის შემთხვევითია იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ არის ის აღწერილი. რა თქმა უნდა, თუკი შემთხვევითი თვისების ცნება აზრიანია, არსებითი თვისების ცნებაც აზრიანი უნდა იყოს. ეს არ ნიშნავს მტკიცებას, რომ არსებობს არსებითი თვისებები – თუმცა, ფაქტობრივად, მე ვფიქრობ, რომ ისინი არსებობს. ჩვეულებრივ, კითხვის ქვეშ აყენებენ ესენციალიზმის აზრიანობას და ამტკიცებენ, რომ ობიექტის აღწერის წესზე დამოკიდებული, შემთხვევითია თუ არსებითი მისთვის მოცემული თვისება. ამდენად, ეს არ არის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ყველა თვისება შემთხვევითია. რასაკვირველია, ეს არ არის არც ზოგიერთი იდეალისტის მიერ აღიარებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ყველა თვისება არსებითია და ყველა მიმართება შინაგანია.

ფილოსოფოსის ინტუიციური შინაარსისაგან დაცლილი იდეა, ის ცდება. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ის ამბავი, აქვს თუ არა რამეს ინტუიციური შინაარსი, სრულიად არასაკმარისი საბუთია ამ რამის სასარგებლოდ. მე თვითონ კი ვფიქრობ, რომ ეს ძალიან ძლიერი საბუთია ნებისმიერი რამის სასარგებლოდ. მე მართლა არ ვიცი, გარკვეული აზრით, რა სახის შეიძლება იყოს, საბოლოო ჯამში, უფრო მეტად საკმარისი საბუთები რომელიმე საკითხის შესახებ. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ვინც ფიქრობს, რომ შემთხვევითი თვისების იდეა არაინტუიციურია, მას, ჩემი აზრით, უკუღმართი ინტუიცია აქვს.

რატომ ფიქრობდნენ ასე? მართლაც, ამგვარად ფიქრისთვის მრავალი მოტივაცია არსებობს. ერთ-ერთი მათგანი შემდეგია: ე.წ. არსებითი თვისებების საკითხი მიიჩნევა ეკვივალენტურად (და არის კიდევ ეკვივალენტური) საკითხისა „შესაძლო სამყაროებს შორის იგივეობის“ შესახებ. დაფუძვით, ჩვენ გვყავს ვიღაც, მაგალითად, ნიქსონი, და არსებობს სხვა შესაძლო სამყარო, რომელშიც არავინაა ისეთი, ვისაც ყველა ის თვისება აქვს, რომელიც ნიქსონს აქტუალურ სამყაროში აქვს. ამ სხვა ადამიანებიდან რომელია, თუკი ასეთი საერთოდ არის, ნიქსონი? ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა მოგვცეთ იგივეობის რაიმე კრიტერიუმი! თუ გაქვთ იგივეობის კრიტერიუმი, მაშინ უბრალოდ ხედავთ სხვა შესაძლო სამყაროებში ადამიანს, რომელიც არის ნიქსონი; ხოლო საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ნიქსონს გარკვეული თვისებები მოცემულ სხვა შესაძლო სამყაროში, მკაფიოდაა განსაზღვრული. იგულისხმება, რომ ასევე მკაფიოდაა განსაზღვრული, ამ ცნებების თვალსაზრისით, საკითხი იმის შესახებ, არის ყველა შესაძლო სამყაროში ჭეშმარიტი ის, რომ ნიქსონმა გაიმარჯვა არჩევნებში, თუ არსებობს შესაძლო სამყაროები, რომლებშიც ნიქსონს არჩევნებში არ გაუმარჯვია. თუმცა, ამბობენ, რომ ასეთი კრიტერიუმების მოცემა ძალიან ძნელი პრობლემაა. ზოგჯერ, რიცხვების შემთხვევაში, ის შეიძლება უფრო იოლი ჩანდეს (მაგრამ აქაც კი ამტ-

კიცებენ, რომ საკითხის გადაწყვეტა სრულებით თვითნებურია). მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, და უდავოდ ჭეშმარიტებაა, რომ თუკი რიცხვ 9-ს იმად, რაც ის არის, რიცხვების მიმდევრობაში მისი ადგილი აქცევს, მაშინ, თუკი (სხვა სამყაროში) პლანეტების რიცხვი 8 იქნებოდა, ეს რიცხვი იმისგან განსხვავებული იქნებოდა, რაც ის რეალურად არის. თქვენ ხომ არ იტყვით, რომ მაშინ ეს რიცხვი უნდა გავუიგივოთ ამ სამყაროში ჩვენს რიცხვ 9-ს? ხოლო სხვა ტიპის ობიექტების, მაგალითად, ადამიანების, მატერიალური ობიექტებისა და მსგავსი საგნების შემთხვევაში, განა ვინმეს მოუცია განსხვავებულ შესაძლო სამყაროებში იგივეობის აუცილებელი და საკმარისი პირობების ერთობლიობა?

სინამდვილეში, იგივეობისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების ადეკვატური ჯგუფი, რომლებიც წრიული არ არის, ყველა შემთხვევაში ძალიან იშვიათია. სიმართლე რომ ვთქვა, მათემატიკა ჩემთვის რეალურად ცნობილი ერთადერთი შემთხვევაა, რომელშიც ასეთი პირობები მოცემულია თუნდაც ერთი შესაძლო სამყაროს ფარგლებში. ჩემთვის ცნობილი არ არის ასეთი პირობები მატერიალური ობიექტების ან ადამიანების იგივეობისთვის დროის სხვადასხვა მომენტში. ყველამ იცის, თუ რაოდენ დიდი პრობლემაა ეს. მაგრამ შევეშვათ მას. უფრო მიუღებლად მე ის მეჩვენება, რომ მთელი ეს ბჭობა დამოკიდებულია არასწორ გაგებაზე იმისა, თუ რა არის შესაძლო სამყარო. ამ სურათში შესაძლო სამყარო ისეა გაგებული, თითქოს უცხო ქვეყანა იყოს. მას უყურებენ, როგორც დამკვირვებლები. შეიძლება ნიქსონი გადასახლდა სხვა ქვეყანაში და შეიძლება არა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ თვისებები მოგვეცემა. შეგვიძლია დავაკვირდეთ მის ყველა თვისებას, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ დავაკვირდებით იმას, რომ ვიდაც არის ნიქსონი. ვაკვირდებით იმას, რომ რალაცას აქვს წითელი (ან მწვანე, ან ყვითელი) თმა, მაგრამ არა იმას, რომ რალაც არის ნიქსონი. ასე რომ, უმჯობესია, თვისებების მიხედვით შეგვეძლოს ადრე უკვე ნანახი საგნის ცნობა მასთან ხელახლა

შეხვედრისას; უმჯობესია, როდესაც ამ სხვა შესაძლო სამყაროებიდან რომელიმეში მოხვდებით, შეგვეძლოს იმის თქმა, თუ ვინ არის აქ ნიქსონი.

შეიძლება, ზოგიერთი ლოგიკოსი ამ სურათის მიღებას წაახალისებს მოდალური ლოგიკის ფორმალურად განხილვისას. შეიძლება, მე თვითონაც ვარ ამის თვალსაჩინო მაგალითი. ამის მიუხედავად, თუ ინტუიციურად ვილაპარაკებთ, მე მეჩვენება, რომ ეს არ არის შესაძლო სამყაროებზე ფიქრის სწორი ყაიდა. შესაძლო სამყარო არ არის შორეული ქვეყანა, რომელსაც გადავეყრებით ან ტელესკოპით დავათვალიერებთ. ზოგადად თუ ვიტყვით, სხვა შესაძლო სამყარო ძალიან შორსაა. სინათლეზე უფრო სწრაფადაც რომ ვიმოგზაუროთ, იქამდე მაინც ვერ მივალწევთ. შესაძლო სამყარო *მოცემულია იმ დესკრიფციული პირობებით, რომლებსაც ჩვენ მას ვუკავშირებთ*. რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ: „რომელიღაც სხვა შესაძლო სამყაროში დღეს მე ამ ლექციას არ ჩავატარებდი“? ჩვენ უბრალოდ წარმოვიდგინთ სიტუაციას, რომელშიც მე გადავწყვიტე, ლექცია არ ჩამეტარებინა, ან მისი რომელიმე სხვა დღეს ჩატარება გადავწყვიტე. რასაკვირველია, ჩვენ წარმოვიდგინთ არა ყველაფერს, რაც ჭეშმარიტია ან მცდარია, არამედ მხოლოდ იმ ვითარებებს, რომლებიც რელევანტურია ჩემ მიერ ამ ლექციის ჩატარებისთვის; თუმცა, თეორიულად, ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს, რათა სამყაროს ტოტალური აღწერა გვექონდეს. ჩვენ, რეალურად, ვერ შევძლებთ მის სრულად წარმოდგენას; მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია ის წარმოვიდგინოთ. მოკლედ, ეს არის „შესაძლო სამყარო“. რატომ არ შეიძლება შესაძლო სამყაროს აღწერის ნაწილი იყოს ის, რომ ის შეიცავს ნიქსონს და ამ სამყაროში ნიქსონმა არჩევნებში ვერ გაიმარჯვა? რასაკვირველია, შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი ასეთი სამყარო (აქ ისე ჩანს, *prima facie*, რომ ეს აშკარად შესაძლებელია). მაგრამ, თუკი ვხედავთ, რომ ასეთი სიტუაცია შესაძლებელია, მაშინ მოცემული გვაქვს, რომ ადამი-

ანი, რომელიც ამ შესაძლო სამყაროში შეიძლება არჩევნებში დამარცხებულიყო, ან დამარცხდა კიდევ არჩევნებში, არის ნიქსონი, რადგან ეს ამ სამყაროს აღწერის ნაწილია. „შესაძლო სამყაროებს“ სტიპულაციით ვიღებთ; მძლავრი ტელესკოპებით როდი აღმოვაჩინებთ მათ. არ არსებობს იმის მიზეზი, რომ ვერ შევძლოთ სტიპულაციით მივიღოთ, რომ იმაზე ლაპარაკისას, თუ რა შეემთხვეოდა ნიქსონს გარკვეულ კონტრაფაქტობრივ სიტუაციაში, ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა შეემთხვეოდა სწორედ მას.

რა თქმა უნდა, თუ ვინმე დააყენებს მოთხოვნას, რომ ყველა შესაძლო სამყარო წმინდად თვისებრივად აღიწეროს, ჩვენ ვერ ვიტყვით: „დავუშვათ, ნიქსონი დამარცხდა არჩევნებში“ ამის ნაცვლად, უნდა ვთქვათ ამგვარი რამ: „დავუშვათ, ადამიანი, რომელსაც ჰყავს ძაღლი, სახელად ჩეკერსი, და რომელიც დევიდ ფრანის მიერ განსახიერებულ ერთ-ერთ პერსონაჟს ჰგავს, არსებობს გარკვეულ შესაძლო სამყაროში და მარცხდება არჩევნებში“. კეთილი. მაგრამ ჰგავს კი ის ნიქსონს საკმარისად, რათა მას გავუიგივოთ? ამ მიდგომის ძალიან ექსპლიციტური და აშკარა მაგალითია დევიდ ლუისის ორეულების თეორია,^{*13} მაგრამ ასეთებით პირამდეა

13 David K. Lewis, “Counterpart Theory and Quantified Modal Logic”, *Journal of Philosophy* 65 (1968), გვ. 113-126. ლუისის ამ ელევანტური სტატიის ერთ-ერთი ხარვეზია წმინდად ფორმალური სიძნელე: კვანტორების მოქმედების არეში შემავალი მოდალობის მისეული ინტერპრეტაციის მიხედვით, ცნობილი კანონი – $(y)((x)A(x) \supset A(y))$ – ძალაში არ არის, თუ დაშვებულია, რომ $A(x)$ შეიცავდეს მოდალურ ოპერატორებს (მაგალითად, $(\exists y)((x)\neg(x=y))$ შესრულებადია, ხოლო $(\exists y)\neg(y \neq x)$ – არა). ვინაიდან ლუისის ფორმალური მოდელი საკმაოდ ბუნებრივად გამომდინარეობს მისი ფილოსოფიური შეხედულებებიდან ორეულების შესახებ და, ამასთან, ინტუიციურად ძალიან უცნაური იქნებოდა, მოდალურ თვისებებზე უნივერსალური წინადადების ინსტანციაციის კანონი** რომ არ ვრცელდებოდეს, მე მეჩვენება, რომ ეს ფაქტი დამატებითი არგუმენტია მისი ფილოსოფიური შეხედულებების წინააღმდეგ. მას სხვა, ნაკლებად სერიოზული ფორმალური სიძნელებიც აქვს. აქ მათზე ვეღარ შევჩერდები.

მკაცრად თუ ვიტყვით, ლუისის თვალსაზრისი არ არის თვალსაზრისი „სამყაროებს შორის იდენტიფიკაციის“ შესახებ. ამის ნაცვლად, ის ფიქ-

სავსე ლიტერატურაც კვანტორების მოქმედების არეში შემავალი მოდალობის შესახებ.¹⁴ რისთვის გვჭირდება ამ მოთხოვნის დაყენება? ეს არ არის წესი, რომლითაც ჩვეულებრივ ვფიქრობთ კონტრაქტობრივ სიტუაციებზე. ჩვენ უბრალოდ ვამბობთ: „ეთქვათ, ეს ადამიანი დამარცხებულიყო.“ *მოცემულია*, რომ ეს შესაძლო სამყარო შეიცავს ამ ადამიანს, და რომ ამ სამყაროში ის დამარცხდა.

რობს, რომ შესაძლო სამყაროებში მსგავსებები განსაზღვრავს ორეულობის მიმართებას, რომელიც არც აუცილებლად სიმეტრიულია და არც აუცილებლად ტრანზიტული. საგნის ორეული სხვა სამყაროში არასოდეს არ არის თავად ამ საგნის იდენტური. ასე რომ, თუ ვამბობთ, რომ ჰამფრის შეიძლება გადამარჯვა არჩევნებში (ის რომ ასე და ასე მოქცეულიყო), ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმაზე, რაც ჰამფრის შეიძლებოდა შემთხვეოდა, არამედ იმაზე, რაც ვილაც სხვას, მის „ორეულს“ შეიძლებოდა შემთხვეოდა. მაგრამ, სავარაუდოდ, ჰამფრის სულ არ აინტერესებს, გაიმარჯვებდა თუ არა ვილაც სხვა – რაგინდ მისი მსგავსიც არ უნდა ყოფილიყო – სხვა შესაძლო სამყაროში. ამდენად, ლუისის თვალსაზრისი მე კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება, ვიდრე ჩვეულებრივი იდეები სამყაროთა შორის იგივეობის შესახებ, რომელთა შემცვლელადაც ის არის ჩაფიქრებული. თუმცა, არსებითი პრობლემები ორივე თვალსაზრისს საერთო აქვს. ესენია: დაშვება, რომ სხვა სამყაროები უფრო სრული უნივერსუმის სხვა განზომილებების მსგავსია; რომ ისინი მხოლოდ წმინდად თვისებრივი დესკრიფციებით შეიძლება იყოს მოცემული; და რომ, შესაბამისად, თვისებრივი მსგავსების საფუძველზე უნდა დადგინდეს იგივეობის მიმართება ან ორეულობის მიმართება.

ბევრისგან მსმენია, რომ ორეულების თეორიის მამა, ალბათ, ლაიბნიცი. ამ ისტორიულ საკითხს აქ არ ჩავუღრმავდები. საინტერესო იქნებოდა ლუისის შეხედულებების შედარება კვანტური მექანიკის ვილერ-ვერეტისეულ ინტერპრეტაციასთანაც. ვფიქრობ, რომ ფიზიკის ამ გაგებას შეიძლება ჰქონდეს ორეულების ლუისისეული თეორიის ანალოგიური ფილოსოფიური პრობლემები; ის უდავოდ ძალიან ჰგავს მას სულსკვეთებით.

14 კიდევ ერთი *locus classicus* იმ თვალსაზრისისა, რომელსაც მე ვაკრიტიკებ, მეტი ფილოსოფიური ახსნა-განმარტებით, ვიდრე ლუისის სტატიაშია მოცემული, არის დევიდ კაპლანის წერილი სამყაროთა შორის იგივეობაზე. სამწუხაროდ, ეს წერილი არასოდეს გამოქვეყნებულა. ის არ ასახავს კაპლანის ამჟამინდელ თვალსაზრისს.

შეიძლება არსებობდეს პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულება აქვს შესაძლებლობის შესახებ ინტუიციებს. მაგრამ თუკი ჩვენ გვაქვს ასეთი ინტუიცია ამის (არჩევნებში ამ კაცის დამარცხების) შესაძლებლობის შესახებ, მაშინ ის ეხება ამის შესაძლებლობას. ის არ უნდა გაუიგივდეს ასეთი და ასეთი გარეგნობის, ან ასეთი და ასეთი პოლიტიკური შეხედულებების მქონე, ან სხვაგვარი თვისებრივი დახასიათებით მოცემული კაცის დამარცხების შესაძლებლობას. ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ ამ კაცზე და დავსვათ კითხვა იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა შემთხვევოდა მას, მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულყო.

შეიძლება თქვან: „დავუშვათ, მართალი ხართ. ეს მაინც იმავე ადგილას მიგვიყვანს, რადგან საკითხი იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ნიქსონს ჰქონოდა გარკვეული, მისი რეალური თვისებებისაგან განსხვავებული, თვისებები, ეკვივალენტურია საკითხისა იმის შესახებ, შესაძლო სამყაროებს შორის იგივეობის კრიტერიუმები გულისხმობს თუ არა იმას, რომ ნიქსონს ეს თვისებები არ აქვს.“ მაგრამ, სინამდვილეში, პირველი საკითხი არ დაიყვანება მეორეზე, ვინაიდან სამყაროებს შორის იგივეობის კრიტერიუმის ჩვეულებრივი გაგება მოითხოვს ვინმეს ნიქსონად ყოფნის აუცილებელი და საკმარისი პირობების წმინდად თვისებრივად ჩამოყალიბებას. თუ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შესაძლო სამყარო, რომელშიც ნიქსონს არ აქვს გარკვეული თვისება, მაშინ ეს თვისება ვინმეს ნიქსონად ყოფნის აუცილებელი პირობაა. ანუ, ნიქსონის აუცილებელი თვისებაა, რომ მას ეს თვისება აქვს. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ ნიქსონი ფაქტობრივად ადამიანია, მაშინ, როგორც ჩანს, ვერ მოვიზარებთ შესაძლო კონტრაფაქტობრივ სიტუაციას, რომელშიც ის, ვთქვათ, უსულო ობიექტია; ალბათ, ისიც კი არ არის შესაძლებელი, რომ ის ადამიანი არ იყოს. ამრიგად, ნიქსონის შესახებ აუცილებელი ფაქტი უნდა იყოს ის, რომ ყველა შესაძლო სამყაროში, რომელშიც ის საერთოდ არსებობს, ის ადამიანია ან, ნებისმიერ შემთხვევაში, უსულო ობიექტი არ

არის. ეს არავითარ კავშირში არ არის მოთხოვნასთან, რომ არსებობდეს ნიქსონობის წმინდად თვისებრივი *საკმარისი* პირობები, რომელთა გაწერაც შეგვიძლია. და განა უნდა არსებობდეს ისინი? შეიძლება არის რაღაც არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ასეთი პირობები უნდა არსებობდეს, თუმცა, აუცილებელი პირობების შესახებ ეს საკითხები შეგვიძლია განვიხილოთ *საკმარისი* პირობების შესახებ საკითხზე შეჩერების გარეშე. მეტიც: რომც არსებობდეს ნიქსონად ყოფნის აუცილებელი და *საკმარისი* პირობების წმინდად თვისებრივი ჯგუფი, თვალსაზრისი, რომელსაც მე ვიცავ, არ მოითხოვს, რომ ჩვენ ეს პირობები ვიპოვოთ *მანამდე*, *სანამ* შევძლებთ დავსვათ კითხვა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ნიქსონს არჩევნებში გაემარჯვა, და არ მოითხოვს არც იმას, რომ შეკითხვა ასეთი პირობების ტერმინებით ჩამოვაცალიბოთ. შეგვიძლია, უბრალოდ განვიხილოთ *ნიქსონი* და ვიკითხოთ, რა შეიძლებოდა შემთხვევოდა *მას*, თუ სხვადასხვა გარემოება სხვანაირი იქნებოდა. ამრიგად, ეს ორი თვალსაზრისი, საგნების დანახვის ეს ორი გზა, როგორც მე მეჩვენება, თავისი შედეგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ყურადღება მიაქციეთ შემდეგს: შეკითხვა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა, რომ ნიქსონი ადამიანი არ ყოფილიყო, არის ნათელი ნიმუში იმისა, რომ დასმული კითხვა არ არის ეპისტემოლოგიური. დავუშვათ, რომ ნიქსონი სინამდვილეში ავტომატი აღმოჩნდა. ეს მართლა შეიძლება მოხდეს. ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს საბუთები იმის გასარკვევად, ადამიანია თუ ავტომატი ნიქსონი. მაგრამ ეს შეკითხვა ეხება ჩვენს ცოდნას. შეკითხვა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ნიქსონი არ ყოფილიყო ადამიანი, თუკი მოცემულია, რომ ის ადამიანია, არ არის შეკითხვა ცოდნის შესახებ, აპოსტერიორული იქნება ის თუ აპრიორული. ეს არის შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ესა და ეს ვითარებებია განხორციელებული, სხვა ვითარებები განხორციელდებოდა.

ეს მაგიდა მოლექულებისაგან შედგება. განა შეიძლება, ის მოლექულებისაგან არ შედგებოდეს? რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის მეცნიერული აღმოჩენა იყო, რომ ის მოლექულებისაგან (ან ატომებისაგან) შედგება. მაგრამ განა შეიძლება, რაიმე იყოს სწორედ ეს საგანი და არ შედგებოდეს მოლექულებისგან? უდავოდ არსებობს რაღაც შეგრძნება, რომ ამ კითხვაზე პასუხი „არა“ უნდა იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რა გარემოებებში გექნებოდათ სწორედ ეს საგანი და თან აღმოაჩინდით, რომ ის მოლექულებისგან არ შედგება. სულ სხვა საკითხია, მართლა შედგება თუ არა ის მოლექულებისგან აქტუალურ სამყაროში და საიდან ვიცით ეს ჩვენ (საგნის არსების შესახებ ამ საკითხებს უფრო დეტალურად მოგვიანებით განვიხილავ).

ამ ეტაპზე მინდა შემოვიტანო ის, რაც საჭიროა სახელების იმ თეორიის განხილვის მეთოდოლოგიისთვის, რომელზეც ვლაპარაკობ. გვჭირდება „შესაძლო სამყაროებს შორის იგივეობის“ ცნება, როგორც მას ჩვეულებრივ და, ჩემი აზრით, რამდენადმე შემაცდენლად უწოდებენ,¹⁵ რათა ავხსნა ერთი განსხვავება, რომლის გამოკვეთაც მინდა. რა განსხვავებაა ორ შეკითხვას შორის: ერთი

15 შემაცდენლად, რადგან ეს ფრაზა გვაფიქრებინებს, თითქოს არსებობს „სამყაროთა შორის იგივეობის“ განსაკუთრებული პრობლემა, თითქოს არ შეგვიძლია, ტრივიალურად გავაკეთოთ სტიპულაცია, თუ ვისზე ან რაზე ვლაპარაკობთ, როცა სხვა შესაძლო სამყაროს წარმოვიდგენთ. ტერმინი „შესაძლო სამყარო“ შეიძლება ასევე შემაცდენელი იყოს; შეიძლება ის გვკარნახობდეს „უცხო ქვეყნის“ სურათს. ამ ტექსტში მე ზოგჯერ ვიყენებდი „კონტრფაქტობრივ სიტუაციას“; მაიქლ სლოუტმა ივარაუდა, რომ „სამყაროს შესაძლო მდგომარეობა (ან ისტორია)“ შეიძლება ნაკლებად შემაცდენელი ყოფილიყო, ვიდრე „შესაძლო სამყარო“. კიდევ უკეთესია, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, არ ვთქვათ, რომ „რომელიღაც შესაძლო სამყაროში ჰამფრი გაიმარჯვებდა“, არამედ უბრალოდ ვთქვათ, რომ „ჰამფრის შეიძლებოდა გაემარჯვა“. შესაძლო სამყაროების აპარატი (ვიმედოვნებ) ძალიან სასარგებლო იყო იმდენად, რამდენადაც საქმე კვანტორებისანი მოდალური ლოგიკის* სიმრავლეთათეორიულ მოდელების თეორიას ეხება, მაგრამ მან ხელი შეუწყო ფილოსოფიური ფსევდოპრობლემებისა და შეცდომაში შემყვანი სურათების გამრავლებას.

იმის შესახებ, არის თუ არა აუცილებელი, რომ 9 მეტია 7-ზე, ხოლო მეორე იმის შესახებ, არის თუ არა აუცილებელი, რომ პლანეტების რაოდენობა მეტია 7-ზე? რატომ აჩვენებს ერთი არსების შესახებ რაღაც უფრო მეტს, ვიდრე მეორე? ამაზე პასუხი ინტუიციურად ასეთი შეიძლება იყოს: „კეთილი, შეხედე, პლანეტების რაოდენობა შეიძლებოდა იმისგან განსხვავებული ყოფილიყო, რაც ის ფაქტობრივად არის. მაგრამ უაზრობაა იმის თქმა, რომ ცხრა შეიძლებოდა იმისგან განსხვავებული ყოფილიყო, რაც ის ფაქტობრივად არის.“ გამოვიყენოთ ზოგიერთი ტერმინი კვაზიტექნიკურად. ვუწოდოთ რაღაცას *ხისტი აღმნიშვნელი [rigid designator]*, თუ ყველა შესაძლო სამყაროში ის ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავს, ხოლო *არახისტი* ან *შემთხვევითი აღმნიშვნელი* – თუ ეს პირობა არ სრულდება. რასაკვირველია, არ მოვითხოვთ, რომ ობიექტები არსებობდეს ყველა შესაძლო სამყაროში. რა თქმა უნდა, ნიქსონს შეიძლებოდა არ ეარსება, მისი მშობლები, სხვა მხრივ ჩვეულებრივ ვითარებებში, რომ არ დაქორწინებულიყვნენ. როდესაც ამა თუ იმ თვისებას ობიექტისათვის არსებითად მივიჩნევთ, ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ, რომ ის *ჭეშმარიტია* ობიექტისათვის ყველა იმ შემთხვევაში, რომელშიც ის იარსებებდა. აუცილებლად არსებული ობიექტის ხისტი აღმნიშვნელს შეგვიძლია ვუწოდოთ *მკაცრად ხისტი*.

ერთ-ერთი ინტუიციური თეზისი, რომელსაც ამ ლექციებში მსვლელობაში დავიცავ, ის არის, რომ *სახელები* ხისტი აღმნიშვნელებია. უეჭველია, რომ ისინი აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ ინტუიციურ ტესტს: თუმცა აშშ-ის 1970 წლის პრეზიდენტისგან განსხვავებული ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო აშშ-ის პრეზიდენტი 1970 წელს (მაგალითად, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჰამფრი), ნიქსონის გარდა ვერავინ იქნებოდა ნიქსონი. იმავე წესით, აღმნიშვნელი ხისტად აღნიშნავს გარკვეულ ობიექტს, თუ ის აღნიშნავს ამ ობიექტს ყოველთვის, როცა ეს ობიექტი არსებობს; თუ, გარდა ამისა, ობიექტი აუცილებლად არსებულია, აღმნიშვნელს შეიძლება ეწოდოს *მკაცრად ხისტი*. მაგალითად, „აშშ-ის

პრეზიდენტი 1970 წელს“ აღნიშნავს გარკვეულ ადამიანს, ნიქსონს; მაგრამ შეიძლება ვიღაც სხვა (მაგალითად, ჰამფრი) ყოფილიყო პრეზიდენტი 1970 წელს, ხოლო ნიქსონი არ ყოფილიყო; ამდენად, ეს აღმნიშვნელი არ არის ხისტი.

ამ ლექციების მსვლელობაში მე ვამტკიცებ, ინტუიციურად, რომ საკუთარი სახელები ხისტი აღმნიშვნელებია, რადგან, თუმცა მართალია, რომ ეს ადამიანი (ნიქსონი) შეიძლება არ ყოფილიყო პრეზიდენტი, მაგრამ არ არის მართალი, რომ ის შეიძლება არ ყოფილიყო ნიქსონი (თუმცა მისი სახელი შეიძლება არ ყოფილიყო „ნიქსონი“). მან, ვინც ამტკიცებს, რომ იმისათვის, რომ აზრიანი იყოს ხისტი აღმნიშვნელის ცნება, წინასწარ უნდა გვეკონდეს გააზრებული „სამყაროებს შორის იგივეობის კრიტერიუმები“; პირდაპირ ადგილები შეუცვალა ეტლს და ცხენს; ვინაიდან შეგვიძლია (ხისტად) რეფერირება ნიქსონზე და სტიპულაციით ვიღებთ, რომ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა შეიძლება შემთხვევოდა მას (გარკვეულ გარემოებებში), სწორედ ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, „სამყართა შორის იგივეობები“ არ არის პრობლემური.¹⁶

კონტრაქტობრივი სიტუაციების წმინდად თვისებრივი აღწერების მოთხოვნის ტენდენციას ბევრი წყარო აქვს. ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, არის ეპისტემოლოგიურისა და მეტაფიზიკურის – აპრიორულობისა და აუცილებლობის – ერთმანეთში აღრევა. თუ ვინმე აუცილებლობას აპრიორულობასთან აიგივებს და ფიქრობს, რომ ობიექტების სახელდება უნიკალურად მაიდენტიფიცირებელი თვისებების მეშვეობით ხდება, მან შეიძლება იფიქროს, რომ სწორედ ობიექტის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული

16 რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ ენა ყველა ობიექტისათვის შეიცავს სახელს. ჩვენებითი ნაცვალსახელები შეიძლება გამოიყენებოდეს ხისტ აღმნიშვნელებად; ასევე, თავისუფალი ცვლადები შეიძლება გამოიყენებოდეს განუსაზღვრელი ობიექტების ხისტ აღმნიშვნელებად. რა თქმა უნდა, როცა კონტრაქტობრივ სიტუაციას მივუთითებთ, აღვწერთ არა მთელ შესაძლო სამყაროს, არამედ მის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც გვაინტერესებს.

თვისებები, რამდენადაც მათ შესახებ ცნობილია აპრიორულად, არის ის, რაც უნდა გამოიყენებოდეს მისი იდენტიფიკაციისთვის ყველა შესაძლო სამყაროში, იმის ამოსაცნობად, თუ რომელი ობიექტია ნიქსონი. ამის წინააღმდეგ ვიმეორებ: (1) საზოგადოდ, კონტრაფაქტობრივ სიტუაციაში საგნებს კი არ „ამოვიცნობთ“, არამედ სტიპულაციით ვიღებთ; (2) არ არის საჭირო, რომ შესაძლო სამყაროები წმინდად თვისებრივად იყოს მოცემული, თითქოს ჩვენ მათ ტელესკოპის მეშვეობით ვუყურებდეთ. და მალე დავინახავთ, რომ თვისებები, რომლებიც ობიექტს ყოველ კონტრაფაქტობრივ სამყაროში აქვს, არავითარ კავშირში არ არის თვისებებთან, რომლებიც აქტუალურ სამყაროში მისი იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება.¹⁷

არის „სამყაროებს შორის იგივეობის“ პრობლემა აზრიანი? თუ ის უბრალოდ ფსევდოპრობლემაა? მე მეჩვენება, რომ მის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ დებულება, რომ 1943 წელს ინგლისსა და გერმანიას შორის ომი იყო, არ დაიყვანება რომელიმე დებულებაზე ინდივიდების შესახებ, გარკვეული აზრით, მასში გამოთქმული ფაქტი მაინც არ არის რაღაც „უფრო მეტი“, ვიდრე ადამიანებისა და ისტორიის მსვლელობაში მათი ქცევის შესახებ ყველა ფაქტის ერთობლიობა. აზრი, რომლითაც სახელმწიფოების შესახებ ფაქტები არ არის „უფრო მეტი“, ვიდრე ფაქტები ადამიანების შესახებ, შეიძლება გამოიხატოს უენიშენით, რომ სამყაროს აღწერა, რომელიც შეიცავს ადამიანების შესახებ ყველა ფაქტს, მაგრამ არ შეიცავს ფაქტებს სახელმწიფოების შესახებ, შეიძლება იყოს სამყაროს სრული აღწერა, რომლიდანაც გამოიყვანება ფაქტები სახელმწიფოების შესახებ. ანალოგიურად, ალბათ, ფაქტები მატერიალური ობიექტების შესახებ არ არის „რაღაც მეტი“, ვიდრე ფაქტები მათი შემადგენელი მოლეკულების შესახებ. მაშინ, თუკი მოცემული გვაქვს არააქტუალიზებული შესაძლო სამყაროს აღწერა ადამიანების დონეზე,

17 იხილეთ ლექცია I, გვ. 53 (ნიქსონის შესახებ), და ლექცია II, გვ. 74-77.

შეიძლება ვიკითხოთ, კიდევ არსებობს თუ არა ინგლისი ამ სიტუაციაში, ანუ ინგლისია თუ არა გარკვეული სახელმწიფო (აღწერილი, ვთქვათ, როგორც სახელმწიფო, რომელშიც ცხოვრობს ვინმე ჯოუნსი), რომელიც იარსებებდა ამ სიტუაციაში. ანალოგიურად, თუ ცნობილია გარკვეული კონტრაქტობრივი ბედუკუღმართობები მოცემული T მაგიდის მოლეკულების ისტორიაში, შეიძლება ვიკითხოთ, იარსებებდა თუ არა T ამ სიტუაციაში, ანუ, მოლეკულების გარკვეული გროვა, რომელიც ამ სიტუაციაში რაღაც მაგიდას შეადგენს, შეადგენს თუ არა ზუსტად იმავე T მაგიდას. თითოეულ შემთხვევაში ვეძებთ სხვადასხვა შესაძლო სამყაროში გარკვეული ერთეული ობიექტის იგივეობის კრიტერიუმებს სხვა, უფრო „ბაზისური“ ერთეული ობიექტების მიხედვით. თუ დებულებები სახელმწიფოების (ან ტომების) შესახებ არ არის დაყვანადი დებულებებზე სხვა, უფრო „ბაზისური“ შემადგენელი ნაწილების შესახებ, თუკი არსებობს გარკვეული „თავისუფლება“ მათ შორის მიმართებაში, არ უნდა მოველოდეთ, რომ შევძლებთ მკაცრი და უგამონაკლისო იგივეობის კრიტერიუმების მოცემას; ამის მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება შეგვეძლოს პასუხის გაცემა კითხვაზე იმის შესახებ, მაინც შეადგენდა თუ არა მოლეკულების გარკვეული გროვა T მაგიდას, თუმცა კი ზოგიერთ შემთხვევაში პასუხი შეიძლება გაურკვეველი იყოს. ვფიქრობ, ანალოგიური შენიშვნები ძალაშია დროში იგივეობის პრობლემისთვისაც; აქაც, როგორც წესი, გვინტერესებს „კომპლექსური“ ერთეულის გარკვეულობა თუ იგივეობა უფრო „ბაზისურ“ ერთეულებთან მიმართებაში. (მაგალითად, თუ მაგიდის სხვადასხვა ნაწილს გამოვცვლით, იქნება ის იგივე ობიექტი?¹⁸)

18 ეს გარკვეულ ბუნდოვანებას შეიცავს. თუ მოცემული მაგიდის ანაქტრცლს ან მოლეკულას სხვა შეცვლიდა, ჩვენ დარწმუნებით ვიტყვით, რომ იგივე მაგიდა გვაქვს. მაგრამ თუ მისი ძალიან ბევრი ნაწილი შეიცვლებოდა, თითქოს სხვა მაგიდა გვექნებოდა. იგივე პრობლემა, რასაკვირველია, შეიძლება წამოიჭრას დროში იგივეობისათვის.

მაგრამ „სამყაროებს შორის იგივეობის“ ასეთი გაგება მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი გაგებისგან. ჯერ ერთი, მართალია, ჩვენ შეიძლება ვცადოთ სამყაროს აღწერა მოლექულების დონეზე, მაგრამ არაფერია არასწორი მის აღწერაში უფრო მსხვილი არსებების დონეზე: დებულება, რომ *ეს მაგიდა შეიძლება სხვა ოთახში ყოფილიყო მოთავსებული, სრულყოფილად წესიერი დებულებაა თავისთავად, როგორც ასეთი. არ გვჭირდება მოლექულების ან, თუნდაც, მაგიდის უფრო მსხვილი ნაწილების დონეზე აღწერის გამოყენება, თუმცა შეგვიძლია ასე მოვიქცეთ. თუ არ ვგულისხმობთ, რომ რომელიღაც ერთეულები „საბოლოო“, „ბაზისური“ ერთეულებია, არც ერთი ტიპის დესკრიფცია არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგირებულად. კითხვა, შეიძლება თუ არა, რომ ნიქსონი არჩევნებში დამარცხებულიყო, შეგვიძლია კიდევ მეტი დაზუსტების გარეშე დავსვათ და, როგორც წესი, მეტი დაზუსტება არც არის საჭირო. მეორეც, არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ შესაძლებელია, გვექონდეს აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისა, თუ მოლექულების რა სახის გროვები შეადგენს ამ მაგიდას; ამ ფაქტს უბრალოდ აღვნიშნავ. მესამეც, შემოთავაზებული გაგება ეხება ერთეულების იგივეობის კრიტერიუმებს სხვა*

სადაც იგივეობის მიმართება ბუნდოვანია, ის შეიძლება ინტრანზიტული გამოჩნდეს; აშკარა იგივეობების ჯაჭვმა შეიძლება აშკარა არაიგივეობა მოგვცეს. აქ შეიძლება გამოსადევი იყოს რაღაც სახის „ორეულობის“ ცნება (თუმცა მსგავსების, უცხო ქვეყნების სამყაროებისა და ა. შ. ლუისისეული ფილოსოფიური სარჩულის გარეშე). შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკაცრი იგივეობა აზრიანია მხოლოდ ერთეულებისთვის (მოლექულებისთვის), ხოლო ორეულობის მიმართება – მათგან „აგებული“ ერთეულებისთვის, მაგიდებისთვის. ასეთ შემთხვევაში ორეულობის მიმართება შეიძლება გამოვაცხადოთ ბუნდოვნად და ინტრანზიტულად. მაგრამ მე უტოპიურად მეჩვენება დაშვება, რომ ოდესმე მივალწევთ საბოლოო, ბაზისური ერთეულების დონეს, რომელთათვისაც იგივეობის მიმართებები არასოდესაა ბუნდოვანი და ინტრანზიტულობის საფრთხე გამოირიცხულია. ეს საფრთხე, ჩვეულებრივ, პრაქტიკაში არ წამოიჭრება, ასე რომ, ჩვენ, ჩვეულებრივ, ვლაპარაკობთ უბრალოდ იგივეობაზე, შფოთვის გარეშე. ლოგიკოსებს არ განუვითარებიათ ბუნდოვანების ლოგიკა.

ერთეულებთან, და არა თვისებებთან მიმართებაში. მე შემიძლია მივუთითო ჩემ წინ მყოფ მაგიდაზე და ვიკითხო, რა შეიძლება-და შემთხვეოდა მას გარკვეულ გარემოებებში; მე ასევე შემიძლია მივუთითო მის მოლექულებზე. თუ, მეორე მხრივ, მოითხოვება, რომ ყველა კონტრაქტობრივი სიტუაცია წმინდად თვისებრივად აღვწერო, მაშინ შემიძლია მხოლოდ ის ვიკითხო, ექნებოდა თუ არა გარკვეული თვისებები ასეთი და ასეთი ფერის და ა. შ. რომელიღაც მაგიდას; იქნებოდა თუ არა ასეთი მაგიდა ეს მაგიდა, მართლაც სადავოა, რადგან რეფერირება ობიექტებზე, როგორც თვისებებისგან განსხვავებულზე, საერთოდ გაქრა. ხშირად ამბობენ, რომ თუ კონტრაქტობრივი სიტუაცია აღწერილია, როგორც ისეთი, რომელიც შეემთხვეოდა ნიქსონს, და თუ წინასწარ ნაგულისხმევი არ არის, რომ ასეთი აღწერა რედუცირებადია წმინდად თვისებრივ აღწერაზე, მაშინ დაშვებულია გაუგებარი „შიშველი ერთეულები“, თვისებების საფუძვლად მდებარე უთვისებო სუბსტრატები. ეს ასე არ არის: მე ვფიქრობ, რომ ნიქსონი რესპუბლიკელია, განა უბრალოდ რესპუბლიკანიზმის უკან დგას, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს; მე ასევე ვფიქრობ, რომ ის შეიძლება დემოკრატი ყოფილიყო. იგივე ეხება ნებისმიერ სხვა თვისებას, რომელიც ნიქსონს შეიძლება ჰქონდეს, გარდა იმ ზოგიერთი თვისებისა, რომელიც შეიძლება არსებითი იყოს. რასაც მე უარვყოფ, არის ის, რომ ერთეული სხვა არაფერია, გარდა „თვისებების კონისა“, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს. თუ თვისება აბსტრაქტული ობიექტია, თვისებების კონა არის არა ერთეული, არამედ კიდევ უფრო მაღალი ხარისხის აბსტრაქტულობის მქონე ობიექტი. ფილოსოფოსები ამის საპირისპირო თვალსაზრისთან შემდეგი ცრუ დილემის გამო მივიდნენ: ისინი სვამდნენ კითხვას, არის ობიექტი რაღაც, რაც არის თვისებების კონის უკან, თუ ობიექტი თვისებების კონის გარდა არაფერია? არც ერთი არ არის სწორი; ეს მაგიდა არის ხის, ის ყავისფერია, დგას ოთახში და ა. შ. მას აქვს ყველა ეს თვისება და ის არ არის უთვისებო საგანი, რომელიც თვისებ-

ბის უკან დგას; მაგრამ ამის გამო ის არ უნდა გავუფიგოვოთ მისი თვისებების სიმრავლეს ან „კონას“, და არც მისი არსებითი თვისებების ქვესიმრავლეს. ნუ იკითხავთ: როგორ შევძლებ ამ მაგიდის იდენტიფიცირებას სხვა შესაძლო სამყაროში, თუ არა მისი თვისებებით? მე ხელთ მაქვს მაგიდა, შემიძლია მივუთითო მასზე; და როცა ვსვამ კითხვას, შეიძლება თუ არა, ის სხვა ოთახში მდგარიყო, მე, განსაზღვრების ძალით, მის შესახებ ვლაპარაკობ. მე არ მჭირდება მისი იდენტიფიცირება მაშინ, როცა მას ტელესკოპით დავინახავ. თუ მის შესახებ ვლაპარაკობ, მის შესახებ ვლაპარაკობ; ასევე, იმის თქმისას, რომ ხელები შეიძლებოდა მწვანედ გვექონოდა შედეგილი, სტიპულაციით მაქვს მიღებული, რომ ვლაპარაკობ სიმწვანეზე. ობიექტის ზოგიერთი თვისება შეიძლება მისთვის არსებითი იყოს, იმ აზრით, რომ შეუძლებელია მას ისინი არ ჰქონოდა, მაგრამ ეს თვისებები არ გამოიყენება სხვა შესაძლო სამყაროში ობიექტის იდენტიფიკაციისთვის, რადგან ასეთი იდენტიფიკაცია საჭირო არ არის. აუცილებელი არც ის არის, რომ ობიექტის არსებითი თვისებები ის თვისებები იყოს, რომლებიც გამოიყენება მისი იდენტიფიკაციისთვის აქტუალურ სამყაროში, თუკი ის აქტუალურ სამყაროში მართლა თვისებების მეშვეობით იდენტიფიცირდება (აქამდე მე ამ საკითხს ღიად ვტოვებდი).

ამრიგად, სამყაროებს შორის იგივეობის საკითხს გარკვეული აზრი აქვს, თუკი კითხვა ეხება ობიექტის იგივეობის დადგენას მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ შეკითხვების მეშვეობით. მაგრამ ეს ნაწილები არ არის თვისებები და საკითხი არ ეხება იმას, რომელია მოცემული ობიექტის მსგავსი ობიექტი. თეორეტიკოსებს ხშირად უთქვამთ, რომ შესაძლო სამყაროებში ობიექტების იდენტიფიცირებას ვაკეთებთ, როგორც ობიექტებისა, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ობიექტის მსგავსია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებით. ამის საპირისპიროდ, ნიქსონს, თუ ის სხვაგვარად მოქმედებას გადაწყვეტდა, შეიძლება პოლიტიკა შავ ქირზე უარესად შესჯავრებოდა, ხოლო თავისთვის, ჩუმად რა-

დიკალური შეხედულებები ელიარებინა. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მაშინაც კი, როცა შეგვიძლია ობიექტის შესახებ კითხვების შენაცვლება მისი ნაწილების შესახებ კითხვებით, არ გვჭირდება ამის გაკეთება. შეგვიძლია მივუთითოთ ობიექტზე და ვიკითხოთ, რა შეიძლება შემთხვეოდა მას. ამრიგად, ჩვენ სამყაროებით (რომლებზეც მიიჩნევა, რომ ისინი როგორღაც რეალურია, ხოლო მათი თვისებები, თუმცა არა მათი ობიექტები, ჩვენთვის აღქმადია) კი არ ვიწყებთ და მერე ვსვამთ კითხვას სამყაროებს შორის იგივეობის შესახებ; პირიქით, ჩვენ ვიწყებთ ობიექტებით, რომლებიც გვაქვს და რომელთა იდენტიფიცირებაც შეგვიძლია აქტუალურ სამყაროში. შემდეგ შეგვიძლია დავსვათ კითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, რალაც-რალაცები ჭეშმარიტი ყოფილიყო ამ ობიექტებისთვის.

ზემოთ ვთქვი, რომ ფრეგე-რასელის თვალსაზრისი, რომლის თანახმად სახელები დესკრიფციებით შემოიტანება, შეიძლება გავიგოთ ან როგორც სახელების მნიშვნელობის თეორია (ფრეგეს და რასელს თითქოს ასე ესმოდათ ის), ან უბრალოდ როგორც მათი რეფერენციის თეორია. ნება მომეცით, ამის ილუსტრაციისთვის მოვიყვანო მაგალითი, რომელიც არ შეიცავს იმას, რასაც ჩვეულებრივ უწოდებდნენ „საკუთარ სახელს“: დავუშვათ, ვინმე სტიპულაციით იღებს, რომ 100 გრადუსი ცელსიუსის სკალით არის ტემპერატურა, რომელზეც წყალი დუღილს იწყებს ზღვის დონეზე. ეს ბოლომდე ზუსტი არ არის, რადგან ზღვის დონეზე წნევა შეიძლება სხვადასხვა იყოს. რა თქმა უნდა, ისტორიულად, მოგვიანებით უფრო ზუსტი განსაზღვრება შეიქმნა. მაგრამ დავუშვათ, რომ განსაზღვრება ასეთი იყო. სხვა სახის მაგალითი, რომელსაც ლიტერატურაში ვხვდებით, ასეთია: ერთი მეტრი არის S-ის სიგრძე, სადაც S არის გარკვეული ჯოხი თუ ძელი პარიზში (ჩვეულებრივ, ისინი, ვისაც ამგვარ განსაზღვრებებზე ლაპარაკი მოსწონს, შემდეგ ცდილობენ „x-ის სიგრძე“ „ოპერაციულ“ ცნებად გარდაქმნან. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არ არის).

ვიტგენშტაინი ძალიან დამაბნეველ რამეს ამბობს ამაზე. ის წერს: „არსებობს ერთი რამ, რის შესახებაც ვერ ვიტყვით, რომ ის ერთი მეტრია, ან რომ ის არ არის ერთი მეტრი. ესაა მეტრის ეტალონი პარიზში. – მაგრამ ამით მისთვის, ბუნებრივია, რაღაც უჩვეულო თვისება არ მიგვიწერია; ჩვენ მხოლოდ მეტრული საზომით გაზომვის ენობრივ თამაშში მისი თავისებური როლი აღვნიშნეთ.“¹⁹ ეს მართლაც „ძალიან უჩვეულო“ თვისებას ჰგავს ნებისმიერი ჯოხისთვის. ვფიქრობ, ის უნდა ცდებოდეს. თუ ეს ჯოხი, ვთქვათ, 39.37 დიუმის სიგრძის ჯოხია (ვგულისხმობ, რომ ჩვენ რაღაც სხვა სტანდარტი გვაქვს დიუმისთვის), რატომ არ არის ის სიგრძეში ერთი მეტრი? ნებისმიერ შემთხვევაში, დავუშვათ, რომ ის ცდება და ეს ჯოხი სიგრძეში ერთი მეტრია. პრობლემა, რომელიც ვიტგენშტაინს აწუხებს, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ის არის, რომ ეს ჯოხი სიგრძის სტანდარტის როლს ასრულებს და ამიტომ მას სიგრძეს ვერ მივაწერთ. როგორიც უნდა იყოს (ან არ იყოს) ამ პრობლემაზე პასუხი, არის დებულება „S ჯოხი სიგრძეში ერთი მეტრია“ აუცილებელი ჭეშმარიტება? რა თქმა უნდა, მისი სიგრძე შეიძლება შეიცვალოს დროში. ამ დეფინიციის უფრო მეტად დაზუსტება შეგვიძლია იმის სტიპულაციურად მიღებით, რომ ერთი მეტრი არის S-ის სიგრძე ფიქსირებულ t_0 დროს. არის მაშინ აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ S ჯოხი სიგრძით ერთი მეტრია t_0 დროს? მან, ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი, რაც აპრიორულად ვიცით, აუცილებელია, შეიძლება იფიქროს: „ეს არის მეტრის განსაზღვრება. განსაზღვრების ძალით, S ჯოხი სიგრძით ერთი მეტრია t_0 დროს. ეს აუცილებელი ჭეშმარიტებაა.“ მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ დასკვნის გაკეთებისთვის საფუძველი არ არსებობს, თუნდაც მისთვის, ვინც „ერთი მეტრის“ ზემოთ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებას იყენებს. ასეა, რადგან ის ამ განსაზღვრებას იყენებს არა იმისთვის, რომ სიტყვის „მეტრი“ მნიშვნელობა მოგვცეს, არამედ იმისთვის, რომ მისი რეფერენცია დააფიქსიროს

¹⁹ ფილოსოფიური გამოკვლევები, §50.

(ისეთი აბსტრაქტული ობიექტისთვის, როგორც სიგრძის ერთეულია, რეფერენციის ცნება შეიძლება ნათელი არ იყოს, მაგრამ დავუშვათ, რომ ჩვენი ახლანდელი მიზნებისათვის ის საკმარისად ნათელია). ის მას რეფერენციის დასაფიქსირებლად იყენებს. არსებობს გარკვეული სიგრძე, რომლის მონიშვნაც მას უნდა. ის მას მონიშნავს მისი შემთხვევითი თვისებით, სახელდობრ, იმით, რომ არსებობს ამ სიგრძის ჯოხი. სხვას შეიძლება იგივე რეფერენტი სხვა შემთხვევითი თვისებით მოენიშნა. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ის ამას იყენებს სიგრძის თავისი სტანდარტის, მეტრის რეფერენციის დასაფიქსირებლად, მას მაინც შეუძლია თქვას: „ t_0 დროს S ჯოხი რომ გაეთბოთ, მაშინ t_0 დროს S ჯოხის სიგრძე არ იქნებოდა ერთი მეტრი.“

მაინც რატომ შეუძლია მას ამის გაკეთება? ამის მიზეზის ნაწილი, ზოგიერთის აზრით, შეიძლება მეცნიერების ფილოსოფიაში უნდა დავინახოთ, თუმცა, ახლა არ მინდა ამ მიმართულებით გადახვევა. ამ კითხვაზე მარტივი პასუხი კი შემდეგია: თუნდაც ეს იყოს სიგრძის ერთადერთი სტანდარტი, რომელსაც ის იყენებს,²⁰ არსებობს ინტუიციური განსხვავება ფრაზებს – „ერთი მეტრი“ და „ S -ის სიგრძე t_0 დროს“ – შორის. პირველი ფრაზის დანიშნულებაა ყველა შესაძლო სამყაროში ხისტად აღნიშნოს გარკვეული სიგრძე, რომელიც აქტუალურ სამყაროში t_0 დროს S -ის სიგრძე აღმოჩნდება. მეორე მხრივ, „ S -ის სიგრძე t_0 დროს“ არაფერს არ აღნიშნავს ხისტად. რომელიღაც კონტრაფაქტობრივ სიტუაციაში ეს ჯოხი შეიძლება უფრო გრძელი ყოფილიყო, ხოლო რომელიღაცაში – უფრო მოკლე, თუკი ის სხვადასხვა სახის ზეწოლებს და გაჭიმვებს დაექვემდებარებოდა. ამრიგად, ამ ჯოხზე შეგვიძლია

20 მეცნიერების ფილოსოფოსები ამ პრობლემის გასაღებს შეიძლება ხედავდნენ თვალსაზრისში, რომლის თანახმად „ერთი მეტრი“ არის „კლასტერული ცნება“. მკითხველს ვთხოვ, ჰიპოთეზის სახით დაუშვას, რომ მოცემული „განსაზღვრება“ ერთადერთი სტანდარტია, რომლითაც მეტრული სისტემა განისაზღვრება. ვფიქრობ, იგივე პრობლემა ამ შემთხვევაში მაინც წამოიჭრებოდა.

ვთქვათ, ისევე, როგორც იმავე ნივთიერებისაგან შედგენილ და იმავე სიგრძის ნებისმიერ სხვა ჯოხზე ვიტყვით, რომ თუ მას გარკვეული რაოდენობის სითბო გადაეცემოდა, ის ამა და ამ სიგრძემდე გაფართოვდებოდა. ასეთი კონტრაქტობრივი დებულება, რომელიც ჭეშმარიტია იმავე ფიზიკური თვისებების მქონე სხვა ჯოხებისთვის, ამ ჯოხისთვისაც ჭეშმარიტი იქნება. არავითარი კონფლიქტი არ არსებობს ამ კონტრაქტობრივ დებულებასა და „ერთი მეტრი“; როგორც „ t_0 დროს S-ის სიგრძის“ განსაზღვრებას შორის, რადგან ეს „განსაზღვრება“ თუ ის სწორად გვემის, არ ამბობს, რომ ფრაზა „ერთი მეტრი“ სინონიმური უნდა იყოს (თუნდაც კონტრაქტობრივ სიტუაციებზე ლაპარაკისას) ფრაზისა „ t_0 დროს S-ის სიგრძე“: ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ ჩვენ ფრაზის „ერთი მეტრი“ რეფერენცია განსაზღვრეთ სტიპულაციით, რომ „ერთი მეტრი“ უნდა იყოს იმ სიგრძის ხისტი აღმნიშვნელი, რომელიც ფაქტობრივად არის S-ის სიგრძე t_0 დროს. ამდენად, ის არ აქცევს აუცილებელ ჭეშმარიტებად იმას, რომ S-ის სიგრძე ერთი მეტრია t_0 დროს. ფაქტობრივად, გარკვეულ გარემოებებში, S-ის სიგრძე არ იქნებოდა ერთი მეტრი. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთი აღმნიშვნელი („ერთი მეტრი“) ხისტია, ხოლო მეორე აღმნიშვნელი („S-ის სიგრძე t_0 დროს“) არ არის ხისტი.

მაშინ რა ეპისტემოლოგიური სტატუსი აქვს დებულებას „S ჯოხის სიგრძე t_0 დროს ერთი მეტრია“ მისთვის, ვინც მეტრული სიტემა S ჯოხზე რეფერენციით დააფიქსირა? თითქოს მან ის აპრიორულად იცის. რადგან თუ მან S ჯოხი გამოიყენა ტერმინის „ერთი მეტრი“ რეფერენციის დასაფიქსირებლად, მაშინ ამ ტიპის „განსაზღვრების“ (რომელიც არ არის შემოკლების ან სინონიმის გამოხატველი განსაზღვრება) შედეგად მან ავტომატურად, დამატებითი გამოკვლევის გარეშე იცის, რომ S-ის სიგრძე ერთი მეტრია.²¹ მეორე მხრივ, მაშინაც კი, თუ S მეტრის სტანდარტად

21 რადგან ჭეშმარიტება, რომელიც მან იცის, შემთხვევითია, ვარჩიე, მისთვის არ მეწოდებინა „ანალიზური“, რადგან სტიპულაციურად მოვით-

გამოიყენება, დებულება „S-ის სიგრძე ერთი მეტრია“ თავისი მეტაფიზიკური სტატუსით იქნება შემთხვევითი, თუ ვთანხმდებით, რომ „ერთი მეტრი“ ხისტი აღმნიშვნელია: შესაფერისი ზეწოლისა და გაჭიმვის, გათბობისა და გაცივების შემდეგ S-ს ერთი მეტრისაგან განსხვავებული სიგრძე ექნებოდა t_0 დროსაც კი (შეიძლება, მსგავსი სტატუსი ჰქონდეს ისეთ დებულებებს, როგორცაა „ზღვის დონეზე წყალი დულდება 100 გრადუსზე ცელსიუსის სკალით“). ამრიგად, ამ აზრით, არსებობს შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტებები. თუმცა, ჩვენი ახლანდელი მიზნებისთვის ამ მაგალითის შემთხვევითი აპრიორული დებულების მაგალითად მიღებაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ის გვაძლევს ორი სახის „განსაზღვრებებს“ შორის განსხვავების ილუსტრაციას: ერთია განსაზღვრებები, რომლებიც აფიქსირებს რეფერენციას, ხოლო სხვაა განსაზღვრებები, რომლებიც გვაძლევს სინონიმს.

ამ განსხვავების გატარება სახელების შემთხვევაშიც შეგვიძლია. დავუშვათ, სახელის რეფერენცია მოცემულია დესკრიფციით ან დესკრიფციების კლასტერით. თუ სახელი ნიშნავს იმავეს, რასაც ეს დესკრიფცია ან დესკრიფციების კლასტერი, მაშინ ის არ იქნება ხისტი აღმნიშვნელი. ის აუცილებლად იმავე ობიექტს არ აღნიშნავს ყველა შესაძლო სამყაროში, რადგან შეიძლება სხვა შესაძლო სამყაროებში მოცემული თვისებები სხვა ობიექტებს ჰქონდეთ, თუკი (რა თქმა უნდა) ჩვენ ჩვენს დესკრიფციებში არსებითი თვისებები არ გამოგვიყენებია. დავუშვათ, ვამბობთ: „არისტოტელე არის უდიდესი ადამიანი მათ შორის, ვისაც პლატონი ასწავლიდა.“ თუ ამას ვიყენებთ, როგორც განსაზღვრებას, მაშინ სახელი „არისტოტელე“ უნდა ნიშნავდეს „უდიდეს ადამიანს მათ შორის, ვისაც პლატონი ასწავლიდა.“ ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, რომელიც სხვა შესაძლო სამყაროში ეს ადამიანი შეიძლება არ ყოფილიყო პლატონის მოსწავლე და მაშინ ვილაც სხვა იქნებოდა

ხოვე, რომ ანალიზური ჭეშმარიტებები ერთდროულად აუცილებელი და აპრიორული იყოს. იხილეთ 63-ე შენიშვნა ქვემოთ.

არისტოტელე. თუ, მეორე მხრივ, ამ დესკრიფციას უბრალოდ რეფერენტის დასაფიქსირებლად ვიყენებთ, მაშინ ეს ადამიანი იქნება „არისტოტელეს“ რეფერენტი ყველა შესაძლო სამყაროში. დესკრიფციის ერთადერთი დანიშნულება იქნება იმის გამორჩევა, თუ რომელ ადამიანზე გვინდა რეფერირება. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ისეთი კონტრაქტობრივი წინადადების წარმოთქმისას, როგორცაა „დავუშვათ, რომ არისტოტელეს საერთოდ არ უსწავლია ფილოსოფია“, სულაც არ უნდა ვგულისხმობდეთ წინადადებას – „დავუშვათ, რომ ადამიანს, რომელიც იყო პლატონის მოსწავლე და ალექსანდრე დიდის მასწავლებელი, ამა და ამ ტექსტების ავტორი და ა. შ., საერთოდ არ უსწავლია ფილოსოფია“, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობას ჰგავდეს. უნდა ვგულისხმობდეთ მხოლოდ შემდეგს: „დავუშვათ, რომ ამ ადამიანს საერთოდ არ უსწავლია ფილოსოფია.“

დამაჯერებელი ჩანს დაშვება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახელის რეფერენცია მართლაც დესკრიფციის მეშვეობით ფიქსირდება, როგორც მეტრული სისტემა იყო დაფიქსირებული. როდესაც მითითრმა სუბიექტმა ჰესპეროსი სულ პირველად დაინახა, მან შეიძლება თავისი რეფერენცია დააფიქსირა შემდეგი წინადადების წარმოთქმით: «მე „ჰესპეროსს“ გამოვიყენებ იმ ციური სხეულის სახელად, რომელიც ზეცაში ამა და ამ ადგილზე ჩანს». ამ შემთხვევაში მან „ჰესპეროსის“ რეფერენცია დააფიქსირა ზეცაში მისი ხილული ადგილმდებარეობით. გამომდინარეობს კი აქედან, რომ ამ სახელის მნიშვნელობის ნაწილია ის, რომ ჰესპეროსს მოცემულ დროს ესა და ეს ადგილმდებარეობა აქვს? რა თქმა უნდა, არა: მანამდე ჰესპეროსს კომეტა რომ დასჯახებოდა, ის, შეიძლება, მოცემულ დროს სხვა ადგილას გამოჩენილიყო. ასეთ კონტრაქტობრივ სიტუაციაში ჩვენ ვიტყვოდით, რომ ჰესპეროსს არ ექნებოდა ეს ადგილმდებარეობა, და არა იმას, რომ ჰესპეროსი არ იქნებოდა ჰესპეროსი. ამის მიზეზია ის, რომ „ჰესპეროსი“ ხისტად აღნიშნავს გარკვეულ ციურ სხეულს, ხოლო „ამა და ამ ადგილას

მყოფი სხეული“ – არა; ამ ადგილას შეიძლება სხვა სხეული ყოფილიყო ან სულაც არც ერთი სხეული არ ყოფილიყო, მაგრამ ვერც ერთი სხვა სხეული ვერ იქნებოდა ჰესპეროსი (თუმცა, შეიძლება, სხვა სხეულის, არა ჰესპეროსის, სახელი ყოფილიყო „ჰესპეროსი“). მართლაც, როგორც ვთქვი, მე ვამტკიცებ, რომ სახელები ყოველთვის ხისტი აღმნიშვნელებია.

თითქმის უეჭველია, რომ ფრეგეს და რასელს ჰქონდათ სრულფასოვანი თეორია, რომლის თანახმად საკუთარი სახელი არ არის ხისტი აღმნიშვნელი და სინონიმურია დესკრიფციისა, რომლითაც შეიძლება მისი შენაცვლება. მაგრამ სხვა თეორია შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ეს დესკრიფცია ხისტი რეფერენციის დასადგენად გამოიყენება. ამ ორ ალტერნატივას სხვადასხვანაირი შედეგები ექნება შეკითხვებისთვის, რომლებიც ზემოთ დავსვი. თუ „მოსე“ ნიშნავს „ადამიანი, რომელმაც გააკეთა ესა და ეს“; მაშინ, თუ არავის გაუკეთებია ესა და ეს, მოსე არ არსებობდა; ხოლო „არავის გაუკეთებია ესა და ეს“ შეიძლება გაანალიზებული ფორმაც კი იყოს წინადადებისა „მოსე არ არსებობდა“. მაგრამ თუ დესკრიფცია გამოიყენება რეფერენციის ხისტად დასაფიქსირებლად, მაშინ ნათელია, რომ ეს არ არის ის, რაც იგულისხმება წინადადებით „მოსე არ არსებობდა“; რადგან, თუკი ვლაპარაკობთ კონტრაქტობრივ სიტუაციაზე, რომელშიც მართლა არავის გაუკეთებია ესა და ეს, ვთქვათ, არავის გამოუყვანია ებრაელები ეგვიპტიდან, შეგვიძლია დავსვათ კითხვა, გამომდინარეობს კი აქედან, რომ ასეთ სიტუაციაში მოსე არ იარსებებდა? მე მეჩვენება, რომ ასე არ არის. ვინაიდან, რასაკვირველია, შეიძლება, მოსეს გადაეწყვიტა ცხოვრების უფრო სასიამოვნოდ გატარება ეგვიპტის სასახლის კარზე. ის შეიძლება არასოდეს დაინტერესებულიყო პოლიტიკით ან რელიგიით; და ამ შემთხვევაში შეიძლება არავის გაეკეთებინა არაფერი იქიდან, რასაც ბიბლია მიაწერს მოსეს. ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ასეთ შესაძლო სამყაროში მოსე არ იარსებებდა. თუ ასეა, მაშინ „მოსე არსებობს“ ნიშნავს რაღაც განსხვავებულს იმის-

გან, რომ „გარკვეული დესკრიფციის არსებობისა და უნიკალურობის პირობები შესრულებულია“; ამდენად, ბოლოს და ბოლოს, ეს არ გვაძლევს სინგულარული ეგზისტენციური დებულებების ანალიზს. თუ უარს იტყვით იდეაზე, რომ ეს მნიშვნელობის თეორიაა, და მას გარდაქმნით რეფერენციის თეორიად იმ სახით, როგორც მე აღვწერე, უარს იტყვით ამ თეორიის ზოგიერთ უპირატესობაზეც. სინგულარული ეგზისტენციური დებულებები და სახელებს შორის იგივეობის დებულებები სხვა სახის ანალიზს მოითხოვს.

ფრეგე კრიტიკას იმსახურებს ტერმინის „საზრისი“ ორი მნიშვნელობით გამოყენებისთვის. მართლაც, აღმნიშვნელის საზრისად ის მიიჩნევს მის მნიშვნელობას; და ის საზრისს ასევე მიიჩნევს იმ ხერხად, რომლითაც აღმნიშვნელის რეფერენცია დგინდება. ამ ორის ერთმანეთთან გაიგივებისას ის გულისხმობს, რომ ორივე მათგანი განსაზღვრული დესკრიფციით მოგვეცემა. საბოლოოდ მე ამ მეორე წინასწარდაშვებასაც დავუპირისპირდები; თუმცა, ის სწორიც რომ ყოფილიყო, მე პირველს ვუპირისპირდები. დესკრიფცია შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც აღმნიშვნელის სინონიმი, ან ის შეიძლება გამოიყენებოდეს მისი რეფერენციის დასაფიქსირებლად. სიტვის „საზრისი“ ფრეგესეული ორი მნიშვნელობა შეესაბამება „განსაზღვრების“ ორ მნიშვნელობას ჩვეულებრივ მეტყველებაში. ისინი ყურადღებით უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან.²²

22 ჩვეულებრივ, ფრეგესეული საზრისი ახლა ინტერპრეტირდება, როგორც მნიშვნელობა, რომელიც მკაფიოდ უნდა განვასხვაოთ „რეფერენციის დამფიქსირებლისგან“. ქვემოთ დავინახავთ, რომ მოსაუბრეთა უმრავლესობისთვის, თუკი სწორედ ისინი არ არქმევენ პირველადობიერებას მის სახელს, სახელის რეფერენტი განისაზღვრება კომუნიკაციის „მიზნუშედევობრივი“ ჯაჭვით და არა დესკრიფციით.

მოდალური ლოგიკის ფორმალურ სემანტიკაში t ტერმინის „საზრისი“ ჩვეულებრივ გაიგება, როგორც (შესაძლოა, ნაწილობრივი) ფუნქცია, რომელიც თითოეულ შესაძლო H სამყაროს შესაბამებს t -ს რეფერენტს H -ში. ხისტი აღმნიშვნელისთვის ასეთი ფუნქცია მუდმივია. „საზრისის“ ეს გაგება უკავშირდება „მნიშვნელობის მოცემის“ და არა რეფერენციის

იმედი მაქვს, რაღაც ზომით მაინც ნათელია რეფერენციის დაფიქსირების, როგორც ამა თუ იმ ტერმინის მნიშვნელობის სხვა ტერმინის მეშვეობით მოცემის გზით მისი განსაზღვრებისაგან განსხვავებულის, იდეა. სამწუხაროდ, არ გვაქვს საკმარისი დრო ყველაფრის დეტალურად განხილვისათვის. ვფიქრობ, იმ შემთხვევებშიც კი, სადაც ამ განსხვავების გამოსაკვეთად ვერ გამოვიყენებთ განსხვავებას აღნიშვნის სიხისტესა და შემთხვევითობას შორის, ზოგიერთი ისეთი რამ, რასაც განსაზღვრებას უწოდებენ, სინამდვილეში გამიზნულია რეფერენციის დასაფიქსირებლად და

ფიქსირების, ცნებას. „საზრისის“ ამ მნიშვნელობით „ერთი მეტრი“ საზრისია მუდმივი ფუნქცია, თუმცა მისი რეფერენცია დაფიქსირებულია „S-ის სიგრძით“, რომლის საზრისიც არ არის მუდმივი ფუნქცია.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ დესკრიფციები ბუნებრივ ენაში ორაზროვანია, რომ ისინი ზოგჯერ არახისტიად აღნიშნავს თითოეულ სამყაროში იმ ობიექტს (თუ ასეთი არსებობს), რომელიც აქ მოცემულ დესკრიფციას აკმაყოფილებს, ხოლო ზოგჯერ ისინი ხისტიად აღნიშნავს იმ ობიექტს, რომელიც აქტუალურად აკმაყოფილებს მოცემულ დესკრიფციას (სხვები, დონელანის მიერ შთაგონებული, ამბობენ, რომ დესკრიფცია ზოგჯერ ხისტიად აღნიშნავს იმ ობიექტს, რომლის შესახებაც მოსაუბრე ფიქრობს ან წინასწარ გულისხმობს, რომ ის აკმაყოფილებს დესკრიფციას). მე ყველა ასეთი ვითომდა ორაზროვნება საეჭვოდ მიმაჩნია. მე არ მაქვს მკაფიო საბუთები შემთხვევებისთვის, რომელთა ახსნაც შეუძლებელია რასელის „მოქმედების არის“ ცნების გამოყენებით ან 25-ე გვერდზე მე-3 შენიშვნაში მოხმობილ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

თუ ორაზროვნება მართლა არსებობს, მაშინ „S-ის სიგრძის“ ნაგულისხმევი ხისტი აზრით „ერთი მეტრი“ და „S-ის სიგრძე“ ყველა შესაძლო სამყაროში ერთსა და იმავე რამეს აღნიშნავენ და მათ ერთი და იგივე (ფუნქციური) საზრისი აქვთ.

რაც შეეხება ინტენსიონალური ლოგიკის ფორმალურ სემანტიკას, დავუშვათ, ვიღებთ, რომ განსაზღვრული დესკრიფცია თითოეულ სამყაროში აღნიშნავს იმ ობიექტს, რომელიც ამ სამყაროში ამ დესკრიფციას აკმაყოფილებს. მართლაც სასარგებლო იქნებოდა ოპერატორი, რომელიც თითოეულ დესკრიფციას გარდაქმნიდა იმ ობიექტის ხისტიად აღნიშნულ ტერმინად, რომელიც ამ დესკრიფციას აქტუალურად აკმაყოფილებს. დევიდ კაპლანმა შემოგვთავაზა ასეთი ოპერატორი და მას „დეს“* [Dthat] უწოდა.

არა – ფრაზის მნიშვნელობის, მისი სინონიმის მოსაცემად. ნება მომეცით, მოგიყვანოთ მაგალითი. იგულისხმება, რომ π არის წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან. მე მხოლოდ ბუნდოვანი ინტუიციური გრძნობა მაქვს შემდეგი აზრის დასაცავად: მე მეჩვენება, რომ აქ ეს ბერძნული ასო არ არის გამოყენებული, როგორც მოკლე აღნიშვნა ფრაზისა „წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან“; ის არ არის გამოყენებული არც თუნდაც როგორც მოკლე აღნიშვნა π -ის ალტერნატიული განსაზღვრებების კლასტერისა, რაც არ უნდა იყოს ეს. ის გამოყენებულია, როგორც ნამდვილი რიცხვის სახელი, რომელიც ამ შემთხვევაში აუცილებლობით არის წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აქ ორივე – როგორც „ π “, ისე „წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან“ – ხისტი აღმნიშვნელებია, ასე რომ მეტრის შემთხვევაში წამოყენებული არგუმენტები აქ არ მოქმედებს (თუ ვინმე ამას ვერ ხედავს ან ეს არასწორად მიაჩნია, არა უშავს; ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს).

ნება მომეცით, დავუბრუნდე კითხვას სახელების შესახებ, რომელიც ზემოთ წამოვჭერი. როგორც ვთქვი, არსებობს ფრეგესა და რასელის თეორიის პოპულარული თანამედროვე შემცვლელი. მას იზიარებს ფრეგესა და რასელის მრავალი შეხედულების ისეთი მკაცრი კრიტიკოსიც კი, როგორიც სტროსონია.²³ ამ შემცვლელის თანახმად, მართალია, სახელი არ არის შენიღბული დესკრიფცია, მაგრამ ის ან არის დესკრიფციების გარკვეული კლასტერის შემოკლებული ჩანაწერი ან, ყოველ შემთხვევაში, მისი რეფერენცია განსაზღვრულია ასეთი კლასტერით. ჩემი შეკითხვაა, მართალია თუ არა ეს. ისიც უკვე ვთქვი, რომ არსებობს ამ თვალსაზრისის უფრო ძლიერი და უფრო სუსტი ვერსიები. უფრო ძლიერი ვერსიის მიხედვით, სახელი უბრალოდ განისაზღვრება, სინონიმურად, როგორც დესკრიფციების კლასტერი. მაშინ აუცილებელი იქნება არა ის, რომ მოსეს ჰქონდეს რომელიმე კონკრეტული თვისება ამ კლასტე-

23 P. F. Strawson, *Individuals*, Methuen, London, 1959, თავი 6.

რიდან, არამედ ის, რომ ჰქონდეს მათი დისიუნქცია. შეუძლებელია არსებობდეს კონტრაფაქტობრივი სიტუაცია, რომელშიც მას ამ საქმეებიდან არც ერთი არ გაუკეთებია. ვფიქრობ, აშკარაა, რომ ეს ძალიან არადამაჯერებელია. მაგრამ ადამიანებმა *მართლა თქვეს* ეს – ან კიდევ, შეიძლება არც აპირებდნენ ამის თქმას, მაგრამ „აუცილებელს“ რალაც სხვა აზრით იყენებდნენ. ასეა თუ ისე, სერლის სტატიაში საკუთარი სახელების შესახებ, მაგალითად, ნათქვამია:

იგივე აზრი სხვა სიტყვებითაც შეიძლება გამოვხატოთ. დავუშვათ, ვსვამთ კითხვას: „საერთოდ რატომ გვაქვს საკუთარი სახელები?“ აშკარაა, რომ ინდივიდებზე რეფერირებისთვის. „ხო, მაგრამ ამის გაკეთება ხომ დესკრიფციებსაც შეეძლოთ!“ მართალია, მაგრამ მხოლოდ იმის ფასად, რომ რეფერირების ყოველ ცალკეულ ჯერზე იგივეობის პირობების დაზუსტება იქნებოდა საჭირო: დავუშვათ, ვთანხმდებით, უარი ვთქვათ სახელზე „არისტოტელე“ და გამოვიყენოთ, ვთქვათ, „ალექსანდრეს მასწავლებელი“. მაშინ აუცილებელი ჭეშმარიტება გამოდის ის, რომ ადამიანი, რომელზეც ვრეფერირებთ, ალექსანდრეს მასწავლებელია; მაგრამ ხომ შემთხვევითი ფაქტია ის, რომ არისტოტელემ მასწავლებლობა დაიწყო (თუმცა, ჩემი თვალსაზრისის მიხედვით, აუცილებელი ფაქტია, რომ არისტოტელეს აქვს იმ თვისებების ლოგიკური ჯამი, არაგამომრიცხველი დისიუნქცია, რომლებიც მას ჩვეულებრივ მიეწერება).²⁴

ასეთი თვალსაზრისი, თუ „აუცილებელი“ გამოიყენება ისე, როგორც მე მას ამ ლექციაში ვიყენებდი, აშკარად მცდარი უნდა იყოს (თუკი სერლს არ ეგულება რალაც ძალიან საინტერესო არსებითი თვისება, რომელიც, ჩვეულებრივ, მიეწერება არისტოტელეს). საქმეების უმრავლესობა, რომლებიც ჩვეულებრივ მიეწერება არისტოტელეს, არის საქმეები, რომლებიც არისტოტელეს შეიძლება არც არასოდეს გაეკეთებინა. სიტუაციას, რომელშიც მან ისინი არ გააკეთა, ჩვენ აღვწერდით, როგორც სიტუაციას, რომელშიც *არისტოტელემ* არ გააკეთა ისინი. ეს არ არის განსხვავება მოქმედების არეში, რაც ზოგჯერ გვხვდება დესკრიფციების

24 Searle, op. cit. in Caton, *Philosophy and Ordinary Language*, გვ. 160.

შემთხვევაში, როცა ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ადამიანი, რომელიც ალექსანდრეს მასწავლებელი იყო, შეიძლება არც ყოფილიყო ალექსანდრეს მასწავლებელი; თუმცა, შეუძლებელია ჭეშმარიტი იყოს, რომ ადამიანი, რომელიც ასწავლიდა ალექსანდრეს, არ ასწავლიდა ალექსანდრეს. ეს არის მოქმედების არის რასელისეული განსხვავება (მას აქ არ ჩავუღრმავდები). აშკარად მეჩვენება, რომ აქ ასეთი შემთხვევა არ გვაქვს. არა მარტო ჭეშმარიტია ამ ადამიანის, არისტოტელეს შესახებ ის, რომ მას შეიძლება არ დაეწყო მასწავლებლობა, არამედ ჭეშმარიტია შემდეგიც: სიტყვას „არისტოტელე“ ჩვენ ისე ვიყენებთ, რომ როცა წარმოვიდგენთ კონტრაქტობრივ სიტუაციას, რომელშიც არისტოტელე არ საქმიანობდა არც ერთ იმ დარგში და არ ჰქონდა არც ერთი ის მიღწევა, რომელთაც ჩვენ ჩვეულებრივ მას მივაწერთ, ჩვენ მაინც ვიტყვი, რომ ეს არის სიტუაცია, რომელშიც ეს საქმეები არ გაუკეთებია არისტოტელეს.²⁵ კეთილი, არსებობს ზოგიერთი რამ, როგორიცაა

25 „ალექსანდრეს მასწავლებელი“ მოდალურ კონტექსტებში მოქმედების არეში განსხვავებებს რომ უშვებს და ის რომ ხისტი აღმნიშვნელი არ არის – ორივე ამ ფაქტის ილუსტრაციას გვაძლევს იმაზე დაფიქრება, რომ ალექსანდრეს მასწავლებელს შეიძლება არ ესწავლებინა ალექსანდრესთვის (და, ასეთ გარემოებებში, ის არც იქნებოდა ალექსანდრეს მასწავლებელი). მეორე მხრივ, არ არის მართალი, რომ არისტოტელე შეიძლება არ ყოფილიყო არისტოტელე, თუმცა არისტოტელეს სახელი შეიძლება არ ყოფილიყო „არისტოტელე“; ზუსტად ისევე, როგორც 2x2-ის სახელი შეიძლება არ ყოფილიყო „ოთხი“ (დაუდევარ, ყოველდღიურ მეტყველებაში, რომელშიც ხშირად ერთმანეთშია არეული გამოყენება და ხსენება*, რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ვინმეს სახელი შეიძლება ყოფილიყო ან არ ყოფილიყო „არისტოტელე“, შეიძლება გამოიხატოს იმის თქმით, რომ ის შეიძლება ყოფილიყო ან არ ყოფილიყო არისტოტელე. მე ზოგჯერ გამიგია, როგორ მოჰყავთ ასეთი დაუდევარი გამოყენების ნიმუშები კონტრმაგალითად, რომელიც აქ წარმოდგენილი თეორიის ბუნებრივი ენისთვის მისადაგებას ეწინააღმდეგება. ასეთი ყოველდღიური გამონათქვამები, ვფიქრობ, ისევე ნაკლებად ქმნის პრობლემას ჩემი თეზისისთვის, როგორც „შეუძლებელი მისიების სააგენტოს“ წარმატება – მოდალური კანონისთვის, რომლის თანახმად რაც შეუძლებელია, ის არ ხდება). გარდა ამისა, თუმცა გარკვეულ გარემოებებში არისტოტელე არ

მისი სიცოცხლის თარიღები, თუ პერიოდი, რომელშიც ის ცხოვრობდა, რომლებიც მეტად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც აუცილებელი. შეიძლება ასეთი ნიშნები იმ ნიშანთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც, ჩვეულებრივ, მას მივაწერთ. გამონაკლისები არსებობს. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლებოდა მას ეცხოვრა 500 წლით უფრო გვიან, ვიდრე ის ფაქტობრივად ცხოვრობდა. ეს, რა თქმა უნდა, სულ მცირე, პრობლემას წამოჭრის. მაგრამ აიღეთ ადამიანი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ აქვს მისი სიცოცხლის თარიღებზე. ბევრ ადამიანს მხოლოდ მისი ყველაზე ცნობილი მიღწევების რაღაც ბუნდოვანი კლასტერი აქვს. არა მხოლოდ ცალკე აღებულები რომელიმე მათგანის, არამედ ამ თვისებების მთელი დისიუნქციის ქონაც მხოლოდ შემთხვევითი ფაქტია არისტოტელეს შესახებ; ხოლო დებულება, რომ არისტოტელეს თვისებების ეს დისიუნქცია ჰქონდა, შემთხვევითი ჭეშმარიტებაა.

ადამიანმა ეს, შეიძლება, რაღაც აზრით აპრიორულად იცოდეს, თუკი ის, ფაქტობრივად, აფიქსირებს „არისტოტელეს“ რეფერენციას, როგორც ადამიანს, რომელმაც ამ საქმეებიდან ერთ-ერთი გააკეთა. მაინც, ეს მისთვის არ იქნება აუცილებელი ჭეშმარიტება. ასე რომ, ეს იქნებოდა მაგალითი, რომელშიც აპრიორულობა აუცილებლობით არ გულისხმობს აუცილებლობას, სახელების კლასტერული თეორია სწორი რომ ყოფილიყო. „ერთი მეტრის“ რეფერენციის დაფიქსირების შემთხვევა ამის ძალიან მკაფიო მაგალითია: ვილაცამ, მხოლოდ იმიტომ, რომ მან რეფერენცია ამ გზით დააფიქსირა, შეიძლება, რაღაც აზრით, აპრიორულად იცოდეს, რომ მოცემული ფონის სიგრძე ერთი მეტრია, ისე, რომ ეს აუცილებელ ჭეშმარიტებად არ მიაჩნდეს. ალბათ, შესაძლებელია მოდიფიცირება თეზისისა, რომლის თანახმად აპრიორულობა აუცილებლობას გულისხმობს. ეს თეზისი თითქოს მართლაც გა-

იქნებოდა აღექვანდრეს მასწავლებელი, ეს არ არის გარემოებები, რომლებშიც ის არ იქნებოდა არისტოტელე.

მოთქვამს გარკვეულ მიხვედრას, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი, მეტიც, ჭეშმარიტი იყოს ეპისტემოლოგიის შესახებ. გარკვეული აზრით, ასეთი მაგალითი შეიძლება მოგვეჩვენოს ტრივიალურ კონტრმაგალითად, რომელიც სინამდვილეში ვერ ჩაიჭერს მათ აზრს, ვინც ფიქრობს, რომ აპრიორულად მხოლოდ აუცილებელი ჭეშმარიტებების ცოდნაა შესაძლებელი. კეთილი, მაგრამ თუ თეზისი იმის შესახებ, რომ ყველა აპრიორული ჭეშმარიტება აუცილებელია, შეუვალი უნდა იყოს ამ სახის კონტრმაგალითის მიმართ, მაშინ ის რაიმენაირად უნდა შეიცვალოს. არამოდიფიცირებული სახით, ის რეფერენცის ბუნების შესახებ გაუგებრობას წარმოშობს. მე თვითონ წარმოდგენა არ მაქვს იმაზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს თუ რეფორმულირდეს ის, ან, საერთოდ, თუა შესაძლებელი ასეთი მოდიფიკაცია თუ რეფორმულირება.²⁶

მაშ, ნება მომეცით, ჩამოვაცალიბო, რა არის სახელების კლასტერული თეორია. (ეს მართლა მშვენიერი თეორიაა. ერთადერთი

26 თუ ვინმე აფიქსირებს მეტრს, როგორც „S ჯოხის სიგრძეს t_0 დროს“; მაშინ, გარკვეული აზრით, მან აპრიორულად იცის, რომ S ჯოხის სიგრძე t_0 დროს ერთი მეტრია, მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებას ის შემთხვევითი ჭეშმარიტების გამოსათქმელად იყენებს. მაგრამ, განა უბრალოდ გაზომვის სისტემის დაფიქსირებით მან რაიმე (შემთხვევითი) ინფორმაცია მოიპოვა სამყაროს შესახებ, რაიმე ახალი ფაქტი შეიქცო, რომელიც მანამდე არ იცოდა? დამაჯერებელი ჩანს პასუხი, რომ, გარკვეული აზრით, არა; მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ შემთხვევითი ფაქტია, რომ S ჯოხის სიგრძე ერთი მეტრია. ამდენად, შეიძლება გამართლებული იყოს თეზისის, რომ ყველაფერი აპრიორული აუცილებელია, ისე რეფორმულირება, რომ ის ამ ტიპის კონტრმაგალითისგან გადავარჩინოთ. როგორც ვთქვი, მე არ ვიცი, როგორი იქნებოდა ასეთი რეფორმულირება; რეფორმულირება არ უნდა იყოს ისეთი, რომ თეზისი ტრივიალურად იქცეს (მაგალითად, აპრიორულის განსაზღვრებით, როგორც იმისა, რისი აუცილებლობაც (ნაცვლად ჭეშმარიტებისა) გამოცდილებისგან დამოუკიდებლადაა ცნობილი); და შეზღუდული თეზისი მაინც მცდარი იქნებოდა.

რადგან მე არ ვეცდები, ასეთი რეფორმულირება მოვძებნო, ამ ტექსტში ტერმინს „აპრიორული“ ყველგან გამოვიყენებ ისე, რომ აპრიორულად ჩაითვალოს ის დებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაც გამომდინარეობს რეფერენციის დამაფიქსირებელი „განსაზღვრებიდან“.

ნაკლი, რომელიც მას, ჩემი აზრით, აქვს, ალბათ, საერთოა ყველა ფილოსოფიური თეორიისთვის: ის არასწორია. თქვენ შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ, მის ნაცვლად მე ახალ თეორიას ხომ არ გთავაზობთ. იმედი მაქვს, რომ ასე არ არის, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თუ ეს თეორიაა, ისიც არასწორია.) ეს თეორია შეიძლება დავიყვანოთ რამდენიმე თეზისზე და კიდევ რამდენიმე დამხმარე თეზისზე, თუკი გსურთ დაინახოთ, როგორ აგვარებს ის არსებობის დებულებების, იგივეობის დებულებებისა და ა. შ. პრობლემებს. თეზისების რაოდენობა მეტია, თუ მას იღებთ უფრო ძლიერი ფორმით – როგორც მნიშვნელობის თეორიას.

- (1) ყველა „X“ სახელს ან აღმნიშვნელ ფრაზას შეესაბამება თვისებების კლასტერი, სახელდობრ, თვისებების Φ ოჯახი, ისეთი, რომ A-ს სჯერა, რომ „ ΦX “.

ეს თეზისი ჭეშმარიტია, რადგან ის შეიძლება უბრალოდ განსაზღვრება იყოს. რა თქმა უნდა, ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ „X“-ის რეფერენციის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი არ არის ყველაფერი ის, რაც მოსაუბრეს X-ის შესახებ სჯერა. მათ შეიძლება აინტერესებდეთ მხოლოდ გარკვეული ქვესიმრავლე. მაგრამ ამას შეგვიძლია მოგვიანებით გავცეთ პასუხი, ზოგიერთი სხვა თეზისის მოდიფიცირების გზით. ამრიგად, ეს თეზისი სწორია განსაზღვრების ძალით. მაგრამ ყველა დანარჩენი თეზისი, ჩემი აზრით, მცდარია.

- (2) A-ს სჯერა, რომ ამ თვისებებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთობლივად უნიკალურად გამოარჩევს რომელიღაც ერთეულ ობიექტს.

ეს თეზისი არ ამბობს, რომ ისინი უნიკალურად გამოარჩევენ რაღაცას; ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ A-ს სჯერა, რომ ასეა. კიდევ ერთი თეზისია, რომ ის არ ცდება.

- (3) თუკი φ თვისებების უმრავლესობას ან მათ შეწონილ უმრავლესობას აკმაყოფილებს უნიკალური γ ობიექტი, მაშინ γ არის „X“-ის რეფერენტი.

ამრიგად, ეს თეორია ამბობს, რომ „X“-ის რეფერენტი უნდა იყოს საგანი, რომელიც აკმაყოფილებს, თუ ყველა თვისებას არა, მათ „საკმარის რაოდენობას“ მაინც. აშკარაა, რომ A შეიძლება რაღაცაში ცდებოდეს X-ის თაობაზე. თქვენ რაღაც სახის კენჭისყრას იღებთ. საკითხავი ისაა, უნდა იყოს ეს კენჭისყრა დემოკრატიული თუ ის უშვებს თვისებებს შორის გარკვეულ უთანასწორობას. უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული განსხვავებები, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი თვისება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. თეორიამ ისიც უნდა დააზუსტოს, როგორ განისაზღვრება ამა თუ იმ თვისების წონა. ვგიქრობ, სტროსონი, ჩემდა გასაკვირად, აშკარად ამბობს, რომ აქ დემოკრატია უნდა ბატონობდეს, ისე, რომ ყველაზე ტრივიალურ თვისებებს იგივე წონა ჰქონდეს, რაც ყველაზე გადამწყვეტთ.²⁷ უთუოდ უფრო დამაჯერებელია დაშვება, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები. ვთქვათ, დემოკრატია აუცილებლად არ ბატონობს. თუ არსებობს თვისება, რომელიც სრულიად არარელევანტურია რეფერენციისთვის, შეგვიძლია მას საერთოდ ჩამოვართვათ ხმის უფლება – მას წონად 0 მივანიჭოთ. თვისებებს შეგვიძლია შევხედოთ, როგორც კორპორაციის წევრებს. ზოგიერთს სხვებზე მეტი წილი ეკუთვნის; ზოგიერთის წილი კი შეიძლება საერთოდ არ იყოს საკმარისი ხმის უფლებისათვის.

- (4) თუკი კენჭისყრა არც ერთ უნიკალურ ობიექტს არ გამოავლენს, მაშინ „X“-ს არ აქვს რეფერენტი.

27 Strawson, op. cit., გვ. 191-192. სინამდვილეში სტროსონი განიხილავს რამდენიმე მოსაუბრის შემთხვევას, თავს უყრის მათ თვისებებს და იღებს დემოკრატიულ (თანაბარი წონის მქონე მონაწილეების) კენჭისყრას. ის მოითხოვს მხოლოდ საკმარის სიმრავლეს და არა უმრავლესობას.

- (5) დებულება „თუ X არსებობს, მაშინ X-ს აქვს φ თვისებების უმრავლესობა“ მოსაუბრემ აპრიორულად იცის.
- (6) დებულება „თუ X არსებობს, მაშინ X-ს აქვს φ თვისებების უმრავლესობა“ გამოხატავს აუცილებელ ჭეშმარიტებას (მოსაუბრის იდიოლექტში).

მისთვის, ვინც არ ფიქრობს, რომ კლასტერი სახელის მნიშვნელობის ნაწილია, აუცილებელი არ არის, რომ (6) ამ თეორიის თეზისი იყოს. მას შეუძლია იფიქროს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ის „არისტოტელეს“ რეფერენციას განსაზღვრავს, როგორც ადამიანს, რომელსაც φ თვისებების უმრავლესობა აქვს, მაინც არსებობს ამკარად შესაძლო სიტუაციები, რომლებშიც არისტოტელეს არ ექნებოდა φ თვისებების უმრავლესობა.

როგორც შევნიშნე, არსებობს რამდენიმე დამხმარე თეზისიც, თუმცა მათ დეტალურად არ განვიხილავ. ეს თეზისები მოგვცემდა სინგულარული ეგზისტენციური დებულებების ისეთ ანალიზს, როგორცაა: „მოსე არსებობს“ ნიშნავს, რომ „ φ თვისებების საკმარისი რაოდენობა დაკმაყოფილებულია.“ ისიც კი, ვინც ამ თეორიას მნიშვნელობის თეორიად არ იყენებს, ამ თეზისებიდან ზოგიერთს იზიარებს. მაგალითად, (4) თეზისის დამხმარე თეზისის სახით, უნდა ვთქვათ, რომ მოსაუბრისათვის აპრიორულად ჭეშმარიტია, რომ თუ φ თვისებების საკმარისი რაოდენობა არ კმაყოფილდება, მაშინ X არ არსებობს. მხოლოდ მაშინ, თუ ის ამ თვალსაზრისის იზიარებს არა როგორც რეფერენციის, არამედ როგორც მნიშვნელობის თეორიას, აუცილებლად ჭეშმარიტი იქნება აგრეთვე ისიც, რომ თუ φ თვისებების საკმარისი რაოდენობა არ კმაყოფილდება, X არ არსებობს (სულ მცირე, მას ეს აპრიორულად ეცოდინება, თუკი მან იცის სახელების სწორი თეორია). და ანალოგიური ანალიზი გვექნება იგივეობის დებულებებისთვისაც.

საკითხავი ისაა, არის კი ამ თეზისებიდან რომელიმე ჭეშმარიტი? თუ ჭეშმარიტია, ისინი ვითარების მშვენიერ სურათს

გვაძლევს. ამ თეზისების განხილვამდე, ნება მომეცით, შევნიშნო, რომ, ხშირად, იმის გამოყოფისას, თუ რომელი ფ თვისებებია რელევანტური, ადამიანები მათ თითქოს არასწორად გამოყოფენ. ეს უბრალოდ შემთხვევითი ნაკლია, თუმცა ის მჭიდრო კავშირშია ამ თეორიის საწინააღმდეგოდ იმ არგუმენტებთან, რომელთაც ახლა წარმოგიდგენთ. განვიხილოთ ვიტგენშტაინის მაგალითი. რა არის, მის თანახმად, რელევანტური თვისებები? «როდესაც ამბობენ: „მოსე არ არსებობდა“, ეს შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. ეს შეიძლება ნიშნავდეს: ებრაელებს არ ჰყოლიათ ერთი ბელადი, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა – ან: მათ ბელადს არ ერქვა მოსე – ან: შეუძლებელია ეარსება ადამიანს, რომელიც გააკეთებდა ყოველივე იმას, რასაც ბიბლია მოსეს შესახებ გვეუბნება...» ამ ყველაფრის არსი ისაა, რომ ჩვენ აპრიორულად ვიცით შემდეგი: თუკი ბიბლიური ამბავი არსებითად მცდარია, მოსე არ არსებობდა. მე უკვე ვამტკიცებდი, რომ ბიბლიური ისტორია არ გვაძლევს მოსეს *აუცილებელ* თვისებებს, რომ მას შეიძლებოდა ეცხოვრა ისეც, რომ არ გაეკეთებინა ნებისმიერი ამ საქმეებიდან. აქ ჩემი კითხვაა, შეგვიძლია თუ არა აპრიორულად ვიცოდეთ, რომ თუ მოსე არსებობდა, მან, ფაქტობრივად, გააკეთა ამ საქმეთაგან ზოგიერთი ან მათი უმრავლესობა. მართლაც ეს არის თვისებათა ის კლასტერი, რომელიც აქ უნდა გამოვიყენოთ? უეჭველია, არსებობს ერთი განსხვავება, რომელიც უგულვებლყოფილია ამ სახის შენიშვნებში. ბიბლიური ამბავი შეიძლება იყოს მთლიანად ლეგენდა, ან კიდევ, შეიძლება იყოს რეალური ადამიანის შესახებ არსებითად მცდარი მონათხრობი. მე როგორც მეჩვენება, მეორე შემთხვევაში მკვლევარს შეეძლო ეთქვა, რომ თუმცა მისი ვარაუდით მოსე არსებობდა, ბიბლიაში მის შესახებ მოთხრობილი ამბები არსებითად მცდარია. ასეთი რამეები მართლაც ხდება კვლევის სწორედ ამ დარგში. დავუშვათ, ვინმე ამბობს, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი არასოდეს გადაუყლაპავს დიდ თევზს ან ვეშაპს. გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ იონა არ არსებობდა?

თითქოს მაინც რჩება კითხვა: არის ბიბლიური ამბავი ლეგენდა, რომელიც არც ერთ ადამიანს არ ეხება, თუ არის ის ლეგენდა, რომელიც რეალურ ადამიანს ეხება? მეორე შემთხვევაში ძალიან ბუნებრივია ვთქვათ, რომ, თუმცა იონა არსებობდა, არავის გაუკეთებია ის, რასაც მას ჩვეულებრივ მიაწერენ. ეს შემთხვევა იმიტომ ავირჩიე, რომ, თუმცა ბიბლიის მკვლევრები ზოგადად ამტკიცებენ, რომ იონა არსებობდა, მონათხრობი არა მხოლოდ დიდი თევზის მიერ მის ჩაყლაპვაზე, არამედ ნინევიამში მქადაგებლად წასვლაზეც, ან ნებისმიერი სხვა რამ, რაც ბიბლიურ ამბავშია ნათქვამი, არსებითად მცდარად მიიჩნევა. მაგრამ, ამის მიუხედავად, არსებობს საფუძვლები ვიფიქროთ, რომ ეს რეალური წინასწარმეტყველის შესახებ იყო. საჭირო წიგნი თან რომ მქონოდა, შემძღლო მისგან ციტირება დამეწყო: „იონა, ამითაის ძე, იყო ნამდვილი წინასწარმეტყველი, მაგრამ ასეთი და ასეთი და ასეთი.“ არსებობს დამოუკიდებელი საბუთები, რათა ვიფიქროთ, რომ ეს იყო არა წმინდა წყლის ლეგენდა გამოგონილი პერსონაჟის შესახებ, არამედ ლეგენდა რეალური პირის შესახებ.²⁸

28 იხილეთ, მაგალითად, H. L. Ginsberg, *The Five Magilloth and Jonah*, The Jewish Publication Society of America, 1969, გვ. 114: «ამ მოთხრობის „გმირი“ წინასწარმეტყველი იონა, ამითაის ძე, ისტორიული პირია ... (მაგრამ) ეს წიგნი არის არა ისტორია, არამედ გამოგონილი ამბავი.» მკვლევრებს შორის თანხმობაა იმის თაობაზე, რომ იონას შესახებ წიგნში მოცემული ყველა დეტალი ლეგენდაა და არავითარ ფაქტობრივ საფუძველს არ ემყარება; გამონაკლისია მხოლოდ დებულება, რომ ის ებრაელი წინასწარმეტყველი იყო, რაც საკმარისი არ არის უნიკალურად იდენტიფიცირებისთვის. ისიც კი არ არის აუცილებელი, რომ ებრაელები მას „იონას“ უწოდებდნენ; ებრაულში „ი“ ბგერა არ არსებობს და იონას ისტორიული არსებობა დამოუკიდებელია იმისგან, ვიცით თუ არა ჩვენ მისი ორიგინალური ებრაული სახელი. იმ ფაქტს, რომ ჩვენ მას იონას ვუწოდებთ, მის გამოსარჩევად ვერ გამოვიყენებთ მანკიერ წრეში მოხვედრის გარეშე. იონას ისტორიულობის საბუთები მომდინარეობს მასზე დამოუკიდებელი მითითებიდან მეფეთა მეორე წიგნში; მაგრამ ასეთი საბუთები ამგვარი დამოუკიდებელი რეფერენციების გარეშეც შეიძლება არსებულიყო. ასეთია, მაგალითად, საბუთი, რომ ებრაელთა ყველა ლეგენდა რეალურ

შესაძლებელია ამ მაგალითების მოდიფიცირება. შეიძლება, ჩვენ მხოლოდ ის გვჯერა, რომ ამას და ამას *მოგვითხრობს ბიბლია მის შესახებ*. ეს კიდევ სხვა პრობლემის წინაშე გვაყენებს, რადგან საიდან ვიცით, ვისზე რეფერირებს ბიბლია? ამრიგად, შეკითხვა ჩვენი რეფერენციის შესახებ გარდაიქმნა შეკითხვად ბიბლიის რეფერენციის შესახებ. ამას მივყავართ პირობასთან, რომლის აშკარად ჩამოყალიბებაა საჭირო.

(პ) ნებისმიერი წარმატებული თეორიისთვის, მის მიერ შემოთავაზებული ახსნა არაწრიული უნდა იყოს. თვისებები, რომლებიც კენჭისყრაში გამოიყენება, რეფერენციის ცნებას თვითონ არ უნდა შეიცავდეს ისეთი სახით, რომ შეუძლებელი იყოს მისი საბოლოოდ ელიმინირება.

ნება მომეცით, მოგცეთ მაგალითი, რომელშიც არაწრიულობის ეს პირობა აშკარად დარღვეულია. საკუთარი სახელების ქვემოთ წარმოდგენილ თეორიას უილიამ ნილი გვთავაზობს თავის სტატი-აში „მოდალობა, de dicto და de re“:²⁹ ჩემი აზრით, ის არაწრიულო-ბის პირობების აშკარა დარღვევას შეიცავს.

ადამიანების ჩვეულებრივი საკუთარი სახელები არ არის საბ-რისის არმქონე ნიშნები, როგორც ჯონ სტიუარტ მილი ფიქრობდა.

პირებს ეხება. მეტიც: დებულება, რომ იონას ამბავი არის ლეგენდა რე-ალური პირის შესახებ, შეიძლება *ჭეშმარიტი ყოფილიყო*, თუნდაც ამის არავითარი საბუთი არ არსებულებო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბიბლიის იონა არასოდეს არსებულა“, ისევე, როგორც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნა-ცისტების პროპაგანდის ჰიტლერი არასოდეს არსებულა.“ როგორც ზემოთ მოცემული ციტატა აჩვენებს, აუცილებელი არ არის, რომ ეს გამოყენება ემთხვეოდეს ისტორიკოსის მოსაზრებას იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა ოდესმე იონა. გინსბერგი არაპროფესიონალი მკითხველისთვის წერს და გულისხმობს, რომ მათთვის მისი დებულება გასაგებია.

29 William Kneale, “Modality, De Dicto and De Re”, in Ernest Nagel, Patric Suppes, and Alfred Tarski, *Logic, Methodology and the Philosophy of Science: Proceedings of the 1960 International Congress*, Stanford University Press, 1962, გვ. 622-633.

მაშინ, როდესაც შეიძლება ინფორმაციული იყოს ადამიანისთვის იმის თქმა, რომ ყველაზე სახელგანთქმულ ბერძენ ფილოსოფოსს სოკრატე ერქვა, აშკარად არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ სოკრატეს სოკრატე ერქვა; და ამის მიზეზი უბრალოდ ის არის, რომ მსმენელი ვერ გაიგებს თქვენი დებულების დასაწყისში სიტყვის „სოკრატე“ თქვენს გამოყენებას, თუკი მან უკვე არ იცის, რომ „სოკრატე“ ნიშნავს: «ინდივიდი, რომელსაც „სოკრატე“ ერქვა».³⁰

აქ ჩვენ წინაშეა საკუთარი სახელების რეფერენციის თეორია. „სოკრატე“ უბრალოდ ნიშნავს: «ადამიანი, რომელსაც „სოკრატე“ ერქვა». სინამდვილეში, რასაკვირველია, შეიძლება ერთზე მეტ ადამიანს ერქვას „სოკრატე“, და შეიძლება ამ ერთს ზოგიერთი უწოდებდეს „სოკრატეს“, ხოლო სხვები – არა. უდავოა, რომ ეს არის პირობა, რომელიც ზოგიერთ გარემოებაში უნიკალურად არის შესრულებული. შეიძლება, მხოლოდ ერთია ადამიანი, რომელსაც მე, გარკვეულ შემთხვევაში, „სოკრატეს“ ვუწოდებდი.

ნილი ამბობს, რომ არაფრის მომცემია ვინმესთვის იმის თქმა, რომ სოკრატეს ერქვა „სოკრატე“. მაგრამ ეს არ არის არაფრის მომცემი არც ერთი თვალსაზრისით. შეიძლება, ბერძნები არ უწოდებდნენ მას „სოკრატეს“. ვთქვათ, სოკრატეს „სოკრატეს“ ვუწოდებთ ჩვენ – მე, ყოველ შემთხვევაში. დავუშვათ, ეს არაფრის მომცემია. (მე მაკვირვებს ის, რომ ნილი აქ წარსულ დროს იყენებს; საეჭვოა, რომ ბერძნები მას მართლა „სოკრატეს“ უწოდებდნენ – სულ მცირე, ბერძნული სახელი სხვანაირად წარმოითქმება. შემდეგი ლექციისთვის ციტირების სიზუსტეს გადავამოწმებ.)

ნილი გვთავაზობს არგუმენტს ამ თეორიის დასაცავად. „სოკრატე“ უნდა გავაანალიზოთ, როგორც „ინდივიდი, რომელსაც „სოკრატე“ ერქვა“, რადგან სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის, რომ არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ სოკრატეს „სოკრატე“ ერქვა? ზოგიერთ შემთხვევაში ეს მართლაც საკმაოდ არაფრის მომცემია. იმავე აზრით, ვფიქრობ, შეგეძლოთ, ენაში არსებული ნებისმიერი

30 Loc. cit., გვ. 629-630.

გამონათქვამის მნიშვნელობის კარგი თეორია გქონოდათ და კარგი ლექსიკონი შეგედგინათ. მაგალითად, თუმცა მართალია, რომ შეიძლება ინფორმაციული იყოს იმის თქმა, რომ ცხენები დოღში გამოიყენება, მაგრამ არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ ცხენებს „ცხენები“ ჰქვია. ეს ასე მხოლოდ იმიტომ შეიძლება იყოს, რომ სიტყვა „ცხენი“ ჩვენს ენაზე ნიშნავს «საგნებს, რომლებსაც „ცხენები“ ჰქვია». ანალოგიურია შემთხვევა ნებისმიერი სხვა გამონათქვამისა, რომელიც შეიძლება ჩვენს ენაში გამოიყენებოდეს. რადგან არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ ბრძნებს ჰქვიათ „ბრძნები“, „ბრძნები“ უბრალოდ ნიშნავს «ადამიანებს, რომელთაც „ბრძნები“ ჰქვიათ». აშკარაა, რომ ეს მართლაც არ არის ძალიან კარგი არგუმენტი და, ამიტომ, ის ვერც იმის ახსნა იქნება, თუ რატომ არის არაფრის მომცემი იმის თქმა, რომ სოკრატეს „სოკრატე“ ჰქვია. ნულარ ჩავუღრმავდებით იმას, თუ ზუსტად რატომ არის ეს არაფრის მომცემი. რა თქმა უნდა, ყველამ, ვინც იცის ჩვენს ენაში სიტყვის „ჰქვია“ გამოყენება, ისიც იცის, რომ თუ „კვარკი“ ნიშნავს რაღაცას, მაშინ «კვარკს „კვარკი“ ჰქვია» გამოხატავს ჭეშმარიტებას, თუნდაც არ იცოდეს, რას ნიშნავს ეს დებულება. მან შეიძლება არ იცოდეს, რა ჭეშმარიტებას გამოხატავს ის, რადგან არ იცის, რა არის კვარკი; მაგრამ მისი ცოდნა, რომ ეს დებულება ჭეშმარიტებას გამოხატავს, არავითარ კავშირში არ არის სიტყვის „კვარკი“ მნიშვნელობასთან.

ამის შესახებ შეგვეძლო ბევრად მეტი გველაპარაკა. ამის მსგავსი ფრაგმენტებიდან საინტერესო პრობლემები წამოყოფს თავს. თუმცა, მისი აქ მოყვანის მთავარი მიზეზი ჩემთვის ის არის, რომ ის, როგორც რეფერენციის თეორია, არაწრიულობის პირობის აშკარა დარღვევას წარმოგვიდგენს. როცა ვილაც იყენებს სახელს „სოკრატე“, როგორ უნდა ვიცოდეთ, ვისზე რეფერირებს ის? პასუხია: იმ დესკრიფციის გამოყენებით, რომელიც მის საზრისს გვაძლევს. ნილის თანახმად, ეს დესკრიფციაა «ადამიანი, რომელსაც „სოკრატე“ ჰქვია». და აქ ეს პასუხი (სავარაუდოდ, რადგან

იგულისხმება, რომ ის ესოდენ არაფრის მომცემია!) ჩვენ საერთოდ არაფერს გვეუბნება. თუ ასე გავიგებთ, ეს თითქოს საერთოდ არ არის რეფერენციის თეორია. ჩვენ ვსვამთ კითხვას: «ვისზე რეფერირებს ის „სოკრატეს“ გამოყენებით?» პასუხად კი ვიღებთ: „ცხადია, ის რეფერირებს ადამიანზე, რომელზეც ის რეფერირებს.“ ეს რომ ყოფილიყო ის ყველაფერი, რაც სათქმელია საკუთარი სახელის მნიშვნელობაზე, მაშინ საერთოდ არავითარი რეფერენცია არ იქნებოდა შესაძლებელი.

ამრიგად, არსებობს პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს, თუმცა, ამ კონკრეტული თეორიის შემთხვევაში ის აშკარად არ სრულდება. პარადიგმა, რომელსაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დესკრიფციული საზრისისთვის ზოგჯერ რასელიც კი იყენებს, შემდეგია: «ადამიანი, რომელსაც „უოლტერ სკოტი“ ჰქვია». აშკარაა, რომ თუ სახელების დესკრიფციული საზრისის ერთადერთ სახეს, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, აქვს ისეთი ფრაზების ფორმა, როგორებიცაა «ადამიანი, რომელსაც ესა და ეს ჰქვია», «ადამიანი, რომელსაც „უოლტერ სკოტი“ ჰქვია», «ადამიანი, რომელსაც „სოკრატე“ ჰქვია», მაშინ, რაც არ უნდა იყოს სახელების ეს მიმართება, რეალურად ის განსაზღვრავს რეფერენციას და არა რომელიმე ისეთი დესკრიფცია, როგორიცაა «ადამიანი, რომელსაც „სოკრატე“ ჰქვია».

ლექცია II: 1970 წლის 22 იანვარი

ბოლო შეხვედრა დავამთავრეთ სახელდების იმ თეორიაზე ლაპარაკით, რომელიც გადმოცემულია დაფაზე წარმოდგენილი რამდენიმე თეზისით:

- (1) ყველა „X“ სახელს ან აღმნიშვნელ ფრაზას შეესაბამება თვისებების კლასტერი, სახელდობრ, თვისებების ϕ ოჯახი, ისეთი, რომ A -ს სჯერა, რომ „ ϕX “.
- (2) A -ს სჯერა, რომ ამ თვისებებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთობლივად უნიკალურად გამოარჩევს რომელიღაც ერთეულ ობიექტს.
- (3) თუკი ϕ თვისებების უმრავლესობას ან მათ შეწონილ უმრავლესობას აკმაყოფილებს უნიკალური y ობიექტი, მაშინ y არის „X“-ის რეფერენტი.
- (4) თუკი კენჭისყრა არც ერთ უნიკალურ ობიექტს არ გამოავლენს, მაშინ „X“-ს არ აქვს რეფერენტი.
- (5) დებულება „თუ X არსებობს, მაშინ X -ს აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა“ მოსაუბრემ აპრიორულად იცის.
- (6) დებულება „თუ X არსებობს, მაშინ X -ს აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა“ გამოხატავს აუცილებელ ჭეშმარიტებას (მოსაუბრის იდიოლექტში).
- (\exists) ნებისმიერი წარმატებული თეორიისთვის, მის მიერ შემოთავაზებული ახსნა არაწრიული უნდა იყოს. თვისებები, რომლებიც კენჭისყრაში გამოიყენება, თვითონ არ უნდა შეიცავდეს რეფერენციის ცნებას ისეთი სახით, რომ მისი საბოლოოდ ელიმინირება შეუძლებელი იყოს.

(\exists) არის არა თეზისი, არამედ სხვა თეზისების შესრულების შემზღვეველი პირობა. სხვა სიტყვებით, არ შეიძლება (1)-(6) თე-

ზისები შესრულდეს ისეთი გზით, რომ წრეში აღმოვჩნდეთ, ანუ გზით, რომელიც არ გვაძლევს რეფერენციის დამოუკიდებელ დადგენას. ამ პირობების დაკმაყოფილების აშკარად წრიული ცდის მაგალითი, რომელიც ბოლო შეხვედრისას მოგიყვანეთ, იყო სახელების თეორია, რომელსაც უილიამ ნილი ახსენებს. მე, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა ამ თეორიის ფორმულირებამ, როდესაც ჩემი ამონაწერი ხმამაღლა წაგიკითხეთ, ამიტომ ის გადავამოწმე. გადავამოწმე წიგნში, რათა მენახა, ზუსტად მქონდა თუ არა ამოწერილი. ნილი მართლაც წარსულ დროს იყენებს. ის ამბობს, რომ, მართალია, არაფრის მომცემი არ არის იმის თქმა, რომ სოკრატე ანტიკური საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ სოკრატეს „სოკრატეს“ უწოდებდნენ. ამიტომ, ასკვნის ის, სახელი „სოკრატე“ უბრალოდ უნდა ნიშნავდეს «ინდივიდს, რომელსაც „სოკრატეს“ უწოდებდნენ». როგორც ვთქვი, თავის ზოგიერთ ნაშრომში ამის მსგავს ანალიზს გვთავაზობს რასელიც. რაც არ უნდა იყოს, წარსული დროის გამოყენებით ფორმულირების შემთხვევაში, ეს პირობა არ იქნებოდა წრიული, რადგან უდავოდ შეიძლებოდა ვინმეს გადაეწყვიტა, სიტყვა „სოკრატე“ გამოეყენებინა იმ ადამიანზე რეფერირებისთვის, ვისაც ძველი ბერძნები უწოდებდნენ „სოკრატეს“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ აზრით სულაც არ არის არაფრის მომცემი იმის თქმა, რომ სოკრატეს „სოკრატეს“ უწოდებდნენ. თუ ეს რამე სახის ფაქტია, ის შეიძლება მცდარიც ყოფილიყო. ალბათ, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მას „სოკრატეს“ ვუწოდებთ; ეს სულაც არ აჩვენებს იმას, რომ ბერძნებიც ასე იქცეოდნენ. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ სინამდვილეში ისინი ამ სახელს სხვანაირად წარმოთქვამდნენ. ამ კონკრეტული სახელის შემთხვევაში, შეიძლება, ბერძნულიდან ტრანსლიტერაცია იმდენად კარგია, რომ ინგლისური ვერსია არ წარმოითქმის ბერძნულისგან ძალიან განსხვავებულად. მაგრამ ასე არ იქნება საყოველთაოდ. ნამდვილად არ არის არაფრის მომცემი იმის თქმა, რომ ისაიას „ისაიას“ უწოდებ-

დნენ. ფაქტობრივად, არასწორია იმის თქმა, რომ ისაიას „ისაიას“ უწოდებდნენ; თვითონ წინასწარმეტყველი ამ სახელს საერთოდ ვერ იცნობდა. და, რა თქმა უნდა, ბერძნები არ უწოდებდნენ თავის ქვეყანას სახელს, რომელიც „საბერძნეთის“ მსგავსი იქნებოდა. დავუშვათ, თეზისი შევასწორეთ ისე, რომ ის ასე უღერს: არაფრის მომცემია იმის თქმა, რომ სოკრატეს ჩვენ „სოკრატეს“ ვუწოდებთ ან, სულ მცირე, მე, მოსაუბრე ვუწოდებ „სოკრატეს“. მაშინ გარკვეული აზრით ეს მართლა არაფრისმომცემია. მე არ ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელი ან ანალიზურია. იმავენაირად, არაფრისმომცემია იმის თქმა, რომ ცხენებს „ცხენებს“ უწოდებენ, თუმცა, ამას არ მივყავართ დასკვნამდე, რომ სიტყვა „ცხენი“ უბრალოდ ნიშნავს: «ცხოველი, რომელსაც „ცხენი“ ჰქვია». თუ ამას მივიღებთ სახელის „სოკრატე“ რეფერენციის თეორიად, ის მაშინვე მანკიერ წრეში შეგვიყვანს. ვინმე რომ თავისთვის ადგენდეს სახელის „გლანკი“ რეფერენტს და ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს – «მე გამოვიყენებ სიტყვას „გლანკი“ იმ ადამიანზე რეფერირებისთვის, ვისაც „გლანკს“ ვუწოდებ» – ეს მას არაფერს მისცემდა. მას „გლანკის“ რეფერენტის დადგენის დამოუკიდებელი ხერხი სჭირდება. ეს აშკარად წრიული დადგენის კარგი მაგალითია. სინამდვილეში ისეთი წინადადებები, როგორიცაა «სოკრატეს „სოკრატე“ ჰქვია» ძალიან საინტერესოა და მათი ანალიზის შესახებ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საათობით შეიძლება ვილაპარაკოთ. ერთხელ ეს მართლაც გავაკეთე. თუმცა, ამ შემთხვევაში ამას არ ვიზამ (არ შევეცდები, მოვსინჯო, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ენა, თუნდაც მის ყველაზე მოკრძალებულ ფორმებში). ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არაწრიულობის პირობის დარღვევის სასარგებლო მაგალითია. ეს თეორია, ალბათ, დააკმაყოფილებს ჩვენი დებულებებიდან თითოეულს, მაგრამ ის მათ მხოლოდ იმიტომ დააკმაყოფილებს, რომ [არ] არსებობს რეფერენციის დადგენის რალაც დამოუკიდებელი ხერხი – დამოუკიდებელი

იმ კონკრეტული პირობისაგან, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც ჰქვია „სოკრატე“.

წინა ლექციაზე მე უკვე ვილაპარაკე მე-6 თეზისის შესახებ. სხვათა შორის, მე-5 და მე-6 თეზისებს კონვერსიები აქვთ. მე-5 თეზისის სასარგებლოდ ვთქვი, რომ დებულება, რომ თუ X არსებობს, მაშინ X-ს აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა, აპრიორულად ჭეშმარიტია მოსაუბრისთვის. მოცემული თეორიის მიხედვით, ასევე ჭეშმარიტი იქნება, რომ მოსაუბრისთვის აპრიორულად ჭეშმარიტია ამ დებულების გარკვეული კონვერსიებიც, სახელდობრ, შემდეგი: თუ რომელიმე უნიკალურ საგანს აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა, სათანადოდ შეწონილი აზრით, მაშინ ეს საგანი არის X. ანალოგიურად, აუცილებლად ჭეშმარიტი იქნება მისი გარკვეული კონვერსია, სახელდობრ, შემდეგი: თუ რამეს აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა, სათანადოდ შეწონილი აზრით, მაშინ ის არის X. ამრიგად, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ აპრიორულიცაა და აუცილებელიც, რომ რაღაც არის X მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მას უნიკალურად აქვს ϕ თვისებების უმრავლესობა. ეს, ჩემი აზრით, მართლაც გამომდინარეობს წინა, (1)-(4) თეზისებიდან. ხოლო მე-5 და მე-6 თეზისები სინამდვილეში უბრალოდ გვეუბნება, რომ საკმარისად დაფიქრებულ მოსაუბრეს ესმის საკუთარი სახელების ეს თეორია. შესაბამისად, ამ ცოდნის საფუძველზე, ის ხედავს, რომ მე-5 და მე-6 თეზისები ჭეშმარიტია. მე-5 და მე-6 თეზისების წინააღმდეგ არგუმენტი ვერ იქნება ის, რომ ზოგიერთმა მოსაუბრემ არ იცის ეს თეორია და, ამდენად, არ იცის ეს ყველაფერი.

წინა ლექციაზე ვილაპარაკობდი მე-6 თეზისის შესახებ. ბევრმა ფილოსოფოსმა შენიშნა, რომ თუკი საკუთარ სახელთან დაკავშირებული თვისებების კლასტერი ძალიან ვიწრო აზრით გაიგება, ისე, რომ მხოლოდ ერთ თვისებას ენიჭება რაიმე წონა საერთოდ, ვთქვათ, ერთი განსაზღვრული დესკრიფცია (მაგალითად, არისტოტელე იყო ფილოსოფოსი, რომელიც ასწავლიდა ალექსანდრე

მაკედონელს) გამოყოფს რეფერენტს, მაშინ, თითქოს, აუცილებელი ჭეშმარიტება აღმოჩნდება ზოგიერთი ისეთი ვითარება, რომელიც სინამდვილეში არ არის აუცილებელი ჭეშმარიტება – ჩვენს შემთხვევაში, მაგალითად, ის, რომ არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელს ასწავლიდა. მაგრამ, როგორც სერლმა თქვა, არა აუცილებელი, არამედ შემთხვევითი ჭეშმარიტებაა ის, რომ არისტოტელემ საერთოდ დაიწყო მასწავლებლობა. ამიტომ ის ასკვნის, რომ უარი უნდა ვთქვათ ერთი დესკრიფციის საწყის პარადიგმაზე და მივმართოთ დესკრიფციების კლასტერის მოდელს.

რომ შევაჯამო ზოგიერთი მოსაზრება, რომელთაც ბოლო მეხვედრის მსვლელობაში ვასაბუთებდი, აუცილებლობასთან დაკავშირებულ ამ პრობლემაზე სწორი პასუხი არ არის ეს (რაც არ უნდა იყოს ასეთი პასუხი). მართლაც, სერლი ამბობს:

დავუშვათ, შევთანხმდით, უარი ვთქვათ „არისტოტელეზე“ და გამოვიყენოთ, ვთქვათ, „ალექსანდრეს მასწავლებელი“; მაშინ აუცილებელი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი, ვისზეც ვრეფერირებთ, ალექსანდრეს მასწავლებელია, თუმცა შემთხვევითი ფაქტია ის, რომ არისტოტელემ საერთოდ დაიწყო მასწავლებლობა; მაგრამ მე გეუბნებით, რომ აუცილებელი ფაქტია ის, რომ არისტოტელეს აქვს ლოგიკური ჯამი, არაგამომრიცხავი დისიუნქცია იმ თვისებებისა, რომლებიც მას ჩვეულებრივ მიეწერება...³¹

სწორედ ეს არ არის სიმართლე. აუცილებლობის არც ერთი ინტუიციური გაგებით არ არის აუცილებელი ჭეშმარიტება ის, რომ არისტოტელეს ჰქონდა თვისებები, რომლებიც მას, ჩვეულებრივ, მიეწერება. არსებობს გარკვეული თეორია, რომელიც, ალბათ, პოპულარულია ისტორიის ფილოსოფიის ზოგიერთ მოძღვრებაში, რომელიც შეიძლება ერთდროულად იყოს დეტერმინისტულიც და, იმავე დროს, ისტორიაში დიდ როლს ანიჭებდეს ინდივიდს. ალბათ, კარლაილი დააკავშირებდა დიდი ადამიანის სახელის მნიშვნელობასთან მის მიღწევებს. ასეთი თვალსაზრისის თანახმად, აუცილებ-

31 Searle, “Proper Names”, in Caton, op. cit., გვ. 160.

ბელი იქნება, რომ – მას შემდეგ, რაც გარკვეული ინდივიდი დაიბადა – მისი ბედისწერა იყოს სხვადასხვა დიდი ამოცანის შესრულება. შესაბამისად, თვით არისტოტელეს ბუნების ნაწილი იქნება ის, რომ ყოფილიყო ავტორი იდეებისა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ დასავლეთ სამყაროზე. რაც არ უნდა იყოს ასეთი თვალსაზრისის – მიუხედავად იმისა, გვემის ის თვალსაზრისად ისტორიის შესახებ, თუ თვალსაზრისად დიდი ადამიანების ბუნების შესახებ – ღირსება, დამაჯერებელი არ არის, რომ ის ტრივიალურად ჭეშმარიტი იქნება საკუთარი სახელების თეორიის საფუძველზე. თითქოს შემთხვევითი ფაქტია ის, რომ არისტოტელემ ოდესღაც გააკეთა *რომელიმე* იმ დიდი საქმეებიდან, რომლებიც ჩვენ ეგზომ ალგვაფრთოვანებს. უნდა ვალიარო, რომ სერლის ამ გრძნობაში ნამდვილად არის რაღაც სწორი. სახელის „ჰიტლერი“ გაკონები-სას თითქოს მართლა „ტანით ვგრძნობ“; რომ რაღაცნაირად ანალიზური ჭეშმარიტებაა, რომ ეს ადამიანი ბოროტი იყო. მაგრამ სინამდვილეში ალბათ არ არის ასე. ჰიტლერს შეიძლებოდა მთელი ცხოვრება წყნარად გაეტარებინა ლინცში. და მაინც, არ ვიტყვოდით, რომ ამ შემთხვევაში ეს ადამიანი არ იქნებოდა ჰიტლერი, რადგან ჩვენ სახელს „ჰიტლერი“ ვიყენებთ, სწორედ როგორც ამ ადამიანის სახელს, თუნდაც ეს სხვა შესაძლო სამყაროების აღწერისას ხდებოდეს (ეს არის ცნება, რომელსაც წინა ლექციაში *ხისტი აღმნიშვნელი* ვუწოდებ). დავუშვათ, მართლაც გადავწყვიტეთ, „ჰიტლერის“ რეფერენცია გამოვყოთ, როგორც ადამიანი, რომელმაც მეტი ებრაელი მოაკვლევინა, ვიდრე ვინმე სხვას მოუხერხებია ისტორიაში. ჩვენ სწორედ ასე გამოვყოფთ ამ სახელის რეფერენციას; მაგრამ სხვა კონტრფაქტობრივ სიტუაციაში, რომელშიც ვინმე სხვა მოიპოვებდა ამ სამარცხვინო სახელს, ჩვენ არ ვიტყვოდით, რომ ასეთ შემთხვევაში ეს სხვა ადამიანი იქნებოდა ჰიტლერი. ჰიტლერი რომ არასოდეს მოსულიყო ხელისუფლების სათავეში, ჰიტლერს არ ექნებოდა ის თვისება, რომელსაც ჩვენ, ჩემი დაშვების მიხედვით, მისი სახელის რეფერენციის დასაფიქსი-

რებლად ვიყენებთ. ანალოგიურად, თუნდაც ჩვენ მეტრს განვსაზღვრავდეთ სტანდარტულ მეტრიან ჯოხზე რეფერენციის გზით, შემთხვევითი და არა – აუცილებელი ჭეშმარიტება იქნება ის, რომ ეს კონკრეტული ჯოხი ერთი მეტრია სიგრძეში. რომ გაეწელათ, ხომ ერთ მეტრზე გრძელი იქნებოდა. და ასეა იმიტომ, რომ ტერმინს „ერთი მეტრი“ ჩვენ ვიყენებთ გარკვეული სიგრძის ხისტად აღსანიშნავად. მართალია, სიგრძეს, რომელსაც აღვნიშნავთ, ჩვენ ვაფიქსირებთ ამ სიგრძის შემთხვევითი თვისებით, ზუსტად ისევე, როგორც რომელიმე ადამიანის სახელის შემთხვევაში შეგვიძლია ეს ადამიანი გამოვყოთ მისი შემთხვევითი თვისებით, მაგრამ ჩვენ მაინც ვიყენებთ ამ სახელს ამ ადამიანის ან ამ სიგრძის აღსანიშნავად ყველა შესაძლო სამყაროში. არ არის აუცილებელი, რომ თვისება, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, იყოს ერთ-ერთი იმათგან, რომლებიც რაიმე აზრით აუცილებლად ან არსებითად ითვლება. იარღის შემთხვევაში საწყისი ხერხი, რომლითაც ეს სიგრძე იქნა გამორჩეული, ვფიქრობ, იყო მანძილი ინგლისის მეფის, ჰენრი I-ის გაშლილი ხელის თითის წვერსა და მის ცხვირს შორის. თუნდაც ეს მანძილი მართლა ყოფილიყო იარღის სიგრძე, მაინც არ იქნება აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ მისი თითის წვერსა და მის ცხვირს შორის მანძილი ერთი იარღი იქნებოდა: ხომ შეიძლებოდა, მას ისეთი რამ შემთხვეოდა, რაც მისი მკლავის დამოკლებას გამოიწვევდა? ეს ნამდვილად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. ამასთან, იმის მიზეზი, რომ ეს არ არის აუცილებელი ჭეშმარიტება, არ არის ის, რომ იარღის „კლასტერულ ცნებაში“ შეიძლება სხვა კრიტერიუმებიც შედიოდეს. იმ ადამიანსაც კი, ვინც მკაცრად იყენებს ჰენრი I-ის მკლავს სიგრძის ერთადერთ სტანდარტად, შეუძლია თქვას, კონტრაქტობრივად, რომ მეფეს რაღაც რომ შემთხვეოდდა, მისი ერთ-ერთი თითის წვერსა და მის ცხვირს შორის მანძილი არ იქნებოდა ზუსტად ერთი იარღი. არ არის აუცილებელი, რომ ის კალსტერს იყენებდეს – იმდენად, რამდენადაც ის სიტყვას „იარღი“ იყენებს გარკვეული ფიქსირებული რეფერენციის აღსა-

ნიშნავად, რომელიც ეს მოცემული სიგრძეა ყველა შესაძლო სამყაროში.

ეს შენიშვნები, ჩემი აზრით, აჩვენებს, რომ „სამყაროთა შორის იდენტიფიკაციისა“ და „ორეულების თეორიის“ შესახებ არსებული ლიტერატურის დიდი ნაწილი ინტუიციურად ძალიან უცნაურია. ამ ყაიდის თეორიების მრავალი ავტორი მართლაც ფიქრობს, რომ „შესაძლო სამყარო“ მხოლოდ თვისებრივად მოგვეცემა, და ამტკიცებს, რომ საჭიროა არისტოტელეს „იდენტიფიკაცია სხვა შესაძლო სამყაროებში“, ან, ალტერნატიულად, მისი ორეულების იდენტიფიკაცია, როგორც სხვა შესაძლო სამყაროებში იმ საგნებისა, რომლებიც ყველაზე მეტად ჰგავს არისტოტელეს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებით (მაგალითად, ლუისი ამბობს: „თქვენი ორეულები... მნიშვნელოვანი ასპექტებით... მათ სამყაროებში არსებულ სხვა საგნებზე უფრო მეტად... გვგანან თქვენ... სხვადასხვა ასპექტის მნიშვნელობისა და მსგავსებების ხარისხის გათვალისწინებით“³²). ზოგიერთმა მნიშვნელოვანი თვისებები შეიძლება გაუიგივოს იმ თვისებებს, რომლებიც გამოიყენება ობიექტის იდენტიფიცირებისთვის აქტუალურ სამყაროში.

ეს აზრები უთუოდ არასწორია. ჩემთვის არისტოტელეს ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები მის ფილოსოფიურ მოღვაწეობას უკავშირდება, ხოლო პიტლერისა – პოლიტიკაში მის პირსისხლიან როლს; როგორც ვთქვი, შეიძლება არც ერთ მათგანს საერთოდ არ ჰქონოდა ეს თვისებები. უეჭველია, არც არისტოტელეს და არც პიტლერს არ წარმართავდა ლოგიკური ბედისწერა, რომლის გამოც რაიმე აზრით გარდაუვალი იყო, რომ მათ ის თვისებები ჰქონდათ, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენ; თითოეული მათგანის კარიერა შეიძლებოდა რეალურისგან ძალიან განსხვავებულიც ყოფილიყო. საგნის *მნიშვნელოვანი* თვისებები აუცილებლად არსებითი არ არის, თუკი „მნიშვნელოვნება“ არსების სინონიმად არ გამოიყენება; და ობიექტს შეიძლება ჰქონ-

32 D. Lewis, op. cit. გვ. 114-15.

ნოდა თვისებები, რომლებიც ძალიან განსხვავდება მისი ყველაზე უფრო თვალშისაცემი აქტუალური თვისებებისგან, ან თვისებებისგან, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ მისი იდენტიფიკაციისთვის.

ნათელი უნდა მოვფინო ერთ საკითხს, რომელიც ჩემთან საუბრისას არაერთხელ წამოუჭრიათ: როცა ვამბობ, რომ აღმნიშვნელი ხისტია და ის ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავს ყველა შესაძლო სამყაროში, მე ვგულისხმობ, რომ ის – ისე, როგორც ის ჩვენს ენაში გამოიყენება – აღნიშნავს ამ საგანს მაშინაც, როცა ჩვენ კონტრაქტობრივ სიტუაციებზე ვლაპარაკობთ. ამ დროს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ, რომ არ შეიძლება არსებობდეს კონტრაქტობრივი სიტუაციები, რომლებშიც სხვა შესაძლო სამყაროებში ადამიანები ლაპარაკობენ სხვა ენაზე. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ „ორს პლუს ორი ოთხის ტოლია“ შემთხვევითია იმის გამო, რომ ადამიანებს შეიძლებოდა სხვა ენაზე ელაპარაკათ, რომელშიც „ორს პლუს ორი ოთხის ტოლია“-ს მნიშვნელობა ის იქნებოდა, რომ შვიდი ლუწი რიცხვია. ანალოგიურად, როცა ჩვენ კონტრაქტობრივ სიტუაციაზე ვლაპარაკობთ, მის შესახებ ჩვენს ენაზე ვლაპარაკობთ, თუნდაც ამ კონტრაქტობრივი სიტუაციის აღწერის ნაწილი იყოს ის, რომ ამ კონტრაქტობრივ სიტუაციაში ჩვენ ყველა გერმანულად ვილაპარაკებდით. ჩვენ ვამბობთ: „დავუშვათ, ყველა გერმანულად ვლაპარაკობთ“ ან „დავუშვათ, ჩვენს ენას არასტანდარტულად ვიყენებთ“. მაშინ ჩვენ აღვწერთ შესაძლო სამყაროს ან კონტრაქტობრივ სიტუაციას, რომელშიც ადამიანების, მათ შორის ჩვენი, ლაპარაკი გარკვეულად განსხვავებული იქნებოდა ჩვენი ლაპარაკის რეალური წესისგან. მაგრამ მაინც, ამ სამყაროს აღწერისას ჩვენ ვიყენებთ *ჩვენს ენას ჩვენი* მნიშვნელობებით და *ჩვენი* რეფერენციებით. სწორედ ამ აზრით ვლაპარაკობ ხისტი აღმნიშვნელზე, როგორც ყველა შესაძლო სამყაროში ერთი და იმავე რეფერენციის მქონეზე. მე არც იმას ვგულისხმობ, რომ ასე აღნიშნული საგანი ყველა შესაძლო სამყაროში არსებობს, არამედ მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ეს სახელი ხისტიად

რეფერირებს ამ საგანზე. თუ თქვენ იტყვიან: „დავუშვათ, ჰიტლერი არასოდეს დაბადებულყო“, მაშინ „ჰიტლერი“ აქ რეფერირებს, ისევე ხისტად, რაღაც ისეთზე, რაც ამგვარად აღწერილ კონტრაფაქტობრივ სიტუაციაში არ იარსებებდა.

ამ შენიშვნების გათვალისწინებით, გამოდის, რომ მე-6 თეზისი უნდა ამოვშალოთ, როგორც არასწორი. დანარჩენ თეზისებს არაფერი ესაქმებათ აუცილებლობასთან და მათი შენარჩუნება შეიძლება. სახელდობრ, მე-5 თეზისს არაფერი ესაქმება აუცილებლობასთან და ის შეიძლება შევინარჩუნოთ. თუ მე სახელს „ჰესპეროსი“ ვიყენებ გარკვეულ პლანეტისებურ სხეულზე რეფერირებისთვის, როცა მას სალამოს ცის თალის გარკვეულ ადგილზე ვხედავ, ამის გამო აუცილებელი ჭეშმარიტება არ იქნება, რომ ჰესპეროსი სალამოობით ჩანს ხოლმე. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა შემთხვევით ფაქტზე – არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებიც მას ხედავენ, და ა. შ. ასე რომ, თუნდაც მე ჩემს თავს ვუთხრა, რომ „ჰესპეროსს“ გამოვიყენებ იმ ციური სხეულის სახელად, რომელსაც სალამოს ცაში გარკვეულ ადგილას ვხედავ, აუცილებელი არ იქნება, რომ ოდესმე ვინმეს სალამო ჟამს ჰესპეროსი დაენახა. მაგრამ ეს შეიძლება აპრიორული იყოს, იმის გამო, რომ სწორედ ასე დავადგინე მე რეფერენტი. თუ მე დავადგინე, რომ ჰესპეროსი არის საგანი, რომელიც სალამოს აი იმ ადგილას დავინახე, მაშინ მე მეცოდინება, მხოლოდ რეფერენტის ასე დადგენის შედეგად, რომ თუ საერთოდ არსებობს ჰესპეროსი, ის არის ის საგანი, რომელიც იმ სალამოს დავინახე. ეს ძალაში რჩება იმდენად მაინც, რამდენადაც ძალაშია აქამდე წარმოდგენილი არგუმენტები.

რა უნდა ვთქვათ თეორიაზე, რომლიდანაც მე-6 თეზისი ელიმინირებულია? მე-2, მე-3 და მე-4 თეზისებს კონტრმაგალითების დიდი სიმრავლე აღმოაჩნდებათ. მაშინაც კი, როცა (2)-(4) თეზისები ჭეშმარიტია, მე-5 თეზისი, ჩვეულებრივ, მცდარია; მე-3 და მე-4 თეზისების ჭეშმარიტება ემპირიული „შემთხვევითობაა“, რომელიც მოსაუბრეს აპრიორულად ვერ ეცოდინება. სხვა სიტყ-

ვებით, მოსაუბრის რეფერენციას სინამდვილეში სხვა პრინციპები განსაზღვრავს, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს რეფერენცია (2)-(4) თეზისებით განსაზღვრულს ემთხვევა, არის „შემთხვევითობა“; რომლის აპრიორულად ცოდნის შესაძლებლობაც ჩვენ არ გვქონია. მხოლოდ შემთხვევათა იშვიათ კლასში, როგორც წესი, საწყისი ნათლობის შემთხვევებშია (2)-(5) თეზისებიდან ყველა ჭეშმარიტი.

სახელდების როგორ სურათს გვაძლევს ((1)-(5)) თეზისები? სურათი შემდეგია: მინდა, ობიექტს სახელი დავარქვა. ვპოულობ მისი უნიკალურად აღწერის ამა თუ იმ ხერხს და, შემდეგ, ასე ვთქვათ, თავისებურ მენტალურ ცერემონიას ვატარებ: სიტყვაში „ციცერონი“ ვიგულისხმებ იმ კაცს, რომელმაც კატილინა ამხილა; სწორედ ეს იქნება „ციცერონის“ რეფერენცია. „ციცერონს“ გამოვიყენებ იმ ადამიანის ხისტად აღსანიშნავად, ვინც (ფაქტობრივად) ამხილა კატილინა, ისე, რომ შემეძლება ვილაპარაკო შესაძლო სამყაროებზე, რომლებშიც მას ეს არ გაუკეთებია. მაგრამ მაინც, ჩემი განზრახვა მოცემულია, ჯერ ერთი, ისეთი პირობის მოცემით, რომელიც უნიკალურად განსაზღვრავს ობიექტს, და, მეორეც, ამ პირობით განსაზღვრული ობიექტის სახელად გარკვეული სიტყვის გამოყენებით. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, რომლებშიც ჩვენ მართლა ვაკეთებთ ამას. შეიძლება ასე (თუკი გსურთ, სიტყვის მნიშვნელობა გააფართოოთ და ამას დესკრიფცია უწოდოთ), როდესაც ამბობთ: აი, იმ ციურ სხეულს „ჰესპეროსს“ ვუწოდებ.³³ ეს მართლაც არის შემთხვევა, რომელ-

33 სახელის რეფერენციის დესკრიფციის, როგორც ოსტენსიის საპირისპირო, საშუალებით დადგენის კიდევ უფრო კარგი შემთხვევაა პლანეტა ნეპტუნის აღმოჩენა. ნეპტუნის არსებობა ჰიპოთეზურად იყო დაშვებული, როგორც პლანეტისა, რომელიც ამა და ამ ცვლილებას იწვევდა ზოგიერთი სხვა პლანეტის ორბიტაში. ლევერიეს ამ პლანეტისთვის მანამდე რომ ეწოდებინა „ნეპტუნი“, სანამ მას პირველად დაინახავდნენ, მაშინ ის „ნეპტუნის“ რეფერენციას ახლა აღნიშნული დესკრიფციის საშუალებით დააფიქსირებდა. იმ დროს ხომ მას ამ პლანეტის დანახვა ტელესკოპითაც კი არ შეეძლო. ამ ეტაპზე ძალაში იყო აპრიორული მატერიალური ეკვივალენცია დებულებებს – „ნეპტუნი არსებობს“ და „ამა

შიც ეს თეზისები არა მხოლოდ ქვეშარითია, არამედ ისინი რეფერენციის დადგენის სწორ სურათსაც კი გვაძლევს. სხვა შემთხვევა – თუ მოგინდებათ, რომ ამას სახელი უწოდოთ – შესაძლოა, იყოს ლონდონის პოლიციის მიერ „ჯეკის“ ან „მფატრავი ჯეკის“ გამოყენება იმ ადამიანზე რეფერირებისთვის – ვინც არ უნდა იყოს ის – რომელმაც ყველა ეს მკვლელობა ან მათი უმრავლესობა ჩაიდინა. ამ შემთხვევაში პოლიცია ამ სახელის რეფერენციას გვაძლევს დესკრიფციით. მაგრამ, ჩემი აზრით, ბევრ შემთხვევაში ან შემთხვევათა უმრავლესობაში ეს თეზისები მცდარია.³⁴ განვიხილოთ ისინი.³⁵

და ამ ადგილზე არსებობს რომელიღაც პლანეტა, რომელიც ზემოქმედებს ამა და ამ – სხვა – პლანეტების ორბიტებზე“ – შორის; გარდა ამისა, ისეთ დებულებებს, როგორცაა „თუ ამა და ამ ცვლილებებს იწვევს პლანეტა, მათ იწვევს ნეპტუნი“ აპრიორული ქვეშარითებების სტატუსი ჰქონდათ. ამის მიუხედავად, ისინი არ იყვნენ აუცილებელი ქვეშარითებები, რადგან „ნეპტუნი“ შემოტანილი იყო, როგორც გარკვეული პლანეტის ხისტად აღმნიშვნელი სახელი. თავისუფლად შესაძლებელია, ლევერიეს ეფიქრა, რომ მილიონი წლის წინ ნეპტუნს თავისი ორბიტიდან რომ გადაეხვია, ის არ გამოიწვევდა ამ ცვლილებებს და, შეიძლება, მის ნაცვლად ეს ცვლილებები რომელიმე სხვა ობიექტსაც კი გამოეწვია.

34 განსაზღვრული დესკრიფციების შესახებ დონელანის შენიშვნების კვალდაკვალ, უნდა დავამატოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტის იდენტიფიცირება და სახელის რეფერენციის დაფიქსირება შეიძლება მოხდეს ისეთი დესკრიფციის გამოყენებით, რომელიც შეიძლება მისი ობიექტისთვის მცდარი აღმოჩნდეს. შემთხვევა, რომელშიც „ფოსფოროსის“ რეფერენცია დგინდება, როგორც „ცისკრის ვარსკვლავი“, რომელზეც შემდეგ აღმოაჩენენ, რომ არ ყოფილა ვარსკვლავი, ამის აშკარა მაგალითია. ასეთ შემთხვევებში აშკარად არც ერთი აზრით არ არის აპრიორულად ცნობილი ის, რომ დესკრიფცია, რომელიც რეფერენციას აფიქსირებს, ქვეშარითია ობიექტისთვის; თუმცა, შეიძლება აპრიორულად ცნობილი იყოს მისი რომელიმე უფრო ფრთხილი შემცვლელი. თუ ასეთი უფრო ფრთხილი შემცვლელი ხელმისაწვდომია, მაშინ სინამდვილეში სწორედ ეს შემცვლელი აფიქსირებს რეფერენციას ტექსტში ნაგულისხმევი აზრით.

35 ზოგიერთი თეზისი დაუდევრადაა ჩამოყალიბებული ისეთი საკირ-

პირველი თეზისი, როგორც ვთქვი, დეფინიციაა. მე-2 თეზისი ამბობს, რომ, A-ს რწმენით, იმ თვისებათაგან, რომლებიც, მისი აზრით, აქვს ობიექტს, ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთად უნიკალურად გამოყოფს რომელიღაც ინდივიდს. მაგალითი, რომელიც მხედველობაში აქვთ ხოლმე, სწორედ ისაა, რომელიც უკვე ვახსენე: სახელს „ციცერონი“ გამოვიყენებ იმ ადამიანის აღსანიშნავად, რომელმაც კატილინა ამხილა (ან პირველმა ამხილა ის საჯაროდ, რათა უზრუნველვყოთ უნიკალურობა). ეს უნიკალურად გამოარჩევს ობიექტს ამ კონკრეტულ რეფერენციაში. ზოგიერთი ისეთი ავტორიც კი, ვინც არ ფიქრობს, რომ სახელებს რაიმე აზრით აქვთ საზრისი (ასეთია, მაგალითად, ზიფის პოზიცია, როგორც ის წარმოდგენილია მის „სემანტიკურ ანალიზში“), ამას კარგ სურათად მიიჩნევს იმისა, თუ როგორ შეიძლება დადგინდეს რეფერენცია.

ვნახოთ, ჭეშმარიტია თუ არა მე-2 თეზისი. გარკვეული, აპრიორული აზრით, ისე ჩანს, რომ ის ჭეშმარიტი უნდა იყოს, რადგან, თუ თქვენ არ ფიქრობთ, რომ თვისებები, რომლებიც თქვენ მხედველობაში გაქვთ, ვინმეს გამოყოფს უნიკალურად (ვთქვათ, თუ მათ ერთობლივად ორი ადამიანი აკმაყოფილებს), მაშინ როგორ შეძლებთ თქვათ, რომელ მათგანზე ლაპარაკობთ? თითქოს არ არსებობს საფუძველი მტკიცებისთვის, რომ თქვენ ერთის და არა – მეორის შესახებ ლაპარაკობთ. ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ თვისებები, რომლებსაც საქმე ეხება, არის იმ პიროვნების მიერ ჩადენილი ესა თუ ის ცნობილი საქმეები, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი. მაგალითად, ციცერონი იყო ადამიანი, რომელმაც ამხილა კატილინა. ამის თანახმად, საშუალო ადამიანი, როდესაც ის ციცერონზე რეფერირებს, რაღაც ასეთს ამბობს: „ადამიანი, რომელმაც ამხილა კატილინა“, და, ამდენად, უნიკალურად გამოყოფს

კიბო საკითხების თვალსაზრისით, როგორიცაა ბრწყყალების გამოყენება და მასთან დაკავშირებული დეტალები (მაგალითად, მე-5 და მე-6 თეზისები, მოცემული ფორმულირებით, წინასწარ გულისხმობს, რომ მოსაუბრის ენა ჩვენი ენაა). რამდენადაც ამ თეზისების აზრი ნათელია, თანაც ისინი მაინც მცდარია, ამ დეტალების გასწორებით აღარ შევიწუხებ თავი.

რომელიდაც ადამიანს. უთუოდ ფილოსოფოსების განათლებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ისინი ამ თეზისს ასე დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ. ფაქტობრივად, ადამიანთა უმრავლესობა, როდესაც ისინი ციციერონზე ფიქრობენ, უბრალოდ ფიქრობენ ცნობილ რომაელ ორატორზე, ისე, რომ ოდნავადაც არ აქვთ პრეტენზია, იფიქრონ, რომ არსებობდა ერთადერთი ცნობილი რომაელი ორატორი, ან რომ ციციერონის შესახებ კიდევ რაღაც უნდა იცოდეს ადამიანმა, რათა ამ სახელისთვის რეფერენტი ჰქონდეს. განვიხილოთ რიჩარდ ფეინმანი, რომელზეც ბევრ ჩვენგანს შეუძლია რეფერირება. ის არის თეორიული ფიზიკის წამყვანი თანამედროვე მკვლევარი. აქ დამსწრეთაგან ყველას (დარწმუნებული ვარ!) შეუძლია ფეინმანის რომელიმე თეორიის შინაარსის ჩამოყალიბება, რათა ის გელ-მანისაგან განასხვავოს. მაგრამ ქუჩაში გამვლელი ადამიანი, ვისაც ეს არ შეუძლია, მაინც შეძლებს სახელის „ფეინმანი“ გამოყენებას. თუკი შეეკითხებითან, ის იტყვის: ხო, ფიზიკოსია თუ რაღაც ასეთი. ის შეიძლება არ ფიქრობდეს, რომ ვინმეს უნიკალურად გამოყოფს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ის სახელს „ფეინმანი“ ფეინმანის სახელად იყენებს.

მაგრამ დავაკვირდეთ ისეთ შემთხვევებს, როცა მართლაც გვაქვს დესკრიფცია, რომლითაც ვინმეს უნიკალურად გამოვყოფთ. მაგალითად, დავუშვათ, ვიცით, რომ ციციერონი იყო ადამიანი, რომელმაც პირველმა ამხილა კატილინა. ძალიანაც კარგი. ეს მართლაც გამოყოფს ვილაცას უნიკალურად. მაგრამ მაინც გვაქვს პრობლემა, რადგან ეს დესკრიფცია შეიცავს სხვა სახელს, სახელდობრ, „კატილინას“. ჩვენ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ პირობებს ვაკმაყოფილებთ ისე, რომ არაწრიულობის ჩვენს პირობას არ ვარღვევთ. სახელდობრ, არ უნდა ვთქვათ, რომ კატილინა არის ადამიანი, რომელიც ამხილა ციციერონმა. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ რეალურად არც არავის გამოვყოფთ უნიკალურად, არამედ გამოვყოფთ მხოლოდ ისეთი A და B ობიექტების წყვილს, რომელთათვისაც სიმართლეა, რომ A-მ ამხილა B. ჩვენ არ ვფიქ-

რობთ, რომ ეს ერთადერთი წყვილია, რომელთა შორისაც ასეთი მხილება ოდესმე მომხდარა; ასე რომ, საჭიროა, დავამატოთ რაღაც სხვა პირობები, რათა დავაკმაყოფილოთ უნიკალურობის პირობა.

თუ ვამბობთ, რომ აინშტაინი იყო ადამიანი, რომელმაც ფარდობითობის თეორია აღმოაჩინა, ეს უდავოდ გამოყოფს ვიღაცას უნიკალურად. შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, როგორც ვთქვი, რომ ამ ოთახში ყველა შეძლებს კომპაქტურად და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ეს თეორია და, ამდენად, უნიკალურად გამოყოს აინშტაინი; მაგრამ რეალურად ბევრს არ აქვს საკმარისი ცოდნა ამ ყველაფრის შესახებ და როცა შეეკითხებიან, რა არის ფარდობითობის თეორია, ისინი იტყვიან: „აინშტაინის თეორია“, და, ასე, ყველაზე აშკარა მანკიერ წრეში აღმოჩნდებიან.

ამრიგად, მე-2 თეზისი პირდაპირი აზრით არ სრულდება, როცა ვამბობთ, რომ ფეინმანი ცნობილი ფიზიკოსია, თუკი ფეინმანს კიდევ სხვა თვისებებიც არ მივაწერეთ. სხვა აზრით შეიძლება ის სათანადო სახით არ სრულდებოდეს მაშინაც კი, როდესაც სრულდება: თუ ვამბობთ, რომ აინშტაინი იყო „ადამიანი, რომელმაც ფარდობითობის თეორია აღმოაჩინა“, ეს უნიკალურად გამოყოფს ვიღაცას; მაგრამ მას შეიძლება არ გამოყოფდეს ისეთნაირად, რომ დაკმაყოფილდეს არაწრიულობის პირობა, რადგან ფარდობითობის თეორია, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოფოდეს, როგორც „აინშტაინის თეორია“. ასე რომ, მე-2 თეზისი მცდარი უნდა იყოს.

შეიძლება ვცადოთ ამ თეორიის გაუმჯობესება, თუკი მას ისე შევცვლით, რომ φ პირობები აღარ ემთხვეოდეს იმას, რასაც, ჩვეულებრივ, ფილოსოფოსები აკავშირებენ ხოლმე სახელებთან. ჩემთვის ცნობილია ასეთი მცდელობების სხვადასხვა ვერსია; ისინი შეიძლება მოგვიანებით განვიხილო. ჩვეულებრივ, ფილოსოფოსები გულისხმობენ დასახელებული ადამიანის ცნობილ მიღწევებს. უდავოა, რომ ცნობილი მიღწევების შემთხვევაში ეს თეორია არ

მუშაობს. ჩემმა ერთმა სტუდენტმა ერთხელ თქვა: „კეთილი, აინშტაინმა აღმოაჩინა ფარდობითობის თეორია,“ და „ფარდობითობის თეორიის“ რეფერენტი განსაზღვრა დამოუკიდებლად, რომელიც ისეთ ენციკლოპედიაზე რეფერენციის გზით, რომელშიც ამ თეორიის დეტალებია გადმოცემული (ეს, ალბათ, არის ის, რასაც ენციკლოპედიების არსებობის ტრანსცენდენტალური დედუქცია უნდა ვუწოდოთ). და მაინც, მე მეჩვენება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმეს სმენია ენციკლოპედიების შესახებ, მისი რეფერენციისთვის ნამდვილად არ არის არსებითი, რომ მან იცოდეს, არის თუ არა ეს თეორია დეტალურად გადმოცემული რომელიმე ენციკლოპედიაში. რეფერენციას შეიძლება ემუშავა მაშინაც კი, ენციკლოპედიები საერთოდ რომ არ არსებულყო.

გადავიდეთ მე-3 თეზისზე: თუ φ თვისებების შესაფერისად შეწონილ უმრავლესობას აკმაყოფილებს უნიკალური γ ობიექტი, მაშინ მოსაუბრისთვის სახელის რეფერენტი არის γ . ახლა, თუკი უკვე დავადგინეთ, რომ მე-2 თეზისი მცდარია, რატომ უნდა დარჩეს ძალაში რომელიმე სხვა? მთელი თეორია დამოკიდებული იყო იმაზე, რომ ყოველთვის შეგვეძლოს იმ უნიკალური პირობების დასახელება, რომლებიც სრულდება. მაგრამ მაინც შეგვიძლია განვიხილოთ დანარჩენი თეზისები. ამ თეორიასთან ასოცირდება სურათი, რომლის მიხედვით მხოლოდ რაღაც უნიკალური თვისებების მოცემის გზით შეგიძლია იცოდე, ვინ არის ვიღაც და, ამდენად, იცოდე, რა არის შენ მიერ გამოყენებული სახელის რეფერენცია. კეთილი, მე არ ჩავუღრმავდები საკითხს იმის ცოდნის შესახებ, თუ ვინ არის ვიღაც. ის მართლა ძალიან დამაბნეველია. ჩემი აზრით, თქვენ მართლა იცით, ვინ არის ციცერონი, თუკი შეგიძლიათ უბრალოდ მიპასუხოთ, რომ ის ცნობილი რომაელი ორატორია. საკმაოდ უცნაურია, რომ თუკი თქვენ იცით, რომ აინშტაინმა აღმოაჩინა ფარდობითობის თეორია, და არაფერი იცით ამ თეორიის შესახებ, ამ ცოდნის საფუძველზე თქვენ შეგიძლიათ იცოდეთ ისიც, თუ ვინ არის აინშტაინი – სახელდობრ, რომ ის

არის ფარდობითობის თეორიის აღმოჩენი, და იცოდეთ ისიც, თუ ვინ აღმოაჩინა ფარდობითობის თეორია – სახელდობრ, რომ ეს აინშტაინი იყო. ეს არაწრიულობის რაღაც სახის პირობის აშკარა დარღვევას ჰგავს; მაგრამ სწორედ ასე ვლაპარაკობთ ჩვენ. ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სურათი, რომელიც ამ პირობას გვკარნახობს, არასწორი სურათი უნდა იყოს.

დავუშვათ, ϕ თვისებების უმრავლესობა, ფაქტობრივად, უნიკალური ობიექტისათვის სრულდება. აუცილებლად არის ეს ობიექტი „X“-ის რეფერენტი A-სთვის? დავუშვათ, ვინმე ამბობს, რომ გოდელი არის ადამიანი, რომელმაც დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა; ამასთან, ამის მთქმელი სათანადოდ განათლებულია და არასრულობის თეორემის დამოუკიდებლად გადმოცემაც კი შეუძლია. ის არ ამბობს, „ხო, ეს გოდელის თეორემაა“ ან რამე ასეთს. ის რეალურად აყალიბებს გარკვეულ თეორემას, რომლის აღმოჩენასაც ის გოდელს მიაწერს. არის კი მაშინ მართალი, რომ თუ ϕ თვისებების უმრავლესობა სრულდება უნიკალური γ ობიექტისათვის, მაშინ γ არის „X“ სახელის რეფერენტი A-სთვის? განვიხილოთ მარტივი შემთხვევა. გოდელის შემთხვევაში, პრაქტიკულად ერთადერთი რამ, რაც ბევრ ადამიანს მის შესახებ გაუგია, არის ის, რომ მან აღმოაჩინა არითმეტიკის არასრულობა. გამომდინარეობს კი აქედან, რომ ის, ვინც აღმოაჩინა არითმეტიკის არასრულობა, არის სახელის „გოდელი“ რეფერენტი?

წარმოიდგინეთ შემდეგი აშკარად ფანტასტიკური სიტუაცია (იმედი მაქვს, პროფესორი გოდელი აქ არ არის). დავუშვათ, რომ გოდელი არ იყო ამ თეორემის ავტორი. სინამდვილეში ეს საქმე გააკეთა ადამიანმა, სახელად „შმიდტი“, რომლის სხეულიც მრავალი წლის წინ საეჭვო გარემოებებში იპოვეს ვენაში. მისმა მეგობარმა გოდელმა როგორღაც ხელში ჩაიგდო ხელნაწერი და მას შემდეგ ის გოდელს მიეწერება. განსახილველი თვალსაზრისის თანახმად, მაშინ, როცა ჩვენი რიგითი ადამიანი იყენებს სახელს „გოდელი“

სინამდვილეში მას შმიდტზე რეფერირება აქვს ჩაფიქრებული, რადგან შმიდტია ის უნიკალური პიროვნება, რომელიც აკმაყოფილებს დესკრიფციას – „ადამიანი, რომელმაც აღმოაჩინა არითმეტიკის არასრულობა“. რასაკვირველია, შეგეძლოთ მოგესინჯათ მისი შეცვლა დესკრიფციით – „ადამიანი, რომელმაც გამოაქვეყნა არითმეტიკის არასრულობის აღმოჩენა“. ამ ისტორიის კიდევ ოდნავ მოდიფიცირებით შეგვიძლია ეს ფორმულირებაც მცდარად ვაქციოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანთა უმრავლესობამ შეიძლება ისიც კი არ იცოდეს, ეს ამბავი გამოქვეყნდა თუ ზეპირი გადმოცემის გზით გავრცელდა. შევჩერდეთ ფორმულირებაზე: „ადამიანი, რომელმაც აღმოაჩინა არითმეტიკის არასრულობა“. ამრიგად, რადგან ადამიანი, რომელმაც არითმეტიკის არასრულობა აღმოაჩინა, ფაქტობრივად შმიდტია, ყოველთვის, როცა ჩვენ „გოდელზე“ ვლაპარაკობთ, ფაქტობრივად ვრეფერირებთ შმიდტზე. და მაინც, მე მეჩვენება, რომ ეს ასე არ არის. უბრალოდ, ჩვენ არ ვრეფერირებთ შმიდტზე. ერთი პასუხი, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავ, შეიძლება იყოს: სანაცვლოდ უნდა ამბობდე რაღაც ასეთს: „ადამიანი, რომელსაც ჩვეულებრივ მიეწერება არითმეტიკის არასრულობის აღმოჩენა“. ცოტა ხანში ვნახოთ, რა შეიძლება ამას ვუყოთ.

ბევრმა თქვენგანმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ძალიან უცნაური მაგალითია, ან რომ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. ამასაც ფილოსოფოსების განათლებას უნდა ვუმაღლოდეთ. ძალიან ხშირად ჩვენ მნიშვნელოვნად არასწორი ინფორმაციის საფუძველზე ვიყენებთ ამა თუ იმ სახელს. ფიქციურ მაგალითში გამოყენებული შემთხვევა მათემატიკის ისტორიიდან ამის კარგი ნიმუშია. რა ვიცით პეანოს შესახებ? ამ ოთახში ბევრმა ადამიანმა პეანოს შესახებ შეიძლება „იცოდეს“ მხოლოდ ის, რომ მან აღმოაჩინა გარკვეული აქსიომები, რომლებიც ახასიათებს ნატურალური რიცხვების მიმდევრობას – ე. წ. „პეანოს აქსიომები“. ალბათ, ზოგიერთ თქვენგანს მათი ჩამოყალიბებაც კი შეუძლია. მე გამიგია, რომ ეს

აქსიომები პირველად აღმოაჩინა არა პეანომ, არამედ დედეკინდ-მა. პეანო, რა თქმა უნდა, არ იყო უნამუსო ადამიანი. მე გამიგია, რომ მისი შენიშვნები შეიცავს დედეკინდის შრომის მნიშვნელობის აღიარებას. როგორღაც ისე მოხდა, რომ ეს შენიშვნები უგულვებლყვეს. ასე რომ, განსახილველი თეორიის მიხედვით, სახელი „პეანო“; როგორც მას ჩვენ ვიყენებთ, სინამდვილეში რეფერირებს დედეკინდზე – მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გაიგეთ, თქვენ ხედავთ, რომ მთელი ეს ხანი სინამდვილეში დედეკინდზე ლაპარაკობდით. მაგრამ თქვენ ხომ არ ლაპარაკობდით დედეკინდზე. მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეგვიძლია.

რასაკვირველია, კიდევ უფრო უარესი შეცდომები მოსდით ჩვეულებრივ ადამიანებს. წინა მაგალითში დავუშვი, რომ ადამიანები აინშტაინის იდენტიფიცირებას აკეთებენ ფარდობითობის შესახებ მის შრომაზე რეფერენციით. სინამდვილეში მე ხშირად გამიგია, რომ აინშტაინის ყველაზე ცნობილი მიღწევა ატომური ბომბის გამოგონება იყო. ასე რომ, როცა ჩვენ აინშტაინზე ვრეფერირებთ, ჩვენ ვრეფერირებთ ატომური ბომბის გამოგონებელზე. მაგრამ ასე არ არის. კოლუმბი იყო პირველი ადამიანი, ვინც მიხვდა, რომ დედამიწა მრგვალია. ის ასევე იყო პირველი ევროპელი, რომელმაც დასავლეთ ნახევარსფეროში ხმელეთზე დადგა ფეხი. შეიძლება, აქედან არაფერია ჭეშმარიტი და, შესაბამისად, როცა ადამიანები იყენებენ სახელს „კოლუმბი“; ისინი სინამდვილეში რეფერირებენ რომელიღაც ბერძენზე, თუკი დედამიწის სიმრგვალის ამბავს იყენებენ რეფერენციისთვის, ან, ალბათ, რომელიღაც სკანდინავიელზე, თუ „ამერიკის აღმოჩენას“ იყენებენ ამისათვის. მაგრამ ასე არ არის. ასე რომ, სიმართლეს არ ჰგავს, რომ თუ ფ თვისებების უმრავლესობა სრულდება უნიკალური γ ობიექტისათვის, მაშინ γ მოცემული სახელის რეფერენცია. ეს უბრალოდ მცდარი უნდა იყოს.³⁶

36 სახელდების დესკრიფციების კლასტერის თეორიის მიხედვით გამოვიდოდა, რომ წინადადება – „პეანომ აღმოაჩინა რიცხვთა თეორიის

აქსიომები“ – გამოხატავს ტრივიალურ ქეშმარიტებას და არა შეცდომას; იგივე ეხება სხვა შეცდომებსაც მეცნიერების ისტორიის შესახებ. ზოგიერთი იმათგან, ვინც ასეთი შემთხვევების თაობაზე მეთანხმება, ამტკიცებს, რომ არსებობს იმავე საკუთარი სახელების *სხვა* გამოყენებები, რომლებიც კლასტერის თეორიას აკმაყოფილებს. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ თუ ვამბობთ, რომ „გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა“, რასაკვირველია, ვრეფერირებთ გოდელზე და არა შმიდტზე. მაგრამ თუ ვამბობთ, რომ „დამტკიცების ამ ნაბიჯში გოდელი დიაგონალურ არგუმენტს ემყარებოდა“, განა აქ არ ვრეფერირებთ *იმაზე, ვინც ეს თეორემა დაამტკიცა?* ანალოგიურად, თუ ვინმე სვამს შეკითხვას – „რას გულისხმობდა არისტოტელე (ან შექსპირი) აქ?“ – განა არ ლაპარაკობს ის მოცემული პასაჟის ავტორზე, ვინც არ უნდა იყოს ის? დესკრიფციების დონელანისეული გამოყენების ანალოგიით, ამისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა საკუთარი სახელების „ატრიბუციული გამოყენება“. თუ ასეა, მაშინ, თუ გოდელ-შმიდტის ისტორიის სისწორეს დავუშვებთ, წინადადება – „გოდელმა დაამტკიცა არასრულობის თეორემა“ – მცდარია, ხოლო წინადადება – „დამტკიცებაში გოდელმა დიაგონალური არგუმენტი გამოიყენა“ – (ზოგიერთ კონტექსტში მაინც) ქეშმარიტია, ხოლო სახელის „გოდელი“ რეფერენცია ბუნდოვანია. რადგან რჩება რამდენიმე კონტრმაგალითი, დესკრიფციების კლასტერის თეორია, ზოგადად, მაინც მცდარი იქნებოდა, რაც ჩემი მთავარი მტკიცებაა ტექსტში; მაგრამ ის გამოყენებადი იქნებოდა შემთხვევათა უფრო ფართო კლასისთვის, ვიდრე მე ვვიჭრობდი. თუმცა, ჩემი აზრით, არ არის საჭირო ასეთი ორაზროვნების პოსტულირება. ალბათ მართალია, რომ ზოგჯერ სახელის „გოდელი“ გამოყენებისას ზოგიერთი ადამიანისთვის უმთავრესად საინტერესოა ის, ვინც ეს თეორემა დაამტკიცა, და, ალბათ, გარკვეული აზრით, ის მასზე „რეფერირებს“. მე არ ვვიჭრობ, რომ ეს შემთხვევა განსხვავდება სმიტისა და ჯოუნსის შემთხვევისგან (გვ. 25, შ. 3). თუ მე შეცდომით ჯოუნსს სმიტად მივიღებ, შეიძლება ჯოუნსზე *ვრეფერირებდე* (შესაფერისი აზრით), როდესაც ვამბობ, რომ სმიტი ფოთლებს ხვტავს; ამის მიუხედავად, მე არ ვიყენებ „სმიტს“ ორაზროვნად, ხან სმიტის და ხან ჯოუნსის სახელად, არამედ ერთმნიშვნელოვნად – სმიტის სახელად. ანალოგიურად, თუ შეცდომით ვვიჭრობ, რომ არისტოტელემ დაწერა ესა და ეს ფრაგმენტი, მაშინ, ალბათ, შეიძლება ზოგჯერ „არისტოტელე“ ამ ფრაგმენტის რეალურ ავტორზე *რეფერირებისთვის* გამოვიყენო, თუმცა, არავითარი ორაზროვნება არ არის ამ სახელის ჩემ მიერ გამოყენებაში. ორივე შემთხვევაში მე უკან წავიღებ ჩემს საწყის მტკიცებას და სახელის ჩემს საწყის გამოყენებას, თუ შემატყობინებენ ფაქტებს. გაიხსენეთ, რომ ამ ლექციებში „რე-

მე-4 თეზისი: თუკი კენჭისყრა არც ერთ უნიკალურ ობიექტს არ გამოავლენს, მაშინ „X“-ს არ აქვს რეფერენტი. სინამდვილეში ეს შემთხვევა უკვე განვიხილეთ – განვიხილეთ ჩემს წინა მაგალითებზე მსჯელობისას. პირველი, კენჭისყრამ შეიძლება არ მოგვცეს უნიკალური ობიექტი, როგორც ციცერონის ან ფინიმანის შემთხვევაში. მეორეც, დავუშვათ, რომ ის არ გვაძლევს არც ერთ ობიექტს – არაფერი აკმაყოფილებს ფ თვისებების უმრავლესობას ან თუნდაც რაიმე მნიშვნელოვან რაოდენობას. ნიშნავს კი ეს იმას, რომ სახელი არ რეფერირებს? არა: როგორც შეიძლება, რომ მცდარი რწმენები გქონდეთ პიროვნების შესახებ, რომლებიც სინამდვილეში ჭეშმარიტია ვინმე სხვისთვის, ზუსტად ისევე, შეიძლება, რომ გქონდეთ მცდარი რწმენები, რომლებიც აბსოლუტურად არავისთვისაა ჭეშმარიტი. მეტიც, ასეთი რწმენები შეიძლება შეადგენდეს თქვენი რწმენების მთლიანობას. დავუშვათ, გოდელის შესახებ მაგალითი რომ შევცვალოთ, არავის აღმოუჩენია არითმეტიკის არასრულობა (შეიძლება მისი დამტკიცება უბრალოდ მათემატიკაში აღმოჩნდეს ფურცელზე ატომების შემთხვევითი მიმოხვევით), ხოლო ადამიანი, რომელსაც გოდელი ჰქვია, იმდენად ილბლიანი აღმოჩნდა, რომ იქვე იყო, როცა ეს არადაამაჯერებელი ამბავი მოხდა. ნამდვილად არ გვექნებოდა იმის მოლოდინი, რომ ატომების შემთხვევითი მიმოხვევა სწორ დამტკიცებას წარმოქმნის. ფაქიზი შეცდომა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უცნობი იყო, ჯერ კიდევ შეუმჩნეველი რჩება – ან, შეიძლება, მართლა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მაგრამ გოდელის მეგობრებმა... ასე რომ, თუნდაც მოცემული პირობები არ სრულდებოდეს უნიკალური ობიექტისთვის, სახელი მაინც შეიძლება რეფერირებდეს. გასულ კვირაში იონას შემთხვევაზე გელაპარაკეთ. როგორც გითხარით, ბიბლიის მკვლევრები ფიქრობენ, რომ იონა მართ-

ფერენტი“ გამოიყენება ტექნიკური მნიშვნელობით – როგორც საგანი, რომელსაც ასახელებს სახელი (ან რომელიც უნიკალურად აკმაყოფილებს დესკრიფციას), და ამაში არავითარი გაუგებრობა არ უნდა იყოს.

ლა არსებობდა. ასეა არა იმიტომ, რომ მათ სჯერათ, რომ ვიღაც მართლა გადაყლაპა დიდმა თევზმა ან ვინმე მართლა გაემგზავრა ნინევიაში საქადაგებლად. ეს პირობები შეიძლება საერთოდ არავისთვის იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ სახელს „იონა“ მართლა აქვს რეფერენტი. აინშტიანის მიერ ატომური ბომბის გამოგონების ზემოთ მოხმობილ შემთხვევაში შეიძლება სინამდვილეში არავინ იმსახურებს, რომ ამ მოწყობილობის „გამომგონებელი“ ვუწოდოთ.

მე-5 თეზისი ამბობს, რომ დებულება „თუ X არსებობს, მაშინ X-ს აქვს φ თვისებების უმრავლესობა“ აპრიორულად ჭეშმარიტია A-სთვის. ყურადღება მიაქციეთ, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა მე-3 და მე-4 თეზისები ჭეშმარიტი აღმოჩნდება, ტიპურმა მოსაუბრემ იშვიათად თუ იცის აპრიორულად, რომ ისინი ჭეშმარიტია, როგორც ამას თეორია მოითხოვს. მე ვფიქრობ, რომ გოდელის შესახებ ჩემი რწმენა ფაქტობრივად ჭეშმარიტია, ხოლო „შმიდტის“ ისტორია მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ეს რწმენა, ალბათ, არ უნდა იყოს აპრიორული ცოდნა.

რაშია საქმე? შესაძლებელია ამ თეორიის გადარჩენა?³⁷ პირველი, შეგვიძლია ვცადოთ და ვცვალოთ ეს დესკრიფციები – ვი-

37 ისიც მითხრეს, რომ ვინმე შეიძლება ამტკიცებდეს, რომ სახელი დაკავშირებულია დესკრიფციის „რეფერენციულ“ გამოყენებასთან დონელანისეული აზრით. მაგალითად, თუმცა ჩვენ გოდელის იდენტიფიცირებას ვაკეთებთ, როგორც არასრულობის თეორემის ავტორისა, ჩვენ მაინც მასზე ვლაპარაკობთ, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ეს თეორემა მას არ დაუმტკიცებია. მაშინ შეიძლება (2)-(6) თეზისები არასწორი გამოვიდეს; მაგრამ, ამის მიუხედავად, თითოეული სახელი იქნება დესკრიფციის შემოკლებული ჩანაწერი, თუმცა სახელდებაში დესკრიფციის როლი რადიკალურად განსხვავებული იქნება იმისგან, რადაც ის ფრეგეს და რასელს წარმოედგინათ. როგორც ზემოთაც ვთქვი, მე იქით ვიხრები, რომ რეფერენციული განსაზღვრული დესკრიფციის ცნების დონელანისეული ფორმულირება უკუვადგო. თუმცა, თუნდაც დონელანისეული ანალიზი მივიღოთ, აშკარაა, რომ არ უნდა მივიღოთ აქ განხილული წინადადება. მართლაც, მოსაუბრე, როგორც წესი, უარს ამბობს რეფერენციულ განსაზღვრულ დესკრიფციაზე, მაგალითად, „აი ის კაცი, შამპანურს რომ სვამს“, როგორც კი მიხვდება, რომ ის არ სრულდება მისი ობიექტისთვის.

ფიქროთ არა ადამიანის ცნობილ მიღწევებზე, არამედ, ვთქვათ, რაღაც სხვაზე და ვცადოთ მისი გამოყენება ჩვენს დესკრიფციად. შეიძლება საკმაოდ ბევრი კირკიტის შედეგად ვინმემ საბოლოოდ შეძლოს რაღაცის გამოდნობა;³⁸ მაგრამ ასეთი მცდელობების უმრავლესობა კონტრმაგალითებს ან სხვა სახის კონტრარგუმენტებს აწყდება. ნება მომეცით, ამის მაგალითი მოვიყვანო. გოდელის შემთხვევაში ვინმემ შეიძლება თქვას: „კეთილი, „გოდელი“ არ ნიშნავს „ადამიანს, რომელმაც არითმეტიკის არასრულობა დაამტკიცა“:“ სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა – ვიცით, რომ გოდელია ის ადამიანი, ვისაც ჩვეულებრივ მიეწერება არითმეტიკის არასრულობის თეორემა. ასე რომ, როცა მე განვსაზღვრავ სახელის „გოდელი“ რეფერენტს, მე

გოდელი მის ტყუილში რომ ემხილათ, გოდელს აღარ უწოდებდნენ „არასრულობის თეორემის ავტორს“, მაგრამ მას მაინც უწოდებდნენ „გოდელს“. ამდენად, ეს სახელი არ არის დესკრიფციის შემოკლებული ჩანაწერი.

38 როგორც რობერტ ნოზიკმა მიმითითა, არსებობს აზრი, რომლითაც დესკრიფციის თეორია ტრივიალურად ქეშმარიტი უნდა იყოს, თუკი გვაქვს სახელების რეფერენტციის ისეთი თეორია, რომელიც რეფერენტციის ცნებისაგან დამოუკიდებელი ტერმინებითაა ჩამოყალიბებული. მართლაც, თუკი ასეთი თეორიით მოცემულია პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც მოცემული ობიექტი იქნება მოცემული სახელის რეფერენტი, მაშინ ის, რა თქმა უნდა, უნიკალურად აკმაყოფილებს ამ პირობებს. ვინაიდან მე არ მაქვს პრეტენზია, რომ გთავაზობთ თეორიას, რომელიც რეფერენტციის ცნების ელიმინაციას მოგვცემდა ამ აზრით, ჩემთვის ცნობილი არ არის დესკრიფციების თეორიის რომელიმე ასეთი ტრივიალური შესრულება და ეჭვი მეპარება ასეთის არსებობაში (დესკრიფცია, რომელიც იყენებს სახელის რეფერენტციის ცნებას, იოლი მოსაპოვებელია, მაგრამ წრიულია, როგორც ნილის მოსაზრებების განხილვისას დავინახეთ). თუმცა, ასეთი ტრივიალური შესრულება რომც არსებულებოდა, ჩემ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები აჩვენებს, რომ ეს დესკრიფცია ძალიან უნდა განსხვავდებოდეს იმისგან, რაც მხედველობაში ჰქონდათ ფრეგეს, რასელს, სერლს, სტროსონს და დესკრიფციის თეორიის სხვა დამცველებს.

არ ვეუბნები ჩემს თავს: „გოდელით“ მე ვიგულისხმებ: „ადამიანს, ვინც არითმეტიკის არასრულობა დაამტკიცა, ვინც არ უნდა იყოს ის“». ეს შეიძლება აღმოჩნდეს შმიდტი ან პოსტი. ამის ნაცვლად, მე ვიგულისხმებ: „ადამიანი, ვისზეც ხალხის უმრავლესობა ფიქრობს, რომ მან დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა.“

არის ეს სწორი? პირველი, მე მეჩვენება, რომ ეს მოწყვლადია იმავე ტიპის კონტრმაგალითების მიმართ, როგორებიც აქამდე გაჩვენეთ, თუმცა ეს კონტრმაგალითები შეიძლება უფრო ეგზოტიკური იყოს. დაუფშავთ, პეანოს შემთხვევაში, ზემოთ რომ განვიხილეთ, მოსაუბრეს არ გაუგია, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობამ (ამ ღროისთვის მაინც) კარგად გაისიგრძეგანა, რომ რიცხვთა თეორიის აქსიომები პეანოს არ უნდა მიეწერებოდეს. ადამიანთა უმრავლესობა მათ არ მიაწერს პეანოს, არამედ სწორად მიაწერს მათ დედეკინდს. მაშინ ის ადამიანიც, ვისაც ეს ამბავი ჩვეულებრივ მიეწერება, დედეკინდი იქნება და არა პეანო. მაგრამ მოსაუბრე, რომელსაც ძველი, ყავლგასული რწმენა აქვს, შეიძლება მაინც რეფერირებდეს პეანოზე და ჰქონდეს მცდარი რწმენა პეანოს შესახებ, დედეკინდის შესახებ ჭეშმარიტი რწმენის ნაცვლად.

მეორეც, და ალბათ უფრო მნიშვნელოვანი ეს არის, ასეთი კრიტერიუმი არღვევს არაწრიულობის პირობას. როგორ? მართალია, რომ ჩვენ შორის უმრავლესობა ფიქრობს, რომ გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა. რატომაა ასე? ჩვენ ნამდვილად ვამბობთ, და გულწრფელადაც: „გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა.“ გამომდინარეობს კი აქედან ის, რომ ჩვენ გვჯერა, რომ გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა – რომ ჩვენ არითმეტიკის არასრულობის თეორემას ამ ადამიანს მივაწერთ? არა, მხოლოდ აქედან ეს არ გამომდინარეობს. ჩვენ უნდა ვრეფერირებდეთ გოდელზე, როცა ვამბობთ, რომ „გოდელმა დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა.“ თუკი, ფაქტობრივად, ჩვენ ყოველთვის შმიდტზე ვრეფერირებდით, მაშინ ჩვენ არითმეტიკის არასრულობის თეორემას შმიდტს მივაწერთ და

არა გოდელს – თუკი ჩვენ სიტყვას „გოდელი“ ვიყენებდით იმ ადამიანის სახელად, ვისაც მე ვუწოდებ „შმიდტს“.

მაგრამ ჩვენ, ფაქტობრივად, ვრეფერირებთ გოდელზე. როგორ ვაკეთებთ ამას? რა თქმა უნდა, არა იმით, რომ საკუთარ თავს ვეუბნებით: «სახელით „გოდელი“ მე ვიგულისხმებ ადამიანს, რომელსაც, ჩვეულებრივ, არითმეტიკის არასრულობის თეორემა მიეწერება». ასე რომ ვაკეთებდეთ, წრეში აღმოვჩნდებოდით. აი, ჩვენ აქ ვართ, ამ ოთახში. ამ დაწესებულებაში³⁹ ზოგიერთი ადამიანი მართლა შეხვედრია ამ კაცს, მაგრამ ბევრ დაწესებულებაში ასე არ არის. დავუშვათ, აქ ყველა ვცდილობთ, რეფერენცია განვსაზღვროთ იმის თქმით, რომ „გოდელი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, არითმეტიკის არასრულობის თეორემას მიაწერენ“ ვერც ერთი ჩვენგანი ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამს ვერავითარი მიწერით, თუკი ამ სახელის რეფერენციისთვის არ არსებობს რაიმე დამოუკიდებელი კრიტერიუმი, რომელიც არ არის „ადამიანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, არითმეტიკის არასრულობის თეორემას მიაწერენ“ სხვა შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ „ჩვენ მივაწერთ ამ მიღწევას იმ ადამიანს, ვისაც მას მივაწერთ“, იმის თქმის გარეშე, თუ ვინ არის ეს ადამიანი, ანუ რეფერენციის დამოუკიდებელი კრიტერიუმის მოცემის გარეშე; ამდენად, რეფერენციის განსაზღვრა წრიული იქნება. ამგვარად, ეს არის იმ პირობის დარღვევა, რომელსაც „C“ დავარქვი, და მას რეფერენციის ვერავითარ თეორიაში ვერ გამოვიყენებთ.

რასაკვირველია, შეგიძლიათ წრიულობიდან თავის დაღწევა პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარებით სცადოთ. ამას აღნიშნავს სტროსონი, რომელიც ამ საკითხებისთვის მიძღვნილ შენიშვნაში ამბობს, რომ ერთი ადამიანის რეფერენცია შეიძლება მეორის რეფერენციიდან წარმოდგებოდეს.

მაიდენტიფიცირებელი აღწერა, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ ის შეიცავდეს მოცემულ ინდივიდუალურ ობიექტზე მოსაუბრის

39 პრინსტონის უნივერსიტეტში.

საკუთარ რეფერენციაზე რეფერენციას, შეიძლება შეიცავდეს ამ ინდივიდუალურ ობიექტზე სხვა ადამიანის რეფერენციაზე რეფერენციას. თუკი ნაგულისხმევი მაიდენტიფიცირებელი დესკრიფცია ამ სახისაა, მაშინ, მართლაც, შეკითხვა, არის თუ არა ის ნამდვილად მაიდენტიფიცირებელი დესკრიფცია, დამოკიდებულია შეკითხვაზე იმის შესახებ, არის თუ არა ნამდვილად მაიდენტიფიცირებელი რეფერენცია თვითონ ის რეფერენცია, რომელზეც ის რეფერირებს. ამრიგად, ერთმა რეფერენციამ თავისი, როგორც ნამდვილად მაიდენტიფიცირებელი რეფერენციის, სარწმუნოება შეიძლება სხვისგან ისეხსოს; ხოლო ამ უკანასკნელმა – კიდევ სხვისგან. მაგრამ ეს რეგრესი არ არის უსასრულო.⁴⁰

ასეთ შემთხვევაში მე შემიძლია ვთქვა: «შეხედეთ, „გოდელის“ მე ვიგულისხმებ ადამიანს, რომელმაც, ჯოს აზრით, დაამტკიცა არითმეტიკის არასრულობა». ჯომ, შეიძლება, შემდეგ საქმეში ჰარის გადაბაროს. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ასეთი გადაბარება წრეში არ დატრიალდეს. ვართ კი ნამდვილად დარწმუნებულები, რომ ეს არ მოხდება? თუკი შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენ თვითონ იცით ეს ჯაჭვი და ისიც იცით, რომ ჯაჭვში მონაწილე თითოეული ადამიანი სათანადო პირობებს იყენებს და, ამდენად, მის გარეთ არ გადის, მაშინ შეიძლება საჭირო ადამიანამდე ასეთ ჯაჭვზე ამგვარად რეფერირების გზით – რეფერენციების თითო-თითოდ სესხებით – მიაღწიოთ. მაგრამ, თუმცა საზოგადოდ ასეთი ჯაჭვები მართლაც არსებობს ცოცხალი ადამიანისათვის, თქვენ არ გეცოდინებათ, რა ჯაჭვია ეს. თქვენ დარწმუნებით არ გეცოდინებათ, რომელ დესკრიფციას იყენებს სხვა და, ამდენად, არ გეცოდინებათ, რომ ეს წამოწყება წრიული არ აღმოჩნდება, ან რომ ჯოზე აპელაციით საერთოდ შესაძლებელია საჭირო ადამიანამდე მიღწევა. ასე რომ, თქვენ ვერ შეძლებთ, ეს თქვენს მაიდენტიფიცირებელ დესკრიფციად გამოიყენოთ დარწმუნების რამე ხარისხით. შეიძლება ისიც კი არ გახსოვდეთ, ვისგან გაიგეთ გოდელის შესახებ.

40 Strawson, op. cit., გვ. 182, შენიშვნა.

როგორია საქმის არსის ჭეშმარიტი სურათი? იქნებ, სინამდვილეში რეფერენცია საერთოდ არ ხორციელდება? ბოლოს და ბოლოს, რეალურად ჩვენ სულაც არ ვიცით, მართლა სრულდება თუ არა რომელიმე იმ თვისებებიდან, რომელთაც ჩვენ ადამიანის იდენტიფიცირებისთვის ვიყენებთ. ჩვენ არ ვიცით, ისინი ნამდვილად გამოარჩევს თუ არა უნიკალურ ობიექტს. მაშინ რა არის ის, რაც „ციცერონის“ ჩემს გამოყენებას მართლა მის სახელად აქცევს? სურათი, რომელსაც დესკრიფციების კლასტერის თეორიასთან მივყავართ, დაახლოებით ასეთია: ადამიანი მარტოა, ოთახში გამოკეტილი; სხვა მოსაუბრეების მთელი ერთობა, საერთოდ სხვა ყველაფერი შეიძლება გაქრეს; ადამიანი კი რეფერენციას თავისთვის ადგენს იმით, რომ ამბობს: „მე სიტყვაში „გოდელი“ ვიგულისხმებ იმ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, რომელმაც არითმეტიკის არასრულობა დაამტკიცა.“ რა თქმა უნდა, თუ გნებავთ, შეგიძლიათ ეს გააკეთოთ. მართლაც, ამას არაფერი უშლის ხელს; შეგიძლიათ, ასე დადგენილ რეფერენციას მისდიოთ. თუ სწორედ ესაა, რასაც თქვენ აკეთებთ, მაშინ, თუკი არითმეტიკის არასრულობა შმიდტმა აღმოაჩინა, თქვენ მასზე რეფერირებთ, როცა ამბობთ: „გოდელმა გააკეთა ესა და ეს“.

მაგრამ ეს არ არის ის, რასაც ჩვენი უმრავლესობა აკეთებს. ვთქვათ, ბავშვი იბადება; მშობლები მას გარკვეულ სახელს არქმევენ. ისინი მის შესახებ თავიანთ მეგობრებს ელაპარაკებიან. სხვა ადამიანები მას ხვდებიან. სხვადასხვა სახის საუბრების მეშვეობით ეს სახელი ერთი რგოლიდან მეორეს გადაეცემა, თითქოსდა ჯაჭვურად. მოსაუბრე, რომელიც ამ ჯაჭვის შორეულ ბოლოსთანაა, ვისაც, ვთქვათ, რიჩარდ ფეინმანის შესახებ სავაჭრო ცენტრში ან სხვაგან გაუგია, შეიძლება რიჩარდ ფეინმანზე რეფერირებდეს, თუნდაც არ ახსოვდეს, ვისგან გაიგო პირველად ფეინმანის შესახებ, ან, საერთოდაც, ვისგან სმენია ოდესმე ფეინმანის შესახებ. მან იცის, რომ ფეინმანი ცნობილი ფიზიკოსია. კომუნიკაციის გარკვეული ჯაჭვი, რომელიც, საბოლოოდ, თვითონ ფეინმა-

ნამდე აღწევს, აღწევს მოსაუბრემდეც. ამგვარად, ის ფეინმანზე რეფერირებს, თუნდაც არ შეეძლოს მისი უნიკალურად იდენტიფიცირება. მან არ იცის, რა არის ფეინმანის დიაგრამა; არ იცის, რა არის წყვილთწარმოქმნისა და ანიჰილაციის ფეინმანისეული თეორია. მეტიც: მას შეიძლება გაუჭირდეს გელ-მანისა და ფეინმანის ერთმანეთისაგან გარჩევა. მაგრამ მისთვის აუცილებელი არ არის, ეს ყველაფერი იცოდეს; სანაცვლოდ, კომუნიკაციის ჯაჭვი, რომელიც თვითონ ფეინმანისკენ მიემართება, იქმნება იმის ძალით, რომ მოსაუბრე არის იმ საზოგადოების წევრი, რომელშიც ეს სახელი ერთი რგოლიდან მეორეს გადაეცა – და გადაეცა არა იმ ცერემონიით, რომელიც მან, თავის კაბინეტში განმარტოებულმა, ჩაატარა: «მე სახელით „ფეინმანი“ ვიგულისხმებ ადამიანს, რომელმაც ესა და ეს გააკეთა».

როგორ განსხვავდება ეს თვალსაზრისი სტროსონის წინადადებისგან, ზემოთ რომ ვახსენე, რომლის თანახმადაც ერთი მაიდენტიფიცირებელი რეფერენცია თავის მანდატს შეიძლება მეორისგან იღებდეს? უდავოა, რომ სტროსონის ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში კარგი მიხვედრაა გამოთქმული; მეორე მხრივ, აშკარაა, რომ მისი თვალსაზრისი, სულ მცირე, მახვილით განსხვავდება სურათისგან, რომელსაც მე ვიცავ, რადგან ის ამ კომენტარს მხოლოდ შენიშვნაში, ძირითადი ტექსტის მიღმა, აკეთებს. ძირითად ტექსტში კი ის დესკრიფციების კლასტერის თეორიას იცავს. უკვე მხოლოდ იმიტომ, რომ სტროსონი თავის შენიშვნას დესკრიფციის თეორიის კონტექსტში გამოთქვამს, მისი თვალსაზრისი ჩემი თვალსაზრისისგან ერთი მნიშვნელოვანი ასპექტით განსხვავდება. სტროსონი, როგორც ჩანს, მოითხოვს, რომ მოსაუბრემ იცოდეს, ვისგან მიიღო თავისი რეფერენცია, ანუ, მას შეეძლოს ასეთი რამის თქმა: «მე სიტყვით „გოდელს“ ვგულისხმობ ადამიანს, რომელსაც ჯოუნსი „გოდელს“ უწოდებს». თუ მას არ ახსოვს, როგორ ისწავლა რეფერენცია, ის ვერ შეიძლება ასეთი დესკრიფციის მოცემას. ხოლო ჩემი თეორია არ აწესებს არავითარ მსგავს მოთ-

ხოვანას. როგორც ვთქვი, მე შეიძლება არც მახსოვდეს, ვისგან გავიგე გოდელის შესახებ; ისიც შეიძლება, მეგონოს, რომ მახსოვს, ვისგან გავიგე ეს სახელი, მაგრამ ვცდებოდე.

ეს მოსაზრებები აჩვენებს, რომ აქ ჩემ მიერ განვითარებულმა თვალსაზრისმა შეიძლება მიგვიყვანოს შედეგებთან, რომლებიც რეალურად განსხვავდება სტროსონის შენიშვნის შედეგებისგან. დავუშვათ, რომ მოსაუბრეს სახელი „ციცერონი“ გაუგია სმითისგან და სხვებისგან, რომლებიც ამ სახელს ცნობილ რომაელ ორატორზე რეფერირებისთვის იყენებენ; მაგრამ მოგვიანებით ის ფიქრობს, რომ ეს სახელი მან გაიგო ჯოუნსისგან, რომელიც (თუმცა ეს მოსაუბრემ არ იცის) „ციცერონს“ ცნობილი გერმანელი ჯაშუშის სახელად იყენებს და არასოდეს არაფერი სმენია ანტიკური სამყაროს ორატორების შესახებ. მაშინ, სტროსონის პარადიგმის მიხედვით, მოსაუბრე თავის რეფერენციას უნდა ადგენდეს შემდეგი გადაწყვეტილებით: «მე გამოვიყენებ „ციცერონს“ იმ ადამიანზე რეფერირებისთვის, ვისაც ჯოუნსი მოიხსენიებს ამ სახელით». ხოლო ჩემი თვალსაზრისის მიხედვით, ამ სახელის რეფერენტი იქნება ორატორი, მიუხედავად მოსაუბრის მცდარი წარმოდგენისა იმის შესახებ, თუ სად გაიგო მან ეს სახელი. მნიშვნელოვანია ის, რომ სტროსონი, როდესაც ის ცდილობს, კომუნიკაციის ჯაჭვის თვალსაზრისი დესკრიფციის თეორიას მოარგოს, ამოდის იქიდან, თუ რა იყო, მოსაუბრის აზრით, მისი რეფერენციის წყარო. თუ მოსაუბრეს აღარ ახსოვს თავისი წყარო, მისთვის ხელმისაწვდომი არ არის დესკრიფცია, რომელსაც სტროსონი იყენებს; თუ მას ის არასწორად ახსოვს, სტროსონის პარადიგმამ შეიძლება არასწორი შედეგები მოგვცეს. ჩემი თვალსაზრისის მიხედვით კი რელევანტურია არა ის, თუ რას ფიქრობს მოსაუბრე თავისი რეფერენციის წყაროზე, არამედ კომუნიკაციის რეალურად განხორციელებული ჯაჭვი.

ვფიქრობ, წინა შეხვედრაზე ვთქვი, რომ ყველა ფილოსოფიურ თეორიას ემუქრება იმის საფრთხე, რომ მცდარი აღმოჩნ-

დება, და, ამიტომ, ალტერნატიული თეორიის შემოთავაზებას არ ვაპირებდი. სწორედ ეს ხომ არ გავაკეთე სწორედ ახლა? კეთილი, გარკვეული აზრით ასეა; მაგრამ ჩემი დახასიათება ბევრად უფრო ნაკლებ სპეციფიკური იყო, ვიდრე რეფერენციისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების რეალური ჯგუფი იქნებოდა. აშკარაა, რომ სახელი ერთი რგოლიდან მეორეს გადაეცემა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ნებისმიერი სახის კაუზალური ჯაჭვი, რომელიც ჩემგან გარკვეულ ადამიანამდე აღწევს, იქნება საკმარისი ჩემთვის რეფერენციის უზრუნველსაყოფად. ალბათ, არსებობს კაუზალური ჯაჭვი, რომელიც სახელის „სანტა კლაუსი“ ჩვენებურ გამოყენებას რომელიმე ისტორიულ წმინდანთან აკავშირებს, მაგრამ ახლანდელი ბავშვები ამ სახელის გამოყენებისას, ალბათ, ამ წმინდანზე არ რეფერირებენ. ასე რომ, სხვა პირობებიც უნდა დაემატოს, რათა ამ მოსაზრებებისგან რეფერენციის მართლაც მკაცრი თეორია ავაგოთ. არ მგონია, რომ ოდესმე ამის გაკეთებას დავაპირებ, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ახლა ეს ძალიან მეზარება; მეორეც, ნაცვლად იმისა, რომ მოგცეთ აუცილებელი და საკმარისი პირობების ჯგუფი, რომლებიც ივარგებს ისეთი ტერმინისთვის, როგორცაა რეფერენცია, მე უბრალოდ მინდა წარმოგიდგინოთ უკეთესი სურათი, ვიდრე ის სურათია, რომელსაც აღიარებულნი თვალსაზრისები წარმოგიდგენენ.

ძალიან უსამართლოდ ხომ არ მოვეპყარი დესკრიფციის თეორიას? მე ის აქ ძალიან ზუსტად ჩამოვაცალიბე, ალბათ, უფრო ზუსტად, ვიდრე მის რომელიმე დამცველს ჩამოუყალიბებია. ამის შემდეგ მისი უკუგდებაც იოლია. მე რომ ჩემი თეორიის საკმარისი სიზუსტით – ექვსი, შვიდი ან რვა თეზისის ფორმით – ჩამოყალიბება მეცადა, შეიძლება, ჩემს შემთხვევაშიც აღმოჩენილიყო, რომ სათითაოდ განხილვისას ყველა ეს თეზისი მცდარია. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ განსხვავება შემდეგია: ჩემი აზრით, ის, რასაც ჩემ მიერ წარმოდგენილი მაგალითები აჩვენებს, არის არა უბრალოდ თეორიაში ამა თუ ტექნიკური შეცდომის ან უზუსტობის არ-

სებობა, არამედ ის, რომ ამ თეორიის მიერ წარმოდგენილი მთელი სურათი იმისა, თუ როგორ დგინდება რეფერენცია, ფუნდამენტურად არასწორია. არასწორია ვიფიქროთ, რომ ჩვენ ჩვენს თავს ვაწვდით გარკვეულ თვისებებს, რომლებიც როგორღაც თვისებრივად უნიკალურად გამოყოფს გარკვეულ ობიექტს, და ამ გზით ვადგენთ ჩვენს რეფერენციას. რის შემოთავაზებასაც მე ვცდილობ, არის უკეთესი სურათი – სურათი, რომელიც, თუ მას მეტად შევავსებთ დეტალებით, შესაძლებელია ისე დაინგვეწოს, რომ რეფერენციის განხორციელების უფრო ზუსტი პირობები მოგვცეს.

შეიძლება, ვერასოდეს მივალწიოთ აუცილებელი და საკმარისი პირობების ჯგუფის ფორმულირებას. არ ვიცი, ჩემში ყოველთვის თანაგრძნობას აღძრავს ეპისკოპოს ბატლერის სენტენცია, რომლის თანახმად „ყოველი საგანი არის ის, რაც არის, და არა სხვა საგანი“ – იმ არატრივიალური აზრით, რომ რეფერენციის მსგავსი რომელიმე ცნების ფილოსოფიური ანალიზი სულ სხვა ტერმინებით, რეფერენციის საერთოდ სხენების გარეშე, ძალიან დიდი ალბათობით, მარცხისთვისაა განწირული. რა თქმა უნდა, ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ასეთ ანალიზს წარმოგვიდგენენ, უნდა შევამოწმოთ და ვნახოთ, ჭეშმარიტია ის თუ მცდარი. დაუშვებელია, უბრალოდ გავუმეოროთ ეს მაქსიმა საკუთარ თავს და შემდეგ გვერდზე გადავიდეთ. მაგრამ, უფრო მეტი სიფრთხილით, მინდა, რომ უკეთესი სურათი წარმოვიდგინოთ, რეფერენციისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების ჯგუფის მოცემის გარეშე. ასეთი პირობები ძალიან ჩახლართული იქნებოდა, მაგრამ ერთი უდავო ჭეშმარიტება ისაა, რომ გარკვეულ ადამიანზე რეფერირებას ვასრულებთ სწორედ იმ კავშირის ძალით, რომელიც ჩვენი საზოგადოების წევრ სხვა მოსაუბრეებთან გვაქვს და რომელიც თვითონ რეფერენტამდე აღწევს.

შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, რომლებშიც დესკრიფციის სურათი ჭეშმარიტია – როდესაც ვინმე სახელს მის რეფერენტს მართლაც იმით ანიჭებს, რომ თავის ოთახში განმარტოვ-

დება და იტყვის, რომ ამ სახელის რეფერენტი ამიერიდან გარკვეული მაიდენტიფიცირებელი თვისებების მქონე უნიკალური საგანი იქნება. ამის შესაძლო მაგალითად მე „მფატრავი ჯეკი“ მოგიყვანეთ. კიდევ სხვა შემთხვევა, რომელიც შეიძლება ამ აღწერას მოვარგოთ, არის სიტუაცია, როდესაც ვინმეს გაცნობისას მის სახელს გვეუბნებიან. რომ არა დესკრიფციის თეორიის მიმართ რწმენა – რწმენა, რომ ის მნიშვნელოვანია სხვა შემთხვევებშიც, ალბათ, არ ვიფიქრებდით, რომ ამ შემთხვევაში საკუთარ თავს ვაძლევთ დესკრიფციას, მაგალითად, ასეთს: „ეს ბიჭი, რომელიც სწორედ ახლა გავიცანი.“ მაგრამ, თუ ძალიან გვინდა, შეგვიძლია სიტუაცია ასეც აღვწეროთ, ოღონდ იმ პირობით, რომ მანამდე არასოდეს გავგიგია ეს სახელი რომელიმე სხვა კონტექსტში. რა თქმა უნდა, თუ თქვენ წარგიდგენენ ადამიანს და გეტყვიან: „ეს აინშტაინია“, ამ შემთხვევაში თქვენ მის შესახებ მანამდეც გსმენოდათ და, მაშინ, შეიძლება მოცემული სურათი მცდარი აღმოჩნდეს; და ა.შ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ასეთი პარადიგმა მუშაობდეს, განსაკუთრებით იმ ადამიანისთვის, ვინც პირველად არქმევს სახელს ვინმეს ან რამეს: ვთქვათ, ის თითოთ მიანიშნებს ვარსკვლავზე და ამბობს: «ამიერიდან ეს არის ალფა კენტავრი». მან შეიძლება მართლა ჩაატაროს ეს ცერემონია თავისთვის: «მე სახელწოდებით „ალფა კენტავრი“ ვიგულისხმებ აი, იმ ვარსკვლავს, რომლის კოორდინატებია ესა და ეს». მაგრამ, საზოგადოდ, ეს სურათი არ მუშაობს. როგორც წესი, ჩვენი რეფერენცია დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რას ვფიქრობთ ჩვენ თვითონ, არამედ საზოგადოების სხვა წევრებზეც, იმის ისტორიაზე, თუ როგორ მოაღწია სახელმა ჩვენამდე და სხვა მსგავს ფაქტებზე. სწორედ ასეთ ისტორიას მივყავართ რეფერენციამდე.

უფრო ზუსტი პირობები მეტისმეტად რთულია, რათა მათი მოცემა შევძლოთ. ისინი თითქოს გარკვეულად სხვადასხვაგვარია ცნობილი ადამიანისა და ნაკლებად ცნობილი ადამიანის შემთხვევებში. მაგალითად, მასწავლებელი თავის მოსწავლეებს

ეუბნება, რომ ნიუტონი ცნობილია, რადგან მან პირველმა იფიქრა, რომ არსებობს ძალა, რომელიც საგნებს დედამიწისაკენ იზიდავს; მე მგონი, სწორედ ესაა ის, რაც პატარა ბავშვებს ნიუტონის უდიდეს მიღწევად მიაჩნიათ. მე არ ვიტყვი, რა იქნებოდა ასეთი მიღწევის ღირებულება, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეგვიძლია დავუშვათ, რომ მხოლოდ იმის თქმა, რომ ეს იყო ნიუტონის აღმოჩენის მთელი შინაარსი, მოსწავლეებს მცდარ რწმენას უქმნის ნიუტონის შესახებ, თუნდაც მათ მანამდე არასოდეს არაფერი ჰქონოდათ გაგონილი მის შესახებ. თუ, მეორე მხრივ,⁴¹ მასწავლებელი გამოიყენებს სახელს „ჯორჯ სმითი“ (ამ სახელის მქონე ადამიანი სინამდვილეში მისი კარის მეზობელია) და იტყვის, რომ ჯორჯ სმითმა პირველმა გადაჭრა წრის კვადრატურის პრობლემა, გამომდინარეობს კი აქედან, რომ მოსწავლეებს არასწორი რწმენა გაუჩნდებათ მასწავლებლის მეზობლის შესახებ? მასწავლებელი არ ეუბნება მათ, რომ სმითი მისი მეზობელია; ის თვითონაც არ ფიქრობს, რომ სმითმა პირველმა გადაჭრა წრის კვადრატურის პრობლემა. ის არ ცდილობს, მოსწავლეებს რაიმე რწმენა ჩაუნერგოს კონკრეტულად თავისი მეზობლის შესახებ. მასწავლებელი ცდილობს, მათ ჩაუნერგოს რწმენა, რომ არსებობდა ადამიანი, ვინც გადაჭრა წრის კვადრატურის პრობლემა, მაგრამ არა რწმენა რომელიმე კონკრეტული ადამიანის შესახებ; მან ხომ უბრალოდ თქვა პირველივე სახელი, რომელიც გაახსენდა, და მოხდა ისე, რომ თავისი მეზობლის სახელი გამოიყენა. ამ შემთხვევაში სულ არ არის აშკარა, რომ მოსწავლეებმა შეიძინეს მცდარი რწმენა მეზობლის შესახებ, თუმც კი არსებობს კაუზალური ჯაჭვი, რომელიც ამ მეზობლამდე მიდის. არ ვარ ამ ყველაფერში დარწმუნებული. ნებისმიერ შემთხვევაში, მეტი დაზუსტება საჭირო, რათა თუნდაც პირველი ნაბიჯები გადავდგათ იმისკენ, რომ ამან აუცილებელი და საკმარისი პირობების ჯგუფი მოგვცეს. ამ

41 ამ მაგალითის არსებითი მომენტები მიკარნახა რიჩარდ მილერმა.

აზრით, ეს არ არის თეორია, არამედ ჩაფიქრებულია, როგორც უკეთესი სურათი იმისა, თუ რა ხდება სინამდვილეში.

თეორიის უხეში ფორმულირება შეიძლება ასეთი იყოს: ხდება საწყისი „მონათვლა“ შეიძლება, ობიექტს ოსტენსიით დაერქვას სახელი, ან კიდევ, შეიძლება, სახელის რეფერენცია დესკრიფციით დაფიქსირდეს.⁴² როცა ეს სახელი „ერთი რგოლიდან მეორეს გადაეცემა“, ჩემი აზრით, სახელის მიმღებს უნდა ჰქონდეს განზრახვა, რომ სახელის სწავლის შემდეგ ის გამოიყენოს იმავე რეფე-

42 ნათლობის, რომლის რეფერენციის დაფიქსირებაც დესკრიფციის საშუალებით მოხდა, კარგი მაგალითია ნეპტუნისათვის სახელის დარქმევის 33-ე შენიშვნაში (79-ე გვერდზე) განხილული შემთხვევა. ალბათ ოსტენსიით მონათვლის შემთხვევა ასევე შეგვიძლია მოვარგოთ დესკრიფციის ცნებას. ამრიგად, დესკრიფციის თეორია, ძირითადად, საწყისი ნათლობის შემთხვევებისთვის არის გამოყენებადი. დესკრიფციები რეფერენციის დასაფიქსირებლად გამოიყენება, აგრეთვე, აღნიშვნის ისეთ შემთხვევებში, რომლებიც სხვა მხრივ ჰგავს სახელდებას, იმ განსხვავებით, რომ მათში შემოტანილ ტერმინებს, ჩვეულებრივ, არ უწოდებენ „სახელებს.“ ამის მაგალითებად უკვე დავასახელე შემდეგი ტერმინები: „ერთი მეტრი“, „100 გრადუსი ცელსიუსით.“ ჩვენი ლექციების მსვლელობისას მოგვიანებით სხვა მაგალითებსაც მოგიყვანთ. საწყისი ნათლობისას დესკრიფციის საშუალებით სახელის შემოტანის შემთხვევასთან დაკავშირებით ორ ვითარებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. პირველი: გამოყენებული დესკრიფცია არ არის იმ სახელის სინონიმი, რომელიც მისი მეშვეობით შემოგვქვს; ის მხოლოდ აფიქსირებს სახელის რეფერენციას. ეს პოზიცია ჩვენ განგვასხვავებს დესკრიფციის თეორიის გავრცელებული ვერსიების მომხრეებისგან. მეორე: საწყისი ნათლობის შემთხვევათა უმრავლესობა ძალიან განსხვავდება შემთხვევებისგან, რომლებიც დესკრიფციის თეორიის მომხრეთათვის საწყისი შთაგონების წყარო იყო. ჩვეულებრივ, ნათლია გარკვეული აზრით იცნობს ობიექტს, რომელსაც სახელს არქმევს, და შეუძლია, ოსტენსიურად დაარქვას მას სახელი. დესკრიფციის თეორიის მომხრეთა შთაგონების წყაროა ის ფაქტი, რომ ჩვენ ხშირად შეგვიძლია წარსულის ცნობილი ფიგურების – რომლებიც დიდი ხნის გარდაცვლილები არიან და რომელთაც არც ერთი ცოცხალი ადამიანი არ იცნობს – სახელების გამოყენება; და ეს ზუსტად ის შემთხვევებია, რომელთაც, ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, დესკრიფციის თეორიით სწორად ვერ ავხსნი.

რენციით, რომლითაც მას იყენებდა ადამიანი, რომლისგანაც მან ის გაიგო. თუ მე გავიგებ სახელს „ნაპოლეონი“ და გადავწყვეტ, რომ ეს მშვენიერი სახელი იქნებოდა ჩემი შინაური ჭიანჭველაჭამიასთვის, მე არ შევასრულებ ამ პირობას.⁴³ (შესაძლოა, სწორედ რეფერენციის დაფიქსირებაში მსგავსი მარცხით აიხსნება „სანტა კლაუსის“ თანამედროვე გამოყენებებსა და ნაგულისხმებ ისტორიულ გამოყენებას შორის არსებული განსხვავებაც.)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ზემოთ მოცემული მონახაზი სულაც არ გულისხმობს რეფერენციის ცნების გამორიცხვას; პირიქით, მასში მოცემულად მიიღება იმავე რეფერენციის გამოყენების განზრახვის ცნება. ის შეიცავს აპელაციას საწყის ნათლობაზეც, რომელიც დესკრიფციის ან ოსტენსიის (თუკი ოსტენსიას დესკრიფციის კატეგორიას არ დავუქვემდებარებთ) მეშვეობით რეფერენციის დაფიქსირების ცნების გამოყენებითაა ახსნილი.⁴⁴

43 მე შემიძლია ჩემი ჭიანჭველაჭამიას სახელი სხვებს გადავცე. ამ ადამიანთაგან თითოეულისთვის, ისევე, როგორც ჩემთვის, იარსებებს გარკვეული სახის კაუზალური ან ისტორიული კავშირი ამ სახელის ჩემულ გამოყენებასა და საფრანგეთის იმპერატორს შორის, მაგრამ ეს არ იქნება საჭირო სახის კავშირი.

44 მას შემდეგ, რაც გავაცნობიერებთ, რომ სახელის რეფერენციის დასაფიქსირებლად გამოყენებული დესკრიფცია არ არის სახელის სინონიმი, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დესკრიფციის თეორია წინასწარ გულისხმობს სახელდების ან რეფერენციის ცნებას. ჩემ მიერ წამოყენებული მოთხოვნა, რომ გამოყენებული დესკრიფცია თვითონ არ უნდა შეიცავდეს რეფერენციის ცნებას წრიულად, სულ სხვა რამაა და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ დესკრიფციის თეორიას საერთოდ რამე ღირებულება ჰქონდეს. ამის მიზეზი ისაა, რომ დესკრიფციის თეორიის მომხრე გულისხმობს, რომ თითოეული მოსაუბრე თავისი რეფერენციის განსაზღვრისთვის არსებითად იყენებს იმ დესკრიფციას, რომელსაც სახელდების საწყის აქტში გვაძლევს. აშკარაა, რომ თუკი მას სახელი „ციცერონი“ შემოაქვს განსაზღვრებით: „მე „ციცერონს“ ვუწოდებ ადამიანს, რომელსაც „ციცერონს“ ვუწოდებ“, ამ ცერემონიით მას სულ არავითარი რეფერენცია არ აქვს დადგენილი.

(ალბათ, არსებობს საწყისი ნათლობის სხვა შესაძლო ვარიანტებიც.) მეტიც: ჯორჯ სმიტის შემთხვევა გარკვეულ ეჭვს აღძრავს ამ პირობების საკმარისობის მიმართ. თუნდაც მასწავლებელი მართლაც თავის მეზობელზე რეფერირებდეს, განა არის აშკარა, რომ მან მოსწავლეებს თავისი რეფერენცია გადასცა? რატომ არ უნდა ეხებოდეს მათი რწმენა ნებისმიერ სხვა ადამიანს, რომელსაც „ჯორჯ სმიტი“ ჰქვია? როცა მასწავლებელი ამბობს, რომ ნიუტონს ვაშლი დაეცა, რეფერენციის გადაცემის ამოცანა ამ შემთხვევაში როგორღაც უფრო ადვილია, რადგან მან გადასცა ფართოდ გავრცელებული არასწორი შეხედულება ნიუტონის შესახებ.

გავიმეორებ, შეიძლება, მე თქვენთვის არ წარმომიდგენია თეორია, თუმცა, ვფიქრობ, რომ წარმოგიდგინეთ სურათი, რომელიც სჯობს სურათს, რომელსაც დესკრიფციის თეორიის მომხრეები გვაძლევენ.

ვფიქრობ, მომდევნო საკითხი, რომელზეც მინდა ვისაუბრო, ეხება იგივეობის გამომთქმელ დებულებებს. აუცილებელია თუ შემთხვევითი ისინი? ეს საკითხი ბოლო დროს რამდენჯერმე გახდა ფილოსოფიური პაექრობის საგანი. პირველი, ყველა თანხმდება, რომ შეიძლება დესკრიფციების გამოყენებით იგივეობის შესახებ შემთხვევითი დებულებების ჩამოყალიბება. თუ ჭეშმარიტია, რომ ადამიანი, რომელმაც ბიფოკალური ლინზები გამოიგონა, ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურის პირველი ხელმძღვანელი იყო, ანუ რომ ეს ერთი და იგივე ადამიანი იყო, მაშინ ეს შემთხვევითად არის ჭეშმარიტი. სხვა სიტყვებით, შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ერთს გამოეგონა ბიფოკალური ლინზები, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურის პირველი ხელმძღვანელი სხვა ყოფილიყო. ამრიგად,

დესკრიფციის თეორიის ყველა მომხრეს არ მიაჩნდა, რომ ბოლომდე გამორიცხავდა რეფერენციის ცნებას. ზოგიერთი მათგანი, ალბათ, ხვდებოდა, რომ ოსტენსის ან პრიმიტიული რეფერენციის რაღაც ცნება აუცილებელია მათი თეორიის გასამყარებლად. უეჭველია, რომ რასელი ამას ხვდებოდა.

უეჭველია, რომ როცა დესკრიფციების გამოყენებით იგივეობას ამტკიცებთ, ანუ როცა ამბობთ, რომ „x, რომელიც φx, და x, რომელიც ψx, ერთი და იგივეა“, ეს შეიძლება შემთხვევითი ფაქტი იყოს. მაგრამ ფილოსოფოსებს ასევე აინტერესებდათ სახელებს შორის იგივეობის გამომთქმელი დებულებების საკითხი. როცა ვამბობთ, რომ „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ ან „ციცერონი არის ტულიუსი“, აუცილებელია თუ შემთხვევითი ჩვენი მტკიცება? მეტიც: ფილოსოფოსებს სხვა სახის იგივეობის დებულებებიც აინტერესებდათ, კერძოდ, იგივეობის დებულებები, რომელთაც მეცნიერულ თეორიებში ვხვდებით. მაგალითად, სინათლეს ჩვენ ვაიგივებთ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან, რომლის ტალღის სიგრძეც გარკვეულ ფარგლებში თავსდება, ან ფოტონების ნაკადთან. სითბოს ვაიგივებთ მოლეკულების მოძრაობასთან, ბგერას – ჰაერის გარკვეული ტიპის ტალღისებურ შეშფოთებასთან და ა. შ. ასეთი დებულებების შესახებ ხშირად იზიარებენ შემდეგ თეზისს: პირველი, რომ ისინი აშკარად შემთხვევითი იგივეობებია – ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სინათლე ფოტონების ნაკადია, მაგრამ, რასაკვირველია, ის შეიძლება არ ყოფილიყო ფოტონების ნაკადი. სითბო ფაქტობრივად მოლეკულების მოძრაობაა; ჩვენ ეს აღმოვაჩინეთ, მაგრამ სითბო შეიძლება არ ყოფილიყო მოლეკულების მოძრაობა. მეორეც, ბევრი ფილოსოფოსი თავს ძალიან ილბლიანად თვლის იმის გამო, რომ ეს მაგალითები მოგვეპოვება. მაინც რატომ? ეს ფილოსოფოსები, რომელთა შეხედულებების გადმოცემასაც უკიდევანო ლიტერატურა ეთმობა, იზიარებენ თეზისს, რომელსაც უწოდებენ „იგივეობის თეზისს“ და რომელიც ზოგიერთ ფსიქოლოგიურ ცნებას შეეხება. ისინი ფიქრობენ, რომ ტკივილი არის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული მატერიალური მდგომარეობა ტვინისა, თუ სხეულისა, თუ იმისა, რაც გაქვთ – ვთქვათ, C ნერვული ბოჭკოების სტიმულაცია (არ აქვს მნიშვნელობა, რა). ზოგიერთი კი მათ ეკამათება: „ღიას, შეიძლება არსებობს კორულაცია ტკივილსა და სხეულის ამ მდგომარეობებს შორის; მაგრამ

ეს უნდა იყოს მხოლოდ შემთხვევითი კორელაცია ორ სხვადასხვა საგანს შორის, რადგან ემპირიული აღმოჩენა იყო ის, რომ ეს კორელაცია საერთოდ არსებობს. ამიტომ, სიტყვა „ტკივილი“ უნდა ნიშნავდეს სხეულის ან ტვინის ამ მდგომარეობისგან რაღაც განსხვავებულს; და, ამიტომ, ისინი ორი სხვადასხვა რამ უნდა იყოს.“

პასუხად კი ამბობენ: „მაგრამ, ნახე, ეს არასწორია! ყველამ იცის, რომ შეიძლება არსებობდეს შემთხვევითი იგივეობები.“ პირველი, ასეთი გვაქვს ბიფოკალური ლინზებისა და აშშ-ს საფოსტო სამსახურის ხელმძღვანელის შემთხვევაში, ზემოთ რომ ვახსენე. მეორე, ასეთები გვაქვს თეორიული იგივეობების შემთხვევებში, როგორცაა სინათლე და ფოტონების ნაკადი, ან წყალი და წყალბადისა და ჟანგბადის გარკვეული ნაერთი, რომლებიც ამ პარადიგმასთან უფრო ახლოს მყოფად მიიჩნევა. ყველა მათგანი შემთხვევითი იგივეობაა. ისინი შეიძლება მცდარი ყოფილიყო, ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ შეიძლება შემთხვევითი ფაქტის ძალით, და არა რაიმე სახის აუცილებლობის გამო, იყოს ჭეშმარიტი, რომ ტკივილის განცდა ან წითლის დანახვა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სხეულის გარკვეული მდგომარეობაა. ასეთი ფსიქოფიზიკური იგივეობები შეიძლება შემთხვევითი ფაქტები იყოს ზუსტად ისევე, როგორც შემთხვევითი ფაქტებია სხვა იგივეობები. და, რა თქმა უნდა, არსებობს საყოველთაოდ ცნობილი მოტივები, რომელთა გამოც ადამიანებს უნდათ, ირწმუნონ ეს თეზისი. ასეთი მოტივი შეიძლება იყოს იდეოლოგიური, ან, უბრალოდ, ის, რომ არ გვინდა, „ნომოლოგიური უქნარა“* დავუშვათ საიდუმლო კავშირების სახით, რომელთაც ვერ ხსნის ფიზიკის კანონები, როგორებიც იქნებოდა ურთიერთცალსახა შესაბამისობები ორი სხვადასხვა სახის საგნებს – მატერიალურ მდგომარეობებსა და მათგან სრულიად განსხვავებული სახის საგნებს – შორის.

ვფიქრობ, ჯერ სახელებს შორის იგივეობის დებულებებზე ვისაუბრებ. თუმცა, სრულებით ზოგადად ვამტკიცებ შემდეგს: ერთი, რომ დამახასიათებელი თეორიული იგივეობები, როგორი-

ცაა „სითბო არის მოლეკულების მოძრაობა“; არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი ჭეშმარიტებებია; და აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ, რომ ისინი აუცილებელია არა უბრალოდ ფიზიკურად, არამედ აუცილებელია უმაღლესი ხარისხით – რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს. (ფიზიკური აუცილებლობა შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებლობა უმაღლესი ხარისხით. მაგრამ ეს არის საკითხი, რომელიც არ მინდა ნაჩქარევად გადავწყვიტო. სულ მცირე, ასეთი მაგალითებისთვის მაინც, შეიძლება სწორი იყოს, რომ როცა რაღაც არის ფიზიკურად აუცილებელი, ის ყოველთვის არის აუცილებელი *tout court*.) მეორე, რომ გზა, რომლითაც ეს იგივეობები აღმოჩნდება აუცილებელი ჭეშმარიტებები, არ მგონია, იყოს იგივე გზა, რომლითაც ცნობიერებასა და ტვინს შორის იგივეობები შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებლად ან შემთხვევითად ჭეშმარიტი. ამრიგად, ამ ანალოგიაზე უარი უნდა ვთქვათ. ძნელი დასანახია, რამ შეიძლება დაიკავოს მისი ადგილი. ამიტომ, ძნელი დასანახია, როგორ ავარიდოთ თავი დასკვნას, რომ ისინი [ცნობიერება და ტვინი] რეალურად სხვადასხვაა.

ნება მომეცით, დავუბრუნდე საკუთარი სახელების უფრო მიწიერ შემთხვევას. თუმცა, ისიც კი საკმაოდ იდუმალია. მის შესახებ ერთმანეთს ეკამათებიან ქუაინი და რუთ ბარქან მარკუსი.⁴⁵ მარკუსი ამბობს, რომ სახელებს შორის იგივეობები აუცილებელია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ციცერონი არის ტულიუსი, და მართლა იყენებს „ციცერონს“ და „ტულიუსს“ სახელებად, ამით ის ვალდებულებას იღებს, ამტკიცოს, რომ მისი რწმენა აუცილებელი ჭეშმარიტებაა. მარკუსი იყენებს ტერმინს „მხოლოდ იარლიყი“. ქუაინი ასე პასუხობს: «შეგვიძლია, ერთ მშვენიერ საღამოს პლანეტა ვენერას იარლიყად მივაკრათ საკუთარი სახელი „ჰესპეროსი“: ერთ მშვენიერ დღეს, გამთენიისას, იმავე პლანეტას შეგვიძ-

45 Ruth Barcan Marcus, “Modalities and Intensional Languages” (comments by W. V. Quine, plus discussion), *Boston Studies in the Philosophy of Science*, volume I, Reidel, Dordrecht, Holland, 1963, გვ. 77-116.

ლია იარლიყად მივაკრათ საკუთარი სახელი „ფოსფოროსი“ როცა აღმოვაჩინეთ, რომ ერთსა და იმავე პლანეტას ორჯერ მივაკარით იარლიყი, ჩვენი აღმოჩენა ემპირიული იქნება. და ეს ასე იქნება არა იმის გამო, რომ საკუთარი სახელები დესკრიფციები იყო». ⁴⁶ მართლაც, როგორც ქუაინი ამბობს, როცა აღმოვაჩინეთ, რომ ერთსა და იმავე პლანეტას ორჯერ მივაკარით იარლიყი, ჩვენი აღმოჩენა ემპირიული იყო. სხვა მაგალითი, რომელიც, როგორც მახსოვს, ქუაინს სხვა წიგნში მოჰყავს, ეხება ერთსა და იმავე მთას, დანახულს ნეპალიდან და ტიბეტიდან, ან რაღაც მსგავსი; ერთი მხრიდან დანახულს მას ჰქვია „ვეერესტი“ (თქვენ გსმენიათ ეს სახელი); ხოლო მეორე მხრიდან, დავუშვათ, მას „გაურიშანკარი“ ჰქვია. რეალურად შეიძლება ემპირიული აღმოჩენა იყოს, რომ გაურიშანკარი ვეერესტია. (ქუაინი ამბობს, რომ ეს მაგალითი სინამდვილეში არასწორია. მან ის ერვინ შროდინგერისგან აიღო. ვინ იფიქრებდა, რომ ტალღური მექანიკის გამომგონებელი ასეთ შეცდომას დაუშვებდა! არ ვიცი, საიდან უნდა მოდიოდეს ეს შეცდომა. უთუოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ეს სიტუაცია მართლა განხორციელდა; და ეს კიდევ ერთი კარგი ილუსტრაციაა იმისა, რაც ქუაინს აქვს მხედველობაში.)

რა უნდა ვთქვათ ამაზე? მინდოდა, ამ წიგნში კარგი ციტატა მომეძებნა მეორე, ანუ მარკუსის თვალსაზრისის საილუსტრაციოდაც, მაგრამ ვერ ვპოულობ. მე ვესწრებოდი იმ დისკუსიას და მახსოვს, ⁴⁷ რომ ის იცავდა თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, თუ თქვენ მართლა გაქვთ სახელები, კარგ ლექსიკონს უნდა შეეძლოს, გითხრათ, აქვთ თუ არა მათ ერთი და იგივე რეფერენცია. ასე, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ ადამიანმა ლექსიკონში ჩახედვით გაიგოს, რომ ჰესპეროსი და ფოსფოროსი ერთი და იგივეა. ეს კი არ ჰგავს სიმართლეს. ბევრს ეს ერგენება ლოგიკურ შედეგად იმ თვალსაზრისისა, რომ სახელებს შორის იგივეობები აუცილებ-

⁴⁶ იქვე, გვ. 101.

⁴⁷ იქვე, გვ. 115.

ბელია. ამიტომ, ჩვეულებრივ, უკუაგდებდნენ თვალსაზრისს, რომ სახელებს შორის იგივეობის დებულებები აუცილებელია. რასე-ლის დასკვნა გარკვეულწილად განსხვავებული იყო. ის მართლაც ფიქრობდა, რომ არასოდეს არ უნდა წამოიჭრას ემპირიული კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა ორ სახელს ერთი და იგივე რეფერენცია. ეს პირობა არ სრულდება ჩვეულებრივი სახელებისთვის, მაგრამ სრულდება მაშინ, როცა თქვენ თქვენს საკუთარ გრძობად მონაცემს თუ რაღაც ასეთს ასახელებთ. თქვენ ამბობთ: „აი, ეს, და აი, ის (ორივე ჩვენებითი ნაცვალსახელით ერთსა და იმავე გრძობად მონაცემზე მიუთითებთ):“ ასე რომ, ემპირიული გამოკვლევის გარეშე შეგიძლიათ იცოდეთ, რომ ერთსა და იმავე საგანს ორჯერ მიეცით სახელი; პირობა შესრულებულია. ვინაიდან ეს არ ეხება სახელების ჩვეულებრივ შემთხვევებს, ჩვეულებრივი „სახელები“ ვერ იქნება ნამდვილი სახელები.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი? ჯერ ერთი, მართალია, რომ შეიძლება ადამიანი სახელს „ციცერონი“ იყენებდეს ციცერონზე მისათითებლად, და სახელს „ტულიუსი“ – ასევე ციცერონზე მისათითებლად და, ამასთან, არ იცოდეს, რომ ციცერონი ტულიუსია. ამრიგად, სიმართლეს ჰგავს, რომ აუცილებელი არ არის, სახელებს შორის იგივეობის დებულებების ჭეშმარიტება ჩვენ აპრიორულად ვიცოდეთ. აქედან არ გამომდინარეობს, რომ ასე გამოთქმული დებულება შემთხვევითია, თუკი ის ჭეშმარიტია. ამას გავუსვი ხაზი ჩემს პირველ ლექციაზე. არსებობს ძალიან ძლიერი გრძობა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ თუ არ შეიძლება, აპრიორული განაზრებებით იცოდე რაღაც, მაშინ ის შემთხვევითი უნდა იყოს: შეიძლება აღმოჩენილიყო, რომ ის მცდარია; მაგრამ, ამის მიუხედავად, მე ვფიქრობ, რომ ეს გრძობა შემაჯდენელია.

დავუშვათ, ერთსა და იმავე ციურ სხეულზე ვრეფერირებთ ორჯერ – როგორც „ჰესპეროსზე“ და როგორც „ფოსფოროსზე“. ჩვენ ვამბობთ: ჰესპეროსი არის აი ის ვარსკვლავი სალამოს; ფოს-

ფოროსი არის აი ის ვარსკვლავი დილით. სინამდვილეში ჰესპეროსი არის ფოსფოროსი. მართლა არსებობს გარემოებები, რომლებშიც ჰესპეროსი არ იქნებოდა ფოსფოროსი? დავუშვათ, რომ ჰესპეროსი არის ფოსფოროსი, და ვცადოთ აღწერა შესაძლო სიტუაციისა, რომელშიც ჰესპეროსი არ იქნებოდა ფოსფოროსი. კეთილი, ეს ადვილია. ვილაც ჩამოივლის და ორ სხვადასხვა ვარსკვლავს უწოდებს „ჰესპეროსს“ და „ფოსფოროსს“. შეიძლება ეს იმავე პირობებშიც კი მომხდარიყო, რომლებშიც ჩვენ შემოვიტანეთ სახელები „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“. მაგრამ არის კი ეს გარემოებები, რომლებშიც ჰესპეროსი არ არის ფოსფოროსი ან არ იქნებოდა ფოსფოროსი? მე მეჩვენება, რომ არ არის.

რა თქმა უნდა, მე ვალდებული ვარ, ვთქვა, რომ არ არის, რადგან ვამტკიცებ, რომ ისეთი სიტყვები, როგორცაა „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“, როცა ისინი სახელებად გამოიყენება, ხისტი აღმნიშვნელებია. ისინი ყველა შესაძლო სამყაროში პლანეტა ვენერაზე რეფერირებენ. ამიტომ, იმ სხვა შესაძლო სამყაროშიც პლანეტა ვენერა არის პლანეტა ვენერა და არ აქვს მნიშვნელობა, რა თქვა რომელიმე სხვა ადამიანმა იმ შესაძლო სამყაროში. როგორ უნდა აღვწეროთ ჩვენ ეს სიტუაცია? შეუძლებელია, მას, ჩვენსავით, ორჯერ მიეთითებინა ვენერაზე და ერთ შემთხვევაში მისთვის „ჰესპეროსი“ ეწოდებინა, ხოლო მეორე შემთხვევაში – „ფოსფოროსი“. მას რომ ეს ექნა, მაშინ „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ იმ სიტუაციაშიც ჭეშმარიტი იქნებოდა. შესაძლოა, მან არც ერთხელ არ მიუთითა პლანეტა ვენერაზე – ერთხელ მაინც, სულ მცირე, მან არ მიუთითა პლანეტა ვენერაზე; ვთქვათ, მაშინ, როცა მიუთითა სხეულზე, რომელსაც „ფოსფოროსი“ უწოდა. მაშინ ჩვენ უთუოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლებელია, ამ შემთხვევაში, სახელის „ფოსფოროსი“ რეფერენტი არ ყოფილიყო ფოსფოროსი. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ დილით, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ჩვენ ფოსფოროსი დავინახეთ, არ ყოფილიყო ფოსფოროსი და იქ რაღაც სხვა ყოფილი-

ყო; მეტიც, შესაძლებელია, რომ გარკვეულ გარემოებებში ამ სხვა საგანს სახელად რქმეოდა „ფოსფოროსი“. მაგრამ ეს მაინც არ არის შემთხვევა, რომელშიც ფოსფოროსი არ იქნებოდა ჰესპეროსი. შეიძლება არსებობდეს შესაძლო სამყარო, შესაძლო კონტრაქტობრივი სიტუაცია, რომელშიც „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“ არ იქნებოდა იმ საგნების სახელები, რომელთა სახელებიც ისინი ფაქტობრივად არიან. ვინმეს, ვინც მათ რეფერენციას მაიდენტიფიცირებელი დესკრიფციების მეშვეობით განსაზღვრავდა, შეიძლება ზუსტად იგივე მაიდენტიფიცირებელი დესკრიფციებიც კი გამოეყენებინა, რომლებსაც ჩვენ ვიყენებდით. მაგრამ მაინც, ეს არ არის შემთხვევა, რომელშიც ჰესპეროსი არ იქნებოდა ფოსფოროსი. ვინაიდან, შეუძლებელია ასეთი შემთხვევა, თუკი მოცემულია, რომ ჰესპეროსი არის ფოსფოროსი.

ეს ძალიან უცნაური ჩანს, რადგან ჩვენ წინასწარ ვართ განწყობილნი იმის სათქმელად, რომ კითხვაზე, არის თუ არა ჰესპეროსი ფოსფოროსი, ორი შესაძლო პასუხიდან თითოეული შეიძლებოდა სწორი აღმოჩენილიყო. მართლა ხომ არ არსებობს ორი შესაძლო სამყარო, რომელთაგან ერთში ჰესპეროსი არის ფოსფოროსი, ხოლო მეორეში ჰესპეროსი არ არის ფოსფოროსი – მანამ, სანამ ჩვენ არ აღმოვაჩენთ, რომ ისინი ერთი და იგივეა? პირველ რიგში, არსებობს ერთი აზრი, რომლითაც ნებისმიერი რამ შეიძლება აღმოჩნდეს სწორი ან არასწორი; აშკარაა, ამ აზრით არ იგულისხმება, რომ ის, რაც სწორი აღმოჩნდება, აუცილებელი არ არის. მაგალითად, ოთხი ფერის თეორემა შეიძლება აღმოჩნდეს ჭეშმარიტი და შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი. ამ ორიდან თითოეული შესაძლებელია. ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ის, რაც მართლა აღმოჩნდება, არ არის აუცილებელი. აშკარაა, რომ აქ „შეიძლება“ წმინდად „ეპისტემური“ – ის მხოლოდ ჩვენი არცოდნის ან დაურწმუნებლობის ახლანდელ მდგომარეობას გამოხატავს.

მაგრამ შეიძლება გვეჩვენებოდეს, რომ ჰესპეროს-ფოსფოროსის შემთხვევაში რაღაც უფრო მეტია ჭეშმარიტი. მანამ, სანამ გა-

ვიგებ, რომ ჰესპეროსი ფოსფოროსია, მე მხოლოდ ის მოცემულობა მაქვს, რომ გარკვეულ ვარსკვლავს ან გარკვეულ ციურ სხეულს ვხედავ საღამოს და მას ვუწოდებ „ჰესპეროსს“; ხოლო გარკვეულ ციურ სხეულს ვხედავ დილით და მას ვუწოდებ „ფოსფოროსს“. ეს ყველაფერი მე ვიცი. რა თქმა უნდა, არსებობს შესაძლო სამყარო, რომელშიც ადამიანი საღამოს, გარკვეულ ადგილას, გარკვეულ ვარსკვლავს დაინახავდა და უწოდებდა მას „ჰესპეროსს“, ხოლო დილით გარკვეულ ვარსკვლავს დაინახავდა და უწოდებდა მას „ფოსფოროსს“; და დაასკვნიდა – ემპირიული გამოკვლევის შედეგად აღმოაჩინდა – რომ მან ორ სხვადასხვა ვარსკვლავს, ორ სხვადასხვა ციურ სხეულს უწოდა ეს სახელები. ამ ვარსკვლავებიდან თუ ციური სხეულებიდან ერთ-ერთი მაინც არ უნდა ყოფილიყო ფოსფოროსი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ასეთ რამეს ვერ აღმოაჩინდა. მაგრამ ეს სიმართლეა. და, ამდენად, სიმართლეა ის, რომ, თუ დავუშვებთ, რომ ადამიანს თავის ემპირიულ გამოკვლევამდე რაღაც მოცემულობა აქვს, მაშინ შესაძლებელია, რომ ის, გარკვეული აზრით, ზუსტად იმავე სიტუაციაში – ანუ თვისებრივად იდენტურ ეპისტემურ სიტუაციაში – იყოს და ორ ციურ სხეულს უწოდოს „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“, და, იმავე დროს, ეს სხეულები არ იყოს ერთი და იგივე. სწორედ ამ აზრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეიძლება ასეც აღმოჩენილიყო და ისეც. მაგრამ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ შეიძლება სწორიც აღმოჩენილიყო და არასწორიც ის, რომ ჰესპეროსი ფოსფოროსია. მიუხედავად იმისა, რომ იმ ყველაფრის მიხედვით, რაც ჩვენ მანამდე ვიცოდით, ჰესპეროსი არ იყო ფოსფოროსი, გარკვეული აზრით, ეს ამბავი ვერ აღმოჩნდებოდა იმისგან განსხვავებული, რაც აღმოჩნდა. მაგრამ, თუ ვიქნებოდით სიტუაციაში, რომელშიც თვისებრივი აზრით ზუსტად იგივე მოცემულობა გვექნებოდა, შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, რომ ჰესპეროსი არ არის ფოსფოროსი. სხვა სიტყვებით, კონტრაქტობრივ სამყაროში, რომელშიც „ჰესპეროსს“ და „ფოსფოროსს“ არ გამოვიყენებდით იმავე წესით, რომლითაც მათ ვიყენებთ (ანუ

მათ გამოვიყენებდით არა ამ პლანეტის, არამედ რომელიღაც სხვა ობიექტების სახელებად), ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა თვისებრივად ზუსტად იგივე საბუთები და დაესკვნა, რომ „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“ ორი სხვადასხვა საგნის სახელებია.⁴⁸ მაგრამ ჩვენ, რამდენადაც ჩვენ ამ სახელებს ვიყენებთ ისე, როგორც ახლა ვიყენებთ მათ, შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ თუ ჰესპეროსი და ფოსფოროსი ერთი და იგივეა, მაშინ ვერც ერთ სხვა შესაძლო სამყაროში ვერ იქნება ისინი სხვადასხვა. ჩვენ „ჰესპეროსს“ ვიყენებთ გარკვეული სხეულის სახელად და „ფოსფოროსსაც“ ვიყენებთ გარკვეული სხეულის სახელად. ჩვენ მათ ვიყენებთ ამ სხეულების სახელებად ყველა შესაძლო სამყაროში. თუკი, ფაქტობრივად, ისინი ერთი და იგივე სხეულია, მაშინ ჩვენ ისინი ამ ობიექტის სახელებად უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერ სხვა შესაძლო სამყაროში. და, ამიტომ, ნებისმიერ სხვა შესაძლო სამყაროში ჭეშმარიტი იქნება, რომ ჰესპეროსი არის ფოსფოროსი. ამრიგად, ორი რამ არის სიმართლე: ერთი, რომ ჩვენ აპრიორულად არ ვიცით, რომ ჰესპეროსი ფოსფოროსია, და არ შეგვიძლია ამის გაგება რაიმე სხვა გზით, გარდა ემპირიულია. მეორე, ეს ასეა იმიტომ, რომ შეიძლებოდა ჩვენ გვქონოდა მოცემულობა, რომელიც თვისებრივად განუსხვავებელია ჩვენს ხელთ არსებული მოცემულობისაგან, და ამ ორი სახელის რეფერენცია განგვესაზღვრა ორი პლანეტის ადგილმდებარეობით ცაში, მაგრამ ეს ორი პლანეტა არ ყოფილიყო ერთი და იგივე.

რა თქმა უნდა, მხოლოდ შემთხვევითი ჭეშმარიტებაა (არ არის ჭეშმარიტება ყველა სხვა შესაძლო სამყაროში) ის, რომ ვარსკვლავი, რომელიც საღამოობით ჩანს აი აქ, არის ვარსკვლავი, რომელიც დილაობით ჩანს აი იქ, რადგან არსებობს შესაძლო სამყაროები, რომლებშიც ფოსფოროსი დილაობით არ ჩანს. მაგრამ

48 ამ მომენტის უფრო დეტალური განხილვა მოცემულია მესამე ლექციაში, სადაც საუბარია მის მიმართებაზეც ორეულების თეორიის გარკვეულ ფორმასთან.

ეს შემთხვევითი ქეშმარიტება არ უნდა გავუიგივოთ დებულებას, რომ ჰესპეროსი არის ფოსფოროსი. მათ გაიგივებას შევძლებდით მხოლოდ მაშინ, თუ ვიფიქრებდით, რომ აუცილებელი ქეშმარიტებაა ის, რომ ჰესპეროსი საღამოობით ჩანს აი აქ, ან ის, რომ ფოსფოროსი დილაობით ჩანს აი იქ. მაგრამ ამათგან არც ერთი არ არის აუცილებელი ქეშმარიტება, თუნდაც სწორედ მათი საშუალებით გამოვარჩევდეთ ამ პლანეტას ჩვენ. ესენი შემთხვევითი ნიშნებია, რომელთა გამოყენებითაც ჩვენ გარკვეული პლანეტის იდენტიფიცირებას ვაკეთებთ და მას სახელს ვარქმევთ.

ლექცია III: 1970 წლის 29 იანვარი

რას მივალწიეთ აქამდე, თუ რამეს მივალწიეთ? პირველი, მე ვამტკიცებდი, რომ პოპულარული თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ იძენს სახელები თავიანთ რეფერენციას, საზოგადოდ, არ არის სწორი. საზოგადოდ, არ არის სიმართლე, რომ სახელის რეფერენცია განისაზღვრება რაღაც უნიკალურად მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით, რაღაც უნიკალური თვისებებით, რომელთაც რეფერენტი აკმაყოფილებს და რომელთა შესახებაც მოსაუბრემ იცის ან სჯერა, რომ ისინი ჭეშმარიტია ამ რეფერენტისთვის. ჯერ ერთი, აუცილებელი არ არის, რომ თვისებები, რომლებიც მოსაუბრეს ჭეშმარიტად მიაჩნია რეფერენტისთვის, უნიკალურად მაიდენტიფიცირებელი იყოს. მეორეც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ასეთია, ეს თვისებები შეიძლება უნიკალურად ჭეშმარიტი იყოს არა იმ რეფერენტისთვის, რომელზეც მოსაუბრე რეალურად რეფერირებს სახელის მისეული გამოყენებით, არამედ რაღაც სხვისთვის ან სულ არაფრისთვის. ასეთია შემთხვევა, როცა მოსაუბრეს მცდარი შეხედულებები აქვს რომელიმე ადამიანის შესახებ. მას სწორი შეხედულებები კი არ აქვს სხვა ადამიანის შესახებ, არამედ მცდარი შეხედულებები აქვს ამ კონკრეტული ადამიანის შესახებ. ასეთ შემთხვევებში რეფერენცია სინამდვილეში თითქოს განსაზღვრულია იმ ფაქტით, რომ მოსაუბრე არის იმ მოსაუბრეთა საზოგადოების წევრი, რომლებიც ამ სახელს იყენებენ. ეს სახელი მას ტრადიციით, რგოლიდან რგოლზე გადასვლით გადაეცა.

გარდა ამისა, მე ვამტკიცებდი, რომ თუნდაც მართალი იყოს, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ნიშანდობლივად, საწყისი ნათლობის შემთხვევებში, რეფერენტი მართლაც დგინდება დესკრიფციით, რომელიღაც უნიკალურად მაიდენტიფიცირებელი თვისებით, ეს თვისება აღნიშვნის მრავალ შემთხვევაში არ გვაძლევს სინონიმს, ანუ რაღაც ისეთს, რის შემოკლებაცაა სახელი, არამედ აფიქსირებს რეფერენციას. ის აფიქსირებს რე-

ფერენციას ობიექტის რაღაც შემთხვევითი ნიშნებით. სახელი, რომელიც აღნიშნავს ობიექტს, შემდეგ გამოიყენება ამ ობიექტზე მითითებისთვის – მასზე მითითებისთვის იმ კონტრაქტობრივ სიტუაციებშიც კი, რომლებშიც მას ეს თვისებები არ აქვს. ამის მაგალითი იყო მეტრის შემთხვევა.

დასასრულ, წინა ლექციის ბოლოს, ჩვენ ვისაუბრეთ იგივეობის დებულებებზე. იგივეობის დებულებები თითქოს რაღაც ძალიან მარტივია, მაგრამ ფილოსოფოსებს ისინი როგორღაც დიდ გამოცანად წარმოუდგებათ. არ ვარ დარწმუნებული, რომ თუნდაც მე თვითონ მაქვს პასუხი ყველა შესაძლო გაუგებრობაზე, რომელსაც ეს მიმართება წარმოშობს. ზოგიერთ ფილოსოფოსს ეს მიმართება იმდენად დამაბნეველად მიაჩნდა, რომ ის შეცვალა. მაგალითად, ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ გაქვთ ორი სახელი – „ციცერონი“ და „ტულიუსი“ – და ამბობთ, რომ ციცერონი არის ტულიუსი, შეუძლებელია, ამით ობიექტზე, რომელიც არის ციცერონიც და ტულიუსიც, ამბობდეთ, რომ ის თავისი თავის იგივეობრივია. ამის საწინააღმდეგოდ, „ციცერონი არის ტულიუსი“ შეიძლება გამოხატავდეს ემპირიულ აღმოჩენას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ამგვარად, ზოგიერთი ფილოსოფოსი, მათ შორის ფრეგეც კი თავისი მოღვაწეობის ერთ ადრეულ საფეხურზე, იგივეობას მიიჩნევს სახელებს შორის მიმართებად. ისინი ამბობენ, რომ იგივეობა არის არა მიმართება საგნისა თავის თავთან, არამედ მიმართება ორ სახელს შორის, როდესაც ისინი ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ.

ასეთი აზრი გვხვდება შედარებით ბოლოდროინდელ ლიტერატურაშიც. წიგნი თან არ წამომიღია, მაგრამ ჯ. ბ. როსერი, გამორჩეული ლოგიკოსი, თავის წიგნში „ლოგიკა მათემატიკოსებისათვის“⁴⁹ წერს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ $x=y$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ „ x “ და „ y “ ერთი და იმა-

49 J. B. Rosser, *Logic for Mathematicians*, New York, McGraw-Hill (1953), იხილეთ თავი VII, „ტოლობა“.

ვე საგნის სახელებია. ის შენიშნავს, რომ შესაბამისი დებულება თვითონ საგანზე, სახელდობრ, რომ ის არაფრით განსხვავდება თავისი თავისგან, რა თქმა უნდა, ტრივიალურია; და, ამდენად, სავარაუდოდ, ეს ვერ იქნება ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ. ეს განსაკუთრებით უცნაური პარადიგმაა იმისა, თუ რა უნდა იყოს იგივეობის მიმართება, რადგან ის ძალიან იშვიათი შემთხვევებისთვის თუ იქნებოდა სწორი. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მებრძოლვარ შავკანიან ნაციონალისტთა მოძრაობის ფარგლებს გარეთ არავისთვის არასოდეს უწოდებიათ „x“ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, რა თქმა უნდა, ღია წინადადებაში – „ $x=y$ “ – „x“ და „y“ საერთოდ არ არის სახელები, ისინი ცვლადებია. დახურულ წინადადებაში ისინი იგივეობის ნიშანთან ერთად შეიძლება შედიოდეს, როგორც ბმული ცვლადები. როცა ამბობთ, რომ ყველა x -ისთვის და y -ისთვის, თუ $x=y$, მაშინ $y=x$, ან რამე ასეთს, ამ დებულებაში საერთოდ არ შედის სახელები და მასში არც არაფერია ნათქვამი სახელებზე. ეს დებულება ქეშმარიტი იქნებოდა, თუნდაც ადამიანთა მოდგმას არასოდეს ეარსება, ან, მისი არსებობის შემთხვევაში, არასოდეს წარმოექმნა სახელების ფენომენი.

თუ ვინმე ოდესმე იგივეობის ამ კონკრეტული გაგებისაკენ გადაიხრება, დაფუძვით, რომ მას ვუთმობთ მის გაგებას. დაფუძვით, რომ იგივეობა არის მიმართება სახელებს შორის ჩვენს ენაში. მე შემოვიტან ხელოვნურ მიმართებას, „შმიგივეობას“* (ეს სიტყვა არ არის ჩვენს ენაში), და ახლა სტიპულაციით მივიღებ, რომ ამ მიმართებაში ყოველი საგანი მხოლოდ თავის თავთან არის.⁵⁰ მაშინ

50 რა თქმა უნდა, ეს გამოგონება ვერ დაარწმუნებს ფილოსოფოსს, რომელსაც უნდა, დაგვიმტკიცოს, რომ ამ სახის ხელოვნური ენა ან ცნება ლოგიკურად შეუძლებელია. ჩვენს შემთხვევაში, ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ შეუძლებელია საგანი თავის თავთან იყოს რომელიმე მიმართებაში, რამდენადაც მიმართება არსებითად ორადგილიანია. ეს თვალსაზრისი აშკარად აბსურდულია. შეიძლება ვინმე იყოს თავისი თავის ყველაზე უარესი მტერი, თავისი თავის ყველაზე სასტიკი კრიტიკოსი და ასე შემდეგ. ზოგიერთი მიმართება რეფლექსურია, როგორც, მაგალი-

შესაძლებელია, რომ დაისვას შეკითხვა, არის თუ არა ციკლონი ტულიუსის შმიგივეობრივი; და თუ ის დაისმება, მაშინ ამ დებულების შესახებ წამოიჭრება იგივე პრობლემები, რომელთაც, იგივეობის თავდაპირველი დებულების შემთხვევაში, ზოგიერთის აზრით, მივყავართ რწმენასთან, რომ ეს უნდა ყოფილიყო მიმართება სახელებს შორის. ნებისმიერი, ვინც ამაზე სერიოზულად დაფიქრდება, მჯერა, დაინახავს, რომ, ამრიგად, იგივეობის მისი თავდაპირველი გაგება, ალბათ, არ იყო აუცილებელი და, ალბათ, არც შესაძლებელი, როგორც იმ პრობლემების გადაჭრის საშუალება, რომელთა გადასაჭრელადაც ის თავიდან იყო ჩაფიქრებული; და რომ, ამრიგად, მასზე უარი უნდა ითქვას და იგივეობა უნდა გავიგოთ, ზუსტად, როგორც მიმართება საგნისა თავის თავთან. ამ ტიპის არგუმენტის გამოყენება არაერთი ფილოსოფიური პრობლემისთვის შეიძლება.

ჩვენ დავასკვნით, რომ სახელებს შორის იგივეობის დებულება, როცა ის ქვეშეშარტიკა, აუცილებლად ქვეშეშარტიკა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება აპრიორულად არ ვიცოდეთ ის. დავუშვათ, ჰესპეროსის იდენტიფიკაციას ვაკეთებთ, როგორც გარკვეული ვარსკვლავისა, რომელიც სალამოს ჩანს, ხოლო ფოსფოროსის იდენტიფიკაციას – როგორც გარკვეული ვარსკვლავის, თუ გარკვეული ციური სხეულისა, რომელიც დილით ჩანს. მაშინ შეიძლება არსებობდეს შესაძლო სამყაროები, რომლებშიც ორი სხვადასხვა პლანეტა გამოჩნდებოდა ზუსტად ამ ადგილებზე სალამოს და დილით. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, და, შეიძლება, არც ერთი მათგანიც, არ იქნებოდა ჰესპეროსი, და, მაშინ, ეს არ იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც ჰესპეროსი არ არის ფოსფოროსი. ეს შეიძლება ყოფილიყო სიტუაცია, რომელშიც პლანეტა, რომელიც ჩანს

თად, მიმართება „არ არის უფრო მდიდარი, ვიდრე“ იგივეობა ან შმიგივეობა ზუსტად მინიმალური რეფლექსური მიმართებაა და მეტი არაფერი.

იმედი მაქვს, რომ სხვა დროს შევძლებ მეტის თქმას ჰიპოთეზური ენის წარმოდგენის ამ ხერხის სარგებლიანობაზე.

ამ ადგილას საღამოს, არ არის პლანეტა, რომელიც ამ ადგილას ჩანს დილით; მაგრამ ეს არ არის სიტუაცია, რომელშიც ჰესპეროსი არ იქნებოდა ფოსფოროსი. შეიძლება, აგრეთვე, თუკი ადამიანები ამ პლანეტებს „ჰესპეროსს“ და „ფოსფოროსს“ დაარქმევდნენ, ეს ყოფილიყო სიტუაცია, რომელშიც არა ჰესპეროსს, არამედ რომელიღაც სხვა პლანეტას ერქმეოდა „ჰესპეროსი“. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, ეს არ იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც თვითონ ჰესპეროსი არ იქნებოდა ფოსფოროსი.⁵¹

როგორც ვთქვი, ზოგიერთი იმ პრობლემებიდან, რომლებიც ხალხს ამ სიტუაციებთან დაკავშირებით აწუხებს, წარმოდგება შემდეგი ორი რამის ერთმანეთთან გაიგივებიდან, ან, როგორც მე ვიტყვოდი, ერთმანეთში აღრევიდან: ერთია ის, რაც შეგვიძლია ვიცოდეთ აპრიორულად, წინასწარ, და მეორეა ის, რაც არის აუცილებელი. გარკვეული დებულებები – და იგივეობის დებულება, ჩემი აზრით, ასეთი დებულების პარადიგმაა – თუ ისინი საერთოდ ჭეშმარიტია, აუცილებლად ჭეშმარიტი უნდა იყოს. აპრიორულად, ფილოსოფიური ანალიზის შედეგად ვიცით, რომ თუკი ასეთი იგივეობის დებულება ჭეშმარიტია, ის აუცილებლად ჭეშმარიტია.

ერთი დაზუსტება: როცა ვამბობ, რომ დებულება „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ აუცილებლად ჭეშმარიტია, მე, რასაკვირველია, არ უარყოფ იმას, რომ შესაძლებელია განხორციელებულიყო სიტუაცია, რომელშიც საერთოდ არ იარსებებდა არავითარი პლანეტა ვენერა და, ამდენად, არც არავითარი ჰესპეროსი და

51 გაიხსენეთ, რომ ჩვენ აღვწერთ ამ სიტუაციას ჩვენს ენაზე, და არა იმ ენაზე, რომელსაც გამოიყენებდნენ ადამიანები ამ სიტუაციაში. ამდენად, ჩვენ ტერმინები „ჰესპეროსი“ და „ფოსფოროსი“ უნდა გამოვიყენოთ იმავე რეფერენციით, რომლითაც მათ აქტუალურ სამყაროში ვიყენებთ. ის ფაქტი, რომ ამ სიტუაციაში ადამიანებს ეს სახელები შეიძლება გამოიყენებინათ ან არ გამოიყენებინათ სხვადასხვა პლანეტისათვის, რელევანტური არ არის. ასევე, რელევანტური არ არის ის ფაქტი, რომ მათ შეიძლება ეს სახელები ასე გამოიყენებინათ ზუსტად იმავე დესკრიფციების მეშვეობით, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ მათი რეფერენცია დავაფიქსირეთ.

არც არავითარი ფოსფოროსი. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, ჭეშმარიტი იქნებოდა, მცდარი, თუ – არც ჭეშმარიტი და არც მცდარი იგივეობის დებულება „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“⁵² და თუკი ბოლო შესაძლებლობას მივიღებთ, არის დებულება „ჰესპეროსი = ფოსფოროსი“ აუცილებელი იმიტომ, რომ ის არასოდესაა მცდარი? თუ უნდა მოვითხოვოთ, რომ აუცილებელი ჭეშმარიტება ყველა შესაძლო სამყაროში *ჭეშმარიტი* იყოს? მე მსგავს პრობლემებს საერთოდ არ განვიხილავ. თუ ცოტა მეტი სიფრთხილე გვინდა, შეგვიძლია, დებულება „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ შევცვალოთ პირობითი დებულებით „თუ ჰესპეროსი არსებობს, მაშინ ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ და, მეტი სიფრთხილის გამო, მხოლოდ ეს უკანასკნელი მივიჩნიოთ აუცილებლად. სამწუხაროდ, ეს პირობითი დებულება თავს მოგვახვევს არსებობის სინგულარული ატრიბუციების პრობლემას, რომლის განხილვასაც აქ ვერ შევძლებ. სახელდობრ, სახელდების დესკრიფციის თეორიის მომხრე ფილოსოფოსები ხშირად ამტკიცებენ, რომ ვერასოდეს ვიტყვით რომელიმე საგანზე, რომ ის არსებობს. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაგულისხმევი დებულება საგნის არსებობის შესახებ სინამდვილეში არის დებულება იმის შესახებ, არის თუ არა რომელიმე დესკრიფცია ან თვისება შესრულებული. როგორც უკვე ვთქვი, მე ამას არ ვეთანხმები. ნებისმიერ შემთხვევაში, აქ მართლა ვერ შევძლებ, არსებობის პრობლემას ჩავუღრმავდე.

ამ ეტაპზე მინდა შევნიშნო, რომ, ჩემი აზრით, სხვა მოსაზრებები *de re* მოდალობის შესახებ, ანუ იმის შესახებ, რომ საგანს აქვს არსებითი თვისებები, სწორად შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აპრიორულობასა და აუცილებლობას შორის განსხვავებას ვაღიარებთ. სავსებით შესაძლებელია არსების ემპირიულად აღმოჩენა.

52 იგივე სამი შესაძლებლობა არსებობს დებულებისთვის „ჰესპეროსი არის ჰესპეროსი“ და პასუხი აქაც იგივე უნდა იყოს, რაც დებულების „ჰესპეროსი არის ფოსფოროსი“ შემთხვევაში იქნება.

ნაგულისხმევი არსებითი თვისებების რამდენიმე მაგალითი მოცემულია ტიმოთი სპრიგის სტატიაში:

ინტერნალისტი [ანუ ის, ვისაც სჯერა, რომ არსებობს არსებითი თვისებები] ამბობს, რომ ინგლისის დედოფალი სამეფო სისხლის უნდა იყოს. [ის გულისხმობს, რომ ეს ადამიანი უნდა იყოს სამეფო სისხლის.] ანტიესენციალისტი ამბობს, რომ არ იქნებოდა არავითარი წინააღმდეგობა ახალი ამბების გამოშვებაში, რომელიც გვამცნობდა, რომ, როგორც დადგინდა, სინამდვილეში დედოფალი არ ყოფილა იმ მშობლების შვილი, რომლებსაც გვეგონა; რომ ის მათ საიდუმლოდ უშვილებიათ და, ამიტომ, დებულება, რომ ის სამეფო სისხლისაა, არის სინთეზური დებულება...

გარკვეულ მომენტამდე [ანტიესენციალისტი] მოგებულება. მაგრამ დადგება დრო, როდესაც მისი მტკიცებები გადაჭარბებული პრეტენზიების მქონე ტრივიალობად წარმოგვიდგება. ინტერნალისტი გვეუბნება, რომ ვერ წარმოვიდგენთ, რომ ამ ინდივიდის, რომელსაც ჩვენ დედოფალს ვუწოდებთ, თვისება იყოს ის, რომ თავისი არსებობის არც ერთ ეტაპზე ის არ ყოფილა ადამიანი. თუ ანტიესენციალისტი ამას აღიარებს, ანუ აღიარებს, რომ ლოგიკურად მოუაზრებადია, დედოფლის თვისება იყოს ის, რომ, ვთქვათ, ის ყოველთვის გედი იყო, მაშინ ანტიესენციალისტი აღიარებს, რომ დედოფალს აქვს, სულ მცირე, ერთი შინაგანი თვისება. თუ, მეორე მხრივ, ის იტყვის, რომ მხოლოდ შემთხვევითი ფაქტია ის, რომ დედოფალი არასოდეს ყოფილა ადამიანი, ის ამბობს რაღაც ისეთს, რაც ძნელი მისაღებია. განა მართლა შეგვიძლია განვიხილოთ მოაზრებად შესაძლებლობად ის, რომ დედოფალი არასოდეს ყოფილა ადამიანი?⁵³

„მისი არსებობის განმავლობაში არც ერთ ეტაპზე“ და „ყოველთვის“ არის გამართლებები, რომლებიც სპრიგს, სავარაუდოდ, იმისათვის შემოაქვს, რომ დაუშვას ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა დედოფლის გედად გადაქცევა სწორედ ახლა – ბოროტი ჯადოქრის მიერ, როგორც ჩანს (ან კეთილი ჯადოქრის მიერ).

ერთი გაუგებრობა, რომელსაც ამ მსჯელობაში ვხედავ, ისაა, რომ, პირველ შემთხვევაში, სპრიგი ლაპარაკობს იმაზე, იქნებოდა

53 “Internal and External Properties”, *Mind* 71 (April, 1962), გვ. 202-203.

თუ არა რაიმე წინააღმდეგობა დაშვებაში, რომ ერთ დღეს შეიძლება საჯაროდ განცხადებინათ, რომ დედოფლის მშობლები ვიღაც სხვები არიან, და არა მისი რეალური მშობლები. ამაში მართლაც არავითარი წინააღმდეგობა არ არის. თუმცა, ანალოგიურად, არავითარი წინააღმდეგობა არ არის საჯარო განცხადებაში, რომ დედოფალი – ეს ობიექტი, რომელიც ჩვენ ქალად მიგვაჩნდა – ფაქტობრივად, ადამიანის ფორმის ანგელოზია, ან ავტომატია, რომელიც მოხერხებულად შექმნა სამეფო ოჯახმა, რადგან არ უნდოდათ, ტახტის მემკვიდრეობა მავან უკანონო შვილზე გადასულიყო, ან რამე ამგვარი. ამ განცხადებებიდან არც ერთი, აგრეთვე, არ წარმოადგენს რამე ისეთს, რაც შეუძლებელია, რომ აღმოვაჩინოთ. რა შეკითხვას ვსვამთ რეალურად, როცა ვკითხულობთ: აუცილებელია თუ არა ამ ქალის შესახებ ის ფაქტი, რომ ის სამეფო სისხლის უნდა იყოს, ან რომ ადამიანი უნდა იყოს? სამეფო სისხლი ცოტა უფრო რთულია, რადგან იმისათვის, რომ აუცილებელი იყოს, რომ ეს ქალი სამეფო სისხლისაა, აუცილებელი უნდა იყოს ისიც, რომ ამ კონკრეტულ დინასტიას ოდესმე ეპყრო სამეფო ძალაუფლება; ხოლო ეს უკანასკნელი ფაქტი შემთხვევითს უფრო ჰგავს. ამიტომ, მე დავუშვებ, რომ შემთხვევითია ის, რომ მისი სისხლი ოდესმე სამეფო უნდა ყოფილიყო.

ახლა ვცადოთ ამ კითხვის ცოტა მეტად დაზუსტება. სინამდვილეში შეკითხვა უნდა იყოს, ვთქვათ, ასეთი: შეიძლება, რომ დედოფალი – თვითონ ეს ქალი – გაეჩინათ სხვა მშობლებს და არა მათ, ვინც ფაქტობრივად არიან მისი მშობლები? შეიძლება, რომ, ვთქვათ, ის სანაცვლოდ მისტერ და მისის ტრუმენების ქალიშვილი ყოფილიყო? რა თქმა უნდა, არავითარი წინააღმდეგობა არ იქნებოდა საჯარო განცხადებაში, რაოდენ ფანტასტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, რომ ის მართლა მისტერ და მისის ტრუმენების ქალიშვილი ყოფილა (იმედი მაქვს, ეს შეუძლებელი არ არის ამ ადამიანების ასაკის გამო). მე ვუშვებ, რომ შეიძლება არავითარი წინააღმდეგობა არ იყოს იმის აღმოჩენაშიც კი, რომ – ნებისმიერ

შემთხვევაში, ძალიან საეჭვოდ გამოიყურება ის ამბავი, რომ მას ორივე ჰიპოთეზის მიხედვით ჰყავს და, სახელად მარგარეტი – ეს ორი მარგარეტი ერთი და იგივე ადამიანია, რომელიც მარჯვედ დაფრინავდა წინ და უკან. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ეს ყველაფერი აღმოვაჩინეთ.

მაგრამ ახლა დავუშვათ, რომ ასეთი აღმოჩენა სინამდვილეში არ გაგვიკეთებია. დავუშვათ, რომ დედოფალი მართლა ამ მშობლების შვილია. რათა აქ მშობლის რაობის საკითხთან დაკავშირებულ უამრავ გართულებაში არ გავიხლართოთ, დავუშვათ, რომ მშობლები არიან ადამიანები, რომელთა სხეულების ქსოვილებიდანაც წარმოიშვა ბიოლოგიური სპერმა და კვერცხუჯრედი. ასე გვერდს ავუვლით ისეთ ეგზოტიკურ შესაძლებლობებს, როგორცაა მამის სპერმის ან დედის კვერცხუჯრედის სხვა სხეულებში გადანერგვა, რის შედეგადაც, გარკვეული აზრით, სხვა ადამიანები შეიძლება ყოფილიყვნენ მისი მშობლები. ეს რომც მომხდარიყო, სხვა აზრით, მისი მშობლები მაინც იგივე მეფე და დედოფალი იქნებოდნენ. მაგრამ ამ შესაძლებლობის გარდა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომელშიც ზუსტად ეს ქალი მისტერ და მისის ტრუმენებისგან წარმოიშობოდა? მათ შეიძლება ჰყოლოდათ შვილი, რომელიც ბევრი თვისებით მისი მსგავსი იქნებოდა. შეიძლება, რომელიღაც შესაძლო სამყაროში მისტერ და მისის ტრუმენებს ჰყოლოდათ კიდევ შვილი, რომელიც მართლა გახდებოდა ინგლისის დედოფალი და, მეტიც, ის სხვა მშობლების შვილად გამოცხადდებოდა. ეს მაინც არ იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც *სწორედ ეს ქალი*, რომელსაც ჩვენ „ელისაბედ II“-ს ვუწოდებთ, მისტერ და მისის ტრუმენების შვილი იქნებოდა; მე, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება. ეს იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც არსებობს ვიღაც სხვა ქალი, რომელსაც აქვს ბევრი იმ თვისებათაგან, რომლებიც ფაქტობრივად ელისაბედს აქვს. აქ ერთი კითხვა ისმის: ამ შესაძლო სამყაროში საერთოდ გაჩნდა თუ არა ელისაბედი? დავუშვათ, რომ ის საერთოდ არ დაბადებულა. მაშინ

ეს იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც, მართალია, ტრუმენს და მის ცოლს ჰყავთ შვილი, რომელსაც ელისაბედის ბევრი თვისება აქვს, მაგრამ თვითონ ელისაბედი საერთოდ არ არსებობს. ამაში შეიძლება დაგარწმუნოთ მხოლოდ იმაზე დაფიქრებამ, თუ როგორ აღწერდით ამ სიტუაციას. ეს კი, ჩემი ვარაუდით, ბევრ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ თქვენ სულაც არ დარწმუნდებით ამაში, ყოველ შემთხვევაში, არა ამ ეტაპზე. მაგრამ ეს ისეთი რამ არის, რაშიც პირადად მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი.

როგორ შეიძლება, რომ ადამიანი, რომელიც სხვა მშობლებისგან, სრულიად სხვა სპერმისა და კვერცხუჯრედისგან წარმოიშვა, იყოს *ზუსტად ეს ქალი?* მართლა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუკი *მოცემულია* ეს ქალი, რომ შეიძლება მისი ცხოვრების სხვადასხვა დეტალი სხვაგვარად წარმართულიყო: ის ღარიბ-ღატაკი გამხდარიყო; მისი სამეფო სისხლის შესახებ არავის სცოდნოდა და ა. შ. მოცემული გვაქვს, ასე ვთქვათ, სამყაროს წინაისტორია დროის მოცემულ მომენტამდე და ამ მომენტიდან ის მნიშვნელოვნად გადაუხვევს აქტუალურისგან. ეს შესაძლებელი უნდა იყოს. და, ამდენად, შესაძლებელია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ მშობლების შვილია, ის არასოდეს გამხდარიყო დედოფალი. მიუხედავად იმისა, რომ ის ამ მშობლების შვილია, მარკ ტვენის პერსონაჟის მსგავსად, ის სხვა გოგონათი შეცვალეს.⁵⁴ მაგრამ მართლა უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ის სხვა მშობლების შვილია. მე მეჩვენება, რომ ნებისმიერი რამ, რასაც განსხვავებული წარმოშობა აქვს, არ იქნებოდა ეს ობიექტი.

ამ მაგიდის შემთხვევაში,⁵⁵ ჩვენ შეიძლება არ ვიცოდეთ, ხის რომელი მორისგან წარმოიშვა ის. მაგრამ განა შეიძლება, რომ ეს მაგიდა გაკეთებული ყოფილიყო ხის სრულებით სხვა მორისგან ან თუნდაც წყლისგან, რომელიც მოხერხებულად გაყინეს – მდინარე ტემზიდან ამოდებული წყლისგან? მოაზრებადი შესაძლებლობაა, იმის საპირისპიროდ, რასაც ახლა ვფიქრობთ, აღმოგვეჩინა, რომ ეს მაგიდა მართლა მდინარის წყლისგან მიღებული ყინულისგანაა გაკეთებული. მაგრამ, დავუშვათ, რომ ასე არ არის. მაშინ, მართალია, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გარეგნულად ამ მაგიდის

54 „უფლისწული და მათხოვარი“.

55 რა თქმა უნდა, ამ დროს მივუთითებ ოთახში არსებულ ხის მაგიდაზე.

იდენტური მაგიდის გაკეთება ხის სხვა მორისგან ან თუნდაც ყინულისგან და, მართალია, შეიძლებოდა ის ზუსტად ასე დაგვედგა ამ ოთახში, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ეს არ არის იმის წარმოდგენა, რომ ეს მაგიდა გაკეთებულია სხვა ხისგან ან ყინულისგან; არამედ, ეს არის სხვა მაგიდის წარმოდგენა, რომელიც ყველა გარეგანი დეტალით ჰგავს ამას და გაკეთებულია ხის სხვა მორისგან ან, თუნდაც, ყინულისგან.^{56, 57}

56 ეს მაგალითი გვკარნახობს შემდეგ პრინციპს: *თუ მატერიალური ობიექტი წარმოიშვა მატერიის გარკვეული ნაჭრისგან, ის ვერ წარმოიშობოდა რომელიმე სხვა მატერიისგან.* შეიძლება, საჭირო იყოს რამდენიმე დაზუსტების გაკეთება (მაგალითად, მატერიის ნაჭრის ცნების ბუნდოვანება წამოჭრის რამდენიმე პრობლემას), მაგრამ შემთხვევათა დიდი კლასისთვის ამ პრინციპისთვის, ალბათ, შეიძლება ავადგოთ თავისებური დასაბუთება, ინდივიდების იგივეობის აუცილებლობის პრინციპის გამოყენებით. დავუშვათ, „B“ არის რომელიღაც მაგიდის სახელი (ხისტი აღმნიშვნელი), ხოლო „A“ არის ხის იმ ნაჭრის სახელი, რომლისგანაც ის რეალურად გააკეთეს. ასევე დავუშვათ, რომ „C“ არის ხის სხვა ნაჭრის სახელი. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ B გაკეთებულია A-სგან, როგორც აქტუალურ სამყაროში, მაგრამ იმავე დროს სხვა მაგიდა, D, გაკეთებულია C-სგან (ჩვენ ვუშვებთ, რომ A-სა და C-ს შორის არ არსებობს რამე ისეთი მიმართება, რომლის გამოც ერთ-ერთისგან მაგიდის გაკეთების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნებოდა მეორისაგან მაგიდის გაკეთების შესაძლებლობაზე). ამ სიტუაციაში $B \neq D$; ამდენად, თუნდაც D გაეკეთებინათ, ხოლო A-სგან სულ არ გაეკეთებინათ მაგიდა, D არ იქნებოდა B. მკაცრად თუ ვიტყვით, ეს „დასაბუთება“ იყენებს არა იგივეობის, არამედ განსხვავების აუცილებლობას. მაგრამ ამ უკანასკნელის გასამყარებლად შეიძლება გამოვიყენოთ მეორის გასამყარებლად გამოყენებული მოსაზრებების ანალოგიური მოსაზრებები (დავუშვათ, $X \neq Y$; X და Y, ორივე რომ იგივეობრივი ყოფილიყო რაღაც Z საგნისა სხვა შესაძლო სამყაროში, მაშინ $X = Z$, $Y = Z$, მაშასადამე $X = Y$). ალტერნატიულად, ეს პრინციპი გამომდინარეობს იგივეობის აუცილებლობის პრინციპისა და „ბრაუერის“ აქსიომის ერთობლიობიდან, ან, ეკვივალენტურად, შესაძლო სამყაროებს შორის წვდომადობის მიმართების სიმეტრიულობიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არგუმენტი ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ D-ს C-სგან გაკეთება არ ახდენს გავლენას B-ს A-სგან გაკეთების შესაძლებლობაზე და პირიქით.

57 გარდა პრინციპისა, რომ საგნის წარმოშობა არსებითია მისთვის, მეორე პრინციპი, რომელსაც ეს განხილვა გვკარნახობს, არის ის, რომ

არსებითია ნივთიერება, რომლისგანაც ის შედგება. აქ რამდენიმე გართულება იჩენს თავს. პირველი, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ არსების ტიპი, რომელიც იგულისხმება შემდეგ ორ კითხვაში: ერთია კითხვა იმის შესახებ, თუ „რომელი თვისებები უნდა შეინარჩუნოს საგანმა, რათა მან არსებობა არ შეწყვიტოს, და საგნის რომელი თვისებები შეიძლება შეიცვალოს, ვიდრე საგანი არსებობას აგრძელებს?"; ეს ტემპორალური კითხვაა. ხოლო მეორეა კითხვა იმის შესახებ, თუ „რომელია (არადროითი) თვისებები, რომლებიც შეუძლებელია არ ჰქონოდა საგანს, და რომელი თვისებები შეიძლება არ ჰქონოდა მას და მაინც ეარსება (არადროითად)?"; ეს უკანასკნელი აუცილებლობას ეხება და არა დროს, და ის არის ჩვენი განხილვის თემა ახლა. ამრიგად, კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ მაგიადა გადაქცეულიყო ყინულად, აქ არარელევანტურია. ხოლო შეკითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, რომ ეს მაგიადა თავიდანვე გაეკეთებინათ სხვა რამისგან, და არა ხისგან, რელევანტურია. აშკარაა, რომ ეს კითხვა უკავშირდება მაგიდის ხის მოცემული მორისაგან წარმოშობის აუცილებლობას და იმას, არის თუ არა ეს მორი ასევე არსებითად ხის (მეტიც, კონკრეტული სახის მორი). ამრიგად, ჩვეულებრივ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მაგიადა, რომელიც გაკეთებულია რამე სხვა ნივთიერებისგან და არა იმისგან, რომლისგანაც ის რეალურადაა გაკეთებული, თუკი სამყაროს მთელ ისტორიას უკუსვლით არ გავივლით, რაც წარმოუდგენელი ამოცანაა. (მე ყურადღება მიმაქცევინებს სხვა შესაძლებლობებზეც იმისა, რომ ეს მაგიადა თავიდანვე არ ყოფილიყო ხის; ასეთთა შორისაა სლოუტის გონებამახვილური იდეა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მიმაჩნია ბოლომდე დამარწმუნებლად. აქ ვერ შევძლებ მათ განხილვას.) ინდივიდების არსებითი თვისებების პრობლემების სრულად განხილვა აქ შეუძლებელია, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ რამდენიმე მომენტს: (1) ჩვეულებრივ, როცა ჩვენ ინტუიციურად ვსვამთ კითხვას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა რამე შემთხვეოდა მოცემულ საგანს, ჩვენ ვსვამთ კითხვას იმაზე, შეიძლება თუ არა სამყარო ისეთი ყოფილიყო, როგორიც ის აქტუალურად იყო, დროის გარკვეულ მომენტამდე, მაგრამ ამ მომენტის შემდეგ გადაეხვია თავისი ისტორიიდან ისე, რომ ამ საგანს თავს გადამხდარი ბედუკუღმართობები ამ მომენტიდან სხვანაირი ყოფილიყო. ალბათ, ეს თავისებურება უნდა მივიღოთ ზოგად პრინციპად არსების შესახებ. ყურადღება მიმაქცევთ, რომ დრო, როდესაც აქტუალური ისტორიიდან გადახვევა ხდება, ზოგჯერ შეიძლება იყოს დრო, რომელიც წინ უსწრებს აქტუალურ სამყაროში თვითონ ამ საგნის შექმნის დროს. მაგალითად, შეიძლება მე დეფორმირებული ვყოფილიყავი, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, რომლისგანაც წარმოვიშვი, გარკვეული სახით

ეს არსებითი თვისებების მხოლოდ მაგალითებია.⁵⁸ მათზე

რომ დაზიანებულიყო, თუმცა, სავარაუდოდ, ამ დროს მე ჯერ კიდევ არ ვარსებობდი. (2) მე არ გეუბნებით, რომ მხოლოდ წარმოშობა და შემადგენელი ნივთიერებებია არსებითი. მაგალითად, ხის ამ მორისგან, რომლისგანაც ეს მაგიდა გააკეთეს, სანაცვლოდ ლარნაკი რომ გაეკეთებინათ, ეს მაგიდა არასოდეს იარსებებდა. ასე რომ, (უხეშად) მაგიდად ყოფნა არსებითი თვისება უნდა იყოს ამ მაგიდისთვის. (3) ზუსტად ისევე, როგორც შეიძლება ბუნდოვანი იყოს კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა საგანს გარკვეული თვისება (მაგალითად, სიმელოტი) აქტუალურად, შეიძლება ბუნდოვანი იყოს კითხვა იმის შესახებ, აქვს თუ არა საგანს გარკვეული თვისება არსებითად, თუნდაც მაშინ, როცა საკითხი იმაზე, აქვს თუ არა მას ეს თვისება აქტუალურად, გადაწყვეტილია. (4) თითქოს ყოველდღიურ მეტყველებაში არსებობს წარმოშობის პრინციპის საპირისპირო ზოგიერთი კონტრმაგალითი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი არ არის ნამდვილი კონტრმაგალითები, თუმცა, მათი ზუსტად გაანალიზება ძნელია. ამ საკითხს აქ ვერ განვიხილავ.

58 პიტერ გიჩი იცავდა (Peter Geach, *Mental Acts*, Routledge and Kegan Paul, London, 1957, Section 16 და სხვაგანაც) „ნომინალური არსების“ ცნებას, რომელიც განსხვავდება არსებითი თვისების იმ ტიპისგან, რომელიც აქ განიხილება. გიჩის თანახმად, რადგან მითითების ნებისმიერი აქტი ორაზროვანია, მან, ვინც საგანს ნათლავს მასზე მითითების მეშვეობით, უნდა გამოიყენოს გვარობითი სახელი,* რათა თავისი რეფერენციის ორაზროვნება მოიშოროს და უზრუნველყოს დროში იგივეობის სწორი კრიტერიუმები – მაგალითად, მან, ვინც რეფერენციას უდგენს „ნიქსონს“ ამ ადამიანზე მითითებით, უნდა თქვას: „მე ვიყენებ „ნიქსონს“, როგორც ამ კაცის სახელს“; ამით ის დაძლევეს თავისი მსმენლის ცდუნებას, მას გაუგოს ისე, თითქოს ცხვირზე ან დროით სეგმენტზე მიუთითებდეს. მაშასადამე, გვარობითი სახელი, გარკვეული აზრით, სახელის მნიშვნელობის ნაწილია; სახელებს, ბოლოს და ბოლოს, მართლაც აქვთ (ნაწილობრივი) საზრისები, თუმცა მათი საზრისები ვერ იქნება საკმარისად სრული იმისათვის, რომ განსაზღვროს რეფერენციები, როგორც ისინი დესკრიფციისა და დესკრიფციების კლასტერის თეორიების მიხედვით არის. თუ გიჩის აზრი სწორად მესმის, მისი ნომინალური არსება უნდა გავიგოთ აპრიორულობის, და არა აუცილებლობის, ცნების მეშვეობით და, ამდენად, საკმაოდ განსხვავდება არსების იმ სახისგან, რომელსაც აქ ვიცავ (შეიძლება ეს არის ნაწილი იმისა, რასაც ის გულისხმობს, როცა ამბობს, რომ ის ეხება „ნომინალურ“ და არა „რეალურ“ არსებებს). ამრიგად, „ნიქსონი არის ადამიანი“, „დობინი არის ცხენი“ და ამის მსგავსი ჭეშმარიტებები აპრიორული იქნება.

მეტი ხნით არ გავჩერდები, რადგან მინდა გადავიდე უფრო ზოგად შემთხვევაზე, რომელიც წინა ლექციაზე ვახსენე; ის ენება ნივთიერებათა სახელებს შორის ზოგიერთ იგივეობას, აგრეთვე, ნივთიერებათა თვისებებსა და ბუნებრივ გვარებს. ფილოსოფოსებს, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან აინტერესებთ თეორიული იგივეობების გამოხატველი დებულებები; მათ შორის, რომ სინათლე არის ფოტონების ნაკადი, რომ წყალი არის H_2O , რომ ელვა არის ელექტრული განმუხტვა, რომ ოქრო არის ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 79.

ამ დებულებების სტატუსს რომ ნათელი მოვფინოთ, შეიძლება, ჯერ ცოტა უნდა დავფიქრდეთ ისეთი ნივთიერებების სტა-

არ არის აუცილებელი, ამ თვალსაზრისის შესახებ აქ რომელიმე პოზიციაზე დავდგე. თუმცა, მოკლედ შევნიშნავ შემდეგს: (1) თუნდაც გვარეობითი სიტყვა იყოს გამოყენებული ოსტენსიური რეფერენციის ერთმნიშვნელობის უზრუნველსაყოფად, უთუოდ არ არის აუცილებელი, რომ ის აღნიშნული ობიექტისთვის აპრიორულად ქვშმარიტად მივიჩნიოთ. განა არ შეიძლება, რომ დობინი ცხენებისაგან განსხვავებული სახეობის წარმომადგენელი აღმოჩნდეს (თუმც კი ზედაპირულად ცხენივით გამოიყურება), ან ჰესპეროსი ვარსკვლავის ნაცვლად პლანეტა აღმოჩნდეს, ან ლოტის სტუმრები, თუნდაც ის მათ სახელებით მიმართავდეს, ადამიანების ნაცვლად ანგელოზები აღმოჩნდნენ? ალბათ გიჩმა უფრო ფრთხილად უნდა შეარჩიოს გვარეობითი სახელები. (2) თუნდაც (1)-ში გამოთქმული შედავება უკან წავიღო, უდავოა, რომ ამ თვალსაზრისის წანამძღვარსა და დანასკვს შორის არსებითი წყვეტაა. ფაქტობრივად, ძალიან იშვიათად თუ ხდება, რომ მოსაუბრე მოცემული სახელის რეფერენციას ოსტენსიის გზით სწავლობდეს; და თუნდაც ის სახელს იღებდეს კომუნიკაციის ჯაჭვით, რომლის სათავეც ოსტენსიის აქტშია, რატომ უნდა იყოს გვარეობითი თვისება, რომელიც, ამ თვალსაზრისის თანახმად, ოსტენსიის აქტში გამოიყენება, მოსაუბრისთვის სახელის „საზრისის“ ნაწილი რაიმე აზრით? ამისათვის არავითარ არგუმენტს არ გვთავაზობენ. (უკიდურესი შემთხვევა: მათემატიკოსის ცოლი ყურს მოკრავს, როგორ ჩაიბუტბუტა მისმა ქმარმა სახელი „ნენსი“ მას აინტერესებს, ნენსი, ანუ ობიექტი, რომელზეც მისი ქმარი რეფერირება, ქალია თუ ჯგუფი. რატომ არ არის სიტყვის „ნენსი“ მისი გამოყენება დასახელების შემთხვევა? და თუ არ არის, ამის მიზეზი არ იქნება მის რეფერენციის განუსაზღვრელობა.)

ტუსზე, როგორცაა ოქრო. რა არის ოქრო? მე არ ვიცი, არის თუ არა ეს ის მაგალითი, რომელიც ფილოსოფოსებს განსაკუთრებით აინტერესებდათ. მის მიმართ ინტერესი ფინანსურ წრეებში თანდათან მცირდება სხვადასხვა ვალუტის სტაბილურობის ზრდის გამო.⁵⁹ თუნდაც ასე იყოს, ოქრო მრავალ ადამიანს აინტერესებდა. აი რას ამბობს იმანუელ კანტი ოქროს შესახებ (ის მდიდარი სპეკულატორი იყო, რომელიც თავის ქონებას საწოლის ქვეშ ინახავდა). კანტს შემოაქვს განსხვავება ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებს შორის და ამბობს: „ყველა ანალიზური მსჯელობა მთლიანად დამოკიდებულია წინააღმდეგობის კანონზე და თავისი ბუნებით აპრიორულ შემეცნებას წარმოადგენს, იმის მიუხედავად, ემპირიულია თუ არა ცნებები, რომლებიც მათ შინაარსით ავსებს. ვინაიდან, მტკიცებითი ანალიზური მსჯელობის პრედიკატს უკვე შეიცავს სუბიექტის ცნება და ამ უკანასკნელისთვის მისი უარყოფა წინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია ... სწორედ ამ მიზეზის გამო ყველა ანალიზური მსჯელობა აპრიორულია, თუნდაც მასში შემავალი ცნებები ემპირიული იყოს, როგორც, მაგალითად, „ოქრო ყვითელი ლოთონია“; რადგან იმისთვის, ეს რომ ვიცოდე, მე არ მჭირდება არავითარი გამოცდილება, საკმარისია მხოლოდ ის, რომ მექონდეს ოქროს, როგორც ყვითელი ლითონის, ცნება. ეს, ფაქტობრივად, თვითონ ცნებაა და მე მხოლოდ მისი გაანალიზება მჭირდება, მის იქით გახედვის გარეშე.“⁶⁰ გერმანული ტექსტიც უნდა მენახა. „ეს, ფაქტობრივად, თვითონ ცნებაა“ ისე უღერს, თითქოს აქ კანტი ამბობდეს, რომ „ოქრო“ უბრალოდ ნიშნავს „ყვი-

59 შეიძლება ამის თქმისას მეტისმეტად ავჩქარდი. ამას ამბობდა ზოგიერთი ფინანსური მიმოხილვა მაშინ, როცა ეს ლექციები ჩავატარე – 1970 წლის იანვარში.

60 პროლეგომენები ნებისმიერი მომავალი მეტაფიზიკისთვის, პრეამბულა, ნაკვეთი 2.ბ. (პრუსიის აკადემიის გამოცემა, გვ. 267). შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნაწყვეტმა დამიტოვა, არ შეცვლილა მას შემდეგაც, რაც გერმანულ ტექსტს გადავხედე, თუმცა, ვერ მექნება რეალური კომპეტენტურობის პრეტენზია ამ საკითხის შემთხვევაში.

თელ ლითონს:“ ის რომ ამას ამბობდეს, ეს განსაკუთრებით უცნაური იქნებოდა, ამიტომ დავუშვათ, რომ ის ამას არ ამბობს. კანტი, სულ მცირე, ფიქრობს, რომ ცნების ნაწილია ის, რომ ოქრო ყვითელი ლითონი უნდა იყოს. ის ფიქრობს, რომ ჩვენ ეს აპრიორულად ვიცით და რომ შეუძლებელია, ჩვენ ემპირიულად აღმოვაჩინოთ, რომ ეს მცდარია.

მართალია კანტი ამაში? პირველი, მე რასაც ვისურვებდი, იქნებოდა იმ ნაწილის განხილვა, რომელიც ოქროს ლითონად ყოფნას ეხება. მაგრამ ეს გართულებულია, რადგან, ჯერ ერთი, მე ქიმიისა ბევრი არაფერი გამეგება. როდესაც რამდენიმე დღის წინ სხვადასხვა ცნობარიდან ამაზე ინფორმაცია მოვიძიე, ლითონების უფრო ფენომენოლოგიურ განმარტებაში აღმოვაჩინე დებულება, რომ ძალიან ძნელი სათქმელია, რა არის ლითონი (იქ ლაპარაკი იყო ქვადობაზე, პლასტიკურობაზე და ა. შ., მაგრამ მათგან არც ერთი არ გამოდგება ბოლომდე). მეორე მხრივ, პერიოდული სისტემის შესახებ ერთ ტექსტში მოცემული იყო ნივთიერებების, როგორც ლითონების, აღწერა მათი ვალენტობის მიხედვით. ამის გამო ზოგიერთმა შეიძლება მაშინვე იფიქროს, რომ სინამდვილეში ლითონის ორ ცნებასთან გვაქვს საქმე, რომელთაგან ერთი ფენომენოლოგიურია, ხოლო მეორე მეცნიერული, რომელიც მომავალში დაიკავებს პირველის ადგილს. მართალია, მე ამას უარვყოფ, მაგრამ ვინაიდან ეს სვლა საკმაოდ ბევრისთვის გამოიყურება მაცდუნებლად, ხოლო მის უკუგდებას მხოლოდ მას შემდეგ შევძლებ, რაც ჩემს საკუთარ თვალსაზრისს ჩამოვაცალიებ, არ იქნებოდა უპრიანი, რომ ჩემი თვალსაზრისის შემოტანისთვის მაგალითად გამომეყენებინა დებულება „ოქრო ლითონია“.

განვიხილოთ რაღაც უფრო იოლი, მაგალითად, ოქროს სიყვითლის საკითხი. არის შესაძლებელი, აღმოვაჩინოთ, რომ ოქრო სინამდვილეში ყვითელი არ ყოფილა? დავუშვათ, რომ სამხრეთ აფრიკაში, რუსეთში და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი ოქროს საბადოა, ატმოსფეროს სპეციფიკური თავისებურებე-

ბის გამო საყოველთაოდაა გავრცელებული ოპტიკური ილუზია. დავუშვათ, რომ ეს ოპტიკური ილუზია ნივთიერებებს ყვითლად მოგვაჩვენებს; მაგრამ, ფაქტობრივად, ატმოსფეროს ამ სპეციფიკური თავისებურებების გარეშე, ჩვენ დავინახავდით, რომ ოქრო სინამდვილეში ლურჯია. მეტიც, შეიძლება დემონი ისე რყვნის ოქროს საბადოში შესული ყველა ადამიანის მხედველობას (რა თქმა უნდა, მათი სულები უკვე გარყვნილი უნდა იყოს), რომ ისინი იჯერებენ, რომ ეს ნივთიერება ყვითელია, თუმცა კი ის არ არის ყვითელი. განა ამის საფუძველზე გაზეთები დაბეჭდავენ ასეთ განცხადებას: „აღმოჩნდა, რომ ოქრო არ ყოფილა. ოქრო არ არსებობს. ის, რაც ჩვენ ოქროდ მიგვაჩნდა, ფაქტობრივად არ არის ოქრო.“ წარმოიდგინეთ მსოფლიო ფინანსური კრიზისი ასეთ შემთხვევაში! ჩვენ წინაშე ფულადი სისტემის არასტაბილურობის ისეთი წყაროა, რომელზეც ვერც ვიოცნებებდით.

მე მეჩვენება, რომ ასეთი განცხადება არ დაიბეჭდებოდა. ამის საპირისპიროდ, გამოცხადდებოდა, რომ, თუმცა კი ისე ჩანდა, რომ ოქრო ყვითელია, ფაქტობრივად აღმოჩნდა, რომ ოქრო ყვითელი კი არა, ლურჯი ყოფილა. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ჩვენ სიტყვას „ოქრო“ ვიყენებთ გარკვეული სახის საგნების აღსანიშნავად. სხვებმა აღმოაჩინეს ამ სახის საგანი და ჩვენ შევიტყუეთ ამის შესახებ. ჩვენ, როგორც მოსაუბრეთა ერთობის წევრს, ამრიგად, გარკვეული კავშირი გვაქვს გარკვეული სახის საგანთან. მიიჩნევა, რომ ამ სახის საგნებს გარკვეული მაიდენტიფიცირებელი ნიშნები აქვთ. ამ ნიშნებიდან ზოგიერთი შეიძლება სინამდვილეში არ ჰქონდეს ოქროს. ჩვენ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მათ შესახებ ვცდებოდით. მეტიც, შეიძლება არსებობდეს ნივთიერება, რომელსაც აქვს ყველა ის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, რომელთაც ჩვენ ჩვეულებრივ ოქროს მივაწერდით და რომელთაც ოქროს იდენტიფიკაციისთვის ვიყენებდით უწინარეს ყოვლისა, მაგრამ რომელიც არ არის იმავე სახის საგანი, არ არის იგივე ნივთიერება. ჩვენ ასეთ საგანზე ვიტყვოდით, რომ, მართალია, მას აქვს ყველა

გარეგნული ნიშანი, რომელთაც ჩვენ თავიდან ოქროს იდენტიფიკაციისთვის ვიყენებდით, მაგრამ ეს არ არის ოქრო. მაგალითად, როგორც კარგადაა ცნობილი, ასეთი საგანია რკინის პირიტი* ანუ სულელის ოქრო. ეს არ არის ოქროს კიდევ ერთი სახესხვაობა. ის სულ სხვა საგანია, რომელიც გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის ზუსტად იმ ნივთიერებასავით გამოიყურება, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ და რომელსაც ოქრო ვუწოდეთ. ამის თქმა შეგვიძლია არა იმიტომ, რომ სიტყვის „ოქრო“ მნიშვნელობა შევცვალეთ და დავამატეთ ახალი კრიტერიუმები, რომლებიც ოქროს პირიტისაგან განასხვავებს. მე მეჩვენება, რომ ეს არ არის სიმართლე. ამის საპირისპიროდ, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ გარკვეული თვისებები მართლა აქვს ოქროს, გარდა იმ საწყისი მაიდენტიფიცირებელი ნიშნებისა, რომლებითაც ჩვენ მის იდენტიფიცირებას ვაკეთებდით. მაშინ ეს თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ოქროსთვის და არ აქვს რკინის პირიტს, აჩვენებს, რომ სულელის ოქრო სინამდვილეში ოქრო არ არის.

ეს სხვა მაგალითზეც უნდა ვნახოთ. აქ⁶¹ სადღაც წერია: «მე ვამბობ: „სიტყვას „ვეფხვი“ აქვს მნიშვნელობა ჩვენს ენაში“... თუ შემდეგ მკითხავენ: „რა არის ვეფხვი?“ მე შეიძლება ვუპასუხო: „ვეფხვი არის კატისებრთა ოჯახის დიდი ხორცისმჭამელი ოთხფეხა წარმომადგენელი, მოწითალო ყვითელი ფერისა, ვერტიკალური მოშავო ზოლებით და თეთრი მუცლით“ (აღებულია *ოქსფორდის მცირე ლექსიკონის* სტატიიდან „ვეფხვი“). ახლა დავუშვათ, რომ ვინმე ამბობს: «შენ ამ წუთში თქვი, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ვეფხვი“ ჩვენს ენაზე». ხოლო ზიფი ეკითხება: „მართლა ასეა?“ და თვითონვე პასუხობს, სწორადაც, „მე ასე არ ვფიქრობ.“ მისი მაგალითი ასეთია: «დავუშვათ, ვინმე ჯუნგლებშია და ამბობს: „შეხედე, სამფეხა ვეფხვი!“ უნდა დავგაბნიოს ამან? ფრაზა „სამფეხა ვეფხვი“ არ არის *contradictio in adjecto*. მაგრამ სიტყვა „ვეფხვი“ ჩვენს

61 Paul Ziff, *Semantic Analysis*, Ithaca, Cornell University Press, 1960, გვ. 184-85.

ენაზე, სხვა რამეებთან ერთად, ოთხფენას ან ოთხკიდურიანს რომ ნიშნავდეს, მაშინ ფრაზა „სამფეხა ვეფხვი“ მხოლოდ *contradictio in adjecto* შეიძლება იყოს. ამრიგად, მისი მაგალითი აჩვენებს, რომ თუ ვეფხვის ცნების ნაწილია ის, რომ ვეფხვს ოთხი ფეხი აქვს, მაშინ სამფეხა ვეფხვი ვერ იარსებებს. ეს არის იმ სახის შემთხვევა, რომელსაც ბევრი ფილოსოფოსი ხსნის, როგორც „კლასტერულ ცნებას“. განა წინააღმდეგობაა იმის წარმოდგენაც კი, რომ შეიძლება ოდესმე აღმოვაჩინოთ, რომ ვეფხვებს არასოდეს აქვთ ოთხი ფეხი? დავუშვათ, რომ მკვლევრებს, რომლებიც ვეფხვებს ამ თვისებებს მიაწერდნენ, ოპტიკური ილუზია ატყუებდათ, და რომ ცხოველები, რომლებსაც ისინი ხედავდნენ, სამფეხა სახეობას მიეკუთვნებოდნენ. ვიტყვით კი ამ შემთხვევაში, რომ, როგორც აღმოჩნდა, ვეფხვები ბოლოს და ბოლოს სულაც არ არსებობენ? მე ვფიქრობ, ვიტყვით, რომ იმ ოპტიკური ილუზიის მიუხედავად, რომელიც მკვლევრებს ატყუებდა, ვეფხვებს სინამდვილეში სამი ფეხი აქვთ.

კიდევ, არის კი სიმართლე ის, რომ ნებისმიერი რამ, რაც ლექსიკონში მოცემულ ამ აღწერას აკმაყოფილებს, აუცილებლად ვეფხვია? მე მეჩვენება, რომ ასე არ არის. დავუშვათ, აღმოვაჩინეთ ცხოველი, რომელსაც, მართალია, აქვს ვეფხვის გარეგნობა, როგორც ის აქ არის აღწერილი, მაგრამ ვეფხვისგან სრულიად განსხვავებული შინაგანი სტრუქტურა აქვს. რეალურად, განსაზღვრებაში იყო ფრაზა „კატისებრთა ოჯახი“, ასე რომ, ეს ბოლომდე სამართილიანი არ არის. დავუშვათ, ჩვენი მაგალითისთვის, რომ ეს ფრაზა გამოტოვებული იყო. ის, რომ ვეფხვი რომელიღაც კონკრეტულ ბიოლოგიურ ოჯახს მიეკუთვნება, ნებისმიერ შემთხვევაში, არის რაღაც, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ. თუკი „კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი“ მხოლოდ კატის გარეგნობის ქონას ნიშნავს, დავუშვათ, რომ მას მართლა აქვს დიდი კატის გარეგნობა. მსოფლიოს რომელიღაც ნაწილში შეიძლება გადავეყაროთ ცხოველებს, რომლებიც, თუმცა ისინი ზუსტად ვეფხვის მსგავსად

გამოიყურებიან, ძუძუმწოვრებიც კი არ აღმოჩნდებიან გამოკვლევის შედეგად. დავუშვათ, რომ ფაქტობრივად ისინი ძალიან თავისებური გარეგნობის მქონე რეპტილიები არიან. განა ამ აღწერის საფუძველზე მაშინ დავასკვნიდით, რომ ზოგიერთი ვეფხვი რეპტილია? არა. უფრო იმას დავასკვნიდით, რომ ეს ცხოველები, თუმცა მათ აქვთ გარეგნული ნიშნები, რომლებითაც ჩვენ თავიდან ვეფხვების იდენტიფიცირებას ვაკეთებდით, ფაქტობრივად არ არიან ვეფხვები, რადგან ისინი არ მიეკუთვნებიან იმ სახეობას, რომელსაც ჩვენ „ვეფხვების სახეობა“ ვუწოდებთ. ეს, ჩემი აზრით, ასეა არა იმიტომ, რომ, როგორც ზოგიერთი იტყობდა, ვეფხვის ძველი ცნება შეიცვალა ახალი მეცნიერული დეფინიციით. ჩემი აზრით, ეს ვეფხვის ცნებისთვის ჭეშმარიტია უფრო ადრე, ვიდრე ვეფხვების შინაგან სტრუქტურას შევისწავლეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის უცნობია ვეფხვების შინაგანი სტრუქტურა, ჩვენ ვუშვებთ – და დავუშვათ, რომ არ ვცდებით – რომ ვეფხვები შეადგენენ ბუნებრივი გვარის გარკვეულ სახეობას. შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ შეიძლება არსებობდეს არსება, რომელიც, თუმცა მას ვეფხვების ყველა გარეგნული ნიშანი აქვს, შინაგანად საკმაოდ განსხვავდება მათგან, რათა ჩვენ ვთქვათ, რომ ის არ არის იმავე სახის საგანი. ჩვენ ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეც, რომ არაფერი ვიცოდეთ ამ შინაგანი სტრუქტურის შესახებ – თუ რა არის ეს შინაგანი სტრუქტურა. ჩვენ წინასწარ ვამბობთ, რომ სიტყვას „ვეფხვი“ ვიყენებთ გარკვეული სახეობის აღსანიშნავად, და რომ არაფერი, რაც ამ სახეობას არ ეკუთვნის, თუნდაც ვეფხვის მსგავსად გამოიყურებოდეს, ფაქტობრივად არ არის ვეფხვი.

ზუსტად ისევე, როგორც შესაძლებელია, რომ რაღაცას ჰქონდეს ყველა ის თვისება, რომლითაც ჩვენ თავიდან ვაკეთებდით ვეფხვების იდენტიფიცირებას, და მაინც არ იყოს ვეფხვი, შესაძლებელია, აღმოვაჩინოთ, რომ ვეფხვებს არ ჰქონიათ არც ერთი იმ თვისებებიდან, რომლებითაც ჩვენ თავიდან ვაკეთებდით მათ

იდენტიფიცირებას. შეიძლება, არც ერთი ვეფხვი არ იყოს ოთხ-ფეხა, არც ერთი არ იყოს მოწითალო ყვითელი, არც ერთი არ იყოს ხორცისმჭამელი და ა. შ. ყველა ეს თვისება შეიძლება აღმოჩნდეს ოპტიკური ილუზიების ან სხვა შეცდომების შედეგი, როგორც ოქროს შემთხვევაში. ასე რომ, სიტყვა „ვეფხვი“; სიტყვის „ოქრო“ მსგავსად, არ მონიშნავს სახეობის იდენტიფიკაციისთვის გამოყენებული თვისებებისაგან შედგენილ „კლასტერულ ცნებას“; რომელთაგანაც უმრავლესობა უნდა სრულდებოდეს, მაგრამ ალბათ არა ყველა მათგანი. ამის საპირისპიროდ, ამ თვისებების უმრავლესობის ქონა არ უნდა იყოს არც აუცილებელი პირობა და არც საკმარისი პირობა სახეობის წევრობისთვის.

რადგან ვნახეთ, რომ, მართლაც, როგორც მოველოდით, ვეფხვები ერთ სახეობას შეადგენენ, ის, რაც ამ სახეობას არ ეკუთვნის, არ არის ვეფხვი. რასაკვირველია, ჩვენ შეიძლება ვცდებოდეთ, როცა ვფიქრობთ, რომ არსებობს ასეთი სახეობა. ჩვენ წინასწარ ვუშვებთ, რომ ისინი, ალბათ, შეადგენენ სახეობას. წარსულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ, ჩვეულებრივ, ასეთი ობიექტები – რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთნაირად გამოიყურებიან, ერთმანეთთან წყვილდებიან – შეადგენენ სახეობას. თუ არსებობს ვეფხვების ორი სახეობა, რომლებიც რალაციით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ არა ისე მჭიდროდ, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, მაშინ შეიძლება ისინი უფრო დიდ ბიოლოგიურ ოჯახს შეადგენდნენ. თუ მათ აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაშინ მართლაც ვეფხვების ორი სახეობა არსებობს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ისტორიაზე და იმაზე, თუ რეალურად რას აღმოვაჩინთ.

ფილოსოფოსი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად აცნობიერებს ამ ტიპის მოსაზრებას (ამ საკითხზე ჩვენი აზრები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდა), არის პატენემი. სტატიაში, რომლის სახელწოდებაცაა „აუცილებლად ასე არ არის“⁶²

62 *Journal of Philosophy*, 59, No. 22 (October 25, 1962), გვ. 658-671. ბუნებ-

სახეობების შესახებ დებულებებზე ის ამბობს, რომ ისინი „ნაკლებად აუცილებელია“ (ასე ფრთხილად გამოთქვამს), ვიდრე ისეთი დებულებები, როგორიცაა „ბერბიჭები უცოლოები არიან“ მაგალითი, რომელსაც ის გვთავაზობს, არის „კატები ცხოველებია“. კატები შეიძლება აღმოჩნდნენ ავტომატები, ან ჯადოქრის მიერ შექმნილი უცნაური დემონები (ეს არ არის მისი მაგალითი). დავუშვათ, რომ ისინი დემონების სახეობა აღმოჩნდნენ. მაშინ, ამ თვალსაზრისის მიხედვით და, მე ვფიქრობ, ჩემი თვალსაზრისის მიხედვითაც, ჩვენ იმის თქმა კი არ გვენდომება, რომ, როგორც აღმოჩნდა, კატები არ არსებობენ, არამედ იმისა, რომ კატები არ აღმოჩნდნენ ცხოველები, როგორც ამას თავიდან ვვარაუდობდით. კატის თავდაპირველი ცნება შემდეგია: *ამ გვარის საგანი*, სადაც გვარი შეიძლება იდენტიფიცირდეს პარადიგმული შემთხვევებით. ეს არ არის რალაც ისეთი, რასაც რომელიმე თვისებრივი სალექსიკონო განსაზღვრებით გამოვარჩევთ. მაგრამ პატენემი ასკვნის, რომ ისეთი დებულებები, როგორიცაა „კატები ცხოველებია“, „ნაკლებად

რივი გვარებისა და ფიზიკური თვისებების შესახებ შემდგომ შრომებში, რომელთა ნახვის შესაძლებლობაც არ მქონია მაშინ, როცა ამას ვწერდი, პატენემმა კიდევ მეტად დაამუშავა თავისი თვალსაზრისი, რომელსაც (როგორც ვხვდები) ბევრი შეხების წერტილი აქვს აქ გადმოცემულ თვალსაზრისთან. როგორც ტექსტში შევნიშნე, არსებობს რამდენიმე განსხვავება პატენემის მიდგომასა და ჩემს მიდგომას შორის. პატენემი არ ამყარებს თავის მოსაზრებებს აუცილებელი და აპრიორული ჭეშმარიტებების დაპირისპირებაზე, რომელიც მე შემომაქვს. თავის ადრინდელ სტატიაში, „ანალიზური და სინთეზური“ (*“The Analytic and the Synthetic”, Minnesota Studies in the Philosophy of Science*, vol. III, გვ. 358-97), ის თითქოს უფრო ახლოსაა „კლასტერული ცნების“ თეორიასთან რამდენიმე თვალსაზრისით; მაგალითად, მტკიცებით, რომ ეს თეორია სწორია საკუთარი სახელებისთვის.

ისევ უნდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ ეს მაგალითი ეკუთვნის როჯერს ალბრიტონს, რომელმაც ყურადღება მიმაქცევინა პრობლემების ამ კომპლექსისთვის. თუმცა, ალბრიტონი, ალბათ, არ მიიღებდა იმ თეორიებს, რომლებიც ამ მაგალითის საფუძველზე მე ჩამოვაცალიბე.

აუცილებელია; ვიდრე ისეთი დებულებები, როგორცაა „ბერ-
ბიჭები უცოლოები არიან“ რასაკვირველია, მე ვეთანხმები იმას,
რომ ეს არგუმენტი აჩვენებს, რომ ასეთი დებულებები არ ვიცით
აპრიორულად და, ამიტომ, ისინი არ არის ანალიზური;⁶³ არის თუ
არა მოცემული გვარი ცხოველების სახეობა, ემპირიული გამოკვ-
ლევის საგანია. ალბათ, ეს ეპისტემოლოგიური აზრია ის, რასაც
პატენემი სიტყვით „აუცილებელი“ გულისხმობს. რჩება კითხვა იმის
შესახებ, არის თუ არა ასეთი დებულებები აუცილებელი იმ არა-
ეპისტემოლოგიური აზრით, რომელსაც ამ ლექციებში ვიცავ. ასე
რომ, შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა გამოვიკვლიოთ (აუცი-
ლებლობის იმ ცნების გამოყენებით, რომელზეც ვლაპარაკობდი),
შემდეგია: აუცილებელია თუ არა ისეთი დებულებები, როგორე-
ბიცაა „კატები ცხოველებია“ ან „ოქრო ყვითელი ლითონია“?

აქამდე მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობდი, რა შეიძლებოდა
აღმოგვეჩინა. მე ვამბობდი, რომ შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, რომ

63 მე წინასწარდაშვებად ვიღებ, რომ ანალიზური ჭეშმარიტებაა ის
ჭეშმარიტება, რომელიც მკაცრი აზრითაა დამოკიდებული *მნიშვნელო-*
ბებზე და, ამიტომ, აუცილებელიცაა და აპრიორულიც. თუკი ანალიზუ-
რად ჩაითვლება დებულება, რომლის აპრიორული ჭეშმარიტებაც ცნო-
ბილია რეფერენციის დაფიქსირების გზით, მაშინ ზოგიერთი ანალიზური
ჭეშმარიტება შემთხვევითი იქნება; ეს შესაძლებლობა გამორიცხულია
ანალიზურობის იმ გაგებით, რომელსაც აქ ვიღებ. ანალიზურობის ცნე-
ბის ორაზროვნება, რასაკვირველია, წარმოდგება ისეთი ტერმინების
ჩვეულებრივი გამოყენების ორაზროვნებისგან, როგორებიცაა „განსაზ-
ღვრება“ და „საზრისი“. მე არ მიცდია, ამ ლექციებში ანალიზურობასთან
დაკავშირებულ დელიკატურ პრობლემებს შევჭიდებოდი, მაგრამ იმას კი
ვიტყვი, რომ ზოგიერთი (თუმცა არა ყველა) იმ შემთხვევებიდან, რომ-
ლებსაც ხშირად მოუხმობენ ანალიზურისა და სინთეზურის განსხვავების
დისკრედიტაციისთვის, განსაკუთრებით, ის შემთხვევები, რომლებიც ბუ-
ნებრივ მოვლენებსა და ბუნებრივ გვარებს ეხება, რეფერენციის დაფიქ-
სირების აქ შემოტანილი აპარატის მეშვეობით უნდა გავიგოთ. ყურად-
ღება მიაქციეთ იმას, რომ კანტის მაგალითი, „ოქრო ყვითელი ლითონია“,
აპრიორულიც კი არ არის, ხოლო მთელი აუცილებლობა, რაც მას აქვს,
დადგენილია სამეცნიერო გამოკვლევის შედეგად; ის, ნებისმიერი აზრით,
ძალიან შორს არის ანალიზურობიდან.

ოქრო, ფაქტობრივად, არ არის ყვითელი, იმის საპირისპიროდ, რასაც ვფიქრობდით. თუ ლითონების ცნებას უფრო დეტალურად ჩავუღრმავდებით, ვთქვათ, ვალენტობის თვისებების დონეზე, უთუოდ შესაძლებელი იქნებოდა, აღმოგვეჩინა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ოქრო ლითონი გვეგონა, ფაქტობრივად, ოქრო ლითონი არ ყოფილა. აუცილებელია თუ შემთხვევითი ის, რომ ოქრო ლითონია? მე არ მინდა ლითონების ცნების დეტალებს ჩავუღრმავდე – როგორც ვთქვი, ამის შესახებ საკმარისი ცოდნა არ გამაჩნია. ოქროს ატომური ნომერი, როგორც ჩანს, არის 79. აუცილებელია თუ შემთხვევითი ოქროს ეს თვისება, რომ მისი ატომური ნომერია 79? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, რომ ჩვენ ვცდებოდით. პროტონების, ატომური ნომერების და ა. შ. მთელი თეორია, მოლეკულური სტრუქტურისა და ატომური სტრუქტურის მთელი თეორია, რომელსაც ასეთი შეხედულებები ეფუძნება, შეიძლება მთლიანად მცდარი აღმოჩნდეს. და რა თქმა უნდა, ჩვენ ის არ გვცოდნია უხსოვარი დროიდან. ასე რომ, ამ აზრით, შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, რომ ოქროს ატომური ნომერი არ არის 79.

თუ მოცემულია, რომ ოქროს ატომური ნომერი არის 79, შეიძლება რამე იყოს ოქრო ისე, რომ მისი ატომური ნომერი არ იყოს 79? დავუშვათ, რომ მეცნიერებმა გამოიკვლიეს ოქროს ბუნება და აღმოაჩინეს, რომ ამ ნივთიერების, ასე ვთქვათ, თვითონ ბუნების ნაწილია ის, რომ მისი ატომური ნომერი იყოს 79. დავუშვათ, ახლა ვპოულობთ რაღაც სხვა ყვითელ ლითონს, ან რაღაც სხვა ყვითელ საგანს, რომელსაც აქვს ყველა ის თვისება, რომლითაც ჩვენ თავიდან ვაკეთებდით ოქროს იდენტიფიცირებას, და აქვს ბევრი ის დამატებითი თვისებაც, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით აღმოვაჩინეთ. საწყისი თვისებების უმრავლესობის ქონის მაგალითია რკინის პირიტი, „სულელის ოქრო“. როგორც ვთქვი, ჩვენ არ ვიტყვოდით, რომ ეს ნივთიერება ოქროა. ჯერ-ჯერობით ჩვენ ვლაპარაკობთ აქტუალურ სამყაროზე. ახლა წარმოვიდგინოთ შესაძლო

სამყარო. წარმოვიდგინოთ კონტრაქტობრივი სიტუაცია, რომელშიც, ვთქვათ, სულელის ოქრო ანუ რკინის პირიტი მართლა მოიპოვება შეერთებული შტატების, ან სამხრეთ აფრიკის და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მთიანეთში. დავუშვათ, რომ ყველა ის საბადო, რომელიც ახლა რეალურად შეიცავს ოქროს, სანაცვლოდ შეიცავს პირიტს, ან რალაც სხვა ნივთიერებას, რომელიც ოქროს ზედაპირულ თვისებებს იმეორებს, მაგრამ არ აქვს მისი ატომური სტრუქტურა.⁶⁴ განა ამ კონტრაქტობრივ სიტუაციაზე ვიტყოდით, რომ აქ ოქრო ელემენტიც კი არ იქნებოდა (რადგან პირიტი არ არის ელემენტი)? მე მეჩვენება, რომ ამას არ ვიტყოდით. სანაცვლოდ, ჩვენ ამ სიტუაციას აღვწერდით, როგორც სიტუაციას, რომელშიც რალაც ნივთიერება, ვთქვათ, რკინის პირიტი, რომელიც არ არის ოქრო, იქნებოდა ზუსტად იმ მთებში, რომლებიც რეალურად შეიცავს ოქროს, და ექნებოდა ზუსტად ის თვისებები, რომლებითაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ვაკეთებთ ოქროს იდენტიფიცირებას. მაგრამ ეს არ იქნებოდა ოქრო; ეს რალაც სხვა იქნებოდა. არ უნდა ვთქვათ, რომ ის მაინც ოქრო იქნებოდა ამ შესაძლო სამყაროში, თუმცა მაშინ ოქროს ატომური ნომერი არ იქნებოდა 79. ეს იქნებოდა რალაც სხვა მასალა, რალაც სხვა ნივთიერება. (კიდევ ერთხელ, არარელევანტურია, უწოდებდნენ თუ არა ადამიანები მას „ოქროს“ კონტრაქტობრივად. ჩვენ არ აღვწერთ მას, როგორც ოქროს.) ამდენად, მე მეჩვენება, რომ ეს არ იქნებოდა შემთხვევა, რომელშიც შეიძლება ოქრო არ ყოფილიყო ელემენტი; არც არის შესაძლებელი ასეთი შემთხვევის არსებობა (თუ არა სიტყვის „შესაძლებელი“ ეპისტემური აზრით). თუ მოცემულია, რომ ოქრო არის ელემენტი, ნებისმიერი სხვა ნივთიერება, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოიყურება ოქროსნაირად და გვხვდება ზუსტად იმ ადგილებში, სადაც, ფაქტობრივად, ოქრო გვხვდება, არ იქნებოდა

64 ორეულების უკეთესი წყვილებიც არსებობს – მაგალითად, პერიოდულ სისტემაში ერთი სვეტის ელემენტების ზოგიერთი წყვილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი მაინც სხვადასხვა ელემენტია.

ოქრო. ეს იქნებოდა რაღაც სხვა ნივთიერება, რომელიც იქნებოდა ოქროს ყალბი ორეული. ნებისმიერ კონტრაფაქტობრივ სიტუაციაში, რომელშიც იგივე გეოგრაფიული ადგილები სავსე იქნებოდა ასეთი ნივთიერებით, ისინი არ იქნებოდა სავსე ოქროთი, არამედ სავსე იქნებოდა რაღაც სხვით.

ამრიგად, თუ ეს მოსაზრება სწორია, ის არგუმენტს, რომ ასეთი დებულებები, რომლებშიც წარმოდგენილია სამეცნიერო აღმოჩენები იმის შესახებ, თუ რა არის ეს ნივთიერება, არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი ჭეშმარიტებები უმკაცრესი შესაძლო აზრით. მხოლოდ იმაში არაა საქმე, რომ ეს მეცნიერების კანონია: რა თქმა უნდა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სამყარო, რომელშიც ეს კანონი არ იმუშავებდა. ნებისმიერი სამყარო, რომელშიც ჩვენ წარმოვიდგენთ ნივთიერებას, რომელსაც არ აქვს ეს თვისებები, არის სამყარო, რომელშიც ჩვენ წარმოვიდგენთ ნივთიერებას, რომელიც არ არის ოქრო, თუკი მოცემულია, რომ ეს თვისებები შეადგენს იმის საფუძველს, თუ რა არის ეს ნივთიერება. სახელდობრ, ახლა მიღებული მეცნიერული თეორია ისეთია, რომ ოქროს ბუნების, როგორც ჩვენ გვესმის ის, ნაწილია, რომ იყოს ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 79. ამიტომ აუცილებელი იქნება და არა შემთხვევითი ის, რომ ოქრო არის ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 79. (ჩვენ ასევე შეგვიძლია, იმავე ხერხით, გამოვიკვლიოთ, თუ როგორ წარმოიშობა ფერი და ლითონის თვისებები იმისგან, რაც, როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ, არის ნივთიერება ოქრო: იმ ზომით, რა ზომითაც ასეთი თვისებები წარმოიშობა ოქროს ატომური სტრუქტურიდან, ისინი მისი აუცილებელი თვისებებია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უთუოდ არ არიან სიტყვის „ოქრო“ მნიშვნელობის ნაწილები და ჩვენთვის არ იყვნენ აპრიორული უტყუარობით ცნობილნი.)

პატენემის მაგალითი – „კატები ცხოველებია“ – იმავე რიგს მიეკუთვნება. ფაქტობრივად, ჩვენ ამ შემთხვევაში ძალიან გასაკვირი აღმოჩენა გავაკეთეთ. ჩვენ, ფაქტობრივად, აღმოვაჩინეთ, რომ

ვერაფერი დაუპირისპირდება ჩვენს რწმენას! კატები, ფაქტობრივად, ცხოველებია! აუცილებელი ჭეშმარიტებაა თუ შემთხვევითი ჭეშმარიტებაა ეს? მე მეჩვენება, რომ ის აუცილებელია. წარმოიდგინეთ კონტრფაქტობრივი სიტუაცია, რომელშიც ამ არსებების – ამ ცხოველების – ნაცვლად, ფაქტობრივად, გვყავს პატარა დემონები, რომელთაც, მოახლოებისას, მართლა ცუდი იღბალი მოაქვთ ჩვენთვის. უნდა აღვწეროთ ეს, როგორც სიტუაცია, რომელშიც კატები დემონები არიან? მე მეჩვენება, რომ ეს დემონები არ იქნებოდნენ კატები. ისინი იქნებოდნენ დემონები კატის მსგავსი ფორმით. ჩვენ, შეიძლება, აღმოგვეჩინა, რომ რეალური კატები, რომლებიც ჩვენ გვყავს, დემონები არიან. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ისინი არ არიან დემონები, თვითონ მათი ბუნების ნაწილია ის, რომ, როცა ჩვენ აღვწერთ კონტრფაქტობრივ სამყაროს, რომელშიც ასეთი დემონები იარსებებდნენ, უნდა ვთქვათ, რომ ეს დემონები არ იქნებოდნენ კატები. ეს იქნებოდა სამყარო, რომელიც შეიცავს დემონებს, თავს კატებად რომ გვაჩვენებენ. მართალია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კატები შეიძლება აღმოჩენილიყვნენ გარკვეული სახეობის დემონები, მაგრამ თუ მოცემულია, რომ კატები, ფაქტობრივად, ცხოველები არიან, ნებისმიერი კატის მსგავსი არსება, რომელიც არ არის ცხოველი, აქტუალურ სამყაროში იქნება თუ კონტრფაქტობრივ სამყაროში, არ არის კატა. იგივე ძალაშია კატის გარეგნობის მქონე, მაგრამ რეპტილიისათვის დამახასიათებელი შინაგანი სტრუქტურის მქონე ცხოველებისთვისაც. თუ ასეთები იარსებებდნენ, ისინი არ იქნებოდნენ კატები, არამედ იქნებოდნენ „სულელის კატები“.

ეს გარკვეულ კავშირშია ინდივიდუალური საგნის არსებასთანაც. მოლეკულურმა თეორიამ აღმოაჩინა, რომ, ვთქვათ, აი ეს საგანი მოლეკულებისგან შედგება. ეს უთუოდ მნიშვნელოვანი ემპირიული აღმოჩენა იყო. ეს არის რაღაც, რაც ჩვენ წინასწარ არ ვიცოდით; იმ ყველაფრის მიხედვით, რაც ჩვენთვის იყო ცნობილი, შეიძლებოდა ეს საგანი შედგენილი ყოფილიყო რაღაც

არამატერიალური ენტელექსისგან. ახლა წარმოიდგინეთ საგანი, რომელიც ზუსტად ასეა განთავსებული ამ ოთახში და შედგება არამატერიალური ენტელექსისგან. იქნებოდა ის ზუსტად ეს საგანი? მას შეიძლებოდა ზუსტად ამ საგნის გარეგნობა ჰქონოდა, მაგრამ მე მერჩვენება, რომ ის ვერასოდეს იქნებოდა ეს საგანი. ამ საგნის თავს გადამხდარი ამბები შეიძლება ძალიან განსხვავებული ყოფილიყო მისი აქტუალური ისტორიისგან. ის შეიძლებოდა გადაეტანათ კრემლში, ის შეიძლებოდა უკვე დაქუცმაცებული ყოფილიყო ნაწილებად და ახლა საერთოდ აღარ ეარსება. მას შეიძლებოდა სხვადასხვა რამ შემთხვეოდა. მაგრამ რაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ კონტრფაქტობრივად, როგორც მის თავს გადამხდარი, აქტუალურად მომხდარისაგან განსხვავებული ამბავი, ერთი რამ, რასაც ვერ წარმოვიდგენთ, რომ ამ საგანს შემთხვეოდა, არის ის, რომ, თუ მოცემულია, რომ ის მოლექულებისგან შედგება, მას მაინც ეარსება, მაგრამ არ ყოფილიყო მოლექულებისგან შედგენილი. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ აღმოვაჩინეთ, რომ თურმე ის არ შედგება მოლექულებისაგან. მაგრამ თუკი ვიცით, რომ ეს საგანი შედგება მოლექულებისაგან – ანუ, რომ ეს არის თვითონ ბუნება იმ ნივთიერებისა, რომლისგანაც ის გაკეთებულია – მაშინ ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, თუ ჩემი ხედვა სწორია, რომ ეს საგანი შეიძლება არ ყოფილიყო მოლექულებისგან შედგენილი.

მაშასადამე, იმ თვალსაზრისის თანახმად, რომელსაც მე ვიცავ, ბუნებრივი გვარების აღმნიშვნელი სიტყვები ბევრად უფრო ანლოსა საკუთარ სახელებთან, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ ხოლმე. ამრიგად, ძველი ტერმინი „საერთო სახელი“ ძალიან შესაფერისია პრედიკატებისთვის, რომლებიც მონიშნავენ სახეობებს ან ბუნებრივ გვარებს, როგორებიცაა „ძროხა“ ან „ვეფხვი“. მაგრამ ჩემი მოსაზრებები ეხება, აგრეთვე, გარკვეულ ნივთიერებათა სახელებს, როგორებიცაა „ოქრო“, „წყალი“ და სხვა. საინტერესოა ჩემი თვალსაზრისის შედარება მილის თვალსაზრისთან. მილი

სახელმწიფო მიიჩნევს როგორც პრედიკატებს, როგორცაა „ძროხა“, ასევე განსაზღვრულ დესკრიფციებსა და საკუთარ სახელებს. ის ამბობს, რომ „სინგულარული“ სახელები კონოტაციურია, თუ ისინი განსაზღვრული დესკრიფციებია, მაგრამ არაკონოტაციურია, თუ ისინი საკუთარი სახელებია. მეორე მხრივ, მილი ამბობს, რომ ყველა „საზოგადო“ სახელი კონოტაციურია; ისეთი პრედიკატი, როგორცაა „ადამიანი“, განისაზღვრება, როგორც კონიუნქცია გარკვეული თვისებებისა, რომლებიც ადამიანობის აუცილებელ და საკმარის პირობებს გვაძლევს – ესენია რაციონალურობა, ცხოველთა სამყაროს წევრობა, გარკვეული ფიზიკური მახასიათებლები.⁶⁵ თანამედროვე ლოგიკის ტრადიციაში, რომელსაც ფრეგე და რასელი წარმოადგენენ, თითქოს აღიარებულია, რომ მილი ცდებოდა სინგულარული სახელების თაობაზე, მაგრამ მართალი იყო საზოგადო სახელების თაობაზე. უფრო გვიანდელი ფილოსოფია ამ კვალს გაჰყვება, იმ განსხვავებით, რომ საკუთარი სახელებისა და ბუნებრივი გვარების აღმნიშვნელი სიტყვების შემთხვევაში, ხშირად, განმსაზღვრელი თვისებების ცნება ჩანაცვლებულია თვისებათა კლასტერის ცნებით, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთი უნდა სრულდებოდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. ჩემი საკუთარი თვალსაზრისით, მეორე მხრივ, მილის აზრი მეტ-ნაკლებად სწორად მიიჩნევა „სინგულარული“ სახელებისთვის, მაგრამ არასწორად მიიჩნევა „საზოგადო“ სახელებისთვის. ალბათ, ზოგიერთი „საზოგადო“ სახელი (მოსულელი; „მსუქანი“, „ყვითელი“) გამონაკლისს თვისებებს.⁶⁶ ხოლო ისეთი

65 Mill, *op. cit.*

66 არ ვაპირებ, რამე კრიტიკურში მოგცეთ იმისა, თუ რას ვგულისხმობ „წმინდა თვისებაში“, ანუ ფრეგესეულ ინტენსიაში. ძნელია არასადავო მაგალითების მოძებნა იმისთვის, რასაც მე ვგულისხმობდი. სიყვითლეს უთუოდ გამოხატავს საგნის ხილულ ფიზიკურ თვისებას და, ზემოთ ოქროს შესახებ მსჯელობასთან კავშირში, შეიძლება ჩაითვალოს თვისებად საჭირო აზრით. მაგრამ, რეალურად, გარკვეული რეფერენციული ელემენტისგან ბოლომდე თავისუფალი თვითონ ისიც არ არის, რადგან

ზოგადი ტერმინები, როგორებიცაა „ძროხა“ და „ვეფხვი“; მნიშვნელოვანი აზრით, არ გამოხატავს თვისებებს, თუკი ტრივიალურად არ ჩავთვლით თვისებად *ძროხად ყოფნას*. რა თქმა უნდა, „ძროხა“ და „ვეფხვი“ არ არის შემოკლებული აღნიშვნა იმ თვისებების კონიუნქციისა, რომელთა გამოყენებითაც ლექსიკონი განმარტავდა მათ, როგორც ამას მილი ფიქრობდა. შეიძლება თუ არა, მეცნიერებამ ემპირიულად აღმოაჩინოს, რომ გარკვეული თვისებები აუცილებელია ძროხებისათვის, ან ვეფხვებისათვის, სხვა შეკითხვაა, რომელსაც მე დადებით პასუხს ვცემ.

ვნახოთ, როგორ მიესადაგება ეს სამეცნიერო აღმოჩენების გამოხატველ იგივეობის დებულებებს, რომლებზეც ადრე ვილაპარაკე – ვთქვათ, დებულებას, რომ წყალი არის H_2O . უთუოდ აღმოჩენა იყო ის, რომ წყალი არის H_2O . ჩვენ თავიდან წყლის იდენტიფიცირებას ვაკეთებდით მისთვის დამახასიათებელი შეგრძნებით, გარეგნობით და, ალბათ, გემოთი (თუმცა, გემო ჩვეულებრივ შეიძლება შენარევებით იყოს გამოწვეული). თუ იარსებებდა ნივთიერება, თუნდაც აქტუალურად, რომელსაც წყლისგან სრულიად განსხვავებული ატომური სტრუქტურა ექნებოდა, მაგრამ ამ ასპექტებით წყლის მსგავსი იქნებოდა, განა ჩვენ ვიტყვოდით, რომ წყლის ზოგიერთი ნიმუში არ არის H_2O ? ვფიქრობ, რომ არა. ჩვენ, სანაცვლოდ, ვიტყვოდით, რომ ზუსტად ისევე, როგორც არსებობს სულელის ოქრო, შეიძლება არსებობდეს სულელის წყალი – ნივთიერება, რომელსაც, მართალია, აქვს ის თვისებები, რომლებითაც ჩვენ თავიდან წყლის იდენტიფიცი-

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით სიყვითლე გამოირჩევა და ხისტად აღინიშნება, როგორც ამ საგნის ეს გარეგანი ფიზიკური თვისება, რომელსაც ჩვენ *სიყვითლის მხედველობითი შთაბეჭდილების* მეშვეობით შევიგრძნობთ. ამ თვალსაზრისით, ის ჰგავს ბუნებრივი გვარების აღმნიშვნელ სიტყვებს. თვითონ შეგრძნების ფენომენოლოგიური ხასიათი, მეორე მხრივ, შეიძლება მივიჩნიოთ *ქვალად** გარკვეული წმინდა აზრით. ალბათ, საკმაოდ ბუნდოვნად ვლაპარაკობ ამ საკითხებზე, მაგრამ მეტად დაზუსტება აქ აუცილებლად არ მიმაჩნია.

რებას ვაკეთებდით, მაგრამ ის, ფაქტობრივად, არ არის წყალი. და ეს, ჩემი აზრით, ეხება არა მხოლოდ აქტუალურ სამყაროს, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვენ კონტრაქტობრივ სიტუაციებზე ვლაპარაკობთ. რომ არსებულიყო ნივთიერება, რომელიც სულელის წყალია, მაშინ ის იქნებოდა სულელის წყალი და არა წყალი. მეორე მხრივ, თუ ამ ნივთიერებას შეუძლია მიიღოს სხვა ფორმა, მაგალითად, წყლის პოლიმერის ფორმა, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, საბჭოთა კავშირში აღმოაჩინეს, და რომლის მაიდენტიფიცირებელი ნიშნებიც ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც ახლა ვუწოდებთ წყალს, მაშინ ის იქნება წყლის ფორმა, რადგან ის იგივე ნივთიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს გარეგანი ნიშნები, რომლებითაც ჩვენ თავიდან წყლის იდენტიფიცირებას ვაკეთებდით.

განვიხილოთ დებულება: „სინათლე არის ფოტონების ნაკადი“ ან „სითბო არის მოლეკულების მოძრაობა“. სინათლეზე ლაპარაკისას, რასაკვირველია, ვგულისხმობ რაღაცას, რაც გარკვეული რაოდენობით ამ ოთახში გვაქვს. როცა ვლაპარაკობ სითბოზე, ვრეფერირებ არა შინაგან შეგრძნებაზე, რომელიც ვინმეს შეიძლება ჰქონდეს, არამედ გარეგან ფენომენზე, რომელსაც ჩვენ შეგრძნებით აღვიქვამთ; ის წარმოშობს დამახასიათებელ შეგრძნებას, რომელსაც ჩვენ სითბოს შეგრძნებას ვუწოდებთ. სითბო მოლეკულების მოძრაობაა. ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ, რომ სითბოს ზრდა შეესაბამება მოლეკულების მოძრაობის ზრდას, ან, მკაცრად თუ ვიტყვით, მოლეკულათა საშუალო კინეტიკური ენერგიის ზრდას. ამრიგად, ტემპერატურა გაიგივებულია მოლეკულათა საშუალო კინეტიკური ენერგიასთან. მაგრამ მე არ ვილაპარაკებ ტემპერატურაზე, რადგან არსებობს კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს რეალური სკალა. ის შეიძლება განისაზღვროს, უბრალოდ, მოლეკულათა საშუალო კინეტიკური ენერგიით.⁶⁷ მაგრამ საინტერესო

67 რა თქმა უნდა, ისმის კითხვა ტემპერატურის სტატისტიკურ მექანიკურ ცნებასა და, მაგალითად, მის თერმოდინამიკულ ცნებას შორის

ვენომენოლოგიური აღმოჩენა ის არის, რომ, როცა მეტად ცხელა, მოლექულები უფრო სწრაფად მოძრაობენ. აგრეთვე, ჩვენ სინათლის შესახებ აღმოვაჩინეთ, რომ სინათლე ფოტონების ნაკადია; ალტერნატიულად, ის არის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნაკადი. თავიდან ჩვენ სინათლის იდენტიფიცირებას ვაკეთებდით დამახასიათებელი შინაგანი მხედველობითი შთაბეჭდილებებით, რომელთაც ის ჩვენში წარმოშობს, და რომელთა წყალობითაც შეგვიძლია რამე დავინახოთ. მეორე მხრივ, სითბოს იდენტიფიცირებას ჩვენ თავიდან ვაკეთებდით იმ დამახასიათებელი ზემოქმედებით, რომელსაც ის ჩვენი ნერვული დაბოლოებების თუ შეხების ჩვენი შეგრძნების ერთ ასპექტზე ახდენს.

წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც ადამიანები უსინათლოები არიან, ან მათ თვალები არ უმუშავებთ. მათზე სინათლე არავითარ გავლენას არ ახდენს. იქნებოდა თუ არა ეს ის სიტუაცია, რომელშიც სინათლე არ არსებობს? მე მეჩვენება, რომ არ იქნებოდა. ეს იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც ჩვენი თვალები სინათლის მიმართ მგრძობიარე არ იქნებოდა. ზოგიერთ არსებას შეიძლება ჰქონდეს თვალები, რომლებიც არ არის სინათლის მიმართ მგრძობიარე. ასეთ არსებებს შორის, სამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანიც არის, რა თქმა უნდა; მათ „უსინათლოებს“ ვუწოდებთ. თუნდაც ყველა ადამიანს განვითარებაში საშინელი დარღვევა ჰქონოდა და საერთოდ არაფრის დანახვა არ შეეძლებოდა, მაინც შეიძლება, რომ ჩვენ გარშემო სინათლე არსებულიყო; თუმცა, ის ადამიანთა თვალებზე სათანადოდ ზემოქმედებას ვერ შეძლებდა. შესაბამისად, მე მეჩვენება, რომ ასეთი სიტუაცია იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც არსებობს სინათლე, მაგრამ ადამიანები ვერ ხედავენ მას. ასე რომ, მართალია, ჩვენ შეიძლება სინათლის იდენტიფიცირებას იმ დამახასიათებელი მხედველობითი შთაბეჭდილებით ვაკეთებდეთ, რომელსაც ის ჩვენში იწვევს,

ურთიერთმიმართების შესახებ. მე მირჩენია, ამ მსჯელობაში ასეთ საკითხებს გვერდი ავუარო.

მაგრამ ეს რეფერენციის დაფიქსირების კარგი მაგალითი უფროა. ჩვენ ვაფიქსირებთ, თუ რა არის სინათლე, იმ ფაქტით, რომ ეს არის ის რალაც გარე სამყაროში, რაც ჩვენს თვალეზზე გარკვეული სახით ზემოქმედებს. მაგრამ თუ ახლა ვილაპარაკებდით კონტრფაქტობრივ სიტუაციაზე, რომელშიც ადამიანები, ვთქვათ, უსინათლოები არიან, მაშინ არ ვიტყვით, რომ, რადგან ასეთ სიტუაციებში ამ სახით ვერაფერი იმოქმედებდა მათ თვალეზზე, სინათლეს არ იარსებებდა; ამის ნაცვლად, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც სინათლე – ის ობიექტი, რომლის იდენტიფიკაციაც ჩვენ გავაკეთეთ, როგორც რალაცისა, რის მეშვეობითაც ჩვენ ფაქტობრივად შეგვიძლია რამე დავინახოთ – არსებობს, მაგრამ ვერ გვეზმარება რამის დანახვაში ჩვენი გარკვეული დეფექტის გამო.

აღბათ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ, რალაც სასწაულის ძალით, რალაც არსებას ბგერითი ტალღების მეშვეობით შეუძლია დანახვა. მე ვგულისხმობ, რომ ისინი მასში ზუსტად ისეთ მხედველობით შთაბეჭდილებებს იწვევს, როგორებიც ჩვენ გვაქვს – შეიძლება ფერების ზუსტად იმავე შეგრძნებასაც. შეგვიძლია, აგრეთვე, წარმოვიდგინოთ, რომ იგივე არსება სრულებით უგრძნობია სინათლის (ფოტონების) მიმართ. ვინ იცის, როგორი წარმოუდგენელი ფაქიზი შესაძლებლობები არსებობს? განა ვიტყვით, რომ ასეთ შესაძლო სამყაროში ბგერა იქნებოდა ის, რაც სინათლეა, რომ ჰაერში ეს ტალღური მოძრაობები სინათლე იქნებოდა? მე მერვენება, რომ, თუკი მოცემული გვაქვს სინათლის ჩვენი ცნება, ეს სიტუაცია სხვანაირად უნდა აღვწეროთ. ეს იქნებოდა სიტუაცია, რომელშიც გარკვეული არსებები, შეიძლება ისინიც კი, რომელთაც ჩვენ „ადამიანებს“ ვუწოდებდით და რომლებიც ამ პლანეტაზე იცხოვრებდნენ, მგრძნობიარენი იქნებოდნენ არა სინათლის, არამედ ბგერითი ტალღების მიმართ – მგრძნობიარენი მათ მიმართ ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვართ მგრძნობიარენი სინათლის მიმართ. თუკი ასეა, მაშინ, მას შემდეგ, რაც აღმოვა-

ჩინეთ, თუ რა არის სინათლე, როცა ვლაპარაკობთ სხვა შესაძლო სამყაროებზე, ჩვენ ვლაპარაკობთ სამყაროს ამ ფენომენზე, და არ ვიყენებთ „სინათლეს“; როგორც ფრაზას, რომელიც *სინონიმა* ფრაზისა – „ის, რაც გვაძლევს მხედველობით შთაბეჭდილებებს – რის მეშვეობითაც შეგვიძლია რამის დანახვა“; რადგან, შეიძლება, სინათლეს ეარსება, მაგრამ მისი მეშვეობით ვერაფერი დაგვენახა; მეტიც, შეიძლება სხვა რაღაცის მეშვეობით დაგვენახა. ის ხერხი, რომლითაც ჩვენ სინათლის იდენტიფიცირებას ვაკეთებდით, ავიქსირებდა რეფერენციას.

ანალოგიურია ვითარება სხვა ისეთი ფრაზებისთვის, როგორცაა „სითბო“. აქ სითბო არის რაღაც, რის იდენტიფიცირებასაც ჩვენ ვაკეთებთ (და მისი სახელის რეფერენცია დავაფიქსირეთ) მის მიერ გარკვეული შეგრძნების გამოწვევით, რომელსაც „სითბოს შეგრძნებას“ ვუწოდებთ. ამ შეგრძნებისთვის ჩვენ არ გვაქვს სპეციალური სახელი, გარდა სითბოს შეგრძნებისა. საინტერესოა, რომ ენა ასეთია. მაშინ, როდესაც, იმის საფუძველზე, რასაც მე ვამბობ, შეიძლება გეფიქრათ, რომ სხვანაირად უნდა იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ სითბოს იდენტიფიცირებას ვაკეთებთ და მისი შეგრძნება შეგვიძლია იმ ფაქტით, რომ ის ჩვენში გარკვეულ – სითბოს – შეგრძნებას იწვევს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ცნებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ მისი რეფერენცია სწორედ ასე ფიქსირდება, რომ თუკი ვინმე სხვა სითბოს რაღაც ინსტრუმენტით ამოიცნობს, მაგრამ ვერ გრძნობს მას, შეიძლება გვდომებოდა, გვეთქვა, თუ ასე გვიჩვენია, რომ სითბოს მისი ცნება არ არის იგივე, იმის მიუხედავად, რომ რეფერენტი იგივეა.

ამის მიუხედავად, სიტყვა „სითბო“ არ ნიშნავს: „ის, რაც ადამიანებს ამ შეგრძნებებს აღუძრავს.“ ჯერ ერთი, ადამიანები შეიძლება არ ყოფილიყვნენ სითბოს მიმართ მგრძნობიარენი, მაგრამ სითბოს მაინც ეარსება გარე სამყაროში. მეორეც, დავუშვათ, რომ ნერვულ დაბოლოებებში რაღაც განსხვავებების გამო, მათ ამ შეგრძნებებს, როგორღაც, სინათლის სხივები აღუძრავენ. მაშინ სით-

ბო კი არა, სინათლე იქნებოდა ის, რაც ადამიანებს იმ შეგრძნებას აღუძრავს, რომელსაც ჩვენ სითბოს შეგრძნებას ვუწოდებთ.

მაშინ ხომ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შესაძლო სამყარო, რომელშიც სითბო არ იქნებოდა მოლეკულათა მოძრაობა? ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ აღმოვაჩინეთ, რომ სითბო არ ყოფილა მოლეკულათა მოძრაობა. მე მგონია, რომ ნებისმიერი შემთხვევა, რომელსაც ვინმე წარმოიდგენს და თავიდან იფიქრებს, რომ ეს არის შემთხვევა, რომელშიც სითბო – იმის საპირისპიროდ, რაც სინამდვილეში ხდება – იქნებოდა არა მოლეკულათა მოძრაობა, არამედ რაღაც სხვა, სინამდვილეში იქნება შემთხვევა, რომელშიც ჩვენგან განსხვავებული ნერვული დაბოლოებების მექონე რაღაც არსებები იცხოვრებდნენ ამ პლანეტაზე (შეიძლება ეს თავად ჩვენც ვყოფილიყავით, თუ ჩვენ შესახებ შემთხვევითი ფაქტია ის, რომ კონკრეტულად ასეთი ნეიროფიზიოლოგიური სტრუქტურა გვაქვს) და რომელშიც ეს არსებები მგრძობიარენი იქნებოდნენ იმ სხვა რამის, ვთქვათ, სინათლის მიმართ ისეთი სახით, რომ ისინი იმავეს იგრძნობდნენ, რასაც ჩვენ, როცა სითბოს ვგრძნობთ. მაგრამ ეს არ არის სიტუაცია, რომელშიც, ვთქვათ, სინათლე იქნებოდა სითბო, ან, თუნდაც, ფოტონების ნაკადი იქნებოდა სითბო; სანაცვლოდ, ეს არის სიტუაცია, რომელშიც ფოტონების ნაკადი გამოიწვევდა დამახასიათებელ შეგრძნებებს, რომლებსაც ჩვენ „სითბოს შეგრძნებებს“ ვუწოდებთ.

ანალოგიურია ვითარება ბევრი სხვა ასეთი იგივეობისთვისაც, ვთქვათ, რომ ელვა არის ელექტრობა. გაელვება არის ელექტრობის გაელვება. ელვა არის ელექტრული განმუხტვა. რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვა მექანიზმი, რომლითაც შეიძლება ღამით ცა იმავე სახის გაელვებამ გაანათოს ყოველგვარი ელექტრული განმუხტვის გარეშე. ამ შემთხვევაშიც, მე იმისკენ ვიხრები, რომ ამის წარმოდგენისას ჩვენ წარმოვიდგენთ რაღაცას, რასაც ელ-

ვის ყველა ვიზუალური გამოვლინება აქვს, მაგრამ ფაქტობრივად არ არის ელვა. შეიძლება, ვინმემ გვითხრას: ეს ელვასავით გამოიყურებოდა, მაგრამ არ იყო ელვა. მე ვფიქრობ, რომ ეს ახლაც კი შეიძლება მოხდეს. შეიძლება, ვინმემ რაღაც მახვილგონივრული აპარატის მეშვეობით ცაში გამოიწვიოს მოვლენა, რომელიც ადამიანებს გააბრიყვებს და აფიქრებინებს, რომ ეს ელვაა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არავითარი ელვა არ ყოფილა. ეს მოვლენა განსხვავებული იქნებოდა ელვისგან, რომელიც ელექტრული განმუხტვის მოვლენაა; და ეს არის არა ელვა, არამედ მხოლოდ რაღაც, რაც ჩვენ შეცდომით გვაფიქრებინებს, რომ ელვაა.

მაინც რა ხდება ასეთ შემთხვევებში? მაგალითად, დებულეზის „სითბო არის მოლექულათა მოძრაობა“ შემთხვევაში? არსებობს გარკვეული რეფერენტი, რომელიც ჩვენ დავაფიქსირეთ – რეალური სამყაროსათვის და ყველა შესაძლო სამყაროსათვის – მისი შემთხვევითი თვისებით, სახელდობრ, იმით, რომ მას შეუძლია გარკვეული სახის შეგრძნება წარმოქმნას ჩვენში. დავუშვათ, სითბოს ეს შემთხვევითი თვისება ისაა, რომ ის ადამიანებში გარკვეული სახის შეგრძნებებს იწვევს. ბოლოს და ბოლოს, შემთხვევითი ფაქტია ის, რომ საერთოდ უნდა არსებობდნენ ადამიანები ამ პლანეტაზე. ამრიგად, ჩვენ აპრიორულად არ ვიცით, თუ რა ფიზიკური ფენომენია (აღწერილი სხვა სიტყვებით – აღწერილი ფიზიკური თეორიის ბაზისური ტერმინებით) ის ფენომენი, რომელიც ამ შეგრძნებებს იწვევს. ჩვენ არ ვიცით ეს, და, საბოლოო ჯამში, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს ფენომენი, ფაქტობრივად, მოლექულეზის მოძრაობაა. როცა ჩვენ ეს აღმოვაჩინეთ, ჩვენ აღმოვაჩინეთ იგივეობა, რომელიც გვაძლევს ამ ფენომენის არსებით თვისებას. ჩვენ აღმოვაჩინეთ ფენომენი, რომელიც ყველა შესაძლო სამყაროში იქნება მოლექულეზის მოძრაობა – რომელიც, შეუძლებელია, არ ყოფილიყო მოლექულეზის მოძრაობა, რადგან სწორედ ესაა ის, რაც არის ეს ფენომენი.⁶⁸ მეორე მხრივ, თვისება, რომლი-

68 ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ მართალია, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ

თაც ჩვენ თავიდან ვაკეთებდით მის იდენტიფიცირებას – რომ ის იწვევდა ამა და ამ შეგრძნებას ჩვენში – არის არა აუცილებელი, არამედ შემთხვევითი თვისება. ზუსტად ამ ფენომენს შეიძლება ეწოდება, მაგრამ ჩვენს ნეიროფიზიოლოგიურ ან სხვა სტრუქტურებში განსხვავებების გამო ის ჩვენ არ შეგვეგრძნო, როგორც სითბო. სინამდვილეში, როცა მე ვამბობ „ჩვენი ნეიროფიზიოლოგიური სტრუქტურები“, ანუ ისეთი, როგორიც ადამიანებს აქვთ, მე ვაბათილებ აზრს, რომელიც ადრე გამოვთქვი; რადგან, რასაკვირველია, შეიძლება თვით ადამიანების ბუნების ნაწილი იყოს ის, რომ მათ აქვთ ნეიროფიზიოლოგიური სტრუქტურები, რომლებიც მგრძნობიარეა სითბოს მიმართ. ამდენად, ესეც შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი, თუკი სათანადო კვლევები ამას გვაჩვენებს. ამას მე უბრალოდ უგულებელვყოფ, რათა გავამარტივო მსჯელობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემი აზრით, აუცილებელი არ არის, რომ ამ პლანეტაზე ეცხოვრათ არსებებს, რომელთაც სითბოს მიმართ ასეთი მგრძნობელობა ექნებოდათ.

დავასრულებ რამდენიმე შენიშვნით იმის შესახებ, თუ რა შედეგები აქვს აქამდე გადმოცემულ მოსაზრებებს ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისის შესახებ მიმდინარე დებატებისთვის.

ვიტყვი, რომ ბგერითი ტალღები „სითბო იქნებოდა“, მათ რომ იმ შეგრძნებებით შევიგრძნობდეთ, რომლებითაც სითბოს შევიგრძნობთ, მაგრამ ეს სიტუაცია განსხვავებულია შესაძლო ფენომენის შემთხვევაში, რომელიც არ არსებობს აქტუალურ სამყაროში და არ არის მოლექულების მოძრაობა. ამბობენ, რომ შეიძლება არსებობდეს სითბოს ფორმა, რომელიც განსხვავდება „ჩვენი სითბოსგან“ და არ იქნება მოლექულათა მოძრაობა; მაგრამ ეს ვერ იქნება ვერც ერთი აქტუალურად არსებული ფენომენი, რომელიც არ არის მოლექულათა მოძრაობა, როგორცაა, მაგალითად, ბგერა. ანალოგიური მტკიცებები ისმის ოქროსა და სინათლისთვის. მართალია, მე არ ვიზიარებ ამ შეხედულებებს, მაგრამ ჩემი ლექციების შინაარსისთვის ისინი მაინც არ არის დიდად მნიშვნელოვანი. მას, ვინც ამ შეხედულებებს იზიარებს, შეუძლია, უბრალოდ შეცვალოს სიტყვები „სინათლე“, „სითბო“, „ტკივილი“, და ა. შ. ფრაზებით „ჩვენი სინათლე“, „ჩვენი სითბო“, „ჩვენი ტკივილი“ და ა. შ. ამიტომ ამ საკითხის განხილვაზე დროს აღარ დავკარგავ.

მაგრამ, სანამ ამ საქმეს შევეუდგები, მინდა შევაჯამო ის თვალსაზრისი, რომელიც ჩამოვაყალიბე და, შეიძლება, ერთი-ორი მოსაზრებაც დავუმატო.

პირველი: ჩემი არგუმენტის იმპლიციტური დასკვნაა, რომ გარკვეული სახის ზოგად ტერმინებს – ბუნებრივი გვარების შესაბამის ტერმინებს – უფრო მეტი მსგავსება აქვთ საკუთარ სახელებთან, ვიდრე ამას საზოგადოდ აცნობიერებენ. ეს დასკვნა ეხება სახელების მრავალი ნაირსახეობიდან ზოგიერთს, იქნება ეს თვლადი სახელები, როგორებიცაა „კატა“, „ვეფხვი“, „ოქროს ზოდი“, თუ ნივთიერებათა სახელები, როგორებიცაა „ოქრო“, „წყალი“, „რკინის პირიტი“. ის, აგრეთვე, ეხება ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელ ზოგიერთ სიტყვას, როგორებიცაა „სითბო“, „სინათლე“, „ბგერა“, „ელვა“, და, სავარაუდოდ, თუ შესაფერისად დაზუსტდება, შესაბამის ზედსართავ სახელებს – „ცხელი“, „ხმამალაღი“, „წითელი“.

მილი, როგორც შეგახსენეთ, ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ „სინგულარულ სახელს“, სახელდობრ, განსაზღვრულ დესკრიფციებს, აქვს დენოტაციაც და კონოტაციაც, ხოლო სხვებს, ნამდვილ საკუთარ სახელებს, აქვს დენოტაცია, მაგრამ არ აქვს კონოტაცია. გარდა ამისა, მილი ამტკიცებდა, რომ „საზოგადო სახელებს“, ანუ ზოგად ტერმინებს აქვს კონოტაცია. ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ძროხა“ ან „ადამიანი“, განისაზღვრება გარკვეული თვისებების კონიუნქციით, რომლებიც გამოარჩევს მათ ექსტენსიას: მაგალითად, ადამიანი არის გარკვეული ფიზიკური მახასიათებლების მქონე რაციონალური ცხოველი. გვარისა და სახეობრივი განსხვავების მიხედვით განსაზღვრების ძველთაძველი ტრადიცია ამ კონცეფციის სახესხვაობაა. თუ კანტი მართლა ფიქრობდა, რომ „ოქრო“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ყვითელი ლითონი“, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ ტრადიციამ უბიძგა მას ამ აზრისაკენ. („ლითონი“ იქნებოდა გვარი, ხოლო „ყვითელი“ – განმასხვავებელი ნიშანი. განმასხვავებელი ნიშანი ვერ იქნებოდა „არის ოქრო“ წრიულობის გარეშე.)

ლოგიკის თანამედროვე ტრადიცია, რომელსაც წარმოადგენენ ფრეგე და რასელი, არ დაეთანხმა მილს სინგულარული სახელების საკითხის თაობაზე, მაგრამ მიიღო მისი თვალსაზრისი ზოგადი სახელების თაობაზე. ამრიგად, ყველა სახელს, როგორც სინგულარულს, ისე ზოგადს, აქვს „კონოტაცია“ ანუ ფრეგესეული საზრისი. მომდევნო პერიოდის თეორეტიკოსები ფრეგეს და რასელს მისდევნენ და მათ თვალსაზრისში მხოლოდ ერთი ცვლილება შეაქვეთ: საზრისის, როგორც თვისებების კონკრეტული კონიუნქციით მოცემულის, გაგებას ცვლიან საზრისის გაგებით, როგორც მოცემულია თვისებების „კლასტერით“, რომელთაგანაც მხოლოდ *საკმარაოდენობა* უნდა სრულდებოდეს. აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი პირდაპირ შეაბრუნებს ფრეგეს და რასელს და (მეტ-ნაკლებად) *ეთანხმება* მილის თვალსაზრისს სინგულარულ ტერმინებზე, მაგრამ *უარყოფს* მის თვალსაზრისს ზოგად ტერმინებზე.

მეორე: აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, სახეობების სახელების შემთხვევაში, ისევე, როგორც საკუთარი სახელებისთვის, უნდა გავითვალისწინოთ კონტრასტი, ერთი მხრივ, აპრიორულ, მაგრამ ალბათ შემთხვევით თვისებებს, რომლებიც სახელით მოიაზრება იმ კონკრეტული ხერხის ძალით, რომლითაც მისი რეფერენცია დაფიქსირდა, და, მეორე მხრივ, ანალიზურ (და, ამდენად, აუცილებელ) თვისებებს შორის, რომლებიც შეიძლება ამ სახელით მოიაზრებოდეს მისი მნიშვნელობის ძალით. სახეობების სახელებისთვის, ისევე, როგორც საკუთარი სახელებისთვის, ის ხერხი, რომლითაც სახელის რეფერენცია ფიქსირდება, არ უნდა ჩაითვალოს სახელის სინონიმად. საკუთარი სახელების შემთხვევაში რეფერენცია შეიძლება სხვადასხვაგვარად დაფიქსირდეს. საწყისი ნათლობის შემთხვევაში ის, ტიპურად, ოსტენსიით ან დესკრიფციით ფიქსირდება. სხვა შემთხვევაში რეფერენცია, როგორც წესი, განისაზღვრება ჯაჭვით, რომლის ერთი რგოლიდან მეორესაც გადაეცემა სახელი. იგივე მოსაზრებები ძალაშია ისეთი ზოგადი სახელებისთვის, როგორცაა „ოქრო“. თუ წარმოვიდ-

გენტ ნივთიერების მონათვლის ჰიპოთეზურ (ვალიარებ, რამდენადმე ხელოვნურ) შემთხვევას, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას გამოვარჩევთ რაღაც ისეთი „დეფინიციით“, როგორცაა, ვთქვათ, „ოქრო არის ნივთიერება, რომლის ინსტანციებია აი ეს საგნები, ან, სულ მცირე, მათი უმრავლესობა.“ ყურადღების ღირსია ამ მონათვლის რამდენიმე თავისებურება. პირველი, ამ „დეფინიციაში“ იგივეობა არ გამოხატავს (ბოლომდე) აუცილებელ ჭეშმარიტებას: მართალია, ამ ნივთებიდან თითოეული, მართლაც, არსებითად (აუცილებლად) არის ოქრო,⁶⁹ მაგრამ ოქროს შეიძლება ეარსება, თუნდაც ამ ნივთებს არ ეარსებათ. თუმცა, ეს დეფინიცია გამოხატავს აპრიორულ ჭეშმარიტებას იმავე აზრით, რა აზრითაც (და იმავე დაზუსტებებით, რომელი დაზუსტებებითაც) აპრიორულ ჭეშმარიტებას გამოხატავს „ერთი მეტრი = S-ის სიგრძე“: ის აფიქსირებს რეფერენციას. მე მჯერა, რომ, საზოგადოდ, ბუნებრივი გვარების (მაგალითად, ცხოველი, ბოსტნეული, ასევე, ქიმიური გვარები) სახელების რეფერენცია ამავე წესით ფიქსირდება; ნივთიერება განისაზღვრება, როგორც გვარი, რომელიც ინსტანცირებულია მოცემული ნიმუშებით (ან თითქმის ყველა მათგანით). შეზღუდვა „თითქმის ყველა“ უშვებს, რომ ნიმუშებს შორის იყოს სულელის ოქროსგან გაკეთებული ნივთები. თუ საწყის ნიმუშებს შორის ცოტაა დევიანტური ნივთი, მათ უკუაგდებენ, როგორც ნივთებს, რომლებიც სინამდვილეში არ ყოფლა ოქრო. თუ, მეორე მხრივ, დაშვება, რომ საწყისი ნიმუშები ერთ ერთგვაროვან ნივთიერებას ან გვარს წარმოადგენენ, უფრო რადიკალურად მცდარი აღმოჩნდება, რეაქციები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება გამოვაცხადოთ, რომ ორი

69 რა თქმა უნდა, იმ დაშვებით, რომ ყველა მათგანი ოქროა; როგორც ქვემოთ ვიტყვი, ზოგიერთი მათგანი შეიძლება სულელის ოქროსგან იყოს გაკეთებული. ჩვენ წინასწარ, აპრიორულად ვიცით, რომ არ არის მართალი, რომ ტიპურად ნივთები სულელის ოქროსგანაა გაკეთებული; და ყველა ის ნივთი, რომელიც მართლა არის ოქროსგან გაკეთებული, რა თქმა უნდა, არსებითად არის ოქრო.

სახის ოქრო არსებობს, ზოგიერთ შემთხვევაში კი უარი ვთქვათ ტერმინზე „ოქრო“ (არ ვგულისხმობ, რომ ამით ამოიწურება ყველა შესაძლებლობა). ეს ვითომდა ახალი გვარი შეიძლება ილუზორულიც კი აღმოჩნდეს სხვა მიზეზების გამო. მაგალითად, დავუშვათ, აღმოვაჩინეთ ზოგიერთი ნივთი (მათ სიმრავლეს ვუწოდოთ I), რომლებიც, ჩვენი რწმენით, ახალ K გვარს მიეკუთვნება. დავუშვათ, მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ I სიმრავლეში შემავალი ნივთები მართლაც ერთ გვარს მიეკუთვნება; მაგრამ ისინი მიეკუთვნება მანამდე უკვე ცნობილ გვარს, L-ს. დაკვირვებაში დაშვებულმა შეცდომამ მიგვიყვანა თავდაპირველ მცდარ რწმენასთან, რომ I სიმრავლეში შემავალ ნივთებს აქვთ გარკვეული C თვისება, რის გამოც ისინი L-იდან გამოვრიცხეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ უთუოდ ვიტყვით, რომ K გვარი არ არსებობს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ის განსაზღვრული იყო ერთგვაროვანი ნიმუშების საწყის ჯგუფზე რეფერენციით. (ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მანამდე L რომ არ ყოფილიყო იდენტიფიცირებული, შეიძლება გვეთქვა, რომ K გვარი არსებობს, მაგრამ ჩვენ ვცდებოდით, როცა ვფიქრობდით, რომ ის დაკავშირებულია C თვისებასთან!) იმდენად, რამდენადაც ცნება „იგივე გვარი“ ბუნდოვანია, ბუნდოვანია ოქროს საწყისი ცნებაც. ჩვეულებრივ, ეს ბუნდოვანება არ ახდენს გავლენას პრაქტიკაზე.

გრძნობადად ალქმადი ბუნებრივი მოვლენის შემთხვევაში რეფერენციის გამორჩევა მარტივად ხდება: „სითბო = ის, რაც შეიგრძნობა S შეგრძნებით.“ კიდევ ერთხელ, იგივეობა აფიქსირებს რეფერენციას: ამდენად, ის არის აპრიორული, მაგრამ არა აუცილებელი, რადგან, შესაძლოა, ეარსება სითბოს, ხოლო ჩვენ არ გვეარსება. „სითბო“, „ოქროს“ მსგავსად, ხისტი აღმნიშვნელია, რომლის რეფერენციაც ფიქსირდება მისი „დეფინიციით“ სხვა ბუნებრივი მოვლენები, როგორც, მაგალითად, ელექტრობა, თავიდან იდენტიფიცირდება, როგორც გარკვეული კონკრეტული ექს-

პერიმენტული შედეგების მიზეზები. მე აქ არ ვცდილობ, სრული დახასიათება მოგცეთ; მხოლოდ მაგალითებით შემოვიფარგლები.

მესამე: ბუნებრივი გვარების შემთხვევაში გარკვეული თვისებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, უხეშად მაინც ახასიათებს გვარს და სრულდება საწყისი ნიმუშებისთვის, გამოიყენება იმისათვის, რომ გვარს მივაკუთვნოთ ახალი ნივთები, რომლებიც არ მიეკუთვნება საწყისი ნიმუშების სიმრავლეს („თვისებები“ აქ გამოყენებულია ფართო აზრით და შეიძლება მოიცავდეს უფრო დიდ გვარებს: მაგალითად, ცხოველთა სამყაროსა და კატისებრთა ოჯახის კუთვნილება ვეფხვებისათვის). აუცილებელი არ არის, რომ ეს თვისებები გვარისათვის აპრიორულად იყოს ძალაში; შემდგომი ემპირიული კვლევით შეიძლება დადგინდეს, რომ ზოგიერთი თვისება არ ჰქონდა საწყის ნიმუშებს, ან რომ ისინი საწყისი ნიმუშების სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენდნენ, რომლებიც არ უნდა განვაზოგადოთ მთელი გვარისთვის (მაგალითად, ოქროს სიყვითლე შეიძლება ოპტიკური ილუზია იყოს; ან, უფრო დამაჯერებელი შესაძლებლობა რომ წარმოვიდგინოთ, თუმცა ოქრო, რომელიც თავიდან ვნახეთ, მართლა ყვითელი იყო, მაინც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ოქროს ზოგიერთი ნიმუში თეთრია). მეორე მხრივ, ნივთს შეიძლება ჰქონდეს ყველა ის თვისება, რომელიც თავიდან გამოვიყენეთ, და მაინც არ მიეკუთვნებოდეს ამ გვარს. ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცხოველი შეიძლება ზუსტად ვეფხვივით გამოიყურებოდეს, მაგრამ არ იყოს ვეფხვი; პერიოდული სისტემის ერთი სვეტის სხვადასხვა ელემენტი შეიძლება ერთმანეთს საკმაოდ ჰგავდეს. ასეთი შემთხვევები გამოწვევისა; მაგრამ, ისევე, როგორც პერიოდული სისტემის შემთხვევაში, ისინი არსებობს. (ზოგჯერ იმ ფაქტმა, რომ ნიმუშების საწყის ჯგუფს არ აღმოაჩნდა მასთან ასოცირებული მახასიათებლები, შეიძლება მიგვიყვანოს ამ სახეობის არსებობის უარყოფამდე, როგორც ზემოთ განხილულ I-K-L შემთხვევაში. მაგრამ ეს ფენომენი არ არის ტიპური, მით უფრო, უნივერსალური; იხი-

ლეთ შენიშვნები ოქროს სიყვითლის, ან კატების ცხოველობის შესახებ.) აპრიორულად ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ემპირიული საკითხია, ახასიათებს თუ არა გვართან თავიდან ასოცირებული მახასიათებლები მის ყველა წევრს უნივერსალურად, ან, თუნდაც, რომელიმე მათგანს, და არის თუ არა ფაქტობრივად ეს თვისებები ერთობლივად საკმარისი გვარის წევრობისათვის. (უაღრესად არადაამაჯერებელია, რომ ერთობლივი საკმარისობა აუცილებელი იქნება, მაგრამ ის შეიძლება იყოს *ჭეშმარიტი*. ფაქტობრივად, ნებისმიერი ცხოველი, რომელიც ზუსტად ვეფხვივით გამოიუყურება, არის ვეფხვი – იმდენად, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი – თუმცა (მეტაფიზიკურად) *შესაძლებელია*, რომ არსებობდნენ ცხოველები, რომლებიც ჰგვანან ვეფხვებს, მაგრამ არ არიან ვეფხვები. უნივერსალური მიყენებადობა, მეორე მხრივ, თავისუფლად შეიძლება აუცილებელი იყოს, თუ ის *ჭეშმარიტია*. აღმოჩნდა, რომ „კატა ცხოველია“ აუცილებელი *ჭეშმარიტებაა*. მართლაც, ბევრი ასეთი დებულების, განსაკუთრებით, დებულებების, რომლებიც ერთ სახეობას მეორეს უქვემდებარებს, შესახებ ჩვენ აპრიორულად ვიცით, რომ, თუ ისინი საერთოდ *ჭეშმარიტია*, მაშინ ისინი აუცილებლად *ჭეშმარიტია*.)

მეოთხე: სამეცნიერო კვლევა, საზოგადოდ, აღმოაჩენს ოქროს მახასიათებლებს, რომლებიც ბევრად უკეთესია, ვიდრე თვისებათა თავდაპირველი *ჯგუფი*. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მატერიალური საგანი (წმინდა) ოქროა მაშინ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთადერთი ელემენტი, რომელსაც ის შეიცავს, არის ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 79. აქ „მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც“ შეიძლება გავიგოთ, როგორც მკაცრი (აუცილებელი) ეკვივალენცია. საზოგადოდ, მეცნიერება ცდილობს, ბაზისური სტრუქტურული ნიშნების კვლევით აღმოაჩინოს გვარის ბუნება და, ამდენად, არსება (ფილოსოფიური აზრით). ბუნებრივი მოვლენების შემთხვევაც ამის მსგავსია; ისეთი თეორიული იგივეობები, როგორიცაა „სითბო არის მოლეკულათა მოძრაობა“, აუცი-

ლებელია, თუმცა არ არის აპრიორული. თვისებების იგივეობის ის ტიპი, რომელიც მეცნიერებაში გამოიყენება, როგორც ჩანს, ასოცირებულია აუცილებლობასთან, მაგრამ არა აპრიორულობასთან ან ანალიზურობასთან. ყოველი ორი x და y სხეულისათვის x y -ზე უფრო თბილია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც x -ს აქვს მოლექულათა უფრო მაღალი საშუალო კინეტიკური ენერგია, ვიდრე y -ს. აქ პრედიკატების კოექსტენსიურობა აუცილებელია, მაგრამ არ არის აპრიორული. ატრიბუტის ფილოსოფიური ცნება, მეორე მხრივ, თითქოს მოითხოვს აპრიორულ (და ანალიზურ) კოექსტენსიურობას, ისევე, როგორც – აუცილებელ კოექსტენსიურობას.

ყურადღება მიაქცევთ იმას, რომ აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, სახეობის არსების სამეცნიერო აღმოჩენები არ იწვევს „მნიშვნელობის შეცვლას“; ასეთი აღმოჩენების შესაძლებლობა იმთავითვე იგულისხმებოდა ამ წამოწყებაში. ჩვენ იმის დაშვებაც კი არ გვჭირდება, რომ, ბიოლოგის მიერ იმის უარყოფა, რომ ვეშაპი თევზია, გვაჩვენებს, რომ „თევზობის მისი ცნება“ განსხვავდება არაპროფესიონალის შესაბამისი ცნებისგან; ის, უბრალოდ, შეუსწორებს არაპროფესიონალს თავისი აღმოჩენით, რომ აუცილებელი ჭეშმარიტებაა დებულება „ვეშაპი ძუძუმწოვარია და არა თევზი“ ნებისმიერ შემთხვევაში, არც „ვეშაპი ძუძუმწოვარია“ და არც „ვეშაპი თევზია“ არ იყო მიჩნეული არც აპრიორულად და არც ანალიზურად.

მეხუთე: ახლა აღნიშნული სამეცნიერო კვლევებისაგან დამოუკიდებლად, ხდება „ნიმუშების საწყისი ჯგუფის“ შევსება ახალი ნიმუშების აღმოჩენით.⁷⁰ (ოქროს შემთხვევაში ადამიანებმა უზარმაზარი ძალისხმევა მიუძღვნეს ამ ამოცანას. ის, ვისაც ადა-

70 აშკარაა, რომ ეს გაგებაც, მთლიანობაში, გარკვეულ ხელოვნურობას შეიცავს. მაგალითად, შეიძლება ძნელი იყოს იმის თქმა, რომელი ნივთები მიეკუთვნება ნიმუშების საწყის ჯგუფს. შეიძლება სხვადასხვა ადამიანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოეჩინა ოქრო. მე არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ასეთი გართულება რადიკალურად შეცვლიდა სურათს.

მიანის ბუნებრივ მეცნიერულ ცნობისმოყვარეობაში ეჭვი ეპარება, უნდა დაუფიქრდეს ამ შემთხვევას. მხოლოდ ისეთი ანტიმეცნიერული ფუნდამენტალისტები, როგორცაა ბრაიანი, სწამებენ ცილს ამ ძალისხმევას.) უფრო მნიშვნელოვანია, რომ სახეობის სახელი შეიძლება გადაეცეს ჯაჭვის ერთი რგოლიდან მეორეს, ზუსტად ისევე, როგორც საკუთარი სახელების შემთხვევაში; ასე რომ, ბევრ ისეთ ადამიანს, ვისაც იშვიათად ან არასოდეს უნახავს ოქრო, მაინც შეუძლია ამ სახელის გამოყენება. რეფერენცია განსაზღვრულია კაუზალური (მიზეზშედეგობრივი) ჯაჭვით და არა რომელიმე ნიმუშის გამოყენებით. ზუსტი თეორიის ჩამოყალიბებას აქ მე კიდევ უფრო ნაკლებად შევეცდები, ვიდრე საკუთარი სახელების შემთხვევაში.

ჩვეულებრივ, როცა საკუთარი სახელი რგოლიდან რგოლს გადაეცემა, ის, თუ როგორ დაფიქსირდა სახელის რეფერენცია, ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. სულ არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ სხვადასხვა მოსაუბრე ერთი და იმავე სახელის რეფერენციას შეიძლება სხვადასხვაგვარად აფიქსირებდეს, იმ პირობით, რომ ისინი მას ერთსა და იმავე რეფერენტს ანიჭებენ. სიტუაცია ალბათ არ არის ძალიან განსხვავებული სახეობების სახელებისთვის, თუმცა, შეიძლება რამდენადმე უფრო დიდი იყოს ცდუნება იმისა, ვიფიქროთ, რომ მეტალურგს ოქროს განსხვავებული ცნება აქვს, ვიდრე ადამიანს, რომელსაც არასოდეს უნახავს ოქრო. საინტერესო ფაქტია ის, რომ რეფერენციის დაფიქსირების ხერხი ჩვენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად გვეჩვენება გრძობადად აღქმადი მოვლენებისათვის: ჩვენ გვეჩვენება, რომ უსინათლო ადამიანს, რომელიც იყენებს სახელს „სინათლე“, მიუხედავად იმისა, რომ ის მას იყენებს ზუსტად იმავე მოვლენის ხისტი აღმნიშვნელად, რომლისთვისაც ჩვენ ვიყენებთ მათ, არ აქვს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი – რაღაც, რის არქონაც შეიძლება საკმარისია ჩვენთვის, რათა გამოვაცხადოთ, რომ მას ჩვენგან განსხვავებული ცნება აქვს (აქ „ცნება“ არატექნიკური მნიშვნე-

ლობითაა გამოყენებული). ის ფაქტი, რომ ჩვენ სინათლის იდენტიფიცირებას გარკვეული გზით ვაკეთებთ, ჩვენ გადაწყვეტად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის აუცილებელი; ინტიმურმა კავშირმა შეიძლება აუცილებლობის ილუზია შექმნას. მე ვფიქრობ, რომ ეს შენიშვნა, თვისებების იგივეობის შესახებ ზემოთ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად, შეიძლება არსებითი იყოს პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ ტრადიციული დისკუსიების გასაგებად.⁷¹

71 ეს დისპუტი რომ გავიგოთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ სიყვითლე არ არის დისპოზიციური თვისება, მიუხედავად იმისა, რომ ის დაკავშირებულია გარკვეულ დისპოზიციასთან. სიტყვის „ყვითელი“ მნიშვნელობის ნებისმიერი სხვა თეორიის სურვილმა ბევრი ფილოსოფოსი მიიყვანა იქამდე, რომ ის დისპოზიციური თვისების გამომხატველად მიეჩნიათ. ამავე დროს, ვეჭვობ, რომ ბევრს აწუხებდა „შინაგანი გრძნობა“, რომ სიყვითლე არის აშკარა თვისება, ზუსტად ისევე „აგერ აქ“ არსებული, როგორც სიმაგრე ან სფეროსებრი ფორმა. ჩემი კონცეფციის მიხედვით, სწორი ახსნა, რასაკვირველია, ის არის, რომ „სიყვითლის“ რეფერენცია ფიქსირდება დესკრიფციით: „ობიექტების აი, ეს (აშკარა) თვისება, რომლის მიზეზითაც ისინი ნორმალურ გარემოებებში ყვითლად ჩანან (ანუ გარკვეული გრძნობადი შთაბეჭდილებებით შეიგრძნობიან)“; „ყვითელი“, რასაკვირველია, არ ნიშნავს „აქვს მიდრეკილება, გამოიწვიოს ესა და ეს შეგრძნება“; ჩვენ რომ სხვანაირი ნეიროფიზიოლოგიური სტრუქტურები გვექნოდა, ატმოსფერული პირობები რომ სხვანაირი ყოფილიყო, უსინათლოები რომ ვყოფილიყავით და ა. შ., მაშინ ყვითელი ობიექტები მსგავსს არაფერს გამოიწვევდა. თუ ვეცდებით, „ყვითლის“ დეფინიცია ისე შევატრიאלოთ, რომ ის იყოს „აქვს მიდრეკილება, გამოიწვიოს ესა და ეს შეგრძნება C გარემოებებში“; მაშინ აღმოვჩნენთ, რომ C გარემოებების დაზუსტება ან წრიულად შეიცავს სიყვითლეს, ან, უბრალოდ, ამ ვითომდა განსაზღვრებას სამეცნიერო აღმოჩენად გადააქცევს, სინონიმის ნაცვლად. თუ ჩვენ „რეფერენციის დაფიქსირების“ თვალსაზრისს ვიღებთ, მაშინ ფიზიკოსის საქმეა ასე მონიშნული თვისების იდენტიფიცირება ნებისმიერი უფრო ფუნდამენტური ფიზიკური ტერმინებით, რომელთაც კი მოისურვებს.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ ისეთი სახელები, როგორებიცაა „ყვითლის შეგრძნება“, „სითბოს შეგრძნება“, „ტკივილის შეგრძნება“ და ა. შ., ვერ იარსებებდა ენაში, ისინი იდენტიფიცირებადი რომ არ

ახლა დავუბრუნდეთ თეორიული იგივეობის საკითხს. იმ კონცეფციის მიხედვით, რომელსაც მე ვიცავ, თეორიული იგივეობები, საზოგადოდ, არის იგივეობები, რომლებიც ორ ხისტ აღმნიშვნელს შეიცავენ და, ამდენად, აუცილებელი აპოსტერიორულის მაგალითებია. იმ არგუმენტების მიუხედავად, რომლებიც აქამდე წარმოგიდგინეთ აუცილებელი ჭეშმარიტებებისა და აპრიორული ჭეშმარიტებების განსხვავების სასარგებლოდ, აპოსტერიორული აუცილებელი ჭეშმარიტების ცნება მაინც შეიძლება რალაცნაირად საგონებელში გვაგდებდეს. ვინმეს შეიძლება მოუხდეს, ასე შეგვეკამათოს: «თქვენ აღიარეთ, რომ შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ სითბო არ ყოფილა მოლექულათა მოძრაობა, ხოლო ოქრო არ ყოფილა ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 79. ამასთან დაკავშირებით, თქვენ ასევე აღიარეთ, რომ შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ ელისაბედ II არ ყოფილა ჯორჯ VI-ის ქალიშვილი ან, თუნდაც, არ წარმოშობილა იმ კონკრეტული სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედისაგან, ჩვენ რომ გვეგონა, ხოლო ეს მაგიდა ტემზიდან აღებული წყლისგან მიღებული ყინულისგან ყოფილა გაკეთებული. როგორც ვხვდები, შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ ჰესპეროსი არ ყოფილა ფოსფოროსი. მაშინ რას შეიძლება გულისხმობდეთ, როცა ამბობთ, რომ ასეთი შემთხვევები შეუძლებელია? თუ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჰესპეროსი არ ყოფილა ფოსფოროსი, მაშინ ჰესპეროსი შეიძლება არ ყოფილიყო ფოსფოროსი. ანალოგიურია ვითარება სხვა შემთხვევებისთვის: თუ შეიძლება სამყარო სხვანაირი აღმოჩნდეს, მაშინ ის შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. ამ ფაქტის უარყოფა ნიშნავს იმ თვითცხადი მოდალური პრინციპის უარყოფას, რომლის მიხედვითაც ის, რაც გამომდინარეობს შესაძლებლობიდან, თვითონაც შესაძლებელი უნდა იყოს.

ყოფილიყო გარეგანი დაკვირვებადი მოვლენებით, როგორიცაა სითბო, სიყვითლე და მათთან დაკავშირებული ქცევა. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი არ არის დამოკიდებული რომელიმეზე იმ თვალსაზრისთაგან, რომელთაც ტექსტში ვიცავ.

სიძნელეს გვერდს ვერ აუვლით ვერც იმის გამოცხადებით, რომ ფრაზაში „*შეიძლება სხვანაირი აღმოჩნდეს*“ „*შეიძლება*“ მხოლოდ ეპისტემურია, ისევე, როგორც წინადადება „ვერემას ბოლო თეორემა შეიძლება ჭეშმარიტიც აღმოჩნდეს და შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს“ უბრალოდ ჩვენს ახლანდელ არცოდნას გამოხატავს, ხოლო წინადადება „*ართიმეტიკა შეიძლება სრული აღმოჩენილიყო*“ გვამცნობს ჩვენს არცოდნას წარსულში. ამ მათემატიკურ შემთხვევებში ჩვენ, შეიძლება, არ ვიცოდით რაღაც, მაგრამ მათემატიკურად შეუძლებელია, აღმოგვეჩინა, რომ სწორი ყოფილა სხვა პასუხი – არა ის, რომელიც აღმოვაჩინეთ. თუმცა, ასე არ არის არსებისა და ორ ხისტ აღმნიშვნელს შორის იგივეობის თქვენთვის საყვარელ შემთხვევებში: ლოგიკურად ნამდვილად შესაძლებელია, აღმოგვეჩინა, რომ ოქრო ნაერთი ყოფილა, ხოლო ეს მაგიდა არ ყოფილა გაკეთებული ხისაგან, მით უფრო, ხის კონკრეტული მორისაგან. მათემატიკურ შემთხვევასთან კონტრასტი უფრო დიდი ვერ იქნებოდა და ის არ შემცირდებოდა, თუნდაც, როგორც თქვენ გვთავაზობთ, არსებობდეს მათემატიკური ჭეშმარიტებები, რომელთა აპრიორულად ცოდნაც შეუძლებელია».

აღბათ ყველა, ვინც ჩასწვდა აქამდე ჩემი შენიშვნების არსს, თვითონ შეძლებს ამ შედავებაზე ჩემი პასუხის ჩამოყალიბებას. თუმცა, აქ რელევანტურია ერთი დაზუსტება, რომელიც უნდა შევიტანო აქამდე გადმოცემულ მსჯელობებში. ჩემი მოწინააღმდეგე მართალია, როცა ამტკიცებს, რომ თუ მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ეს მაგიდა ყინულისაგან ყოფილიყო გაკეთებული, მაშინ მე ასევე უნდა ვფიქრობდე, რომ არ არის შესაძლებელი, აღმოგვეჩინა, რომ ის ყინულისაგან ყოფილა გაკეთებული; იქიდან, რომ შესაძლოა აღმოგვეჩინა, რომ P , ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ შესაძლოა P ჭეშმარიტი ყოფილიყო. მაშინ რას ნიშნავს ინტუიცია, რომ შესაძლოა აღმოგვეჩინა, რომ ეს მაგიდა ყინულისაგან ან ნებისმიერი სხვა რამისგან ყოფილა გაკეთებული, მეტიც, შეიძლება ისიც კი აღმოგვეჩინა, რომ ის მოლეკულებისგანაც არ

ყოფილა გაკეთებული? მე ვფიქრობ, ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ შეიძლება არსებულიყო რაღაც მაგიდა, რომელიც გარეგნობით და სხვა გრძობადი თვისებებით ზუსტად ამ მაგიდის მსგავსი იქნებოდა და ზუსტად ასე იქნებოდა განთავსებული ამ ოთახში, და რომელიც, ფაქტობრივად, ყინულისაგან იქნებოდა გაკეთებული. სხვა სიტყვებით, მე (ან რომელიღაც ცნობიერი არსება) შეიძლება თვისებრივად ზუსტად იმავე ეპისტემურ მდგომარეობაში ვყოფილიყავი, რომელშიც ფაქტობრივად ვარ, შეიძლება ყინულისგან გაკეთებული რომელიღაც მაგიდის შესახებ მქონოდა ზუსტად იგივე გრძობადი მონაცემები, რომლებიც, ფაქტობრივად, მაქვს. ამრიგად, ეს სიტუაცია ენათესავება სიტუაციას, რომელიც ორეულების თეორიის მომხრეების შთაგონების წყარო იყო; როცა ვლაპარაკობ იმის შესაძლებლობაზე, რომ შეიძლება მაგიდა სხვადასხვა მასალისგან აღმოჩნდეს გაკეთებული, მე არაზუსტად ვლაპარაკობ. თვითონ ამ მაგიდას ვერ ექნებოდა იმისგან განსხვავებული წარმოშობა, რაც მას ფაქტობრივად აქვს, მაგრამ სიტუაციაში, რომელიც თვისებრივად ამ სიტუაციის იდენტურია ყველა იმ მონაცემის თვალსაზრისით, რომელიც წინასწარ მქონდა, ამ ოთახში ამ მაგიდის ნაცვლად შეიძლება ყოფილიყო ყინულისაგან გაკეთებული მაგიდა. ამრიგად, ამ სიტუაციას მოერგება რაღაც ორეულების თეორიის მსგავსი, მაგრამ ის მას მოერგება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვანტიერესებს არა ის, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ჭეშმარიტი ამ კონკრეტული მაგიდისათვის, არამედ ის, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ან არ ყოფილიყო ჭეშმარიტი გარკვეული მაგიდისათვის გარკვეული მონაცემების არსებობის პირობებში. ზუსტად იმიტომ უნდა მივმართოთ თვისებრივ აღწერებსა და ორეულებს, რომ არ არის სიმართლე, რომ ეს მაგიდა შეიძლება ტემპის წყლის ყინულისაგან ყოფილიყო გაკეთებული. ხოლო ნამდვილი *de re* მოდალობებისთვის ამ ცნებების გამოყენება, აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, ჭირვეულობაა.

ამგვარად, ზოგადი პასუხი, რომელსაც მოწინააღმდეგეს გავცემთ, ასე შეიძლება ჩამოვაცალიბოთ: ნებისმიერი აუცილებელი ჭეშმარიტება, აპრიორული თუ აპოსტერიორული, ვერ აღმოჩნდებოდა მცდარი. მაგრამ ზოგიერთი აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტების შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული თვისებრივად სათანადოდ იგივეობრივი მონაცემების არსებობის სიტუაციებში, სათანადოდ შესაბამისი თვისებრივი დებულება შეიძლება მცდარი ყოფილიყო. უხეში და უზუსტო მტკიცება, რომლის თანახმად შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ ოქრო ნაერთი ყოფილა, უნდა შეიცვალოს (უხეშად) მტკიცებით, რომ ლოგიკურად შესაძლებელია, ეარსება ნივთიერებას, რომელსაც აქვს ყველა ის თვისება, რომელიც, ჩვენი თავდაპირველი ცოდნის მიხედვით, ოქროს ჰქონდა. უზუსტო დებულება, რომლის თანახმად შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ ჰესპეროსი არ ყოფილა ფოსფოროსი, უნდა შეიცვალოს ჭეშმარიტი შემთხვევითი დებულებით, რომელიც ამ ლექციების დასაწყისში ვახსენე: ორი სხვადასხვა სხეული დილას და საღამოს, შესაბამისად, შეიძლება ზუსტად იმ ადგილებზე ყოფილიყო, რომლებზეც რეალურად არის ჰესპეროს-ფოსფოროს-ვენერა.⁷² იმის მიზეზი, რომ ფერმას ბოლო თეორემა სხვანაირ შთაბეჭდილებას ახდენს, ისაა, რომ აქ არავითარი ანალოგია არ მოგვდის აზრად, გარდა უაღრესად ზოგადი დებულებისა, რომ *მათემატიკური ვარაუდი*, მისი დამტკიცების ან

72 იმ მტკიცებებიდან ზოგიერთი, რომლებიც ზემოთ მე თვითონ გამოვთქვი, შეიძლება თავისუფალი და უზუსტო იყოს ამ აზრით. თუ მე ვამბობ, „შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ ოქრო არ ყოფილა ელემენტი“, მე სწორად ვლაპარაკობ; აქ „შეიძლება“ *ეპისტემურია* და გამოხატავს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მოწმობები არ აფუძნებს აპრიორულ (კარტეზიანულ) უტყუარობას იმისა, რომ ოქრო ელემენტია. მე, აგრეთვე, მკაცრი აზრით სწორად ვამბობ, რომ ის ამბავი, რომ ოქრო ელემენტია, აპოსტერიორულად იქნა აღმოჩენილი. ხოლო თუ ვამბობ, რომ „შეიძლება ოქრო არ აღმოჩენილიყო ელემენტი“, ამას თითქოს მეტაფიზიკური აზრით ვგულისხმობ და ჩემი მტკიცება ტექსტში აღნიშნული სახის შესწორებას საჭიროებს.

უკუგდების არარსებობის პირობებში, შესაძლებელია იყოს როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი.

მე არ მომიცია არავითარი ზოგადი პარადიგმა სათანადო შესაბამისი თვისებრივი შემთხვევითი დებულებისთვის. ვინაიდან ჩვენ გვინტერესებს ის, თუ როგორ შეიძლება ნივთები სხვაგვარი აღმოჩენილიყო, ჩვენი ზოგადი პარადიგმა შემდეგია: თვისებრივად აღწეროთ თავდაპირველი მონაცემები და თვითონ დებულებაც, და ვამტკიცოთ, რომ ისინი მხოლოდ შემთხვევით ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. იგივეობების შემთხვევაში, ორ ხისტი აღმნიშვნელს რომ შეიცავს, როგორც ჰესპეროს-ფოსფოროს-ვენერას ზემოთ განხილულ შემთხვევაში, არსებობს უფრო მარტივი პარადიგმაც, რომელთა გამოყენებაც ხშირად შეიძლება ისეთივე ან, სულ მცირე, დაახლოებით ისეთივე ეფექტურობით. ვთქვათ, „R₁“ და „R₂“ ორი ხისტი აღმნიშვნელია, რომლებიც იგივეობის ნიშნის აქეთ-იქით დგას. მაშინ „R₁=R₂“ აუცილებელია, თუ ის ჭეშმარიტია. „R₁“-ის და „R₂“-ის რეფერენციები, შესაბამისად, შეიძლება დაფიქსირებული იყოს არახისტი აღმნიშვნელებით „D₁“-ით და „D₂“-ით; ჰესპეროსის და ფოსფოროსის შემთხვევაში მათ ექნებათ ფორმა: „ციური სხული, რომელიც ცაში ამა და ამ ადგილზეა სალამობით (დილაობით)“. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ „R₁=R₂“ აუცილებელია, „D₁=D₂“ შეიძლება შემთხვევითი იყოს და სწორედ ეს არის, რაც ხშირად წარმოშობს არასწორ თვალსაზრისს, რომ „R₁=R₂“ შეიძლება მცდარი აღმოჩენილიყო.

ახლა, ბოლოს და ბოლოს, დავიწყებ აქამდე გადმოცემული მოსაზრებების იგივეობის თეზისისთვის გამოყენებაზე მსჯელობას, თუნდაც მეტისმეტად ზედაპირულად. იგივეობის თეორეტიკოსებს იგივეობის რამდენიმე სხვადასხვა ტიპი აინტერესებდათ: პიროვნებისა მის სხეულთან, კონკრეტული შეგარძნებისა (ან შეგარძნების ქონის ხდომილების ან მდგომარეობისა) ტვინის კონკრეტულ მდგომარეობასთან (06:00 საათზე ჯოუნსის ტკივილი იყო მისი C ბოჭკოების სტიმულაცია იმავე დროს), და მენტალური

მდგომარეობების ტიპებისა ფიზიკური მდგომარეობების შესაბამის ტიპებთან (ტკივილი არის C ბოჭკოების სტიმულაცია). ამათგან თითოეული და, აგრეთვე, იგივეობის სხვა ტიპები, რომელთაც ლიტერატურაში ვხვდებით, წამოჭრის ანალიზურ პრობლემებს, რომელთაც მართებულად გამოკვეთენ კარტეზიანიზმის დამცველი კრიტიკოსები; ამ პრობლემებს თავს ვერ დავაღწევთ უბრალოდ ვითომდა სინონიმისა და იგივეობის ერთმანეთში აღრევაზე მითითებით. უნდა შევნიშნო, რომ რასაკვირველია, არ არსებობს არავითარი დაბრკოლება – ისეთი მანც (მე ამას ფრთხილად ვამბობ), რომელიც აზრად უნდა მოსვლოდა ნებისმიერ გონიერ მოაზროვნეს მაშინვე, როგორც კი პირველად დაფიქრდა ამაზე ძილის წინ – იმისათვის, რომ დავიცვათ იგივეობის რომელიმე ერთი თვისი იმ დროს, როცა სხვებს ეჭვქვეშ ვაყენებთ ან უარყოფთ. მაგალითად, ზოგიერთი ფილოსოფოსი იღებდა კონკრეტული შეგრძნებების ტვინის კონკრეტულ მდგომარეობებთან იგივეობას, თუმცა უარყოფდა მენტალურ და ფიზიკურ ტიპებს შორის იგივეობის შესაძლებლობას.⁷³ მე, ძირითადად, ტიპებს შორის იგივეობებზე ვილაპარაკებ და, შესაბამისად, ამ ფილოსოფოსებს ჩემი მსჯელობის დიდი ნაწილი არ შეეხება; მაგრამ იგივეობების სხვა სახეებზეც შევჩერდები ცოტა ხნით.

დეკარტი და, მის კვალდაკვალ, სხვებიც ამტკიცებდნენ, რომ პიროვნება ან ცნობიერება განსხვავდება მისი სხეულისგან, რადგან ცნობიერებას შეიძლება ეარსება სხეულის გარეშე. მას შეეძ-

73 ამის თვალსაჩინო მაგალითებს გვაძლევენ თომას ნაგელი და დონალდ დევიდსონი. მათი შეხედულებები ძალიან საინტერესოა და ვისურვებდი, რომ მათი უფრო დეტალურად განხილვა შემძლებოდა. უცნაურია, რომ ასეთ ფილოსოფოსებს სურთ, საკუთარ თავს „მატერიალისტები“ უწოდონ. დევიდსონი, განსაკუთრებით, იგივეობის თეორიის თავისი ვერსიის სასარგებლო არგუმენტს აფუძნებს ნაგელისხმევე *შეუძლებლობაზე* იმისა, რომ ფსიქოლოგიური თვისებები კორელაციაში იყოს ფიზიკურ თვისებებთან.

ამ თვალსაზრისებს არ ეხება ტექსტში წარმოდგენილი არგუმენტი ეგზემპლარების ეგზემპლარებთან გაიგივების წინააღმდეგ.

ლო, იგივე დანასკვი იმავე წარმატებით გამოეყვანა წანამძღვრი-დან, რომ სხეულს შეიძლება ეარსება ცნობიერების გარეშე.⁷⁴ ერთი პასუხი, რომელიც მე აშკარად მიუღებლად მიმაჩნია, არის პასუხი, რომელიც უყოყმანოდ იღებს კარტეზიანულ წანამძღვარს, მაგრამ უარყოფს კარტეზიანულ დანასკვს. დავუშვათ, „დეკარტი“ არის გარკვეული პიროვნების სახელი, ანუ ხისტი აღმნიშვნელი, ხოლო „B“ არის მისი სხეულის ხისტი აღმნიშვნელი. მაშინ, დეკარტი რომ მართლაც B-ს იგივეობრივი ყოფილიყო, ნაგულისხმევი იგივეობა, რომელიც არის იგივეობა ორ ხისტ აღმნიშვნელს შორის, აუცილებელი იქნებოდა, და დეკარტი ვერ იარსებებდა B-ს გარეშე, ხოლო

74 რასაკვირველია, სხული მართლა არსებობს ცნობიერების გარე-შე და, სავარაუდოდ, პიროვნების გარეშეც, როდესაც სხული გვამია. ეს მოსაზრება, თუ მას მივიღებთ, უკვე აჩვენებს, რომ პიროვნება და მისი სხული სხვადასხვაა (იხილეთ David Wiggins, “On Being at the Same Place at the Same Time”, *Philosophical Review*, Vol. 77 (1968), გვ. 90-95). ანალოგიურად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქანდაკება არ არის მატერიის ნაჭერი, რომლისგანაც ის შედგება. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება გვითხრან, რომ პირველი „არაფერია მეორეზე მეტი და მეორის გარდა“; იგივე ხერხი შეიძლება მოსინჯონ პიროვნებისა და სხეულის მიმართე-ბისთვისაც. ამ შემთხვევაში ტექსტში გამოკვეთილი სიძნელებები იმავე ფორმით არ წამოიჭრება, მაგრამ თავს იჩენს ანალოგიური სიძნელებები. თეორია, რომლის თანახმად პიროვნება არაფერია მის სხეულზე მეტი და მისი სხეულის გარდა, იმავენაირად, როგორც ქანდაკება არაფერია იმ მატერიაზე მეტი და იმ მატერიის გარდა, რომლისგანაც ისაა გაკეთებული, უნდა ამტკიცებდეს, რომ (აუცილებლად) პიროვნება არსებობს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მისი სხული არსებობს და აქვს გარკვეული და-მატებითი ფიზიკური ორგანიზაცია. ასეთი თეზისი აწყდება მოდალურ სიძნელებებს, რომლებიც ჩვეულებრივი იგივეობის თეზისის წინაშე წა-მოჭრილი სიძნელებების მსგავსია; იგივე ეხება სხვა ისეთ ანალოგებსაც, რომელთაც მენტალური მდგომარეობების ფიზიკურ მდგომარეობებთან გაიგივების შემცვლელად გვთავაზობენ. ამ საკითხის უფრო ღრმად გან-ხილვა სხვა დროისათვის უნდა გადავდოთ. კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომელსაც არ განვიხილავ, მიუხედავად იმისა, რომ სულ არ ვიხრები მისი გაზიარებისკენ, და რომლის თაობაზეც იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებუ-ლი, რომ ნამდვილად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, არის ფსიქოლო-გიური ცნებების ეგრეთ წოდებულ ფუნქციურ მდგომარეობებად გაგება.

B ვერ იარსებებდა დეკარტის გარეშე. ეს შემთხვევა სულ არ არის შედარებადი მის ვითომდა ანალოგთან – ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურის პირველი ხელმძღვანელისა და ბიფოკალური ლინზების გამომგონებლის იგივეობასთან. მართალია, ეს იგივეობა ქვეყნობითა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახურის პირველ ხელმძღვანელს მაინც ეარსება, თუნდაც ბიფოკალური ლინზები არასოდეს გამოეგონებინათ. ამის მიზეზი ისაა, რომ „ბიფოკალური ლინზების გამომგონებელი“ არ არის ხისტი აღმნიშვნელი; სამყარო, რომელშიც არავის გამოუგონებია ბიფოკალური ლინზები, არ არის *ipso facto* სამყარო, რომელშიც ფრანკლინი არ არსებობდა. ამიტომ ნაგულისხმევი ანალოგია ინგრევა; ფილოსოფოსმა, რომელსაც სურს, უკუაგდოს კარტეზიანული დასკვნა, უნდა უკუაგდოს კარტეზიანული წინამძღვარი, ხოლო ეს უკანასკნელი ამოცანა ტრივიალური არ არის.

დავუშვათ, „A“ ჰქვია ტკივილის კონკრეტულ შეგრძნებას, ხოლო „B“ ჰქვია ტვინის შესაბამის მდგომარეობას ან ტვინის მდგომარეობას, რომელთანაც A-ს გაიგივება სურს იგივეობის თეორიის რომელიმე დამცველს. *prima facie* ისე ჩანს, რომ, სულ მცირე, ლოგიკურად შესაძლებელია, რომ B-ს ეარსება (ჯოუნსის ტვინი ყოფილიყო ზუსტად ამ მდგომარეობაში მოცემულ დროს) ისე, რომ ჯოუნსს არ ეგრძნო საერთოდ არავითარი ტკივილი და, ამრიგად, A-ს გარეშე. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ იგივეობის თეორიის დამცველი ვერ შეძლებს, ეს შესაძლებლობა უყოყმანოდ აღიაროს და ამ აღიარებით გააგრძელოს გზა; თავსებადობა და ხისტი აღმნიშვნელთა იგივეობის აუცილებლობის პრინციპი შეუძლებელს ხდის ამ მიმართულებით სვლას. A და B იგივეობრივი თუ იქნება, ეს იგივეობა აუცილებელი უნდა იყოს. ამ სიძნელეს თავს ვერ დავაღწევთ იმის მტკიცებით, რომ მართალია, შეუძლებელია B-ს ეარსება A-ს გარეშე, ტკივილად ყოფნა A-ს მხოლოდ შემთხვევითი თვისებაა და რომ, ამდენად, B-ს ტკივილის გარეშე არსე-

ბოზიდან არ გამოდინარეობს B-ს არსებობა A-ს გარეშე. განა შესაძლებელია არსების რომელიმე შემთხვევა უფრო აშკარა იყოს, ვიდრე ის ფაქტი, რომ ტკივილად ყოფნა ყოველი ტკივილის აუცილებელი თვისებაა? იგივეობის თეორიის დამცველი, რომელსაც ამ სტრატეგიის მიღება სურს, იმასაც კი უნდა ამტკიცებდეს, რომ შეგრძნებად ყოფნა A-ს შემთხვევითი თვისებაა, რადგან *prima facie* ლოგიკურად შესაძლებელი ჩანს, რომ B-ს ეარსება ყოველგვარი შეგრძნების გარეშე, რომელთანაც ის შეიძლება დამაჯერებლად გააიგივონ. განიხილეთ კონკრეტული ტკივილი, ან სხვა შეგრძნება, რომელიც ოდესმე გქონიათ. ოდნავ მაინც დამაჯერებლად გეჩვენებათ, რომ ზუსტად ამ შეგრძნებას შეიძლება ეარსება ისე, რომ არ ყოფილიყო შეგრძნება, ისევე, როგორც გარკვეულ გამომგონებელს (ფრანკლინს) შეიძლება ეარსება ისე, რომ არ ყოფილიყო გამომგონებელი?

მე იმიტომ ვახსენე ეს სტრატეგია, რომ, როგორც მე მეჩვენება, მას იგივეობის თეორიის დამცველთა დიდი რაოდენობა იზიარებს. ეს თეორეტიკოსები, რომელთაც სჯერათ, რომ ტვინის მდგომარეობისა და შესაბამისი მენტალური მდგომარეობის ნაგულისხმევი იგივეობა უნდა გავაანალიზოთ ბენჯამინ ფრანკლინისა და ბიფოკალური ლინზების გამომგონებლის შემთხვევითი იგივეობის პარადიგმის მიხედვით, აცნობიერებენ, რომ როგორც შემთხვევითმა საქმიანობამ აქცია ბენჯამინ ფრანკლინი ბიფოკალური ლინზების გამომგონებლად, ზუსტად ასევე, ტვინის მდგომარეობის რაღაც შემთხვევითი თვისება უნდა აქცევდეს მას ტკივილად. საზოგადოდ, მათ სურთ, რომ ეს თვისება იყოს თვისება, რომელიც შეიძლება გამოითქვას ფიზიკურ ან, სულ მცირე, „თემატურად ნეიტრალურ“ ენაზე*, ასე რომ, მატერიალისტს ვერ დავადანაშაულებთ არარედუცირებადი არაფიზიკური თვისებების პოსტულირებაში. ტიპური თვალსაზრისია, რომ ტკივილის განცდა, როგორც ფიზიკური მდგომარეობის თვისება, უნდა გავაანალიზოთ ამ მდგომარეობის

„კაუზალური როლის“ ტერმინებით⁷⁵ – მისი გამომწვევი დამახასიათებელი სტიმულებისა (მაგალითად, ნემსის ჩხვლეტა) და მის მიერ გამოწვეული დამახასიათებელი ქცევის ტერმინებით. ასეთი ანალიზების დეტალებს არ ჩავუღრმავდები, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, მათში მე სპეციფიკურ შეცდომებსაც ვხედავ, გარდა იმ ზოგადი მოდალური მოსაზრებებისა, რომლებსაც აქ ვიცავ. აქ მხოლოდ იმაზე მითითება მჭირდება, რომ ამ თეორეტიკოსებს ფიზიკური მდგომარეობის „კაუზალური როლი“ ამ მდგომარეობის შემთხვევით თვისებად მიაჩნიათ და, შესაბამისად, გულისხმობენ, რომ მდგომარეობის შემთხვევითი თვისებაა ის, რომ ის საერთოდ არის მენტალური მდგომარეობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ის არის რალაც ისეთი სპეციფიკური, როგორცაა ტკივილი. რომ გავიმეორო, ამ იდეის აბსურდულობა მე თვითცხადად მეჩვენება. ის უტოლდება შეხედულებას, რომ ზუსტად იმ ტკივილს, რომელსაც მე ახლა განვიცდი, შეიძლება ეარსება ისე, რომ საერთოდ არ ყოფილიყო მენტალური მდგომარეობა.

მე არ განმიხილავს შებრუნებული პრობლემა, რომელიც უფრო ახლოს არის კარტეზიანულ მოსაზრებასთან – სახელდობრ, რომ ზუსტად ისევე, როგორც საფიქრებელია, რომ ტვინის მდგომარეობას შეიძლება ეარსება ყოველგვარი ტკივილის გარეშე, საფიქრებელია, რომ ტკივილს შეიძლება ეარსება შესაბამისი ტვინის მდგომარეობის გარეშე. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ტვინის მდგომარეობად ყოფნა აშკარად არსებითი თვისებაა B-სთვის (ტვინის მდგომარეობისთვის). მართლაც, ჭეშმარიტია უფრო ძლიერი მტკიცება: B-ს არსებითი თვისებაა არა მხოლოდ ტვინის მდგომარეობად ყოფნა, არამედ ტვინის სპეციფიკური ტიპის მდგომარეობად ყოფნაც კი. ტვინის უჯრედების ის კონფიგურ-

⁷⁵ მაგალითად, David Armstrong, *A Materialist Theory of the Mind*, London and New York, 1968. იხილეთ თომას ნაგელის რეცენზიაც ამ წიგნზე (Thomas Nagel, *Philosophical Review* 79 (1970), გვ. 394-403); აგრეთვე, David Lewis, “An Argument for the Identity Theory”, *The Journal of Philosophy*, გვ. 17-25.

რაცია, რომელთა მოცემულ დროს არსებობაც არის ზუსტად ამ დროს B-ს არსებობა, არსებითია B-სთვის და მისი არარსებობის პირობებში B არ იარსებებდა. ამრიგად, ის, ვისაც სურს თქვას, რომ ტვინის მდგომარეობა და ტკივილი იგივეობრივია, უნდა ამტკიცებდეს, რომ A ტკივილი ვერ იარსებებდა მოლექულების კონფიგურაციის ძალიან სპეციფიკური ტიპის გარეშე. თუ $A=B$, მაშინ A-სა და B-ს იგივეობა აუცილებელია და ერთ-ერთი მათგანის ნებისმიერი არსებითი თვისება მეორე მათგანის არსებითი თვისებაც უნდა იყოს. ის, ვისაც იგივეობის თეზისის დაცვა სურს, ვერ შეძლებს, უბრალოდ მიიღოს კარტეზიანული ინტუიციები, რომ A შეიძლება არსებობდეს B-ს გარეშე, რომ B შეიძლება არსებობდეს A-ს გარეშე, რომ მენტალური თვისებების მქონე რაიმე არსების კორელაცია მხოლოდ შემთხვევითია B-სთვის, და რომ რაიმე სპეციფიკური ფიზიკური თვისებების კორელაცია მხოლოდ შემთხვევითია A-სთვის. მან უნდა ახსნას ეს ინტუიციები იმის ჩვენებით, თუ რა სახითაა ისინი ილუზორული. ეს ამოცანა შეიძლება არც იყოს დაუძლეველი; ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორ შეიძლება, რომ ზოგიერთი საგანი, რომელიც შემთხვევითი გვეჩვენება, უფრო ყურადღებიანი განხილვის შედეგად აუცილებელი აღმოჩნდეს. მაგრამ აშკარაა, რომ ეს ამოცანა არ არის ადვილად დასაძლევ; ხოლო ქვემოთ დავინახავთ, თუ რაოდენ ძნელია მისი დაძლევა.

იგივეობის ბოლო ფორმა, რომელსაც, როგორც ვთქვი, ყველაზე მეტ ყურადღებას დაუფთმობ, არის ტიპებს შორის იგივეობა. ამის მაგალითია ტკივილის გაიგივება C ბოჭკოების სტიმულაციასთან. იგულისხმება, რომ ტიპებს შორის ეს გაიგივებები ისეთი სამეცნიერო იგივეობების ანალოგიურია, როგორიცაა სითბოს იგივეობა მოლექულების მოძრაობასთან, ან წყლის იგივეობა წყალბადის ჰიდროქსიდთან და ა. შ. მაგალითისთვის განვიხილოთ ნაგულისხმევი ანალოგია მატერიალისტურ გაიგივებასა და სითბოს მოლექულათა მოძრაობასთან გაიგივებას შორის; ორივე იგივეობაში ერთმანეთთან გაიგივებულია მოვლენების ორი ტიპი. გავრცელებული

თვალსაზრისის მიხედვით, სითბოს გაიგივება მოლეკულათა მოძრაობასთან და ტკივილის გაიგივება C ბოჭკოების სტიმულაციასთან – ორივე შემთხვევითია. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ, ვინაიდან „სითბო“ და „მოლეკულათა მოძრაობა“ – ორივე ხისტი აღმნიშვნელია, მათ მიერ დასახელებული მოვლენების გაიგივება აუცილებელია. რა უნდა ითქვას „ტკივილისა“ და „C ბოჭკოების სტიმულაციის“ შესახებ? ზემოთ გადმოცემული მსჯელობიდან აშკარა უნდა იყოს, რომ „ტკივილი“ ხისტი აღმნიშვნელია იმ ტიპისა, ან მოვლენისა, რომელსაც ის აღნიშნავს: თუ რაიმე არის ტკივილი, ის აუცილებლად არის ტკივილი, და აბსურდული ჩანს იმის დაშვება, რომ ტკივილი შეიძლება ყოფილიყო რაღაც სხვა მოვლენა – განსხვავებული იმისგან, რაც ის არის. იგივე მართალია ტერმინისთვის „C ბოჭკოების სტიმულაცია“, თუკი მიღებულია, რომ ხისტი აღმნიშვნელია „C ბოჭკოები“, რასაც მე აქ დავუშვებ. (ეს დაშვება ცოტა არ იყოს სარისკოა, რადგან მე, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი C ბოჭკოების შესახებ, გარდა იმისა, რომ, როგორც ამბობენ, მათი სტიმულაცია კორელაციაშია ტკივილთან.⁷⁶ ეს საკითხი არ არის მნიშვნელოვანი;

76 ჩემდა გასაკვირად, სულ მცირე, ერთმა ნიჭიერმა მსმენელმა იფიქრა, რომ ჩემ მიერ ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „კორელაციაშია“ და „შესაბამება“ და ა. შ., უკვე წინასწარ წყვეტს საკითხს იგივეობის თეზისის საწინააღმდეგოდ. მან თქვა, რომ იგივეობის თეზისი არის არა თეზისი იმის შესახებ, რომ ტკივილები და ტვინის მდგომარეობები კორელაციაშია ერთმანეთთან, არმედ თეზისი იმის შესახებ, რომ ისინი ერთი და იგივეა. და რომ, ამრიგად, მთელი ჩემი მსჯელობა წინასწარ გულსხმობს ანტიმატერიალისტურ თვალსაზრისს, რომლის დასაბუთებასაც მე გპირდებით. მიუხედავად იმისა, რომ გამაკვირვა ამ შედავების მოსმენამ, რომელიც ჩემს არგუმენტში ესოდენ მცირე გონივრულობას აღიარებს, მე განსაკუთრებულად შევეცადე, თავი ამერიდებინა სიტყვისთვის „კორელაციაშია“, რომელიც, როგორც ჩანს, ამ შედავების წყაროა. ამის მიუხედავად, ვერგაგება რომ გამოვრიცხო, აგისხნით ამ სიტყვის ჩემულ გამოყენებას. თუ დავუშვებთ, კამათის გულისთვის მაინც, რომ სამეცნიერო აღმოჩენები თავიდანვე ისეთი იყო, რომ არ უარყოფდა მატერიალიზმს, დუალისტიც და იგივეობის თეორიის დამცველიც თანხმდებიან, რომ არსებობს კორელაცია ან შესაბამისობა მენტალურ მდგო-

თუ „C ბოჭკოები“ არ არის ხისტი აღმნიშვნელი, უბრალოდ შეცვალეთ ის ხისტი აღმნიშვნელით ან დაუშვით, რომ ამ კონტექსტში ის ხისტი აღმნიშვნელად გამოიყენება.) ამრიგად, ტკივილის იგივეობა C ბოჭკოების სტიმულაციასთან, თუ ის ქეშიმარიტია, აუცილებელი უნდა იყოს.

ჯერ-ჯერობით ანალოგია სითბოს მოლექულათა მიძრაობასთან გაიგივებასა და ტკივილის C ბოჭკოების სტიმულაციასთან გაიგივებას შორის არ გაბათილებულა; ის უბრალოდ იმის საპირისპირო აღმოჩნდა, რადაც ჩვეულებრივ მიიჩნეოდა – ორივე იგივეობა, თუ ქეშიმარიტია, აუცილებელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგივეობის თეორიის დამცველი ვალდებულია აღიაროს თვალსაზრისი, რომ არ შეიძლება არსებობდეს C ბოჭკოების სტიმულაცია, რომელიც არ იქნება ტკივილი, ან არსებობდეს ტკივილი, რომელიც არ იქნება C ბოჭკოების სტიმულაცია. ეს შედეგები უთუოდ გასაკვირი და კონტრინტუიციურია, მაგრამ იგივეობის თეორიის დამცველს მეტისმეტად სწრაფად ნუ დავანებებთ თავს. ხომ არ შეუძლია მას, დაგვანახოს, რომ მოჩვენებითი შესაძლებლობა იმისა, რომ ტკივილი არ აღმოჩნდეს C ბოჭკოების სტიმულაცია, ან იმისა, რომ არსებობდეს ერთ-ერთი მოვლენის ინსტანცია, რომელიც არ იქნება მეორე მოვლენის ინსტანცია, იმავე სახის ილუზიაა, როგორც არის ილუზია, რომ წყალი შეიძლება არ ყოფილიყო წყალბადის ჰიდროქსიდი, ან რომ სითბო შეიძლება არ ყოფილიყო მოლექულების მოძრაობა? თუ იგივეობის თეორიის დამცველი ამას შეძლებს, მაშინ მას დაუმარცხებია კარტეზიანელი – არა იმიტომ, რომ, კონვენციური ანალიზის მსგავსად, მიიღო კარტეზიანელის წანამძღვრები და გამოავლინა მის ბჭობაში დაშ-

მარეობებსა და ფიზიკურ მდგომარეობებს შორის. დუალისტი ამტკიცებს, რომ „კორელაციის“ მიმართება აქ ირეფლექსურია*; ხოლო იგივეობის თეორიის დამცველი ამტკიცებს, რომ ის უბრალოდ იგივეობის მიმართების კერძო შემთხვევაა. ისეთი ტერმინები, როგორიცაა „კორელაცია“ და „შესაბამისობა“, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნეიტრალურად, იმის წინასწარ გადაწყვეტის გარეშე, თუ რომელ მხარესაა სიმართლე.

ვებულის შეცდომა, არამედ პირუკუ: ის აღიარებს, რომ, კარტე-ზიანულ არგუმენტს მართლა მივყავართ მის დანასკვთან, თუკი მიღებულია წანამძღვარი იგივეობის შემთხვევითობის შესახებ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ეს წანამძღვარი, მართალია, ზედაპირულად დამაჯერებელია, მაგრამ მცდარია.

მოსალოდნელად არ მიმაჩნია, რომ იგივეობის თეორიის დამცველმა წარმატებას მიაღწიოს ამ წამოწყებაში. მე ვამტკიცებ, რომ, სულ მცირე, არ შეიძლება ამ შემთხვევის ინტერპრეტირება, როგორც ჩვეულებრივი სამეცნიერო გაიგივებების შემთხვევის ანალოგიურისა, რომლის მაგალითია სითბოს იგივეობა მოლექულათა მოძრაობასთან. რა იყო ის სტრატეგია, რომელიც ზემოთ გამოვიყენეთ აუცილებელი აპოსტერიორული დებულებების მოჩვენებითი შემთხვევითობის ასახსნელად? ეს სტრატეგია იყო იმის მტკიცება, რომ, მართალია, თვითონ დებულება აუცილებელია, მაგრამ ვინმე შეიძლება, *თვისებრივი* აზრით, იყოს ისეთსავე ეპისტემურ მდგომარეობაში, როგორშიც ორიგინალურ სიტუაციაში იყო, და ასეთ სიტუაციაში *თვისებრივად* ანალოგიური დებულება შეიძლება მცდარი იყოს. ორ ხისტ აღმნიშვნელს შორის იგივეობების შემთხვევაში ამ სტრატეგიის მიახლოება შეიძლება იყოს უფრო მარტივი სტრატეგია: დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ამ აღმნიშვნელთა რეფერენციები; თუ ისინი მხოლოდ შემთხვევითად ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ სწორედ ეს ფაქტი ანიჭებს საწყის დებულებას შემთხვევითობის მოჩვენებით ელფერს. სითბოსა და მოლექულათა მოძრაობის შემთხვევაში ეს ორი პარადიგმა მარტივად ერგება სიტუაციას. როცა ვინმე ამბობს, არაზუსტად, რომ სითბო შეიძლება არ აღმოჩენილიყო მოლექულათა მოძრაობა, მის ნათქვამში ჭეშმარიტია ის, რომ შეიძლება ვინმეს რომელიმე მოვლენა იმავენაირად შეეგრძნო, როგორც ჩვენ სითბოს ვგრძნობთ, ანუ, შეეგრძნო იმის მეშვეობით, რომ ის იწვევს შეგრძნებას, რომელსაც ჩვენ „სითბოს შეგრძნებას“ ვუწოდებთ (ვუწოდოთ მას „S“), იმის მიუხედავად, რომ ეს მოვლენა

არ არის მოლეკულათა მოძრაობა. ის, ამის გარდა, გულისხმობს, რომ ჩვენი პლანეტა შეიძლება დასახლებული ყოფილიყო არსებებით, რომლებიც არ გრძნობენ S-ს, როცა მათზე ზემოქმედებს მოლეკულათა მოძრაობა, თუმცა გრძნობენ მას სხვა რაღაცის ზემოქმედებისას. ასეთი არსებები, გარკვეული თვისებრივი აზრით, იქნებოდნენ იმავე ეპისტემურ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ ვართ, მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ რაიმე ხისტი აღმნიშვნელი იმ მოვლენისათვის, რომელიც მათში S შეგრძნებას იწვევს (ეს ხისტი აღმნიშვნელი შეიძლება „სითბოც“ კი ყოფილიყო), მაგრამ მოლეკულების მოძრაობა არ იქნებოდა (და, მასასადამე, სითბო არ იქნებოდა!) ის, რაც მათში ამ შეგრძნებას იწვევს.

შეგვიძლია კი რაღაც ანალოგიური ვთქვათ იმ ინტუიციის ასახსნელად, რომ ტკივილისა და C ბოჭკოების სტიმულაციის იგივეობა, თუ ის სამეცნიერო აღმოჩენაა, შეიძლება მცდარი გამომდგარიყო? მე ვერ ვხედავ ასეთი ანალოგიის შესაძლებლობას. იმ აშკარა შესაძლებლობის შემთხვევაში, რომ მოლეკულების მოძრაობას შეიძლება ეარსება სითბოს არარსებობის პირობებში, ნამდვილად შესაძლებელი ჩანდა ის, რომ მოლეკულების მოძრაობას ეარსება ისე, რომ ის არავის *შეეგრძნო სითბოდ*, ანუ, მას შეიძლება ეარსება ისე, რომ არ გამოეწვია S შეგრძნება, სითბოს შეგრძნება. შესაფერისი მგრძნობელი არსებების შემთხვევაში, არის კი ანალოგიურად შესაძლებელი, რომ C ბოჭკოების სტიმულაციას ეარსება ისე, რომ არ ყოფილიყო განცდილი ტკივილად? თუ ეს შესაძლებელია, მაშინ C ბოჭკოების სტიმულაცია შეიძლება თვითონ არსებობდეს ტკივილის გარეშე, რადგან მისი არსებობა ისე, რომ არ *განიცდებოდეს ტკივილად*, ზუსტად არის მისი არსებობა ისე, რომ არ *არსებობდეს არავითარი ტკივილი*. ასეთი სიტუაცია პირდაპირ წინააღმდეგობაში იქნებოდა ნაგულისხმევ აუცილებელ იგივეობასთან ტკივილსა და შესაბამის ფიზიკურ მდგომარეობას შორის. ეს ანალოგია ძალაშია ნებისმიერი ფიზიკური მდგომარეობისთვის, რომელიც შეიძლება გაუიგივონ შესაბამის მენტალურ

მდგომარეობას. პრობლემა ის არის, რომ იგივეობის თეორიის დამცველი განა ამტკიცებს, რომ ფიზიკური მდგომარეობა უბრალოდ წარმოშობს მენტალურ მდგომარეობას, არამედ მას უნდა, რომ ეს ორი რამ იგივეობრივი იყოს და, ამდენად, *a fortiori*, აუცილებლად ერთდროულად ხორციელდებოდეს. მოლექულათა მოძრაობისა და სითბოს შემთხვევაში არსებობს რაღაც, სახელდობრ, სითბოს შეგრძნება, რაც გამაშუალებელია გარეგან მოვლენასა და დამკვირვებელს შორის. მენტალურისა და ფიზიკურის შემთხვევაში ვერავითარი ასეთი გამაშუალებელი ვერ იარსებებს, ვინაიდან აქ იგულისხმება, რომ ფიზიკური მოვლენა თვითონ შინაგანი მოვლენის იგივეობრივია. ვინმე შეიძლება იმავე ეპისტემურ სიტუაციაში იყოს, რომელშიც სითბოს არსებობისას იქნებოდა, თუნდაც სითბოს არ ეარსება, უბრალოდ იმის გამო, რომ სითბოს შეგრძნებას განიცდის; და თუნდაც სითბოს არსებობის შემთხვევაში, მას შეიძლება ჰქონდეს იგივე მონაცემები, რომლებიც ექნებოდა სითბოს არარსებობისას, უბრალოდ იმის გამო, რომ არ ექნებოდა S შეგრძნება. ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს ტკივილისა და სხვა მენტალური მოვლენების შემთხვევაში. ადამიანი, რომელიც იმავე ეპისტემურ სიტუაციაშია, რომელშიც ის იქნებოდა, ტკივილს რომ განიცდიდეს, განიცდის ტკივილს; ადამიანი, რომელიც იმავე ეპისტემურ სიტუაციაშია, რომელშიც ის იქნებოდა, ტკივილს რომ არ განიცდიდეს, არ განიცდის ტკივილს. მენტალურ მდგომარეობასა და ტვინის შესაბამის მდგომარეობას შორის კავშირის მოჩვენებითი შემთხვევითობა, ამრიგად, ვერ აიხსნება რაიმე სახის თვისებრივი ანალოგიით, როგორც ამას სითბოს შემთხვევაში ვაკეთებთ.

ჩვენ ახლა სიტუაცია გავაანალიზეთ თვისებრივად იგივეობრივი ეპისტემური სიტუაციის ცნების გამოყენებით. პრობლემა ის არის, რომ ცნება ეპისტემური სიტუაციისა, რომელიც თვისებრივად იგივეობრივია სიტუაციისა, რომელშიც დამკვირვებელს ექნებოდა S შეგრძნება, უბრალოდ არის ცნება სიტუაციისა, რომელშიც დამკვირვებელს აქვს ეს შეგრძნება. იგივე არგუმენტი

შეიძლება გამოითქვას ხისტი აღმნიშვნელის რეფერენციის გამორჩევის ცნების გამოყენებით. სიტბოსა და მოლექულათა მოძრაობის იგივეობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი მოსაზრება იყო ის, რომ, მართალია, „სიტბო“ ხისტი აღმნიშვნელია, მაგრამ ამ აღმნიშვნელის რეფერენცია დადგინდა მისი რეფერენტის შემთხვევითი თვისებით, სახელდობრ, თვისებით, რომ ის ჩვენში S შეგრძნებას იწვევს. ამდენად, შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ მოვლენის ხისტი აღმნიშვნა განხორციელდეს ისეთნაირადვე, როგორც ხორციელდება სიტბოს მოვლენის აღმნიშვნა, მისი რეფერენციაც S შეგრძნების მეშვეობით გამოირჩეს, მაგრამ ეს მოვლენა არ იყოს სიტბო და, ამდენად, არ იყოს მოლექულათა მოძრაობა. ტკივილი, მეორე მხრივ, არ გამოირჩევა მისი ერთ-ერთი შემთხვევითი თვისებით; სანაცვლოდ, მისი გამორჩევა ხდება თვითონ იმ თვისებით, რომ არის ტკივილი – მისი უშუალო ფენომენოლოგიური თვისებრიობით. ამრიგად, ტკივილი, სიტბოსაგან განსხვავებით, არა მხოლოდ ხისტი აღმნიშვნა „ტკივილით“, არამედ ამ აღმნიშვნელის რეფერენცია დგინდება რეფერენტის არსებითი თვისებით. ამრიგად, შეუძლებელია ვთქვათ, რომ, მართალია, ტკივილი გარკვეული ფიზიკური მდგომარეობის იგივეობრივია აუცილებლობით, მაგრამ შეიძლება გარკვეული მოვლენა გამორჩეულ იქნეს იმავე გზით, რომლითაც ჩვენ ტკვილს გამოვარჩევთ, თუმცა არ იყოს კორელაციაში ამ ფიზიკურ მდგომარეობასთან. თუ რომელიმე მოვლენა გამოირჩევა ზუსტად იმავე გზით, რომლითაც ჩვენ გამოვარჩევთ ტკვილს, მაშინ ეს მოვლენა არის ტკივილი.

ალბათ, შეიძლება იმავე აზრის უფრო აშკარად გამოკვეთა ტექნიკური აპარატის ისეთი სპეციფიკური გამოყენების გარეშე, როგორსაც ამ ლექციებში მივმართე. ვთქვათ, წარმოვიდგინოთ ღმერთი, რომელიც ქმნის სამყაროს; რა უნდა გააკეთოს მან, რათა სიტბოსა და მოლექულათა მოძრაობის იგივეობა ძალაში იყოს? როგორც ჩანს, მას მხოლოდ ის სჭირდება, რომ შექმნას სიტბო, ანუ, თვითონ მოლექულათა მოძრაობა. თუ ჰაერის მოლექულები

დედამიწაზე საკმარისად მოძრავია, თუ ანთია ცეცხლი, მაშინ დედამიწა ცხელი იქნება, თუნდაც არ არსებობდნენ დამკვირვებლები, რომლებიც ამას დაინახავდნენ. ღმერთმა სინათლე შექმნა (და, ამრიგად, შექმნა ფოტონების ნაკადი, თანამედროვე მეცნიერული მოძღვრების მიხედვით) მანამ, სანამ ის შექმნიდა დამკვირვებელ ადამიანებსა და ცხოველებს; სავარაუდოდ, იგივე ენება სითბოს. მაშინ რატომ გვეჩვენება ჩვენ, რომ მოლეკულათა მოძრაობის სითბოსთან იგივეობა არის შინაარსობრივი მეცნიერული ფაქტი? რომ მხოლოდ მოლეკულათა მოძრაობის შექმნა ღმერთს მაინც უტოვებს დამატებით ამოცანას, მოლეკულათა მოძრაობა აქციოს სითბოდ? ეს გრძობა მართლაც ილუზორულია, მაგრამ შინაარსობრივი ამოცანა, რომელიც ღვთაების წინაშე მართლაც დგას, არის იმის გაკეთება, რომ მოლეკულათა მოძრაობა განიცდებოდეს სითბოდ. ამის გასაკეთებლად მან უნდა შექმნას შეგრძნების მქონე არსებები და ამით უზრუნველყოს ის, რომ მოლეკულათა მოძრაობა მათში S შეგრძნებას იწვევს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ამას გააკეთებს, იარსებებენ არსებები, რომელთაც შეუძლიათ აღმოაჩინონ, – ზუსტად იმავე გზით, როგორც ჩვენ აღმოვაჩინეთ, – რომ წინადადება „სითბო მოლეკულათა მოძრაობაა“ აპოსტერიორულ ქვეშარიტებას გამოხატავს.

რა უნდა ვთქვათ C ბოჭკოების სტიმულაციის შემთხვევაზე? ამ მოვლენის შესაქმნელად ღმერთს თითქოს მხოლოდ ის სჭირდება, რომ შექმნას C ბოჭკოების მქონე არსებები, რომელთაც შეუძლიათ შესაფერისი სახის ფიზიკური სტიმულაციის მიღება; აქ რელევანტური არ არის, აქვთ თუ არა ამ არსებებს ცნობიერება. მაგრამ ისე ჩანს, რომ იმისათვის, რომ C ბოჭკოების სტიმულაცია შეესაბამებოდეს ტკივილს, ან განიცდებოდეს ტკივილად, ღმერთმა უნდა გააკეთოს კიდევ რაღაც, გარდა უბრალოდ C ბოჭკოების სტიმულაციის შექმნისა; მან ისე უნდა მოაწყოს, რომ ეს არსებები C ბოჭკოების სტიმულაციას განიცდიდნენ ტკივილად, და არა – შეღიჭინებად, ან სითბოდ, ან სულ არაფრად; აშკარაა, რომ ეს

შესაძლებლობებიც არ აღემატება მის ძალებს. თუ მას მართლა შეუძლია ამ საქმეების გაკეთება, მიმართება ღმერთის მიერ შექმნილ ტკივილსა და C ბოჭკოების სტიმულაციას შორის ვერ იქნება იგივეობა. მართლაც, თუ ასეა, სტიმულაციას შეეძლო ეარსება ტკივილის გარეშე; და რადგან „ტკივილი“ და „C ბოჭკოების სტიმულაცია“ ხისტი აღმნიშვნელებია, ამ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ამ ორ მოვლენას შორის მიმართება არ არის იგივეობის მიმართება. ღმერთს კიდევ რაღაც საქმე უნდა შეესრულებინა, თვითონ ადამიანის შექმნის გარდა, რათა კონკრეტული ადამიანი ბიფოკალური ლინზების გამომგონებლად ექცია; თავისუფლად შეიძლება, ამ ადამიანს ეარსება ისე, რომ მსგავსი არაფერი გამოეგონებინა. იმავს ვერ ვიტყვით ტკივილის შესახებ; თუ მოვლენა საერთოდ არსებობს, მეტი აღარაფერი უნდა იყოს გასაკეთებელი, რათა ის ტკივილად იქცეს.

რომ შევაჯამოთ, ტვინის მდგომარეობასა და მენტალურ მდგომარეობას შორის შესაბამისობას თითქოს აშკარად აქვს გარკვეული შემთხვევითობის ელემენტი. ჩვენ ვნახეთ, რომ იგივეობა არ არის მიმართება, რომელიც შემთხვევითად შეიძლება არსებობდეს საგნებს შორის. ამდენად, იგივეობის თეზისი რომ სწორი ყოფილიყო, შემთხვევითობის ეს ელემენტი არ იქნებოდა მენტალურ და ფიზიკურ მდგომარეობებს შორის მიმართების ელემენტი. ის ვერ იქნებოდა, როგორც სითბოსა და მოლეკულათა მოძრაობის შემთხვევაშია, ვერც მოვლენასა (= სითბოსა = მოლეკულათა მოძრაობასა) და მისი განცდის ან წარმოდგენის წესს (S შეგრძნებას) შორის მიმართების ელემენტი, რადგან მენტალური მოვლენების შემთხვევაში არ არსებობს არავითარი „წარმოდგენა“ თვითონ მენტალური მოვლენის მიღმა.

აქ მე ყურადღებას ვამახვილებდი ფიზიკური მდგომარეობის არსებობის შესაძლებლობაზე თუ მოჩვენებით შესაძლებლობაზე მისი შესაბამისი მენტალური მდგომარეობის გარეშე. შებრუნებული შესაძლებლობაც – მენტალური მდგომარეობის (ტკივილის)

არსებობა ფიზიკური მდგომარეობის (C ბოჭკოების სტიმულაციის) გარეშე – წამოჭრის ისეთ პრობლემებს იგივეობის თეორიის დამცველთათვის, რომლებიც ვერ გადაიჭრება სითბოსა და მოლეკულათა მოძრაობის ანალოგიაზე აპელაციით.

მე-სა და სხეულის, კონკრეტული მენტალური ხდომილებებისა და კონკრეტული ფიზიკური ხდომილებების იგივეობის თვალსაზრისების წინაშე წამოჭრილ მსგავს პრობლემებს მე უფრო ზედაპირულად შევეხე; ისეთივე დეტალურობით არ განმიხილავს შესაძლო საპასუხო სვლები, როგორც ტიპების იგივეობის შემთხვევაში. ვიკმარებ იმის თქმას, რომ, ჩემი ვარაუდით, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები დაგვანახებს შემდეგს: თეორეტიკოსი, რომელიც სხვადასხვა კონკრეტული მენტალური და ფიზიკური ხდომილების ერთმანეთთან გაიგივებას მოინდომებს, დადგება პრობლემების წინაშე, რომელიც ძალიან ჰგავს ტიპების იგივეობის თეორიის დამცველის პრობლემებს; ვერც ის შეძლებს სტანდარტული ვითომდა ანალოგიების მოხმობას.

ის ფაქტი, რომ ნაცნობი სვლები და ანალოგიები ვერ შველის იგივეობის თეორიის დამცველის პრობლემების გადაჭრას, რასაკვირველია, არ ამტკიცებს იმას, რომ ამას ვერავითარი სვლა ვერ უშველის. რა თქმა უნდა, აქ მე ვერ შევძლებ ყველა შესაძლებლობის განხილვას, თუმცა, ვვარაუდობ, რომ აქ წარმოდგენილი მოსაზრებები სერიოზულად მეტყველებს მატერიალიზმის ჩვეულებრივი ფორმების წინააღმდეგ. ჩემი აზრით, მატერიალიზმი უნდა ამტკიცებდეს, რომ სამყაროს ფიზიკური აღწერა მისი სრული აღწერაა, რომ ნებისმიერი მენტალური ფაქტი „ონტოლოგიურად დამოკიდებულია“ ფიზიკურ ფაქტებზე პირდაპირი აზრით – მათგან აუცილებლობით გამომდინარეობის აზრით. და მე მეჩვენება, რომ იგივეობის თეორიის არც ერთ დამცველს არ მოუცია დამარწმუნებელი არგუმენტი იმ ინტუიციური თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომ ეს ასე არ არის.⁷⁷

77 ტექსტში იგივეობის თეორიის შესახებ ამ ეჭვების გამოთქმის შემ-

დამატებები

აქ წარმოდგენილია თავდაპირველი ტექსტის ზოგიერთი გავცობა, რომლებიც დავამატე, რათა ან წამოჭრილ კითხვებზე მეპასუხა, ან ზოგიერთი აზრი მეტად ნათლად გადმომეცა, ან მონახაზი მომეცა მომავალი შევსებისათვის.

(ა) უნიკორნები, გვ. 23-24. მესამე ლექციაში ბუნებრივი გვარების შესახებ გამოთქმული შენიშვნების შუქზე, უნდა ვცადო, მოკლედ ავხსნა უნიკორნების შესახებ ის უცნაური თვალსაზრისი,

დეგ, ორ ვითარებას მინდა გავუსვა ხაზი: ერთი, იგივეობის თეორიის დამცველებს თავიანთი თვალსაზრისის სასარგებლოდ აქვთ ისეთი პოზიტიური არგუმენტები, რომლებზეც პასუხი აქ აშკარად არ გამიცია. ამ არგუმენტებიდან ზოგიერთი სუსტ ან იდეოლოგიურ ცრურწმენებზე დაფუძნებულ არგუმენტად მეჩვენება; მაგრამ სხვები უაღრესად დამარწმუნებელ არგუმენტებად მიმაჩნია, რომლებზეც დამაჯერებელი პასუხები ამჟამად არ გამაჩნია. მეორეც, იგივეობის თეზისის უკუგდება არ გულისხმობს კარტეზიანული დუალიზმის მიღებას. ფაქტობრივად, ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმად შეუძლებელია, ადამიანი წარმოშობილიყო სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედისაგან, რომლებიც განსხვავდება იმ სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედისაგან, რომელთაგანაც ის ფაქტობრივად წარმოიშვა, ფარულად გვკარნახობს კარტეზიანული სურათის უკუგდებას. ჩვენ რომ გვქონოდა სულის ან ცნობიერების, როგორც დამოუკიდებელი, სუბსტანციური, სულიერი არსების, მკაფიო იდეა, რატომ უნდა ჰქონოდა მას ასეთი აუცილებელი კავშირი კონკრეტულ მატერიალურ ობიექტებთან, როგორებიცაა კონკრეტული სპერმატოზოიდი ან კვერცხუჯრედი? მართლმორწმუნე დუალისტი შეიძლება ფიქრობდეს, რომ სპერმატოზოიდებისა და კვერცხუჯრედების შესახებ ჩემი შეხედულებები დეკარტის წინააღმდეგ წრიულ არგუმენტაციას წარმოადგენს. მე კი საპირისპირო მიმართულებით ვიმსჯელებდი: ის ფაქტი, რომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მე წარმოვშობილიყავი სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედისგან, რომელთაგანაც მე ფაქტობრივად არ წარმოვშობილვარ, ჩემი აზრით, აჩვენებს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს სულის ან მე-ს არავითარი მკაფიო ცნება. ნებისმიერ შემთხვევაში, დეკარტისეული იდეა უკვე კარტეზიანული მე-ს ჰიუმისეული კრიტიკის შემდეგ გახდა საეჭვო. სხეულისა და ცნობიერების ურთიერთიმართება სრულებით ღია და უაღრესად დამაბნეველ პრობლემად მიმაჩნია.

რომელსაც ტექსტში ვიცავ. მოცემული იყო ორი თეზისი: პირველი იყო მეტაფიზიკური თეზისი იმის შესახებ, რომ არც ერთი კონტრფაქტობრივი სიტუაცია არ შეიძლება სწორად აღიწეროს, როგორც სიტუაცია, რომელშიც იარსებებდნენ უნიკორნები; მეორე იყო ეპისტემოლოგიური თეზისი იმის შესახებ, რომ არქეოლოგიური აღმოჩენა იმისა, რომ არსებობდნენ ცხოველები ყველა იმ თვისებით, რომელსაც შესაბამისი მითი უნიკორნებს მიაწერს, თავისთავად არ იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ უნიკორნები არსებობდნენ.

რაც შეეხება მეტაფიზიკურ თეზისს, არგუმენტი არსებითად შემდეგია: ზუსტად ისევე, როგორც ვეფხვი არის რეალური სახეობა, უნიკორნი არის მითიური სახეობა. ვეფხვები, როგორც მე მესამე ლექციაში ვამტკიცებ, ვერ განისაზღვრება მხოლოდ მათი გარეგნობის მიხედვით; შესაძლებელია, ეარსება სხვა სახეობას, რომელსაც ექნებოდა ვეფხვის ყველა გარეგნული ნიშანი, მაგრამ განსხვავებული შინაგანი სტრუქტურა და, ამდენად, ის არ იქნებოდა ვეფხვის სახეობის წარმომადგენელი. შეიძლება, ჩვენ საწინააღმდეგო აზრისაკენ გვიბიძგებდეს ის ფაქტი, რომ რეალურად არავითარი ასეთი „სულელის ვეფხვი“ არ არსებობს, და, ამდენად, პრაქტიკულად გარეგნული ნიშნები საკმარისია სახეობის იდენტიფიკაციისთვის. მაგრამ უნიკორნის რეალური სახეობა არ არსებობს; შესაბამისად, თუ წარმოვიდგენთ რამდენიმე სხვადასხვა ჰიპოთეტურ სახეობას, რომლთაც ერთმანეთისგან განსხვავებული (ზოგიერთს რეპტილიის, ზოგიერთს ძუძუმწოვრის, ზოგიერთს ამფიბიის) შინაგანი სტრუქტურა აქვთ, მაგრამ ერთნაირი აქვთ გარეგნული ნიშნები – სახელდობრ, ისეთი, როგორიც უნიკორნის შესახებ მითში უნიკორნებს მიეწერება, მაშინ ვერ ვიტყვით, რომელი იქნებოდა უნიკორნი ამ სხვადასხვა მითიური სახეობიდან. თუ, ჩემსავით, უშვებთ, რომ მითში წარმოდგენილი უნიკორნები კონკრეტულ სახეობას შეადგენენ, მაგრამ ეს მითი მათი შინაგანი სტრუქტურის შესახებ არ გვაძლევს უნიკალური სახეობის განსაზღვრისათვის საკმარის ინფორმაციას, მაშინ არ არსებობს აქ-

ტულაური ან შესაძლო სახეობა, რომლის შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის უნიკორნის სახეობა.

ეპისტემოლოგიური თეზისის დაცვა უფრო იოლია. თუ ვიპოვით ამბავს, რომელიც აღწერს ოქროს ფიზიკურ გარეგნობას, ამის საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ მასში ლაპარაკია ოქროს შესახებ; ის შეიძლება „სულელის ოქროს“ ეხებოდეს. ის, თუ რომელ ნივთზეა მსჯელობა, უნდა დადგინდეს ისევე, როგორც საკუთარი სახელების შემთხვევაში, ამ ამბის ისტორიული კავშირით გარკვეულ ნივთიერებასთან. როცა ამ კავშირის დადგენას ვეცდებით, თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ნივთიერება, რომელსაც საქმე ეხებოდა, იყო ოქრო, ან „სულელის ოქრო“, ან რაღაც სხვა. ანალოგიურად, უბრალოდ ისეთი თვისებების მქონე ცხოველების აღმოჩენა, რომლებიც, ჩვეულებრივ, უნიკორნებს მიეწერება მითში, არასგზით არ აჩვენებდა, რომ სწორედ ესაა ის ცხოველები, რომელთაც მითი ეხება: შეიძლება, მითი წმინდა წყლის გამონაგონია, ხოლო ის ფაქტი, რომ იმავე გარეგნობის ცხოველები მართლაც არსებობდნენ, მხოლოდ დამთხვევა იყო. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ მითიური უნიკორნები მართლა არსებობდნენ; უნდა დავადგინოთ ისტორიული კავშირიც, რომელიც აჩვენებს, რომ ეს მითი არის ამ ცხოველების შესახებ.

მე ანალოგიურ შეხედულებებს ვიცავ ფიქციური საკუთარი სახელებისთვისაც. მხოლოდ იმის აღმოჩენა, რომ მართლა არსებობდა დეტექტივი, რომელმაც შერლოკ ჰოლმსის მსგავსი გმირობები ჩაიდინა, არ აჩვენებდა, რომ კონან დოილი ამ ადამიანის შესახებ წერდა; თეორიულად შესაძლებელია, თუმცა პრაქტიკულად ფანტასტიკურად არადადამაჯერებელია, რომ დოილი წერდა წმინდა ფიქციას, რომელიც მხოლოდ დამთხვევის გამო ჰგავდა რეალურ ადამიანს (იხილეთ შენიშვნა პერსონაჟების შესახებ: „წიგნის პერსონაჟები გამოგონილია და ნებისმიერი მსგავსება რომელიმე, ცოცხალ ან გარდაცვლილ, პიროვნებასთან, წმინდა დამთხვევის შედეგია“). ანალოგიურად, მე ვიზიარებ მეტაფიზიკურ თვალსაზრისს, რომ, თუკი დავუშვებთ, რომ შერლოკ ჰოლ-

მსი არ არსებობს, მაშინ ვერც ერთ შესაძლო პიროვნებაზე ვერ ვიტყვით, რომ ის რომ არსებულყო, შერლოკ ჰოლმსი იქნებოდა. ჰოლმსის საგმირო საქმეები შეიძლება ჩაედინა რამდენიმე სხვადასხვა შესაძლო, ან, თუნდაც, რამდენიმე აქტუალურ ადამიანს, როგორებიც დარვინი ან მფატრავი ჯეკი იყვნენ, მაგრამ არ არსებობს არავინ, ვისზეც შევძლებდით გვეთქვა, რომ ის ჰოლმსი იქნებოდა, ეს ყველაფერი რომ გაეკეთებინა. მართლაც, თუ რომელიმე მათგანი ჰოლმსი იქნებოდა, მაშინ რომელი?

ამრიგად, მე ველარ დავწერდი, როგორც ადრე, რომ „ჰოლმსი არ არსებობს, მაგრამ სხვა ვითარებებში ის იარსებებდა“ (იხილეთ ჩემი „სემანტიკური მოსაზრებები მოდალური ლოგიკის შესახებ“ – “Semantical Considerations on Modal Logic”, *Acta Philosophica Fennica*, Vol. 16 (1963) გვ. 83-94; გადაბეჭდილია კრებულში: L. Linsky (ed.), *Reference and Modality*, Oxford University Press (1971); გვ. 65 ამ უკანასკნელში). ციტირებული მტკიცება ქმნის არასწორ შთაბეჭდილებას, თითქოს ისეთი ფიქციური სახელი, როგორიცაა, მაგალითად, „ჰოლმსი“, ასახელებდეს შესაძლებელ-მაგრამ-არააქტუალურ ინდივიდს. თუმცა, არსებითი აზრი, რომლის გამოკვეთასაც მე ვცდილობდი, ძალაში რჩება და ის დამოუკიდებელია ფიქციაში სახელების სტატუსის შესახებ ნებისმიერი ლინგვისტური თეორიისაგან. ეს აზრი ის იყო, რომ სხვა შესაძლო სამყაროებში „ზოგიერთი რეალურად არსებული ინდივიდი შეიძლება არ არსებობდეს, ხოლო ზოგიერთი ახალი ინდივიდი... არსებობდეს“ (იქვე, გვ. 65), და რომ, თუ ღია ფორმულაში $A(x)$ თავისუფალ ცვლადს მნიშვნელობად მივანიჭებთ მოცემულ ინდივიდს, წამოიჭრება პრობლემა იმის შესახებ, უნდა მიეწეროს თუ არა (მოდალური ლოგიკის მოდელთეორიულ გაგებაში) ამ ფორმულას ჭეშმარიტების მნიშვნელობა იმ სამყაროებში, რომლებშიც მოცემული ინდივიდი არ არსებობს.

ვაცნობიერებ, რომ ამ შენიშვნების უკიდურესი სიმოკლე კიდევ უფრო ამცირებს იმ დამაჯერებლობას, რაც მათ სხვა შემთხვევაში შეიძლება ჰქონოდა. იმედი მაქვს, რომ მათზე მეტს ვილაპარაკებ სხვაგან – მომავალ შრომაში, რომელიც არსებობის

დებულებების, ცარიელი სახელების და ფიქციური არსებების პრობლემებს ეხება.

(ბ) *შეუძლია*-დან *უნდა-მდე*, გვ. 35, პირველი აბზაცი. ბარი სტრაუდის ჯერ გამოუქვეყნებელი სტატიის წყალობით ყურადღება მივაქციე იმ ფაქტს, რომ თვითონ კანტი ამასთან მჭიდროდ დაკავშირებულ შენიშვნებს გამოთქვამს. კანტი ამბობს: „გამოცდილება გვასწავლის, რომ რაღაცას ასეთი და ასეთი თვისება აქვს, მაგრამ იმას არ გვეუბნება, რომ მას არ შეუძლია სხვაგვარად ყოფნა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თუ მოიპოვება ისეთი დებულება, თავის აუცილებლობასთან ერთად რომ გაიაზრება, მაშინ იგი აპრიორული მსჯელობაა... ამრიგად, აუცილებლობა და მკაცრი ზოგადობა აპრიორული შემეცნების უტყუარი ნიშნებია“ (*წმინდა გონების კრიტიკა*, B3-4, გვ. 43-44 კემპ სმითის [ინგლისურ] თარგმანში, Macmillan, 1956 [გვ.38 შ. პაპუაშვილის თარგმანში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979]). ამრიგად, როგორც ჩანს, კანტი ფიქრობს, რომ თუ ცნობილია, რომ დებულება *აუცილებელია*, მაშინ მისი ცოდნა არა მხოლოდ *შეძლება* იყოს აპრიორული, არამედ *უნდა* იყოს აპრიორული. ამის საპირისპიროდ, ადამიანმა შეიძლება ისწავლოს მათემატიკური ჭეშმარიტება აპოსტერიორულად, გამომთვლელი მანქანის გამოყენებით, ან, თუნდაც, მათემატიკოსისათვის შეკითხვის დასმით. კანტი ვერ შეძლებს ვერც იმის მტკიცებას, რომ გამოცდილებას შეუძლია გვითხრას, რომ მათემატიკური დებულება *ჭეშმარიტია*, მაგრამ არა ის, რომ ის *აუცილებელია*; რადგან მათემატიკური დებულებების (გოლდბახის ჰიპოთეზის მსგავსად) თავისებური ხასიათი ისაა, რომ ჩვენ (აპრიორულად) ვიცით, რომ შეუძლებელია ისინი შემთხვევითად ჭეშმარიტი იყოს; მათემატიკური დებულება, თუ ის ჭეშმარიტია, აუცილებელია.

აუცილებელი აპოსტერიორულის ყველა შემთხვევას, რომელსაც ტექსტში ვიცავ, აქვს ის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც მათემატიკურ დებულებებს მიეწერება: ფილოსოფიური ანალიზი გვეუბნება, რომ ისინი ვერ იქნება შემთხვევითად ჭეშმარიტი, ასე

რომ, მათი ჭეშმარიტების ნებისმიერი ემპირიული ცოდნა ავტომატურად არის ემპირიული ცოდნა იმისა, რომ ისინი აუცილებელია. ეს დახასიათება ეხება, კერძოდ, იგივეობის დებულებებისა და არსების შესახებ მსჯელობის შემთხვევებს. ამ ვითარებამ შეიძლება მოგვცეს აუცილებელი ჭეშმარიტებების აპოსტერიორული ცოდნის ზოგადი დახასიათების გასაღები.

უნდა აღვნიშნო, რომ მათემატიკური ჭეშმარიტების კომპიუტერის მეშვეობით ცოდნის შესაძლებლობა კანტის წინააღმდეგ ჩემი ერთადერთი არგუმენტი რომ ყოფილიყო, მისთვის ჯერ კიდევ ღია იქნებოდა შემდეგი მტკიცების შესაძლებლობა: (1) ყველა აუცილებელი ჭეშმარიტება ცოდნადია აპრიორულად; ან, უფრო სუსტად, (2) ყველა აუცილებელი ჭეშმარიტება, თუ ის საერთოდ ცნობილია, უნდა იყოს ცოდნადი აპრიორულად. როგორც (1), ისე (2) შეიცავს აპრიორული ცოდნის შესაძლებლობის ბუნდოვან ცნებას, მაგრამ, იმდენად, რამდენადაც ეს ცნება ნათელყოფილია მისი სტანდარტული ადამიანური აპრიორული ცოდნით შემოფარგვლით, მე ტექსტში ვამტკიცებ როგორც (1), ისე (2) დებულების მცდარობას. ფაქტობრივად, რა თქმა უნდა, მე ვამტკიცებ, რომ დებულებები, რომელთაც თანამედროვე ფილოსოფოსები მართებულად მიიჩნევენ „ემპირიულად“ შეიძლება იყოს აუცილებელი, და ცნობილი იყოს, როგორც აუცილებელი.

ალბათ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე კანტთან ვერ ვიპოვე აპრიორული ჭეშმარიტების დახასიათება, როგორც ჭეშმარიტებისა, რომლის ცოდნაც შესაძლებელია გამოცდილებისგან დამოუკიდებლად; როგორც მე ვხედავ, კანტი მხოლოდ კონკრეტული დებულებების აპრიორულ ცოდნაზე ლაპარაკობს, რასაც არ შემოაქვს დამატებითი მოდალობა (ტექსტში მე გაუფრთხილებლად მივაწერე აპრიორული ჭეშმარიტების ეს გავრცელებული დახასიათება კანტს). ამასთან, რასაკვირველია, როდესაც კანტი სიტყვას „აუცილებელი“ დებულებათა რომელიმე ტიპისათვის იყენებს, ხოლო სიტყვას „აპრიორული“ – ცოდნის წესისათვის, მას ვერ დავადანაშაულებთ იმის გამო, რომ დღეს-დღეობით გავრცელებუ-

ლია ამ ორი ტერმინის ურთიერთშენაცვლებად სინონიმებად მიჩნევის პრაქტიკა. „კრიტიკის“ პირველივე გვერდებიდან ნათელია, რომ თეზისი იმის შესახებ, რომ რალაცის აუცილებლობის ცოდნა აპრიორული ცოდნა უნდა იყოს, მას მნიშვნელოვან, მართალია აშკარა, მაგრამ შინაარსის მქონე თეზისად მიაჩნია.

(გ) ჩემს ყურამდე მოაღწია რამდენიმე შენიშვნამ, რომლებიც მაფიქრებინებს, რომ არაწრიულობის პირობას არ აწყენდა მეტი ნათელყოფა. ჯერ ერთი, ჩემი შენიშვნა 68-ე გვერდზე არასწორად გაიგეს, როგორც მტკიცება, რომ ისეთი განსაზღვრება, როგორცაა „იონა არის ადამიანი, რომელიც ამ სახელით მოიხსენება ბიბლიაში“, აუცილებლად არღვევს არაწრიულობის პირობას. ასე არ არის, თუკი დესკრიფციის თეორია მოგვცემს ბიბლიის ავტორების რეფერენციის ისეთ ახსნას, რომელიც ჩვენი რეფერენციისგან დამოუკიდებელი იქნება. სტროსონზე მსჯელობისას მე აშკარად ვამბობ, რომ მოსაუბრემ შეიძლება გამოიყენოს ამ სახის დესკრიფცია, რომელსაც პასუხისმგებლობა სხვაზე გადააქვს, და ეს პროცედურა არაწრიული იქნება, ოღონდ იმ პირობით, რომ სხვა მოსაუბრის დესკრიფცია, საბოლოოდ, არ შეიცავს პირველი მოსაუბრის მიერ შესრულებულ რეფერენციებს. მაგალითად, მე შემიძლია ვთქვა: «ვუწოდოთ „გლამფი“ იმ საგანს, რომელსაც ჯოუნსი „გლამფს“ უწოდებს», იმ პირობით, რომ ჯოუნსი იმავე დროს არ იტყვის: «ვუწოდოთ „გლამფი“ იმ საგანს, რომელსაც კრიპკე „გლამფს“ უწოდებს». შედაგება რეფერენციის ისეთი არაწრიული დადგენის შემთხვევების წინააღმდეგ, როგორებიცაა «ვუწოდოთ „გლამფი“ იმ საგანს, რომელსაც ჯოუნსი „გლამფს“ უწოდებს» და «ვუწოდოთ „გოდელი“ იმ ადამიანს, რომელსაც ექსპერტები არასრულობის თეორემას მიაწერენ» (წარმოთქმული არაპროფესიონალის მიერ), სხვაა: როგორც წესი, მოსაუბრეს ზუსტად ვერ ეცოდინება, ვისგან მიიღო თავისი რეფერენცია; და, რამდენადაც მისთვის ცნობილია, თავისუფლად შეიძლება „ექსპერტები“ ხვდებოდნენ, რომ არასრულობის თეორემა შმიდტმა დაამტკიცა და არა გოდელმა, მიუხედავად იმისა, რომ არაექსპერტი მოსაუბრე

მას მაინც გოდელს მიაწერს. ამრიგად, რეფერენტის დადგენის ასეთმა შემთხვევებმა შეიძლება არასწორი შედეგი მოგვცეს, ამიტომ, უთუოდ არასწორი იქნება იმის თქმა, რომ მოსაუბრემ აპრიორულად იცის (როგორც მე-5 თეზისი გვეუბნება), რომ ეს არ მომხდარა (იხილეთ ჩემ მიერ სტროსონის კრიტიკა ტექსტში). თუ, მეორე მხრივ, მოსაუბრე ცდილობს ასეთი შეცდომის შესაძლებლობა თავიდან აირიდოს პარადიგმად თავისი საკუთარი რეფერენტის გამოყენებით – როგორც, მაგალითად, რეფერენტის განსაზღვრის შემდეგ შემთხვევებში: «ვუწოდოთ „გლამფი“ ადამიანს, რომელსაც მე ვუწოდებ „გლამფს“ (ახლა)» ან «ვუწოდოთ „გოდელი“ ადამიანს, რომელმაც, ჩემი აზრით, არასრულობის თეორემა დაამტკიცა» – რეფერენტის განსაზღვრა წრიულია (თუ მოსაუბრეს უკვე არ აქვს დადგენილი თავისი რეფერენცია რაღაც სხვა ხერხით, რა შემთხვევაშიც ეს სხვა ხერხი იქნება განმსაზღვრელი პირობა და არა ის, რომელიც აქ არის ჩამოყალიბებული). ხშირად რეფერენტის დადგენა შეიძლება წარმატებული არ აღმოჩნდეს ორივე მიზეზის – წრიულობისა და შეცდომის შესაძლებლობის – გამო, რადგან მოსაუბრემ შეიძლება არ იცოდეს, ის სხვა ადამიანები, ვისაც ის „ესტაფეტას გადასცემს“, თავის მხრივ, მას ხომ არ გადასცემენ ესტაფეტას. ორივე სახის კრიტიკის ობიექტის აშკარა ნიმუშებს ვხვდებით რეფერენტის დადგენის ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა «აღვნიშნოთ „გლამფით“ ადამიანი, რომელსაც ჩვენი C საზოგადოების ყველა წევრი „გლამფს“ უწოდებს», ან «აღვნიშნოთ „გოდელით“ ადამიანი, რომელიც C საზოგადოებაში დღეს-დღეობით საყოველთაოდ მიიჩნევა არასრულობის თეორემის დამტკიცების ავტორად», თუ იგულისხმება, რომ ეს დადგენა გამოიყენება C საზოგადოების ყველა წევრის მიერ. ხომ შეიძლება, ცალკეული მოსაუბრე ცდებოდეს ასეთ დადგენაში, თუ საზოგადოებისთვის, მთლიანობაში, ცნობილი გახდა გოდელ-შმიდტის თაღლითობა, მაგრამ მოსაუბრეს ეს არ გაუგია; და თუნდაც გამოვრიცხოთ შეცდომის შესაძლებლობა, ეს დადგენა წრიული იქნება, თუ იგულისხმება, რომ

C საზოგადოების წევრთაგან ყველა, ან, თუნდაც, მათი დიდი უმრავლესობა მას იყენებს თავისი რეფერენციის დადგენისთვის.

ეს ყველაფერი ნათქვამია ტექსტში, მაგრამ გაუგებრობებმა მაფიქრებინა, რომ შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო შემაჯამებელი ხელახალი ფორმულირება. რეფერენციის დადგენის სრულებით სხვა ხერხი ასეთი იქნებოდა: «აღვნიშნოთ „გლამვით“ ადამიანი, რომელსაც „გლამფს“ უწოდებენ ის ადამიანები (ვინც არ უნდა იყვნენ ისინი), რომელთაგანაც მე ვისწავლე ეს სახელი, იმ პირობით, რომ ახლა ჩემ მიერ რეფერენციის დადგენა აკმაყოფილებს წიგნში „სახელდება და აუცილებლობა“ მოხაზულ პირობებს და ყველა სხვა პირობასაც, რომლის დაკმაყოფილებაც შეიძლება საჭირო იყოს». როგორც 38-ე შენიშვნაში ვთქვი, ასეთი დადგენა იქნებოდა დესკრიფციის თეორიის ტრივიალური შესრულება აქ წარმოდგენილი თვალსაზრისის პირობების დაცვით, ეს თვალსაზრისი რომ რამდენადმე თავისუფალი არ ყოფილიყო და მასში უკვე არ ყოფილიყო ნაგულისხმევი თვითონ მოსაუბრის რეფერენციის ცნება (რომელიც დამოკიდებულია მის განზრახვაზე, თანხმობაში იყოს მათ რეფერენციასთან, ვისგანაც თვითონ ისწავლა სახელი). ორივე ეს პრობლემა რომც გადალახულიყო, შედეგად მიღებული დესკრიფცია, ალბათ, არ იქნებოდა იმ ტიპისა, რომელიც მოსაუბრეს მოუვა აზრად, როცა მას ეკითხებიან: „ვინ არის ნაპოლეონი?“, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა დესკრიფციის თეორიის მომხრეს. ის აზრად მოუვა მხოლოდ იმ მოსაუბრეს, რომელიც რეფერენციის რთულ თეორიას ფლობს და, რა თქმა უნდა, სწორედ ეს თეორია, და არა მოსაუბრის მიერ დესკრიფციის ცოდნა, იქნება ის, რაც გვაძლევს ქვეყნარტ სურათს იმისა, თუ როგორ იქნა რეფერენცია დადგენილი.

(დ) საწყისი „ნათლობა“, გვ. 96. 70-ე შენიშვნაში, რომელიც ბუნებრივი გვარის აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება, ვამბობ, რომ საწყისი ნიმუშების ცნება, რომელზეც იქ კეთდება აპელაცია, შემთხვევის მეტისმეტად გამარტივებულ სურათს გვაძლევს. რა თქმა უნდა, საკუთარი სახელებისთვისაც, ანალოგიურად, ვაღიარებ,

რომ აუცილებელი არ არის, ყოველთვის არსებობდეს იდენტიფიცირებადი პირველი ნათლობა; ამრიგად, ეს სურათი მეტისმეტად გამარტივებულია. რასაკვირველია, მე ასევე მიმაჩნია, 70-ე შენიშვნის ანალოგიურად, რომ ასეთი გართულებები რადიკალურად არ შეცვლის სურათს. მაგრამ, ალბათ, სიმართლეა, რომ საკუთარი სახელების შემთხვევაში მაგალითები, რომელთაც იდენტიფიცირებადი პირველი ნათლობა არ გააჩნიათ, უფრო იშვიათია, ვიდრე სახეობების შემთხვევაში.

(ე) *სანტა კლაუსი*, გვ. 93 და 96-97. გარეთ ევანსმა გამოკვეთა, რომ რეფერენციის წანაცვლების მსგავსი შემთხვევები გვხვდება იქაც, სადაც წანაცვლება ხდება არა რეალური არსების ფიქციური არსებით შეცვლის, არამედ ერთი რეალური არსების სხვა, იმავე სახის რეალური არსებით შეცვლის შედეგად. ევანსის თანახმად, „მადაგასკარი“ ადგილობრივ ენაზე აფრიკის ნაწილის სახელი იყო; მარკო პოლომ, რომელსაც ეგონა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა გამოყენებას იცავდა, ეს სახელი კუნძულისათვის გამოიყენა (ევანსი ამ მაგალითს დესკრიფციის თეორიის დასაცავად იშველიებს; მე, რასაკვირველია, მას ასე არ ვუყურებ). დღეს ამ სახელის გამოყენება კუნძულის სახელად იმდენად გავრცელებულია, რომ ის უთუოდ გადაწონის ნებისმიერ ისტორიულ კავშირს ადგილობრივთა სახელთან. დევიდ ლუისმა დაგვანახა, რომ იგივე ამბავი შეიძლება მომხდარიყო მაშინაც, ადგილობრივ მკვიდრთათვის „მადაგასკარი“ მითიური ადგილის აღმნიშვნელი რომ ყოფილიყო. ამრიგად, რეალური რეფერენცია შეიძლება წანაცვლდეს სხვა რეალური რეფერენციისკენ, ფიქციური რეფერენცია შეიძლება წანაცვლდეს რეალურისკენ, ხოლო რეალური – ფიქციურისკენ. ყველა ამ შემთხვევაში ახლანდელი განზრახვა, ვრეფერირებდეთ მოცემულ არსებაზე (ან ვრეფერირებდეთ ფიქციურად) გადაწონის თავდაპირველ განზრახვას, შევინარჩუნოთ რეფერენცია რეფერენციის გადაცემათა ისტორიულ ჯაჭვში. ეს საკითხი ვრცელ განხილვას იმსახურებს, მაგრამ აღნიშნული მოვლენა, ალბათ, შეიძლება უნემად აიხსნას საკუთარი სახელების გამოყენების გა-

მოკვეთილად სოციალურ ხასიათზე მითითებით. ამაზე ტექსტშიც იყო ყურადღება გამახვილებული: ჩვენ სახელებს ვიყენებთ საერთო ენის მეშვეობით სხვა მოსაუბრეებთან კომუნიკაციის მიზნით. ეს სოციალური ხასიათი, ჩვეულებრივ, გვკარნახობს, რომ მოსაუბრეს განზრახული უნდა ჰქონდეს, სახელი იმავე გზით გამოიყენოს, რომლითაც მას ის გადაეცა; მაგრამ „მადაგასკარის“ შემთხვევაში ეს ხასიათი გვკარნახობს, რომ კუნძულზე რეფერირების ახლანდელი განზრახვა გადაწონის ამ სიტყვის ადგილობრივ მკვიდრთა მიერ გამოყენებასთან შორეულ კავშირს (ალბათ, ანალოგიურად შეიძლება აიხსნას მილერის შემთხვევა, რომელშიც „ჯორჯ სმითი“ უპირისპირდებოდა „ნიუტონს“). ამ ყველაფრის ოდნავ მაინც ზუსტად გამოთქმა უთუოდ მოითხოვს უფრო ძლიერ აპარატს, ვიდრე ისაა, რომელიც აქ ჩამოვაცალიბე; კერძოდ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, სახელის გარკვეული ობიექტისათვის გამოყენების ახლანდელი განზრახვა და, მეორე მხრივ, უბრალოდ ახლანდელი რწმენა, რომ ეს ობიექტი ერთადერთი ობიექტია, რომელსაც გარკვეული თვისება აქვს; ასევე, საჭიროა ამ განსხვავების ნათელყოფა. ამ პრობლემაზე მუშაობას მომავლისთვის ვიტოვებ.

(ვ) ალბათ, უნდა შევნიშნო (და ამით გავაძლიერო მე-2 შენიშვნის შინაარსი (გვ. 23)), რომ სახელდების ისტორიული ათვისების სურათი, რომელსაც აქ ვიცავ, როგორც ჩანს, ძალიან ჰგავს კეით დონელანის შეხედულებებს (ჩარლზ ჩესტენმაც გამოთქვა მსგავსი მოსაზრებები, მაგრამ მათში უფრო დიდი დოზით არის შერეული დეკსრიფციის ძველი თეორიის ელემენტები). დევიდ კაპლანმა თავისი გამოკვლევა „დეს“-ის შესახებ, რომელსაც 22-ე შენიშვნაში ვახსენებ, გააფართოვა „ჩვენებითი ნაცვალსახელების“ ლოგიკამდე, რომელშიც, როგორც ის ამბობს, შესაძლებელია ამ წიგნში მოცემული არგუმენტაციის დიდი ნაწილის ფორმალურად წარმოდგენა. მართლაც, ამ წიგნის დიდი ნაწილი მიგვანიშნებს გარკვეულ ფორმალურ აპარატზე, თუმცა, აქ მოცემული წარმოდგენა არაფორმალურია.

(ზ) მესამე ლექციაში გამოთქმულია აზრი, რომ დიდი ნაწილი იმისა, რაც თანამედროვე ფილოსოფიაში მხოლოდ ფიზიკურ აუცილებლობად მიიჩნევა, სინამდვილეში აუცილებელია *tout court*. შეკითხვას იმის შესახებ, თუ სადამდე შეიძლება გავავრცოთ ეს მტკიცება, მომავლისთვის გადავდებ.

კომენტარები

გვ. 8

* „x“-ის შემცველი ფორმულის წინ დართული „(x)“ ზოგადობის კვანტორის ჩაწერის ერთ-ერთი ფორმაა (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო დამკვიდრებულია ზოგადობის კვანტორის ჩაწერა \forall სიმბოლოს გამოყენებით, თუმცა, თარგმანში ორიგინალის ნოტაციაა შენარჩუნებული). ფორმულა „(x) $\square(x=x)$ “ იკითხება, როგორც შემდეგი წინადადება: ყველა საგანი აუცილებლობით არის თავის თავის იგივეობრივი (ყველა საგნისთვის აუცილებლად ქვემარტია, რომ ის თავის თავის იგივეობრივია). ფორმულა „(x)(y)($x=y \supset \square x=y$)“ კი იკითხება ასე: ნებისმიერი ორი საგნისთვის, თუ ეს საგნები ერთი და იგივეა, მაშინ ისინი აუცილებლობით არის ერთი და იგივე. ამ დებულებას უწოდებენ *იგივეობის აუცილებლობის* თეზისს. მისი ფორმალური გამოყვანა პირველი დებულებიდან (საკუთარ თავთან იგივეობის აუცილებლობიდან), იგივეობრივთა ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპის გამოყენებით, ეკუთვნის რუთ ბარქან მარკუსს.

ლაიბნიცის კანონში აქ კრიპკე გულისხმობს სწორედ *იგივეობრივთა ურთიერთშენაცვლებადობის* პრინციპს, რომელსაც აიგივებენ ხოლმე *იგივეობრივთა განუსხვავებლობის* პრინციპთან. ამ უკანასკნელის თანახმად, თუ a და b ერთი და იგივეა, მაშინ a-ს ყველა თვისება აქვს b-ს და პირიქით. ამას ემყარება ურთიერთშენაცვლებადობაც: თუ რაიმე ქვემარტია a-სთვის, მაშინ ის ქვემარტია b-სთვისაც და პირიქით; შესაბამისად, თუ a და b ერთი და იგივეა, მაშინ ნებისმიერ წინადადებაში „a“-ს ნაცვლად „b“-ს ჩასმა შეინახავს ამ წინადადების ქვემარტებას (*salva veritate*). ამ პრინციპისგან განსხვავდება *განუსხვავებელთა იგივეობის* პრინციპი, რომლის თანახმად, თუ ორ საგანს ყველა თვისება ზუსტად ერთი და იგივე აქვს, მაშინ ეს ერთი და იგივე საგანია. ლაიბნიცის კანონს, როგორც წესი, სწორედ ამ უკა-

ნასკნელ პრინციპს უწოდებენ, ზოგჯერ კი – ორივე პრინციპის ერთობლიობას. ვინაიდან მეორე პრინციპი (განუსხვავებელთა იგივეობა) უფრო სადავო ონტოლოგიური პრინციპია, ხოლო პირველი (იგივეობრივთა განუსხვავებლობა) უფრო ტრივიალურად ჭეშმარიტად მიიჩნევა, ზოგიერთი ფილოსოფოსი მხოლოდ ამ უკანასკნელს ლაიბნიცის პრინციპს უწოდებს და ლაიბნიცის კანონისგან განასხვავებს.

გვ. 35

* ბუნებრივ გვარებს (natural kinds) უწოდებენ არსებათა, ობიექტთა ისეთ კატეგორიებს, რომელთა ცალკე კატეგორიებად გამოყოფაც ემყარება თვითონ სინამდვილეში (ბუნებაში) არსებულ დაყოფას და არ არის ფარდობითი ადამიანთა ენობრივი და შემეცნებითი პრაქტიკის მიმართ. ბუნებრივი გვარების ცნების საფუძველია იდეა, რომ საგანთა გარკვეული კლასიფიკაციები თავისთავად არსებობს, განსაზღვრულია სინამდვილის ბუნებით, ხოლო მეცნიერების მიზანი ამ კლასიფიკაციების აღმოჩენა და შესწავლაა. ბუნებრივი გვარების ტიპური მაგალითებია: ადამიანი, ვეფხვი, წყალი, ციკლონი, გალაქტიკა და ა. შ. მათგან განსხვავებით, ზოგადი ცნებები, რომლებიც არ არის ბუნებრივი გვარები, მაგალითად, ასეთია: ყველა ფიზიკური ობიექტი, რომლის სიგრძეც 2 მეტრია; ყველაფერი, რაც ამჟამად ჩემს მხედველობის არეშია და ა. შ. ბუნებრივი გვარების ცნება ბევრ საინტერესო პრობლემას წამოჭრის მეტაფიზიკასა და ენის ფილოსოფიაში. ამ პრობლემების განხილვას, თავის მხრივ, მივყავართ მოდალობის, რეალიზმის და ნომინალიზმის, ბუნების კანონების, მიზეზშედეგობრიობის, კონტრფაქტობრივი მტკიცებების, ინდუქციის და სხვა ფილოსოფიურ პრობლემებთან. ზოგიერთი ფილოსოფოსი ბუნებრივი გვარების ცნებას უკუაგდებს კონვენციონალისტური, კონსტრუქტივისტული თვალსაზრისიდან.

გვ. 36

* უნიკორნი – ლეგენდარული ცხოველი, რომელიც აღწერილია, როგორც ცხენის მსგავსი არსება, რომელსაც შუბლზე აქვს ერთი გრძელი, წვეტიანი, სპირალური ფორმის რქა.

გვ. 41

* „ოსტენსიური“ ეწოდება განსაზღვრებას მითითებით, ანუ სიტყვის მნიშვნელობის ახსნას იმ საგნების უშუალოდ ჩვენების გზით, რომელთაც ეს სიტყვა ასახელებს ან აღწერს. ოსტენსიურ განსაზღვრებას, ჩვეულებრივ, უპირისპირებენ დესკრიფციით განსაზღვრებას, რომელშიც სიტყვის მნიშვნელობა აიხსნება უკვე ცნობილი ან მანამდე განსაზღვრული სხვა სიტყვების მეშვეობით მისი აღწერის, მისი ძირითადი თვისებების გადმოცემის გზით.

გვ. 55

* *de re* და *de dicto* მოდალობა – ეს ლათინური ფარზები ნიშნავს „საგნის, (არსებულის) შესახებ“ და „ნათქვამის (დებულების) შესახებ“; ისინი მოდალური (ზოგადად, ინტენსიონალური) კონტექსტების ორი განსხვავებული ინტერპრეტაციის აღსანიშნავად გამოიყენება. მართალია, სხვადასხვა ფილოსოფოსის სხვადასხვაგვარად იგებს ამ განსხვავებას, მაგრამ მისი მეტ-ნაკლებად ზოგადი აზრი შეიძლება ასე ავხსნათ: განვიხილოთ, მაგალითად, მოდალური დებულება „შესაძლებელია, რომ ქუთაისი საქართველოს დედაქალაქი ყოფილიყო“ *de dicto* ინტერპრეტაციით ეს დებულება ნიშნავს: „შესაძლებელია, რომ დებულება „ქუთაისი საქართველოს დედაქალაქია“ ჭეშმარიტი ყოფილიყო“; ხოლო *de re* ინტერპრეტაციით ის ნიშნავს: „ქუთაისი შეიძლება საქართველოს დედაქალაქი ყოფილიყო (მას შეიძლება საქართველოს დედაქალაქად ყოფნის თვისება ჰქონოდა)“; ამრიგად, პირველი (*de dicto*) ინტერპრეტაციით მოდალური ოპერატორის (შესაძლებელია) მეშვეობით რაღაცას ვამბობთ თვითონ დებულების („ქუთაისი საქართველოს დედაქალაქია“) ჭეშმარიტება-მცდარობაზე, ხოლო მეორე (*de re*)

ინტერპრეტაციით – რალაცას ვამბობთ თვითონ საგნის (ქალაქის, ქუთაისის) შესახებ.

გვ. 62

* *ორეულების* თეორია (counterpart theory) არის შესაძლო სამყაროების კრიპკესეული სემანტიკის ალტერნატიული თეორია, რომელიც დევიდ ლუისმა განავითარა. მის თანახმად, თითოეული ინდივიდი არსებობს მხოლოდ ერთ შესაძლო სამყაროში. შესაბამისად, ამ თეორიის მიხედვით (შესაძლო სამყაროების სტანდარტული გაგებისგან განსხვავებით), მაგალითად, წინადადება „შეიძლება სოკრატე ექიმი ყოფილიყო“ არ უნდა გავიგოთ, როგორც მტკიცება, რომ იმავე ინდივიდს, სოკრატეს, რომელიდაც შესაძლო სამყაროში ეს თვისება აქვს. სანაცვლოდ, ეს წინადადება უნდა გავიგოთ, როგორც მტკიცება, რომ არსებობს შესაძლო სამყარო, რომელშიც არსებობს ინდივიდი, რომელიც, მართალია, არ არის თვითონ სოკრატე, მაგრამ არის მისი მსგავსი ინდივიდი და მას ეს თვისება აქვს (ექიმი). ეს სხვა ინდივიდი არის სოკრატეს *ორეული* ამ შესაძლო სამყაროში და სწორედ იმის ძალით, რომ მას ეს თვისება აქვს, არის ჭეშმარიტი მოცემული მოდალური წინადადება სოკრატეს შესახებ.

** უნივერსალური (ზოგადი) წინადადების ინსტანციაციის კანონი, იგივე უნივერსალური წინადადების სპეციფიკაციის კანონი, ან ზოგადობის კვანტორის მოცილების წესი არის პრედიკატთა ლოგიკის დასკვნის წესი, რომლის ძალითაც უნივერსალური (ზოგადობისკვანტორიანი) წინადადებიდან გამომდინარეობს მისი ნებისმიერი ინსტანციაცია, ანუ ნებისმიერი წინადადება, რომელსაც მივიღებთ, თუ ზოგად წინადადებაში ზოგადობის კვანტორით დაბმულ ცვლადს შევანაცვლებთ ამ ცვლადის განსაზღვრის არიდან აღებული რომელიმე ინდივიდის სახელით. ამრიგად, ამ წესის თანახმად, თუ ჭეშმარიტია, რომ ყველა საგანს აქვს P თვისება (ანუ $(x)Px$), მაშინ აუცილებლად ჭეშმარიტია, რომ ნებისმიერ მოცემულ a საგანს აქვს P თვისება (ანუ Pa).

გვ. 66

* კვანტორებიანი მოდალური ლოგიკა – მოდალური ლოგიკის ის სისტემები, რომლებშიც დაშვებულია მოდალური ოპერატორების შესვლა კვანტორების მოქმედების არეში. ეს საკითხი ფართო დებატების საგანი იყო მეოცე საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც ზოგიერთი გავლენიანი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი (ყველაზე თვალსაჩინოდ, ალბათ, უილარდ ვან ორმან ქუაინი) მოდალური ოპერატორების კვანტორების მოქმედების არეში შესვლას პრობლემურად მიიჩნევდა. რუთ ბარქან მარკუსისა და საულ კრიპკეს შრომებმა გადაამწყვეტი როლი შეასრულა ასეთი სიტემების განვითარებაში, თუმცა, დღემდე არსებობს სკეპტიკური არგუმენტები მათ წინააღმდეგ.

გვ. 82

* „დეს“ (Dthat) არის დევიდ კაპლანის მიერ შემოტანილი ოპერატორი, რომლის განსაზღვრულ დესკრიფციაზე დართვითაც იწარმოება სახელი. მაგალითად, დესკრიფციას – „ეს ძალი, რომელსაც ახლა ვუყურებ“ – განსაზღვრული რეფერენტი აქვს მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში, მითითების აქტთან ერთად. კაპლანის მიხედვით, მითითების აქტით მითითებული საგანი წარმოდგენილია კონკრეტული წესით – განსაზღვრული დესკრიფციით სწორედ მისი წარმოდგენის წესია მოცემული. „დეს“ ოპერატორით განსაზღვრული დესკრიფციისგან აიგება ფრაზა „დეს(ძალი რომელსაც ახლა ვუყურებ)“, რომლის შინაარსიც უკვე არის ის კონკრეტული ძალი, რომელზეც განსაზღვრული დესკრიფცია კონკრეტულ მითითების აქტთან ერთად რეფერირებს. ამრიგად, ასე აგებული ფრაზა წარმოადგენს მითითების აქტსა და მითითების წესს ერთად (თვითონ სიტყვაში „დეს“ („Dthat“) „დ“ შეესაბამება დემონსტრაციას (მითითებას), ხოლო „ეს“ („that“) – მითითების წესს).

გვ. 85

* გამოყენებასა (use) და (mention) ხსენებას შორის განსხვავება ასახავს განსხვავებას დისკურსში სიტყვის ორ შესაძლო ფუნქციას შორის: სიტყვა გამოყენებულია, თუ მისი მეშვეობით ხდება საგანზე მითითება ან რაიმეს მტკიცება; ხოლო სიტყვის ხსენების შემთხვევა გვაქვს, როცა მას ვიყენებთ თვითონ მის შესახებ რაიმეს სათქმელად. მაგალითად, თუ ვამტკიცებ, რომ სოკრატე პლატონის მასწავლებელი იყო, სიტყვას „სოკრატე“ ისევე, როგორც სიტყვებს „პლატონის“, „მასწავლებელი“ და „იყო“ ვიყენებ; ხოლო თუ ვამტკიცებ, რომ „სოკრატე“ შვიდ აოსოს შვიცავს, მაშინ სიტყვას „სოკრატე“ ვახსენებ, ხოლო სიტყვებს „შვიდ“, „აოსოს“, „შვიცავს“ – ვიყენებ.

გვ. 134

* „ნომოლოგიურ უქნარებს“ (nomological danglers) უწოდებენ ისეთ ნაგულისხმევ არსებებს ან კავშირებს, რომელთა ადგილიც არ მოიძებნება მეცნიერების მიერ დადგენილ კანონზომიერებათა ქსელში, რამდენადაც ისინი არც ხსნის ასეთი ქსელით აღიარებული არსებებიდან რომელიმეს და არც თვითონ აიხსნება მათი მეშვეობით (ანუ, ისინი ზედმეტი, რესპექტაბელურ სიტყმაზე უქმად „ჩამოკიდებული“ დანამატებია). ეს ტერმინი დაამკვიდრა ჯ. ჯ. ქ. სმარტმა, რომელიც ასეთ ნომოლოგიურ უქნარებად მიიჩნევდა ფიზიკურზე არარედუცირებად მენტალურ არსებებს, რომელთაც ცნობიერების დუალისტური თეორიები უშვებს. თვითონ სმარტი ამ ფრაზის ავტორად ასახელებს ჰებერტ ფაიგლს.

გვ. 145

* შმიგივეობა (shmidentity) – კრიპკე ხელოვნურად ქმნის ამ ტერმინს ბუნებრივი სიტყვისთვის ბგერების „შმ“ დამატებით და მას განსაზღვრავს, როგორც მიმართებას, რომელშიც ყველა საგანი დგას თავის თავთან და მხოლოდ თავის თავთან. სწორედ ეს არის, მისი აზრით, „იგივეობის“ ბუნებრივი ცნების აზრიც, მაგრამ,

ვინაიდან ფილოსოფიურ ტრადიციაში ზოგიერთი შეიძლება სხვანაირად ფიქრობდა, კრიპკეს მისთვის საჭირო ზუსტი ცნებისთვის ხელოვნური ტერმინი შემოაქვს, რომელიც თავისუფალი იქნება ისტორიული კონტექსტების ტვირთისაგან.

გვ. 155

* გვარეობითი სახელი (sortal) – ეს ტერმინი, რომელიც პირველად ჯონ ლოკთან გვხვდება, თანამედროვე ფილოსოფიაში პიტერ სტროსონმა შემოიტანა ისეთი სახელების ან პრედიკატების აღსანიშნავად, რომელთა შინაარსითაც მოცემულია შესაბამისი ტიპის საგნების ინდივიდუაციისა და დათვლის პრინციპი. გვარეობით სახელებად მიიჩნევა, მაგალითად, „აღამიანი“, „ვეფხვი“, „მწვანე ვაშლი“, ხოლო „მწვანე საგანი“ ან „საგანი“ არ არის გვარეობითი სახელები, რადგან არ არსებობს დათვლის პრინციპი მწვანე საგნებისთვის (თუ დაზუსტებული არ არის, რა ითვლება ერთ საგნად და რა – ორად). გვარეობითი სახელი არ არის არც „მწვანე“, რომელიც ზედსართავი სახელია. ფილოსოფოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, მართლა ფილოსოფიურად საინტერესო განსხვავებას ჩაიჭერს თუ არა გვარეობითი სახელის ცნება. სხვადასხვაგვარად ესმით ის მათაც, ვინც მას მეტაფიზიკურად საინტერესო ცნებად მიიჩნევს. როგორც წესი, გვარეობითი სახელის განსაზღვრებისთვის მის შემდეგ ნიშნებს გამოჰყოფენ: გვარეობითი ცნება გვაძლევს ამ გვარის საგნების დათვლის კრიტერიუმს (მაგალითად, ვეფხვის ცნება შეიცავს იმის კრიტერიუმს, თუ რამდენი ვეფხვია ამ ოთახში); გვაძლევს ამ გვარის საგნების იგივეობისა და განსხვავების კრიტერიუმს (არის თუ არა ერთი და იგივე ის ვეფხვი, რომელსაც მე ვუყურებ, და ის ვეფხვი, რომელსაც შენ უყურებ?); გვაძლევს ამ გვარის საგნის დროში იგივეობის კრიტერიუმს (არის თუ არა ერთი და იგივე ის ვეფხვი, რომელიც გუშინ ვნახე, და ის ვეფხვი, რომელიც დღეს ვნახე?); ამ გვარის საგნებისთვის გვაძლევს პასუხს კითხვაზე: „რა არის ეს?“ (თუ მიმითითებენ ვეფხვზე და მეკითხებიან, „რა არის ეს?“ ადეკვატურია პასუხი

„ვეფხვი“, ხოლო პასუხი „ზოლებიანი ობიექტი“ ან „300-კილოგრამიანი ობიექტი“, რაღაც აზრით, ადეკვატური არ არის); გვაძლევს ამ გვარის საგნების არსების დახასიათებას (ვეფხვის ცნებაში მოიაზრება ვეფხვის არსებითი თვისებები); არ მიეყენება ამ გვარის საგნების ნაწილებს (თუ მოცემული ობიექტი არის ვეფხვი, მაშინ მისი არც ერთი ცალკეული ნაწილი არ არის ვეფხვი).

გვ. 160

* პირიტი, იგივე გოგირდის (ან რკინის) ალმადანი არის ოქროსფერი მინერალი, რომელსაც ოქროსფერი ბზინვარების გამო „სულელის ოქროს“ უწოდებდნენ.

გვ. 172

* ქვალი (quale) ანალიზურ ფილოსოფიაში დამკვიდრდა, როგორც ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მენტალური მდგომარეობების და პროცესების, განსაკუთრებით, შეგრძნებებისა და აღქმების იმ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ „როგორია“ ამ გამოცდილებების ქონა. ანუ, ეს არის მენტალური გამოცდილების განცდილი, ფენომენური თვისებრიობა. მაგალითად, წითელი ობიექტის დანახვისას ჩვენ, ჩვეულებრივ, გვაქვს სიწითლის განცდა – ქვალი, რომელიც არ გვექნება, როცა იმავე ობიექტს შევხედავთ სათვალთ, რომელიც წითელი ფერის შესაბამის სინათლის ტალღებს ფილტრავს.

გვ. 197

* თემატურად ნეიტრალური ენა – ცალკეულ ტერმინს ან მთელ დისკურსს თემატურად ნეიტრალურს უწოდებენ, თუკი მისი გამოყენება ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელია მისი ალტერნატიული ონტოლოგიური ინტერპრეტაციებიდან სწორი. ეს ტერმინი შემოიღო ჯ. ჯ. ქ. სმარტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მენტალური მდგომარეობების შესახებ ჩვენი ყოველდღიური ლაპარაკი თემატურად ნეიტრალურია – არ გულისხმობს არც იმას, რომ მენტალური არსებები მატერიალურია, და არც

იმას, რომ ისინი არამატერიალურია, ანუ ღიას ტოვებს დავას მატერიალისტურ და დუალისტურ ონტოლოგიებს შორის.

გვ. 201

* ირეფლექსური ეწოდება ისეთ ორადგილიან მიმართებას, რომელშიც არც ერთი საგანი არ დგას თავის თავთან. ირეფლექსურია, მაგალითად, მეტობის მიმართება, განსაზღვრული რიცხვებზე (არც ერთი რიცხვი არ არის თავის თავზე მეტი). მისგან განსხვავებით, იგივეობის მიმართება რეფლექსურია – ყველა საგანი არის ამ მიმართებაში თავის თავთან (ყველაფერი თავისი თავის იგივეობრივია). რეფლექსურისა და ირეფლექსურის გარდა, არსებობს არარეფლექსური მიმართებები, ანუ მიმართებები, რომლებშიც ზოგიერთი საგანი დგას თავის თავთან, ხოლო ზოგიერთი საგანი – არა.

საძიებელი

- აინშტაინი, ალბერტ 111-115, 118, 128
- ალბრიტონი, როჯერს (Albritton, Rogers) 35 შ., 164 შ.
- ალფა კენტავრი 128
- ანალიზური ჭეშმარიტება 48-50, 55, 77 შ., 157, 165, 181, 186
- აპოსტერიორული ჭეშმარიტება *იხ.* აპრიორული ჭეშმარიტება, აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტება
- აპრიორული ჭეშმარიტება (აპრიორულობა), როგორც ეპისტემოლოგიური ცნება 48-55, 86-87, 164-165, 213-215; კანტისეული გაგება 48, 157, 213-215; *იხ.*, აგრეთვე, შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტება, აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტება
- არისტოტელე 11-22, 43-44, 47, 78-79, 84-86, 90, 101, 102, 104, 116
- არმსტრონგი, დევიდ (Armstrong, David) 198 შ.
- არსება 66, 104, 155 შ., 169, 185-186, 190, 197, *იხ.*, აგრეთვე, არსებობის თვისებები
- არსებითი თვისებები, ინდივიდების 55-74, 148-155, 169-170, 188-191, 209 შ.; ბუნებრივი გვარების და მოვლენების 166-169, 172-212; შეგრძნებების 196-208
- ატომური ნომერი 156, 166-168, 185, 189; *იხ.*, აგრეთვე, ოქრო ატრიბუტი 186
- აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტება 50-56, 213-214; და ინდივიდების არსებითი თვისებები 65, 68-69, 148-155, 169-170, 189-192; და სახელებს შორის იგივეობის დებულებები 135-142, 144-148, 189-194; და მათემატიკა 50-55, 190, 192, 213-214; და ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი 194-208; და ბუნებრივი გვარები და ბუნებრივი მოვლენები 163-169, 172-179, 184-185, 189-208; და თვისებრივად იგივეობრივი ეპისტემური სიტუაცია 139-142, 190-194, 202-205

აუცილებელი თვისება იხ. არსებითი თვისებები

აუცილებლობა 7-10, 48-78, 83-93, 99-106, 132-142, 143-155, 163-218; აგებულების 66, 70-73, 152-155, 169-170, 190-191; *de re* იხ. არსებითი თვისებები, მოდალობა *de re*; იგივეობის იხ. იგივეობა; ლოგიკური 51, 57-58; როგორც მეტაფიზიკური ცნება 49-55, 163-165, 182, 213-215; წარმოშობის 148-155, 188-191, 208-209 შ.; ფიზიკური 51, 135, 168, 220; იხ., *აგრეთვე*, შემთხვევითი აპრიორული ქვეშარიტება, აუცილებელი აპოსტერიორული ქვეშარიტება

აღნიშვნელი 37; არახისტი (შემთხვევითი) 67; ხისტი იხ. ხისტი აღნიშვნელები; მკაცრად ხისტი 67-68

აშშ-ის საფოსტო სამსახურის ხელმძღვანელი 132, 134, 196

ბგერა 133, 175, 179 შ., 180

ბიფოკალური ლინზების გამომგონებელი 132, 134, 196-197, 207

ბუნებრივი გვარები 10, 162, 170-172, 180-185, 209, 217; იხ., *აგრეთვე*, არსებითი თვისებები, სახელის რეფერენციის დაფიქსირება; იხ., *აგრეთვე*, ოქრო, ვეფხვები და ა. შ.

ბუნებრივი მოვლენები 165, 180, 183-185, 199-207; იხ., *აგრეთვე*, არსებითი თვისებები, სახელის რეფერენციის დაფიქსირება; იხ., *აგრეთვე*, სითბო, სინათლე

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 39

განსაზღვრება (დეფინიცია) თვისებრივი 164; მისი ორი საზრისი 74-78, 165 შ., 180-183, 188 შ.; იხ., *აგრეთვე*, შემთხვევითი აპრიორული ქვეშარიტება, სახელის (ტერმინის) რეფერენციის დაფიქსირება

განსაზღვრული დესკრიფცია (დესკრიფციები), მათი ვითომდა „ხისტი“ საზრისი 12 შ., 82 შ.; მათი რეფერენტი 37-40, 115-117 შ.; მათი „რეფერენციული“ გამოყენება 12 შ., 37-38, 82 შ., 108 შ., 115-117 შ., 118 შ.; მათი მიმართება საკუთარ სახელებთან

- იხ. საკუთარი სახელების დესკრიფციის თეორია; და მოქმედების არის განსხვავებები 18-22, 82 შ., 85
- გაურიშანკარი 136
- გელ-მანი, მურეი 110, 124
- გვარეობითი სახელი 155-156 შ.
- გილბერტი, მარგარეტ (Gilbert, Margaret) 5
- გინსბერგი, ჰ. ლ. (Ginsberg, H. L.) 93 შ.
- გიჩი, პიტერ (Geach, Peter) 35 შ., 155-156 შ.
- „გლამფი“, „გლანკი“ 99, 215-217
- გოდელი, კურტ (Gödel, Kurt) 53, 113-125, 215-216
- გოლდბახის ჰიპოთეზა 51-53, 213
-
- დალი, სალვადორ 46
- დამიტი, მაიქლ (Dummet, Michael) 19 შ.
- დარტმუთი 39
- დედეკინდი, რიხარდ 115, 120
- დევიდსონი, დონალდ (Davidson, Donald) 194 შ.
- დეკარტი, რენე 194-196, 209 შ.
- დემონები 164, 169
- დენოტაცია (მილი) 39, 180
- „დეს“ 82 შ., 219
- დესკრიფციის თეორია, საკუთარი სახელების, მისი „კლასტერული“ ვერსია 44-48, 83-84, 101, 181; არაწრიულობის პირობა 93-96, 97-99, 110-113, 120, 215; როგორც მნიშვნელობის თეორია 10-24, 40-48, 74-105; მნიშვნელობის თეორიის განსხვავება რეფერენციის თეორიისგან 10, 24, 46-48, 74-106, 107 შ.; როგორც მხოლოდ რეფერენციის თეორია 78-80, 91-93, 106-132, 143-144
- დეფინიცია იხ. განსაზღვრება
- დოილი, არტურ კონან 211
- დონელანი, კეით (Donnellan, Keith) 12 შ., 35 შ., 37, 82 შ., 108 შ., 116 შ., 118 შ., 219

დუალიზმი *იხ.* ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი

ევანსი, გარეთ (Evans, Gareth) 218

ევერესტი 136

ელემენტი 156, 167-168, 185, 189, 192, *იხ.*, აგრეთვე, ოქრო

ელექტრობა 156, 177, 183

ელექტრომაგნიტური გამოსხივება 133, 174

ელვა 156, 177-178, 180

ელისაბედ II, დედოფალი 149-152, 189

ეპისტემოლოგია, ეპისტემოლოგიური ცნება *იხ.* აპრიორული ჭე-
შარიტება, აუცილებელი აპოსტერიორული ჭეშმარიტება

ეპისტემური კონტექსტები 32

ეპისტემური სიტუაცია (მდგომარეობა), თვისებრივად იდენტური
139-140, 190-192, 202-204

ესენციალიზმი, მისი აზრიანობა 55-74; *იხ.*, აგრეთვე, არსებითი
თვისებები

ეგზისტენციური (არსებობის) დებულებები 43, 45-48, 81, 90-92, 148

ვენერა 42, 135, 138, 147, 192; *იხ.*, აგრეთვე, ჰესპეროსი

ვეფხვები 160-163, 170, 172, 180, 184-185, 210

ვეშაპები 186

ვიგინსი, დევიდ (Wiggins, David) 195

ვიტგენშტაინი, ლუდვიგ (Wittgenstein, Ludwig) 45 შ., 47, 75, 91

ზიფი, პოლ (Ziff, Paul) 46, 47 შ., 109, 160

„თემატურად ნეიტრალური“ ენა 197

თეორიული იგივეობა (ან გაიგივება) 134, 156, 185, 189; და ცნობი-
ერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი 199-208

თვისებები, პირველადი და მეორადი 188

თვისებები, შემთხვევითი (აქციდენციური), მათი რეფერენციის დასაფიქსირებლად გამოყენება იხ. შემთხვევითი აპოსტერიორული ჭეშმარიტება, სახელის რეფერენციის დაფიქსირება; დისპოზიციური 188 შ.; არსებითი იხ. ესენციალიზმი, არსებითი თვისებები; „წმინდა“ 171 შ.; რომლებიც თავიდან ბუნებრივი გვარის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენებოდა 158-163, 166-169, 172-173, 184-185, 209-210

თვლადი სახელი 180; იხ., აგრეთვე, ბუნებრივი გვარები

იაკობსონი, ენ (Jacobson, Anne) 15

იარდი 103

იგივეობა, „შესაძლო სამყაროებს შორის“ იხ. „სამყაროებს შორის იგივეობა (გაიგივება)“; მისი კრიტერიუმი 27, 59, 64, 68, 70-71, 155 შ.; და ლაიბნიცის კანონი 8; მისი აუცილებელი და საკმარისი პირობები 60, 64-65, 71; მისი აუცილებლობა 8-10, 132-137, 144-148, 153 შ., 172-188, 190-209; თვისებების 185; როგორც მიმართება 8-9, 144-145; დროში 60, 70-72, 155 შ.; მისი ტრანზიტიულობა 71 შ.; ტიპებს შორის იხ. ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი; და ბუნდოვანება 70-71

იგივეობის დებულებები (მტკიცებები) 8-10, 42-43, 48, 81, 88, 91, 132-137, 144-148, 156, 172-178, 182-183, 186, 188-190, 193-209

იგივეობის თეზისი იხ. ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი

იგივეობის კრიტერიუმი იხ. იგივეობა

იგივეობრივთა განუსხვავებლობა 7

ინტენცია (განზრახვა), მისი როლი რეფერენციის შენარჩუნებაში, იხ. კომუნიკაციის ჯაჭვი

იონა 92-93, 117-118, 215

ისტორიული კავშირი (სახელისა რეფერენტთან) იხ. კომუნიკაციის ჯაჭვი

- კანტი, იმანუელ 49, 55, 157-158, 165, 180, 213-214
- კაპლანი, დევიდ (Kaplan, David) 17 შ., 63 შ., 82 შ., 219
- კარტეზიანული 209 შ.
- კარტეზიანული დუალიზმი 209 შ.
- კატეხი (კატა) 160-161, 164-169, 180, 185-186
- კატილინა 107, 109-110
- კაუზალური (მიზეზშედეგობრივი) როლი, მენტალური მდგომარეობების 198
- კვანტორებიანი მოდალური ლოგიკა 66 შ.; *იხ.*, აგრეთვე, შესაძლო სამყაროები
- კვანტური მექანიკა 63 შ.
- კინეტიკური ენერგია (მოლეკულათა) *იხ.* ტემპერატურა
- კლასტერული ცნება 46, 76 შ., 94, 103, 163, 164 შ.
- კოლუმბი, ქრისტოფერ 123
- კომუნიკაციის ჯაჭვი (რეფერენციაში) 14 შ., 81 შ., 122-129, 156, 181, 187, 218; და რეფერენციის წანაცვლება 125-132, 218-219
- კონოტაცია (მილი) 39, 180-181
- კორელაცია (ფიზიკურისა და მენტალურის) 134, 194 შ., 199, 200 შ.
- ლაიბნიცი, გოტფრიდ ვილჰელმ 63 შ.
- ლაიბნიცის კანონი 8
- ლეგენდარული პერსონაჟები 91-93; *იხ.*, აგრეთვე, ფიქციური არსებები
- ლევერიე, ურბან ჟან ჟოზეფ 115-116 შ.
- ლითონის ცნება 137-138; *იხ.*, აგრეთვე, ოქრო, ბუნებრივი გვარები
- ლინსკი, ლეონარდ (Linsky, Leonard) 37 შ.
- ლოქვუდი, მაიქლ (Lockwood, Michael) 31 შ.
- ლუისი, დევიდ კ. (Lewis, David K.) 62-63, 71 შ., 104, 198 შ., 218
- მაგიდა (მისი აგებულება) 66, 70-73, 152-155, 189-191
- მადაგასკარი 218-219

- მაილენტიფიცირებელი ნიშნები (თვისებები), ბუნებრივი გვარის, თავდაპირველი (საწყისი) 159-174, 184-187
- მარკუსი, რუთ ბარქან (Marcus, Ruth Barcan) 135-136
- მატერიალიზმი 9, 35, 200 შ., 208; *იხ.*, აგრეთვე, ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი მე 208; *იხ.*, აგრეთვე, პიროვნება
- მენტალური მდგომარეობა (თვისება, ხდომილება) *იხ.* ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი
- მეტაფიზიკური ცნება *იხ.* აუცილებლობა, აუცილებელი აპოსტერიორული ქვეყმარტება
- მეტრი 74-78, 82 შ., 83, 86-87, 103, 130 შ., 144, 182
- მიზეზშედევობრივი ჯაჭვი (რეფერენციაში) *იხ.* კომუნიკაციის ჯაჭვი
- მითითი არსებები 79, 210-211, 218; *იხ.*, აგრეთვე, ფიქციური არსებები, ლეგენდარული პერსონაჟები
- მილერი, რიჩარდ (Miller, Richard) 129 შ., 219
- მილი, ჯონ სტიუარტ (Mill, John Stewart) 31-32, 39-42, 94, 170-172, 180-181
- მოდლობა *de re* *იხ.* არსებითი თვისებები; სკეპტიციზმი მის შესახებ 55-74
- მოდალური ლოგიკა *იხ.* შესაძლო სამყაროები
- მოლეკულების მოძრაობა 133, 135, 173, 177-179, 185, 189, 200-207
- მოსე 45, 47-48, 80, 84, 90, 092
- მოქმედების არის განსხვავება 18-22, 82 შ., 85
- მფატრავი ჯეკი 108, 128, 212
- ნაგელი, თომას (Nagel, Thomas) 194, 198
- „ნათლობა“, საწყისი (ან პირველი) 47, 130-132, 143, 182-182, 217-218
- ნაპოლეონი 42, 131, 217
- „ნენსი“ 156 შ.
- ნეპტუნი 107-108 შ., 130 შ.

ნივთიერება *იხ.* ბუნებრივი გვარები, ოქრო, წყალი
 ნივთიერების სახელი 170, 180; *იხ.*, აგრეთვე, ოქრო, წყალი
 ნილი, უილიამ (Kneale, William) 93-94, 96
 ნიმუშები, საწყისი (თავდაპირველი), ნივთიერების 182-184, 194-
 195, 217

ნიუტონი, ისააკ 129, 132, 219
 ნიქსონი, რიჩარდ 56-73, 155 შ.
 ნოზიკი, რობერტ (Nozick, Robert) 119 შ.

ოთხი ფერის თეორემა 139
 ონასისი, არისტოტელე 15-16
 ოპტიკური ილუზია, და ოქრო 158-159, 184; და ვეფხვები 161-163
 ორეულების თეორია 62, 63 შ., 104, 141 შ., 191
 ოსტენსია 41, 47 შ., 107 შ., 130-132, 156 შ., 181; *იხ.*, აგრეთვე, თავ-
 დაპირველი (საწყისი) ნათლობა, ჩვენებითი ნაცვალსახელები
 ოქრო 55, 156-160, 163, 165-168, 170-172, 179 შ., 180-192, 211; *იხ.*,
 აგრეთვე, რკინის პირიტი

პატნემი, ჰილარი (Putnam, Hilary) 163-165, 168
 პეანო, ჯუზეპე 114-115, 120
 პი (π) 83
 პიროვნება, და სხეულთან მისი იგივეობა 193-195; *იხ.*, აგრეთვე,
 ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი

რასელი, ბერტრან (Russell, Bertrand) 12 შ., 13, 16-17, 21, 23, 31,
 38 შ., 40-43, 74, 80, 82 შ., 83, 85, 96, 98, 119 შ., 132 შ., 171, 181
 რეფერენტი, დესკრიფციის 37-39, 115-117 შ.; საკუთარი სახელის,
იხ. დესკრიფციის თეორია, საკუთარი სახელები; სემანტიკურ-
 რი 37 შ.; *იხ.*, აგრეთვე, სახელის (ტერმინის) რეფერენციის და-
 ფიქსირება

რეფერენციის (რეფერენტის) დადგენა, სახელის 41-48, 53-დან; *იხ., გრეთვე*, სახელის რეფერენციის დაფიქსირება

რეფერენციის (რეფერენტის) დაფიქსირება, სახელების (ან ტერმინების), როგორც განსხვავებული სახელის სინონიმის მოცემისგან 23, 75-87, 103-108, 130-131, 143, 165 შ., 175-178, 181-183, 187-188, 193; და მენტალური ტერმინები *იხ. ტკივილი*; და ბუნებრივი გვარები 164-165, 181-182, 187-188, 217; და ბუნებრივი მოვლენები 174-179, 183-185, 187-188, 199-208; და საკუთარი სახელები *იხ. საკუთარი სახელების დესკრიფციის თეორია*, საკუთარი სახელები; *იხ., აგრეთვე*, შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტება, მეტრი, π , ხისტი აღმნიშვნელები, იარღი, ყვითელი

რეფერენციულის და ატრიბუციულის განსხვავება 12 შ., 37 შ., 82 შ., 108 შ., 116 შ., 118 შ.

რკინის პირიტი (სულელის ოქრო) 160, 166-167, 180, 172, 182, 211

როსერი, ჯ. ბ. (Rosser, J. B.) 144

საზოგადო სახელი 170-172, 180-188; *იხ., აგრეთვე*, ბუნებრივი გვარები, ბუნებრივი მოვლენები

საზრისი, ფრეგესეული 40 შ., 44, 81-82, 96, 109, 156 შ., 165 შ., 181

საკუთარი სახელები, მათი რეფერენციის სწორი სურათი 123-132; მათი დესკრიფციის თეორია *იხ. დესკრიფციის თეორია*, საკუთარი სახელების; ეპისტემური კონტექსტებში 31-32; ფიქციასა და ლეგენდაში 91-92, 126, 131-132, 211-212, 218; „ომონიმური“ 14-16; და იგივეობის დებულებები *იხ. იგივეობის აუცილებლობა*; როგორც ხისტი აღმნიშვნელები *იხ. ხისტი აღმნიშვნელები*; და განსხვავებები მოქმედების არეში 18-22, 84-85; მათი რეფერენციის წანაცვლება 126-132, 218-220; და გვარეობითი სახელი 155 შ.; და ბუნებრივი გვარებისა და ბუნებრივი მოვლენების სახელები 171-172, 18-181, 217-218; *იხ., აგრეთვე*, ცელკეული საკუთარი სახელები

- საკუთარი სახელების „დესკრიფციების კლასტერის“ თეორია *იხ.*
 საკუთარი სახელების დესკრიფციის თეორია
 „სამყაროებს შორის იგივეობა“ 24-33, 58-69, 71-74, 104-105
 სანტა კლაუსი 126, 131, 218
 საღვთო რომის იმპერია 39
 სახელი, „საერთო სახელი“ 170; „საზოგადო სახელი“ (მილი) 171,
 180; საკუთარი *იხ.* საკუთარი სახელები; „სინგულარული სა-
 ხელი“ (მილი) 171, 180; *იხ.*, აგრეთვე, ბუნებრივი გვარები, ბუ-
 ნებრივი მოვლენები
 სახელმწიფოები, მათი მიმართება ინდივიდებთან 69
 სახეობა *იხ.* ბუნებრივი გვარები; მითიური *იხ.* უნიკორნები
 სელმონი, ნათან (Salmon, Nathan) 5 შ.
 სერლი, ჯონ როჯერს (Searle, John Rogers) 45, 84, 101-102, 119 შ.
 სიტბო 133-135, 173-180, 183, 185, 188-189, 199-208
 სინათლე 133-134, 156, 173-180, 187, 188, 206
 სინგულარული სახელები *იხ.* განსაზღვრული დესკრიფცია, ზოგა-
 დი სახელი, სახელი, საკუთარი სახელი
 სინონიმურობა *იხ.* შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტება, სახე-
 ლის რეფერენციის დაფიქსირება
 სკოტი, უოლტერ 40 შ., 41, 46, 96
 სლოუტი, მაიქლ (Slote, Michael) 35 შ., 66 შ., 154
 „სმითი, ჯორჯი“ 129, 132, 219
 სოკრატე 43 შ., 94-96, 98-100
 სპრიგი, ტიმოთი (Sprigge, Timothy) 149
 სტალნაკერი, რობერტ (Stalnaker, Robert) 31 შ.
 სტრაუდი, ბარი (Stroud, Barry T.) 213
 სტროსონი, პიტერ ფრედერიკ (Strawson, Peter Frederic) 83, 89, 119
 შ., 121, 124-125, 215-216
 სულელის ოქრო, *იხ.* რკინის პირიტი

ტემპერატურა 173; *იხ.*, *აგრეთვე*, სითბო; წყლის დუღილის ტემპერატურა 74

ტენი, მარკ 152

ტენის მდგომარეობა *იხ.* ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი

ტიპებს შორის იგივეობა (და ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი) 194, 199-208

ტკივილი 133-134. 193-207

ტულიუსი 31, 135, 137, 144, 146; *იხ.*, *აგრეთვე*, ციცერონი

უნიკორნები 36, 209-211

ურთიერთშენაცვლებადობა (საკუთარი სახელების) 32

უტყუარობა 49, 55

ფეინმანი, რიჩარდ 110-111, 117, 123-124

ფერმას ბოლო თეორემა 51, 190, 192

ფიზიკური მოვლენები *იხ.* ბუნებრივი მოვლენები

ფიქციური არსებები 211-213, 218; *იხ.*, *აგრეთვე*, ლეგენდარული პერსონაჟები, სანტა კლაუსი, უნიკორნები

ფოსფოროსი (პლანეტა) 32, 42, 133, 136-142, 146-148, 189, 192-193

ფოტონები 133-134, 156, 173-175, 177, 206

ფრანკლინი, ბეჯამენ 196-197; *იხ.*, *აგრეთვე*, ბიფოკალური ლინზების გამომგონებელი

ფრეგე, გოტლობ (Frege, Gottlob) 11, 40-44, 74, 80-83, 118 შ., 119 შ., 144, 171, 181

ფსიქოფიზიკური იდენტიფიკაცია *იხ.* ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი

ფუნქციური მდგომარეობის თეორია (ფსიქოლოგიური ცნებების) 195 შ.

ქვალი 172; *იხ.*, აგრეთვე, ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი

ქუაინი, უილარდ ვან ორმან (Quine, Willard Van Orman) 43 შ., 135-136

ღმერთი 40, 205-207

ყვითელი 158-160, 171, 180, 184-185, 188 შ.

შეგრძნებები *იხ.* სიბო, ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი, ტკივილი, ყვითელი

შემთხვევითი აპრიორული ჭეშმარიტება 23-24, 53, 75-78, 86-87, 91, 101-103, 105-107, 137, 165, 178, 181-186; *იხ.*, აგრეთვე, სახელის (ტერმინის) რეფერენციის დაფიქსირება, ხისტი აღმნიშვნელები

შესაძლებელი მაგრამ არააქტუალური ინდივიდები 212

შესაძლო სამყაროები, და აქტუალური სამყარო 25-31, 152, 155 შ.; მათი სწორი და არასწორი ცნებები 24-31, 59-74, 104; მათ შორის იგივეობა *იხ.* „სამყაროთა შორის იგივეობა“; და ალბათობა 25-31; და მოდალური ლოგიკის სემანტიკა 7, 24 შ., 30 შ., 81-82 შ.; სტიპულაციით მიღებული და არა აღმორჩენილი 62, 68

შინაგანი სტრუქტურა (სახეობის წევრების) 161-162, 169, 210

„შიშველი ინდივიდები“ 28, 52

„შიგივეობა“ 23, 145-146

„შიდტი“ 113-114, 116 შ., 118, 120-121, 123, 215, 216

ჩესტენი, ჩარლზ (Chastain, Charles) 35, 219

ჩვენებითი ნაცვალსახელები 17 შ., 40 შ., 68 შ., 137, 219

ციცერონი 31, 107-112, 117, 123, 125, 131 შ., 133, 135, 137, 144, 146

ცნობიერების და სხეულის იგივეობის თეზისი 35, 135, 179, 193-208;
და კარტეზიანული დუალიზმი 208-209 შ.; ინდივიდუალური
მდგომარეობების გაგებაში 193, 196-199; პიროვნებისა და სხე-
ულის გაგებაში 193-194; მდგომარეობათა ტიპების გაგებაში
194, 199-208

ცნობიერების და სხეულის ურთიერთმიმართების პრობლემა 35,
209 შ.; *იხ.*, აგრეთვე, ცნობიერების და სხეულის იგივეობის
თეზისი

ცხრა, რიცხვი 56, 67

ძროხები 170-172, 180

წარმოშობის აუცილებლობა 148-155, 155 შ., 188-191

წყალი, მისი დუღილის ტემპერატურა 74-78, 130 შ.; მისი მოლეკუ-
ლური სტრუქტურა 156, 166, 169, 172-173, 199

ხისტი აღმნიშვნელები 8-24, 67-68, 76-83, 85 შ., 102-108, 153 შ., 183,
187, 189-190, 193-207; და განსაზღვრული დესკრიფციების ვი-
თომდა „ბუნდოვანება“ 20 შ., 81-82 შ.; და შემთხვევითი არსე-
ბობა 8, 67-68, 147-148; *de jure* და *de facto* 32-33 შ.; ჩვენებითი
ნაცვალსახელები, როგორც ხისტი აღმნიშვნელები 17 შ., 68 შ.;
და იგივეობის დებულებები *იხ.* იგივეობის აუცილებლობა; და
ცნობიერებისა და სხეულის იგივეობის თეზისი 194-208; საკუ-
თარი სახელები, როგორც ხისტი აღმნიშვნელები 9-24, 66-73,
78-87, 100-104, 137-149; და მოქმედების არეში განსხვავებები
18-22, 81 შ., 83-85; და ბუნებრივი გვარებისა და მოვლენების
სახელები 156-208; ცვლადები, როგორც ხისტი აღმნიშვნელე-
ბი 68 შ.; *იხ.*, აგრეთვე, სახელის რეფერენციის დაფიქსირება

„ჯო დოუკსი“ 41

ჰამფრი, ჰუბერტ 63 შ., 66-68

ჰედლიბურგი, ადმიანი, რომელმაც გარყვნა 37, 41

ჰენრი I 103

ჰესპეროსი 32, 42, 79-80, 106, 133-142, 146-148, 156 შ., 189, 192-193

ჰილბერტი, დავიდ (Hilbert, David) 53

ჰიტლერი, ადოლფ 93 შ., 102-106

ჰოლმსი, შერლოკ 211-212

C ბოჭკოები 133, 193-194, 199-208

H₂O 156, 172; *იხ.*, აგრეთვე, წყალი

